

114  
1944/2


159K  
საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
ცენტრი

# მნათობი

11

---

თბილისი  
1944



*Handwritten note:* უბიძგე რედაქციას

# მნათობი

სრულიად - საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სახელმწიფო და საბოტაჟებრივ-სამთლიანო  
ქურნალი

წილიწადი მეოცდაათი

*Handwritten numbers:*  
41807  
4013

# 11

19

ნოემბერი  
სახელმწიფო



**საკრედიტო კოლეგია:**

აბაშიძე ირაკლი  
ასათიანი ლევან  
გაგსახუჩაძე კონსტანტინე  
კალაძე კარლო  
გაგაშვილი ალიო (პ.მ. რედაქტორი)  
მოსაშვილი ილო  
ტაბიძე ვალენტინო  
ქიაჩელი ლეო  
შენგელაია დიანა.

---

ხელმოწერილია დასაბუქდად 15/XII-44 წ. ნაბეჭდ ფორმითა რაოდენობა 8.  
შეკვ. № 2438. ში 00385. ტირაჟი 5000.

---

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ჭორჩოსის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: შანაბლას № 13, შეჭრაღთა კაფშირი. ტელეფ. 3-04-64.



# დიდი ოქტობრის სოხილისგური ჩეკოლუბის XXVII ნდისთავი

## თავდასვის სახელმწიფო პოლიციის თავმჯდომარის აბხანაძე ი. ბ. სვადინის მოხსენება

მშრომელთა დებუტატების მოხკვის ხაბკოს სასეიმო ხხდომანე ქ. მოხკვის  
პარტიულ და ხაზოვადოებრივ ჩრგანინსაციებთან ერთად 1944 წ. 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა ადამიანები დღესასწაულობენ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რე-  
ვოლუციის გამარჯვების 27-ე წლისთავს.

ჩვენი ქვეყანა მეთხედ ეგებება საბჭოთა რევოლუციის წლისთავს გერმანელ  
ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის პირობებში.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ომის მეოთხე წელი თავისი შე-  
დეგებით არ განსხვავდება ომის წინა სამი წლისაგან. პირიქით, მათ შორის  
ძირფესვიანი განსხვავებაა. თუ ომის წინა ორი წელი გერმანიის ჯარების შე-  
მოტყვისა და ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მათი წინსვლის წლები იყო, როცა წი-  
თელი არმია იძულებული იყო თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინა, ხოლო  
ომის მესამე წელი ჩვენს ფრონტზე ძირფესვიანი გარდატეხის წელი იყო,  
როცა წითელმა არმიამ მძლავრი შეტევითი ბრძოლები გაიწავლა, დაამარცხა  
გერმანელები მთელ რიგ გადაწყვეტ ბრძოლებში, გასწმინდა გერმანელთა  
ჯარებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის ორი მესამედი და აიძულა ისინი თავდაც-  
ვაზე გადასულიყვნენ, ამასთან წითელი არმია ჯერ კიდევ მარტო განაგრძობ-  
და ომს გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ისე რომ სერიოზული დახმარება  
არა ჰქონია მოკავშირეთა მხრივ, — ომის მეოთხე წელი აღმოჩნდა გერმანელ-  
თა ჯარებზე საბჭოთა არმიებისა და ჩვენი მოკავშირეების არმიების გადამ-  
წყვეტ გამარჯვებათა წელი, როცა გერმანელები, რომელნიც ამჯერად იძუ-  
ლებული გახდნენ თრ ფრონტზე ეწარმოებინათ ომი, უკავდებულ იქნენ გერ-  
მანიის საზღვრებამდე.

შედეგად, ვასული წელი დამთავრდა საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის,  
ბელგიის, შუა იტალიის ფარგლებიდან გერმანელთა ჯარების განდევნით და  
გერმანიის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების გადატანით.

### 1. გერმანია ორი ფრონტის მარწყუბში

წითელი არმიის გადამწყვეტი წარმატებანი წელს და საბჭოთა მიწა-წყლის  
ფარგლებიდან გერმანელთა განდევნა წინასწარ გადასწყვიტა გერმანელთა  
ჯარების წინააღმდეგ ჩვენი ჯარების მთელმა რიგმა გამანადგურებელმა დარ-  
ტყებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ამა წლის იანვარში დაიწყო და შემდეგ მთე-  
ლი საანგარიშო წლის მანძილზე გაწავლა.

პირველი დარტყმა ჩვენი ჯარების მიერ მიყენებულ იქნა ამა წლის იანვარში ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვა და უკუაგდო ისინი ბალტიისპირეთში. ამ დარტყმის შედეგი იყო ლენინგრადის ოლქის განთავისუფლება.

მეორე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის თებერვალ-მარტში ბუგზე, როცა წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელთა ჯარები და დნესტრის გაღმა გარეკა ისინი. ამ დარტყმის შედეგად მარჯვენა ნაპირის უკრაინა განთავისუფლებულ იქნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

მესამე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის აპრილ-მაისში ყირიმის რაიონში, როცა გერმანელთა ჯარები გადაყრილ იქნენ შვედეთში. ამ დარტყმის შედეგად გერმანელთა უღლისაგან განთავისუფლებულ იქნა ყირიმი და ოდესა.

მეოთხე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის ივნისში კარელიის რაიონში, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა ფინეთის ჯარები, გაათავისუფლა ვიბორგი და პეტროზავოდსკი და უკუაგდო ფინელები ფინეთის სიღრმეში. ამ დარტყმის შედეგი იყო კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმეტესი ნაწილის განთავისუფლება.

მეხუთე დარტყმა მივაყენეთ გერმანელებს ამა წლის ივნის-ივლისში, როცა წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა გერმანელთა ჯარები ვიტებსკთან, ბობრუსკთან, მოგილიოვთან და თავისი დარტყმა დაამთავრა გერმანელთა 30 დივიზიის გარშემორტყმით მინსკთან. ამ დარტყმის შედეგად ჩვენმა ჯარებმა: ა) საესებით გაათავისუფლეს ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა; ბ) მიაღწენ ვისლას და გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი; გ) მიაღწენ ნემანს და გაათავისუფლეს ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის უმეტესი ნაწილი; დ) გადალაბეს ნემანი და მიაღწენ გერმანიის საზღვრებს.

მექვესე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის ივლის-აგვისტოში დასავლეთ უკრაინის რაიონში, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანელთა ჯარები ლვოვთან და გარეკა ისინი სანსა და ვისლას გაღმა. ამ დარტყმის შედეგად: ა) განთავისუფლებულ იქნა დასავლეთი უკრაინა; ბ) ჩვენმა ჯარებმა ვისლა გადალაბეს და ვისლას გაღმა შექმნეს მძლავრი პლაცდარმი სანდოპირის დასავლეთით.

მეშვიდე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის აგვისტოში კიშინიოვ-იასის რაიონში, როცა ჩვენმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანელ-რუმინელთა ჯარები და თავიანთი დარტყმა დაამთავრეს კიშინიოვთან გერმანელთა 22 დივიზიის გარემოცვით, რუმინელთა დივიზიები რომ არ ეიანგარიშათ. ამ დარტყმის შედეგად: ა) განთავისუფლებულ იქნა მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკა; ბ) მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიის მოკავშირე — რუმინეთი, რომელმაც ომი გამოუცხადა გერმანიასა და უნგრეთს; გ) მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიის მოკავშირე — ბულგარეთი, რომელმაც აგრეთვე ომი გამოუცხადა გერმანიას; დ) ჩვენს ჯარებს ჯნა გაეხსნათ უნგრეთისაკენ, გერმანიის უკანასკნელი მოკავშირისაკენ ევროპაში; ე) შეიქმნა შესაძლებლობა დახმარების ხელი გაგვეწოდებინა ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიისათვის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მერვე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბალტიისპირეთში, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანელთა ჯარები ტალინთან და რიგასთან და განდევნა ისინი ბალტიისპირეთიდან. ამ დარტყმის

შედეგად: ა) განთავისუფლებულ იქნა ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკა; ბ) განთავისუფლებულ იქნა ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის უმეტესი ნაწილი; გ) მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიის მოკავშირე — ფინეთი, რომელმაც ომი გამოუცხადა გერმანიას; დ) გერმანელთა 30-ზე მეტი დივიზია პრუსიას მოწყვეტილი და მარწუხში მომწყვდეული აღმოჩნდა ტუკუშა და ლიბავეს შუა მლუბარე რაიონში, სადაც მათ ახლა საბოლოოდ მუსრავენ ჩვენი ჯარები. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ამა წლის ოქტომბერში დაიწყო ჩვენი ჯარების მეცხრე დარტყმა უნგრეთის რაიონში მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა. ამ დარტყმის მიზანია ომიდან უნგრეთის გამოყვანა და გერმანიის წინააღმდეგ მისი შიბრუნება. ამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დარტყმის შედეგად: ა) ჩვენმა ჯარებმა პირდაპირი დახმარება გაუწიეს ჩვენს მოკავშირე იუგოსლავიას გერმანელთა განდევნისა და ბელგრადის განთავისუფლების საქმეში; ბ) ჩვენს ჯარებს შესაძლებლობა მიეცათ გადაელახათ კარპატების ქედი და დახმარების ხელი გაეწოდებინათ ჩვენი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისათვის, რომლის ტერიტორიის ნაწილიც უკვე განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან.

დასასრულ, ამა წლის ოქტომბრის დამლევს განხორციელებულ იქნა დარტყმა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ფინეთში, როცა გერმანელთა ჯარები გარეკალ იქნენ პეჩენგის რაიონიდან და ჩვენი ჯარები, სდევნიდნენ რა გერმანელებს, ჩვენი მოკავშირე ნორვეგიის ფარგლებში შევიდნენ. (ტ ა შ ი).

მე არ მომყავს ციფრობრივი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ზარალი მოუვიდა მოწინააღმდეგეს მოკლულთა და ტყვეთა სახით ამ ოპერაციების შედეგად, ქვეყნების, ტანკების, თვითმფრინავების, ყუმბარების, ტყვიამფრქვევებისა და ა. შ. რაოდენობის შესახებ, რომლებიც ხელთ ივდეს ჩვენმა ჯარებმა. ეს მონაცემები თქვენთვის, ალბათ, ცნობილია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობების მიხედვით.

ასეთია გასული წლის მანძილზე წითელი არმიის ძირითადი ოპერაციები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან გერმანელთა ჯარების განდევნა.

ამ ოპერაციების შედეგად დამარცხებულ და მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანელთა და მათ მოკავშირეთა 120-მდე დივიზია. ნაცვლად 257 დივიზიისა, რომლებიც ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ იდგნენ შარშან და რომელთაგან 207 დივიზია გერმანელებისა იყო, ახლა ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ ყველა „ტოტალური“ და „ნეტოტალური“ მობილიზაციის შემდეგ დგას სულ 204 გერმანელთა და უნგრელთა დივიზია, რომელთაგან გერმანელთა დივიზიებია სულ ბევრი 180.

უნდა ვალიაოთ, რომ ახლანდელ ომში პიტლერული გერმანია თავისი ფაშისტური არმიით უფრო მძლავრი, ვერავი და გამოცდილი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ვიდრე გერმანია და მისი არმია ყველა წინანდელ ომში. ამას უნდა დაემატოს, რომ გერმანელებმა მოახერხეს გამოყენებინათ ამ ომში თითქმის შთელი ევროპის საწარმოო ძალები და თავიანთ ვასალურ სახელმწიფოთა საკმაოდ მნიშვნელოვანი არმიები. და თუ, მიუხედავად ომის წარმოების ამ პირობებისა, რომლებიც გერმანიისათვის ხელსაყრელი იყო, იგი მაინც ვარდუფალი დაღუპვის პირას აღმოჩნდა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგე — საბჭოთა კავშირი პიტლერულ გერმანიაზე უფრო ძლიერი გამოდგა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში გასული წლის მანჭიდან შემდეგ მომენტად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წითელი არმია ამ წლის სექტემბერში ოპერაციებს გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ მარტო კი არ ეწეოდა, როგორც ეს წინა წლებში იყო, არამედ ჩვენი მოკავშირეების ჯარებთან ერთად. თეირანის კონფერენციას ამაოდ არ ჩაუვლია. თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებამ გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ერთობლივი დარტყმის შესახებ განსაკვიფრებელი სიზუსტით იწყობა განიხილებოდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის ზაფხულის ოპერაციებთან ერთდროულად მოკავშირეთა ჯარებმა დაიწყეს შეტრა საფრანგეთში და მოაწყეს მძლავრი შეტევითი ოპერაციები, რომლებმაც აიძულეს პიტლერული გერმანია ორ ფრონტზე ეწარმოებინა ომი. ჩვენი მოკავშირეების ჯარებმა და ფლოტმა მოაწყეს ორგანიზებულობისა და მასშტაბის მხრივ ისტორიაში უმაგალითო მასობრივი სადესანტო ოპერაცია საფრანგეთის სანაპიროზე და ოსტატურად დასძლიეს გერმანელთა სიმაგრეები.

ამრიგად, გერმანია ორი ფრონტის მარწუხში მომწყვდეული აღმოჩნდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მტერმა ვერ გაუძლო წითელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარების ერთობლივ დარტყმებს. მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა, მისი ჯარები მოკლე ვადაში განდევნილ იქნენ შუა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მტერი უკუგდებულ იქნა გერმანიის საზღვრებამდე.

სავსებით უეჭველია, რომ ევროპაში მეორე ფრონტის შექმნელად, რომელმაც გერმანელთა 75-მდე დივიზია მიიზიდა, ჩვენი ჯარები ასეთ მოკლე ვადაში ვერ შესძლებდნენ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობის გატეხას და მათს განდევნას საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ წითელი არმიის ამა წლის ზაფხულის მძლავრი შეტევითი ოპერაციების გარეშე, რომლებმაც გერმანელთა 200-მდე დივიზია მიიზიდეს, ჩვენი მოკავშირეების ჯარები ვერ შესძლებდნენ ასე მალე გასწორებოდნენ გერმანელთა ჯარებს და განდევნათ ისინი შუა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის ფარგლებიდან.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანია მომავალშიც ორი ფრონტის მარწუხში ვიყოლიოთ.

ეს არის გამარჯვების ვასალები.

## 2. საბჭოთა ხალხის დიდი ვპირობა სამამულო ომში

თუ წითელმა არმიამ შესძლო წარმატებით შეტყრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და განდევნა გერმანელები საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან, ეს მან იმის შეოხებით განახორციელა, რომ მას თავდადებულად ეხმარებოდა ზურგიდან მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. ყველა საბჭოთა ადამიანის — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თავდადებული მუშაობა, ისევე როგორც ხელმძღვანელი საქმიანობა ჩვენი სახელმწიფო და პარტიული ორგანოებისა, გასულ წელს მიმდინარეობდა დროშით — „ყველაფერი ფრონტისათვის“.

გასული წელი აღინიშნა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ახალი წარმატებებით, ჩვენი სამხედრო მეურნეობას ახალი აღმავლობით.



ომის მეოთხე წელს ჩვენი ქარხნები რამდენჯერმე უფრო მეტ ტანკს, ფიდ-მფრინავს, ქვემებს, ნაღმსატყორცს, საომარ მასალას ამზადებენ, ვიდრე სომხს დასაწყისში. უკან მოვიტოვეთ სოფლის მეურნეობის აღდგენის ყველაზე ძველი პერიოდი. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა დონისა და ყუბანის ნაყოფიერი ველები, მას შემდეგ, რაც განთავისუფლდა უკრაინა, ჩვენი სოფლის მეურნეობა სწრაფად იშუშებს მძიმე ზარალის გამო მიყენებულ ჰრილობებს. საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტმა გაუძლო დატვირთვას, რომელსაც არა გვერია, რომ თავს გაართმევდა სხვა ქვეყნის ტრანსპორტი. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი შეუდარებლად უფრო სიკაცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მტრულ სახელმწიფოთა ეკონომიკა.

ოქტომბრის რევოლუციის მიერ მოხილმა სოციალისტურმა წყობილებამ დიდი და უძლეველი ძალა მისცა ჩვენს ხალხსა და ჩვენს არმიას. საბჭოთა სახელმწიფო, მიუხედავად ომის მძიმე ტვირთისა, მიუხედავად გერმანელების მიერ ჩვენი ქვეყნის მეტად დიდი და ეკონომიურად დიდმნიშვნელოვანი რაიონების დროებითი ოკუპაციისა, ომის მსვლელობაში კი არ ამცირებდა, არამედ წლითი-წლით ადიდებდა ფრონტის მომარაგებას საჭურველითა და საომარი მასალით. ახალ წითელ არმიას მოგზოვება არა ნაკლები, არამედ მეტი ტანკი, ქვემები, თვითმფრინავი, ვიდრე გერმანელთა არმიას. რაც შეეხება ჩვენი საბრძოლო ტექნიკის ხარისხს, ამ მხრივ იგი ბევრად სჯობია მტრის შეიარაღებას. ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომლებმა პიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). საბჭოთა ადამიანები ბევრ აუცილებელ რამეს იკლებდნენ, შეგნებულად იტანდნენ სერიოზულ მატერიალურ გაჭირვებას, რათა მეტი მიეცათ ფრონტისათვის. ახლანდელი ომის უმაგალითო სიძნელებმა კი ვერ გასტეხეს, არამედ კიდევ უფრო გამოაწრთეს საბჭოთა ხალხის რკინისებური ნებისყოფა და მამაცური სულისკვეთება. ჩვენმა ხალხმა სანაბრთლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი.

ჩვენი მუშათა კლასი მთელ თავის ძალ-ღონეს გამარჯვების საქმეს ახმარს. განუწყვეტლივ აუზღობებს წარმოების ტექნიკას, ზრდის სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეს, აშენებს ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს. საბჭოთა ყვეშირის მუშათა კლასმა დიდი შრომითი გმირობა ვაჟიჩინა ახლანდელ ომში.

ჩვენი ინტელიგენცია გაბედულად მიდის ნოვატორობას გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით ავითარებს თანამედროვე მეცნიერებას, შემოქმედებითად იყენებს მის მიღწევებს წითელი არმიისათვის საჭურველის წარმოებაში. საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი განძი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში.

არმიას არ შეუძლია იომოს და გაიმარჯვოს, თუ თანამედროვე საჭურველი არა აქვს. მაგრამ მას არ შეუძლია აგრეთვე იომოს და გაიმარჯვოს უბრაოდ, უსურსათოდ. წითელი არმია ომის მეოთხე წელს, კოლმეურნე გლეხების მხრუწველობის მეშვეობით, სურსათის ნაკლებობას არ განიცდის. კოლმეურნეები ამარაგებენ მუშებსა და ინტელიგენციას სურსათით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით, უზრუნველყოფენ ნორმალურ მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებისას, რომლებიც შეიარაღებასა და საჭურველს უზაადებენ ფრონტს. ჩვენი კოლმე-

ურნე გლებობა აქტიურად და სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის სრული შეგნებით უწყობს ხელს წითელ არმიის მტერზე გამარჯვების მოპოვებაში.

სამუდამოდ შეეცა ისტორიაში უმავალითო შრომითი გმირობა საბჭოთა ქალებისა და ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობისა, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ძირითადი სიმძიმე ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნობებში და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა, სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ქალები, კაბუეკები და ქალიშვილები მამაცობასა და გმირობას იჩენენ შრომის ფრონტზე. ისინი აღმოჩნდნენ ღირსნი თავიანთი მამებისა და ვაჟიშვილებისა, ქმრებისა და ძმებისა, რომლებიც სამშობლოს იცავენ გერმანელ ფაშისტ მტარვალთაგან.

ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის, ისევე როგორც ფრონტზე ჩვენი მეომრების უტკნობი საბრძოლო გმირობის წყაროა მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში პარზონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. ამაში უნდა ვხედავდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი და სულ უფრო და უფრო მტკიცე მეგობრობის საფუძველს. ამავე დროს სსრ კავშირის ხალხები პატივს სცემენ საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას და ყოველთვის იჩენდნენ იმისათვის მზადყოფნას, რომ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა პქონოდათ მეზობელ სახელმწიფოებთან. ამაში უნდა ვხედავდეთ იმის საფუძველს, რომ იზრდება და მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოს ურთიერთობა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან.

საბჭოთა ადამიანების სძულთ გერმანელი დამპყრობლები არა იმიტომ, რომ ისინი უტბო ერის ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ შათ აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს ჩვენს ხალხს და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს. ჩვენს ხალხში ძველთაგანვე ამბობენ: „მგელს იმიტომ კი არა სცემენ, რომ რუხია, არამედ იმიტომ, რომ ცხვარი შეჭამაო“. (სიცილი, ხანგრძლივი ტაშო).

გერმანელმა ფაშისტებმა თავის იდეოლოგიურ იარაღად აირჩიეს კაცთმოძულეობის რასობრივი თეორია იმ ანგარიშით, რომ მხეცური ნაციონალიზმის ქადაგება შექმნიდა დამონებულ ხალხებზე გერმანელ დამპყრობთა ბატონობის მორალურ-პოლიტიკურ წინაპირობებს. მაგრამ რასობრივი სიძულვილის პოლიტიკა, რომელსაც პიტლერელები ატარებენ, სინამდვილეში გერმანელ ფაშისტთა სახელმწიფოს შინაგანი სისუსტისა და საგარეო-პოლიტიკური იზოლაციის წყარო გახდა. რასობრივი სიძულვილის იდეოლოგია და პოლიტიკა პიტლერული ავანაკური ბლოკის დაშლის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს. შეძთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ აღსდგნენ არა მარტო დამონებული ხალხები საფრანგეთისა, იუგოსლავიისა, პოლონეთისა, ჩეხოსლოვაკიისა, საბერძნეთისა, ბელგიისა, დანიისა, ნორვეგიისა, ჰოლანდიისა, არამედ პიტლერის ყოფილი

ვასალებიც — იტალიელები, რუმინელები, ფინელები, ბულგარელებიც, შეტევა-რულომა ხროვამ თავისი კაცობრივი პოლიტიკით აამხედრა გერმანიის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა ხალხი, ხოლო ევროპულადებული „რჩეული გერმანული რასა“ საყოველთაო სიძულვილის საგანი გახდა.

ომის მსვლელობაში პიტლერელებმა არა მარტო სამხედრო დამარცხება განიცადეს, არამედ მორალურ-პოლიტიკურიც. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულია ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა პიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე.

ახლა, როდესაც სამამულო ომი ძლევამოსილი დასასრულისაკენ მიდის, მთელი სიდიადით იჩენს თავს საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი. ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამარბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე.

**3. გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის ფრონტის განმტკიცება და გაფართოება. მშვიდობიანობისა და უშიშროების საკითხი**

გასული წელი იყო წელი გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის საერთო საქმის გამარჯვებისა, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები საბრძოლო კავშირში გაერთიანდნენ. ეს იყო პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ სამი ძირითადი სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცებისა და მოქმედების შეთანხმებულობის წელი.

თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილება გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ და ამ გადაწყვეტილების ბრწყინვალე რეალიზაცია ანტიპიტლერული კოალიციის ფრონტის განმტკიცების ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია. ისტორიაში ცოტა მოაპოვება საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ დიდი სამხედრო ოპერაციების გეგმა. რომელიც ისეთი სისრულითა და სიზუსტით განხორციელებულიყოს, როგორც განხორციელდა თეირანის კონფერენციაზე გამოიმუშავებული გეგმა გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი დარტყმისა. საესებით უქვევლია, სამი დიდი სახელმწიფოს შეხედულებათა ერთიანობა და მათი მოქმედების შეთანხმებულობა რომ არ ყოფილიყო, თეირანის გადაწყვეტილება ასეთი სისრულითა და სიზუსტით ვერ განხორციელდებოდა. აგრეთვე უქვევლია, მეორე მხრივ, ის, რომ თეირანის გადაწყვეტილების წარმატებით განხორციელებას არ შეიძლებოდა ზედიზე არ შეეწყო გაერთიანებულ ერთა ფრონტის განმტკიცების საქმისათვის.

გაერთიანებულ ერთა ფრონტის სიმტკიცის ასევე მკაფიო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის გადაწყვეტილებებიც ომის შემდეგ უშიშროების ორგანიზაციის საკითხზე. ლაპარაკობენ, სამი სახელმწიფოს აზრთა სხვადასხვაობაზე უშიშროების ზოგიერთი საკითხის გამო. აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არის და იგი კიდევ იქნება მთელ რიგ სხვა საკითხებზეც. აზრთა სხვადასხვაობა ერთი და იმავე პარტიის ადამიანებს შორისაც კი არის ხოლმე. მით უმეტეს უნდა იყოს იგი სხვადასხვა სახელმწიფოთა და სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს შორის. ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რომ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, არამედ ის, რომ ეს სხვადასხვაობა ასე ცოტაა და რომ იგი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის

სწეულება სამი დიდი სახელმწიფოს ერთიანობისა და მოქმედების შედეგად მხოლოდობის სულსიკვეთებით. საქმე აზრთა სხვადასხვაობა კი არ არის, არამედ ის, რომ აზრთა სხვადასხვაობა არ სცილდება. იმ ჩარჩოებს, რომლებიც დასაშვებია სამი დიდი სახელმწიფოს ერთიანობის ინტერესებით და საბოლოო ანგარიშით ამ ერთიანობის ინტერესთა შესაბამისად სწეულება. ცნობილია, რომ აზრთა უფრო სერიოზული სხვადასხვაობა ჩვენ გვემხროდა მეორე ფრონტის გახსნის საკითხზე. მაგრამ ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ეს აზრთა სხვადასხვაობა ბოლოს და ბოლოს სრული თანხმობის სულსიკვეთებით გადაწყვიტა. იგივე შეიძლება ითქვას აზრთა სხვადასხვაობის შესახებ დუმიარკონ-ოქსის კონფერენციაზე. ამ კონფერენციის დამახასიათებელი ის კი არ არის, რომ იქ გამოიკვლია აზრთა ზოგიერთი სხვადასხვაობა, არამედ ის, რომ უშინაობის საკითხთა ცხრა მეთაფი ამ კონფერენციაზე სრული ერთსულოვნობის სულსიკვეთებით გადაწყვიტა. აი ჩატომ ვფიქრობ მე, რომ დუმიარკონ-ოქსის კონფერენციის გადაწყვეტილებანი უნდა განვიხილოთ როგორც გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის ფრონტის სიმტკიცის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი.

გაერთიანებულ ერთა ფრონტის განმტკიცების კიდევ უფრო მკაფიო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურ ბენ ჩეჩილთან და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბენ იდენთან მოსკოვში ამას წინათ შემდგარი მოლაპარაკება, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში და სრული ერთსულოვნობის სულსიკვეთებით ჩაიარა.

ომის მთელ მანძილზე პიტლერელები სასოწარკვეთილ ცდებს მიმართავენ, რათა გაეთიშათ და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ გაერთიანებულნი ერები, გამოეწვიათ მათ შორის ეჭვიანობა და შუღლი. შეესუსტებინათ მათი სამხედრო ღონისძიებანი ურთიერთუნდობლობით, ზოლო თუ მოხერხებულად — ერთმანეთთან ბრძოლითაც. პიტლერელ პოლიტიკოსთა აქეთი მისწრაფებანი საესებით გასაგებია. მათთვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი საფრთხე, ვიდრე გაერთიანებულ ერთა ერთიანობა. პიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბოძოლაში და მათთვის არ იქნებოდა იმაზე უფრო დიდი სამხედრო-პოლიტიკური წარმატება, ვიდრე მოკავშირე სახელმწიფოთა გათიშვა მათს ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ცნობილია, თუ რაოდენ ამაო აღმოჩნდა ფაშისტი პოლიტიკოსების შეცადინეობა ჩვენშაღათ დიდ სახელმწიფოთა კავშირი. ეს იმას ნაშნავს, რომ სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კავშირს საფუძვლად უდევს არა შემთხვევითი და წარმავალი მოტივები, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობისა და ხანგრძლივი ინტერესები.

შეიძლება ეჭვი არ ვიქნაოთ, რომ თუ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საბრძოლო კავშირმა სამ წელიწადზე მეტი ხნის ომის განსაცდელს გაუძლო და თუ იგი განმტკიცებულია თავიანთი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად დარაზმულ ხალხთა სისხლით, მით უფრო მეტად გაუძლებს ეს კავშირი ომის საბოლოო სტადიის განსაცდელს. (ხანგრძლივი ტაშე).

მაგრამ განვლილი წელი იყო არა მარტო მოკავშირე სახელმწიფოთა გერმანიის საწინააღმდეგო ფრონტის განმტკიცების წელი, არამედ ამ ფრონტის გაფართოების წელიც. შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იტალიის შემდეგ ომიდან გამორყვანილ იქნენ გერმანიის სხვა მოკავშირეებიც — ფინეთი, რუმინეთი, ბულგარეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელ-

მწიფოები არა თუ გამოვიდნენ ომიდან, არამედ კავშირიც გასწყვეტეს გერმანიასთან, ომი გამოუცხადეს მას და ამრიგად მიემხრნენ გერმანიის წინააღმდეგ ერთა ფრონტს. ეს უმჯველად ნიშნავს პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანებულ ერთა ფრონტის გაფართოებას. საცხები თუ უმჯველია, რომ გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე ევროპაში — უნგრეთი აგრეთვე გამოყვანილ იქნება მწყობრიდან უახლოეს ხანში. ეს იქნება მომასწავებელი პიტლერული გერმანიის სრული იზოლაციისა ევროპაში და მისი კრაზის გარდუქვლონისა.

გაერთიანებული ერები პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ძლიერ-მოსილი დავგირავინების წინაშე დგანან.

გერმანიასთან ომს გაერთიანებული ერები მოიგებენ; — ეს ახლა უკვე საცხებით უმჯველია.

გერმანიასთან ომის მოგება ნიშნავს დიდი ისტორიული საქმის განხორციელებას. მაგრამ ომის მოგება კიდევ არ ნიშნავს ხალხთათვის მომავალში მტკიცე მშვიდობიანობის და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ომი მოვიგოთ, არამედ ისიც, რომ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა შეუძლებელი გაგვადგოს, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც.

გერმანიის დამარცხების შემდეგ იგი, რა თქმა უნდა, განიარაღებულ იქნება; როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო-პოლიტიკური მხრივ. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ იგი არ შეეცდება აღადგინოს თავისი ძლიერება და გააჩალოს ახალი აგრესია. ყველასთვის ცნობილია, რომ გერმანიის მესვეურები ახლაც ემზადებიან ახალი ომისათვის. ისტორია გვიჩვენებს, რომ საკმარისია მოკლე პერიოდი — 20-30 წელი, რომ გერმანია წელში გასწორდეს დამარცხებას შემდეგ და სიმძლავრე აღიდგინოს. რა საშუალებები მოიპოვება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი აგრესია გერმანიის მხრივ, ხოლო თუ ომი მაინც ატყდა, — დასაწყისშივე ჩაგაზოთ იგი და საშუალება არ მივცეთ გადაიქცეს დიდ ომად?

ეს კითხვა მით უფრო მართებულია, რომ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, აგრესიული ერები, როგორც თავდამსხმელი ერები, ჩვეულებრივ უფრო მომზადებული არიან ხოლმე ახალი ომისათვის, ვიდრე მშვიდობისმოყვარე ერები, რომლებიც, რაკი დანიტერესებული არ არიან ახალი ომით, ჩვეულებრივ აგვიანებენ მისთვის მომზადებას. ფაქტია, რომ აგრესიულ ერებს ახლანდელ ომში ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ უკვე გამზადებული ჰყავდათ შეტაკის არმია, მაშინ როდესაც მშვიდობისმოყვარე ერებს მობილიზაციის დამფარველი არმიაც კი არ ჰყავდათ საცხებით დამაკმაყოფილებელი. შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი არასასიამოვნო ფაქტები, როგორც „ინციდენტი“ პარლ-ჰარბორში, ფილიპინებისა და სხვა კუნძულების დაკარგვა დიდ ოკეანეში, ჰონკონგისა და სინგაპურის დაკარგვა, როდესაც იაპონია, როგორც აგრესიული ერი, უფრო მომზადებული აღმოჩნდა ომისათვის, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას ადგენენ. არ შეიძლება აგრეთვე შემთხვევითობად ჩაითვალოს ისეთი არასასიამოვნო ფაქტი, როგორც უკრაინის, პელოპონესის, ბალტიისპირეთის დაკარგვა ომის პირველსავე წელს, როდესაც გერმანია, როგორც აგრესიული ერი, უფრო მომზადებული აღმოჩნდა ომისათვის, ვიდრე მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირი. გულუბრყვილობა იქნებოდა ამ ფაქტების ახსნა იაპონელთა და გერმანელთა პირადი თვასებებით,

მათი უპირატესობით ინგლისელების, ამერიკელების, რუსების წინაშე შეიქმნა წინადადებულობით და ა. შ. საქმე აქ პირადი თვისებები კი არ არის, არამედ ის, რომ ახალი ომით დაინტერესებული აგრესიული ერები, როგორც ისეთი ერები, რომლებიც ომისათვის ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ემზადებიან და საამისოდ ძალებს აგროვებენ, ომისათვის ჩვეულებრივ უფრო მომზადებული არიან ხოლმე—და უნდა იყვნენ კიდევ, —ვიდრე მშვიდობისმოყვარე ერები, რომლებიც ახალი ომით დაინტერესებული არ არიან. ეს ბუნებრივი და გასაგებია. ეს, თუ გნებავთ, ისტორიული კანონზომიერებაა. რომლისთვისაც ანგარიშის გაუწევლობა საშიში იქნებოდა.

მაშასადამე, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მშვიდობისმოყვარე ერებს მომავალში შესაძლოა კვლავ მოუმზადებელს მოუსწროს აგრესიამ, თუ, რა თქმა უნდა, მათ ახლაც არ გამოიმუშავეს სპეციალური ღონისძიებანი, რომლებითაც შესაძლებელი იქნება აგრესიის თავიდან აცილება.

ამრიგად, რა საშუალებები მოიპოვება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი აგრესია გერმანიის მხრივ, ხოლო თუ ომი მაინც ბუყნა. — დასაწყისშივე ჩავახშოთ იგი და საშუალება არ მიეცეთ გადაიქცეს დიდ ომად?

იმისათვის, გარდა აგრესიული ერების სრული განიარაღებისა, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: შეიქმნას მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის სპეციალური ორგანიზაცია მშვიდობისმოყვარე ერების წარმომადგენელთაგან, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანიზაციის განკარგულებაში გადაეცემა იქნას აგრესიის თავიდან აცილებისათვის მინიმალურად საჭირო რაოდენობა შეიარაღებული ძალებისა და დაევალოს ამ ორგანიზაციას საჭიროების შემთხვევაში — დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს შეიარაღებული ძალები აგრესიის თავიდან ასაცილებლად ან სალიკვიდაციოდ და აგრესიის დამნაშავეთა დასასჯელად.

ეს არ უნდა იქნეს განმეორება ავად მოსაგონარი ერთა ლიგისა, რომელსაც არც უფლებები მოეპოვებოდა და არც საშუალებები აგრესიის თავიდან ასაცილებლად. ეს იქნება ახალი, სპეციალური, უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც თავის განკარგულებაში ექნება ყოველივე ატცილებელი იმისათვის, რომ დაიცვას მშვიდობიანობა და თავიდან აგვაცილოს ახალი აგრესია.

შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება საჭიროდ ეფექტიანი იქნება? ის ეფექტიანი იქნება, თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, კვლავაც ერთსულოვნობისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ. ის ეფექტიანი არ იქნება, თუ ეს აუცილებელი პირობა დაირღვა.

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი და წითელი არმია წარმატებით ახორციელებენ სამამულო ომის მიმდინარეობაში მათს წინაშე წამოჭრილ ამოცანებს. წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი პატრიოტული მოვალეობა და მტრისაგან გაათავისუფლა ჩვენი სამშობლო. ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია პიტლერული სიბილწისაგან. ახლა წითელ არმიას რჩება თავი-

სი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე. მისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროს ააფრილოს ბერლინში: (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში). საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანას წითელი არმია ახლო მომავალში შეასრულებს. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს! (ტაში).

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს! (მჭუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს! (მჭუხარე ტაში, რომელიც ხანგრძლივ ოვაციით გაადადის. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“).



# ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წ. 7 ნოემბერი № 220 ძ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! საბჭოთა კავშირის შრომელნო! გერმანიის ფაშასტურ კატორღაში ძალდატანებით გარეჯილო ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავს.

ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი სამშობლოს მტრებზე წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა ვითარებაში. წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ღონისძიებებით ჩვენი მიწა-წყალი გაწმენდილია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

წელს საბჭოთა ჯარები განუწყვეტლივ ერთიმეორეზე უფრო ძლიერ დარტყმებს ატეხენ თავზე მტერს. 1944 წლის ზამთარში წითელმა არმიამ შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა მარჯვენა ნაპირის უკრაინაში და ვიანადგურა გერმანელები ლენინგრადთან. ამა წლის გაზაფხულზე წითელმა არმიამ გერმანელთაგან გასწმინდა ყირიმი. 1944 წლის ზაფხულში ჩვენმა ჯარებმა პიტლერელთა არმიას აგეშეს უდიდესი დამარცხებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ვითარების ძირფესვიანი შეცვლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. წითელმა არმიამ გასტება მტრის მძლავრი თავდაცვა კარულიის ყელზე, აგრეთვე ლაღოვისა და რნეგის ტბებს შუა და აიაზაკური პიტლერული ბლოკადან ამოაგდო ფინეთი. ბელორუსიის მიწა-წყალზე ისტორიულ ბრძოლაში წითელი არმიის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანელთა ჯარების ცენტრალური დაჯგუფება სამი არმიის შემადგენლობით, ამასთან გაელიტეს და დაატყვევეს 540 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სამხრეთში ბრძოლის დროს წითელი არმია გარსემოვრტყა და საესებო მოსპო გერმანელთა ჯარების დაჯგუფება ორი არმიის შემადგენლობით. ამასთან საბჭოთა ჯარებმა გაელიტეს და ტყვედ წამოიყვანეს 250 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წითელმა არმიამ ვიანადგურა გერმანელები რუმინეთში, ვანდენა ისინი ბულგარეთიდან, ურტყამს გერმანელებს უნგრეთის ტერიტორიაზე. ჩვენმა ჯარებმა ვიანადგურეს პიტლერელთა არმიის ზალციისპირეთის დაჯგუფება. 1944 წლის ზაფხულის კამპანიის განმავლობაში წითელმა არმიამ ბრძოლებით ვიარა კიშინიოვიდან ბულგარადამდე — 900 კილომეტრზე მეტი, ელობინიდან ვარშავამდე — 600 კილომეტრზე მეტი, ვიტებსკიდან ტილზიტამდე — 550 კილომეტრი. ახლა ომი ვაღიბანილია ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე.

ბრძოლების მსვლელობაში წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი ფაშისტ დამპყრობლები საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსიის, კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკების შთელი ტერიტორიიდან. დამსობილია სამი წლის ფაშისტური ბატონობა გერმანელების



მიერ დროებით დაპყრობილ ჩვენი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მიწა-წყალზე. წითელმა არმიამ თავისუფლება დაუბრუნა ითუელ გერმანიის საბჭოთა ადამიანს. საბჭოთა სახელმწიფო საზღვარი, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად დაარღვეეს პიტლერელთა ურდოებმა, აღდგენილია მთელ მანძილზე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

ამრიგად, გასული წელი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლების წელი იყო.

წითელმა არმიამ დაამთავრა პიტლერული სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლება და ახლა ეხმარება პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის ხალხებს ფაშისტური მონობის ბორკილის დამსხვრევასა და მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენაში.

გასული წლის ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლებში წითელმა არმიამ დაგვანახვა ვაზრდილი სამხედრო ოსტატობა. წითელი არმიის მეომრები მარჯვედ ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის გამაგრებულ ზოლებს, სწრაფად სდევნიდნენ, ჭარს ერტყმოდნენ და სობდნენ მტერს. შეტევით ბრძოლებში გამომვლანდა ყველა გვარეობის საბჭოთა ჯარების ზუსტი თანამოქმედება, მანევრის მაღალი ხელოვნება. საბჭოთა მეომრები გამოიბრძმდნენ ბრძოლებში, ისწავლეს მტრის განადგურება და დამარცხება. წითელი არმია მრისხანე ძალი გახდა და სჯობნის მტერს თავისი სამხედრო უნარითა და საბრძოლო ტექნიკით.

წითელი არმიის ძალები მრავალჯერ მატულობს საბჭოთა ზურგის შეწყობილი მუშაობით. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია პირნაბთლად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, გმირულად სძლევენ ომიანობის დროის სიძნელეებს, შეუფერხებლად ამარაგებენ წითელ არმიას საჭურვლით, სასროლი მასალითა და სურსათით. საბჭოთა მეურნეობა განუწყვეტლივ ზრდის თავის ძალებს და სულ უფრო და უფრო მზარდ დახმარებას უწევს ფრონტს.

წითელი არმია და საბჭოთა ხალხი მზად ირიან ახალი გამანადგურებელი დარტყმები მიაცენონ მტერს. პიტლერული სისხლიანი რქეიმის დღეები დათვლილია. წითელი არმიის დარტყმებით საბოლოოდ დაირღვა ფაშისტური ბლოკი. პიტლერულმა გერმანიამ დაპყროვა თავის, მოკავშირეთა უმეტესობა. ჩვენი მოკავშირეების არმიების მიერ დასავლეთ ევროპაში ოსტატურად ჩატარებულ დიდ ოპერაციებს შედეგად მოჰყვა გერმანელთა ჯარების განადგურება საფრანგეთსა და ბელგიაში და ფაშისტური ოკუპაციისაგან ამ ქვეყნების განთავისუფლება. მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს გერმანიის დასავლეთი საზღვარი. პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ წითელი არმიისა და ინგლისელ-ამერიკელთა ჯარების ერთობლივმა დარტყმებმა მოახლოეს ომის ძლევა მოსილი დამთავრების ეამი. მთავრდება პიტლერული გერმანიის გარემოცვა. ფაშისტი მშეცის ბუნავი გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან და მტრის ვერავითარი ფანდი ვერ იხსნის მას უცილობელი სრული განადგურებისაგან.

წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები გერმანიის სასიციოცხლო ცენტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავრთიანებულ ერთი არმიების სწრაფი შეტევით უმოკლეს ვადაში გაეანადგუროთ პიტლერული გერმანია.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიც-  
რებო და გენერლებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

დიდ სამამულო ომში ჩვენ დავიცავით ჩვენი სამშობლო <sup>ეროვნული</sup> ~~ქვეყნისა~~ <sup>ქვეყნისა</sup> საბოლოოდ მოვსპეთ ფაშისტთა მტარვალების მიერ სსრ კავშირის ხალხთა და-  
მონების საფრთხე და ახლა სრული გამარჯვების წინაშე ვდგევართ.

ფრონტზე წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა და ზურგში მუშების, <sup>გლეხების, ინტელიგენციის დიად წარმატებათა აღსანიშნავად, გერმანელ ფა-</sup>  
შისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებას აღსანიშნა-  
ვად — ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დღეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავზე, 20 საათზე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, პეტროზავოდსკში, ტა-  
ლინში, რიგაში, ვილნიუსში, კიშინიოვში, თბილისში, სევესტოპოლში, ლვოვ-  
ში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიაო ზალპით.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლის-  
თავს

გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საბჭოთა სამშობლოს!


გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავ-  
ისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი.



## საბჭოთა კავშირის პიზნი

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური  
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.  
გამარჯვოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს  
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო,  
ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!  
მაშ დროშა საბჭოთა, მაშ დროშა სახალხო  
კვლავ გამარჯვებისკენ გვიძლოდეს ჩვენ!

შუქს გრივალში გვეყენდა მზე თავისუფლების,  
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას.  
გავუზრდივართ სტალინს ერთგულებად ქვეყნის,  
რომ გვირობით, შრომით ვემსახუროთ ხალხს.

დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო,  
ხალხთ ბედნიერების ბურჯი ხარ შენ!  
მაშ დროშა საბჭოთა, მაშ დროშა სახალხო  
კვლავ გამარჯვებისკენ გვიძლოდეს ჩვენ!

ჩვენ ბრძოლებში ვზრდიდით ჩვენს უძლეველ ლაშქარს,  
მტერს შევმუსრავთ, ვერავს, ცეცხლითა და ხმლით!  
ჩვენ მოდგმათა სვებედს დიდ ბრძოლებში ვჰყედავთ!  
და წაიყვანთ მამულს წინ დიდების გზით!

დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო,  
ხალხთა დიდებისა ბურჯი ხარ შენ!  
მაშ დროშა საბჭოთა, მაშ დროშა სახალხო  
კვლავ გამარჯვებისკენ გვიძლოდეს ჩვენ!

საქართველოს  
ქარლამუნტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი

\* \* \*

როცა ზარფუხის გზებზე  
ფეხებში მხედება ქეები,  
ვიღებ და გვერდით ვაგდებ,  
მწამს, დამლოცავენ სხვები.

ასეა ყოველ ღამე...  
ქუჩიდან ღორღებს ვხვეტავ, —  
ო, მომეფალო მგზავრო,  
გზას გისუფთავებ, — ჰხედავ?!  

---

1944 წ. 30/X.

პლ. აბაშელი

## გაიზაგვიღს

შენ თბილისმა ბჭემალალმა დაგბადა,  
ცა დაგზურა მარად ვაფხუნარი,  
დაგანათლა მადლი მამა-პაპათა  
და გიკურთხა პოეტობის უნარი.

შენ ამღერდი და კედლები თბილისის  
გაცოცხლებულ ჩუქურთმებით მოქკაზმე.  
შენ მღერი და მომავალში, ვინ იცის,  
კიდევ რამდენ ტყბილ სიმღერას მოგვასმენ!

წიგნს გადაეშლი, შენს ნაშრომს და ნახელავს,  
შრე ოცნების უცოდველი ფრთებიია.  
თბილ სტრიქონებს მზე ღიმილით დახედავს, —  
ცისარტყელას მსგავსად ანათებთან.

ეს წიგნია, თუ ზაცხელის ბალია?  
სზივი ასდის შენი კალმის ნაღვაწარს.  
ყოველ პწკარში ვარდის ფესვი მარზბია,  
ერთხელ ნახავ — კვლავ ისურვებ ნახვასა.

ლექსს თან ახლავს საესე მთეარის კაშკაში,  
სინატიფე ღრუბლის თეთრი ქულისა.  
იყვავებულ სიტყვის ყოველ გაშლაში  
ფეთქავს ძარღვი შეყვარებულ გულისა.

განა თვალი დაიღლება კითხვითა,  
რომ დლიდან მარცვლოს თუნდ საღამომდის!  
ამღერებულ ლექსის ყოველ რითმიდან  
ყვავილების სურნელება ამოდის.

მე მგ ზავრივით შემოესულეარ ამ ბაღში,  
მესმის შენი მონარნარე ჰანვები,  
ხან ცვარი ხარ, რომ ციმციმებს ზამბახში,  
ხან პეპელას ფრთებზე აიქარგები.

შენი სიტყვის სიბოლო გულს ენატრება  
 სიჩუმეში, ბრძოლის სიმზურვალეში,  
 ყველგან, სადაც მოსჩანს გრძნობის ნათება, —  
 ხმლის ელვაში, თუ ქალწულის აღერსში;

ღამის ჩრდილში, დილის ცვირთან ბალახში,  
 ლურჯ ტალღებში და ზღვის ოქროს ქვიშაშიც,  
 ყველგან ბრწყინავს შენი ლექსის ბადახში  
 ფერითა და ხმით იცნობენ გრიშაშვილს.

შენ სამშობლოს გამარჯვებას შეჰხარი,  
 შენ სტალინის სიდიადეს უმღერი,  
 კაბუკი ხარ, გულით გაუტეხარი,  
 არ გიგრძენია ხნოვანობის უღელი.

უიმედო ფიქრთა ძველი ფესვებიც  
 ახალმა დრომ მოთხარა და მოსრისა.  
 არ იქნება მოდუნება ლექსების,  
 დაბერება არ იქნება მგოსნისა!

აბა ჰკითხე, ვიბასუხონ სიმართლე  
 ათასწლოვან ნარიყალას ფერდებში:  
 კოჯრის ნიავს თუ დააკლდა სიმარდე?  
 ჰკითხე: განა მტკერის დუღღნი შერდება?

ჩვენ სიცოცხლის მეზობენი ახლა ვართ,  
 წინათ ტანჯვის ტვირთი აგვიწევია.  
 ჩვენს ქვეყანას ჩვენ სულ მადლა აეყავართ,  
 ჩვენ სიბერე, ძმაო, არ გვიწერია.

მაშ დაანთე სიმღერების თაკარა,  
 ხელთ გაპყრია ჩვენი გულის სადავე!  
 სჩქედდეს მარად ბრწყინვალე და ანკარა,  
 შენი ლექსის გამქვირვალე სათავე!

ნიკო ლორთქიფანიძე

## ნოველები

### მინვარი

(ღებენდა ისტორიული რომანიდან „დავით აღმაშენებელი“)

— ძიძა, ძიძა! — მიძახოდა ზურგზე მშვილდ გადაკიდებული ბავშვი და მორბოდა, — რომ დამპირდი, მყინვარის ამბავს გეტყვიო, აბა მითხარი... იცი, ძიძა, ვიორგი დამეჩემა, ისარს ვერ მოარტყამ ვაცსო. დავუმიზნე, ვესროლე და შიგ რქებ შუა მოვარტყი... საწყალმა იმდენი აქნია თავი... თითქოს ბუზებს იგერიებსო!

— შენ კი გენაცვალე!

— აი დამაცა, ცოტას კიდევ გავიწაფებე და ჩიტსაც კი მოკვლავ... ძნელია, ძიძა, ყვავის მოკვლა?

— ახლო არ მიგიშვებს, შვილო.

— არაფერია, დამაცადოს კიდევ პატარა... მარა შენ ჯერ ზღაპარი მიამბე...

...იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ბერი...

— როდის იყო?

— კარგი ახლა, ნუ ცმუტავ და კითხვას ნუ დამიწყებ.

— მითხარი ჩემო, — დაედროჯა ბავშვი.

— ბიჭო, აბა საიდან ვიცი, — ეს ხომ ზღაპარია...

— საღ იყო, ის მაინც მითხარი.

— აჲ გეუბნები — ზღაპარია, რა ვიცი საღ იყო, ალბათ საქართველოში იქნებოდა... იყო მეთქი ერთი წმინდა ბერი... დაყუდებული, ყოველ აღდგომას სიონში მიდიოდა და ლოცულობდა.

— მხოლოდ ერთხელ წელიწადში?

— ჰო, მხოლოდ ერთხელ.

— და წელიწადში ერთი ლოცვა ჰყოფნიდა?!

— სხვა დროს უსათუოდ მთაში, თავის სენაკში ლოცულობდა... ბიჭო, თუ ყოველ წაშში შემაწყვეტილებ, თავის დღეში ვერ გავათავებ... ერთხელ მოვიდა; მტერს დეკავებინა სიონი...

— ვინ იყო მტერი?

— სულ ერთი არ არის, ვინც არ უნდა ყოფილიყო? ურჯულო იქნებოდა ვინმე!.. გაჩუმიდი, თორემ აღარაფერს გეტყვი... არ გუგუნებდა ზარები, არ ისმოდა გალობა, ვერ დაინახა ლიტანი და დამწუხრებული წავიდა უკან... მივიდა მთაში, დადგა ჩვეულებრივ ლოცვად... ილოცა ქვეყნისთვის, მოყვასთათვის და, როცა მტერთა მოხსენებასთან მივიდა, ველარ მოითმინა, აღაპყრო ხელნი და შექალადა უფალს: „ვინც დაადუმა მგალო-

ბელნი, აღკრძალა ლიტანიით სვლა, შემუსრა წმინდა მამებზე დაწვდილი ზარების რეკა — ანათემა!“

იგრილა ცამ, მტერი დაიღუბა მოზღვავებულ მდინარეთა შორის, ხოლო ბერი, თვით ბერიც გაიყინა, გაიყინა ხელებ აწვდილი... — იმ ადგილს ჩვენი ხალხი მყინვარს უწოდებს...

— მერე, მერე, ძიძა?..

— როცა სიონი ისევ შეიმოსება სახელით, ხალხი შემოივლის ლიტანიას, მაშინ მყინვარი გადნება, მოიშლება მყინვარი, მდელითი და ტყეებით შოიფინება, და მკვდრეთით აღსდგება ის ბერიც...

— მართალია, ძიძა, ეს ამბავი?

— თქმულებაა, შვილო, ხალხს ევრე სჯერა...!

— ძიძა, მე ვიზამ, ამას... ავხსნი სალტეებს...

— კო, შვილო, შენი იმედი გვაქვს, შენთვის ლოცულობს მთელი ერი, შენი ჭირი კი შემეყარა.

1912 წელი.

## ს ე ვ ლ ე

(რომანი მინიატიურა სამ ნაწილად)

### 1

მთელი ცხოვრება ამ ადამიანისა სევდამ მოქსოვა.

პირველათ რომ გადმოიხედა ლოგინიდან ახლად გამოღვიძებულმა, დაინახა მწუხარედ მომღიძმარი სახე გაყვითლებული ქალისა და მაღალქოჩრანნი კაცის, რომელნიც ალერსით მას შეჰყურებდნენ. ეს იყვნენ მშობლები და მწუხარე ღიმილს სევდიანი ღიმილით უპასუხა.

### 2

თეთრ ბალდახინზე იღვა კუბო. შავი ცხენები შავი სუტანიით ცოტა აცოლებდა.

მამა და შვილი წყნარის ნაბიჯით უკან მიჰყვებოდნენ.

მამა არ ტირიდა.

ბავშვი ფიქრობდა: მამას უფრო უყვარვარ, თუ დედას? მამას ძაან უყვარვარ, მარა დედას კიდო სხვანაირად. აი ახლა, დედა უსათუოთი ფიქრებდა, დამედალემა ჩემი ბიჭიკოვო და თავისთან დამსვამდა.

დედა! — უნდოდა ხანდახან წამოეძაბა ბავშვს, მაგრამ როგორც წაიწვედა წინ, მამა, რომელსაც მისი ხელი ეკირა, შეაჩერებდა და მზრუნველობით დაიხრებოდა მისკენ... თვალს ამოსწმენდა. ბავშვი კი მორცხვად მიიხედ-შოიხედავდა და ორ-სამ ცრემლს გადმოუშვებდა, ხელის ზურგიით ჩუმათ ამოიწმენდა თვალს და ისევ დაიწყებდა ფიქრს.

— დედა ახლა წვეიდა. მამამ მითხრა, აღარ მოვაო... დიდხანს არ მოვა, თვარა მერე მოვა... მე არ დაეიძინებ... სულ ვუციდი, ვუციდი... მერე ყველა რომ დაიძინებს, მაშინ ჩემთან მოვა... ჩემ უნახავად ვერ გაძლებს.



დედა — წამოსცდებოდა ბავშვს, მორცხვად თავს ჩაჰკიდებდა ფეხისკადადგმა ოდნავ აეჩუოდა და ისევ მარჯვეთ გადააბიჯებდა ფეხს, რომ შანას გვერდში კარგად გაჰყოლოდა.

საფლავში ჩაასვენეს. ბაღდასინი წავიდა. ორიოდ ნაცნობიც მიიმალა. დარჩნენ ორნი, სევდით ერთად შედუღებულნი. დღე დამეს ეყრებოდა. ფერ-მისილი მზე ჩაესვენა. მწუხარე, დანაოკებული ცა დარჩა.  
სევდა!

## 3

დედას სევდამ ოჯახისაგან მოუსპო დღე. მამამ ვერ გაუძლო უძღურების სევდას. შვილი შეიწირა სევდამ სოფლისამან.  
სევდა!

## ხმა სამარიდან

ცა. ნაჭერ-ნაჭერი ღრუბელი. თეთრი. ნაზი.  
ზღვა, ტორტმანი.

მთები. შავი საიდუმლო.

სასაფლაო. რკინის მოაჯირი. ძეგლი. სკამი.

მყუდროება. სიგრილე.

ზის ქალი. მოწყენილი სახე. მუხლებზე წიგნი. კითხვა მიუტოვებია.

ფიქრს გაუტაცნია. ბურუსშია თითქმის.

ქალს სამარიდან ესმის ხმა:

„ეხლა გაზაფხულია? ყვავის იასამანი, შენ მიერ დარგული? მამშვენებს ძეგლი შენ მიერ შექმნილი? ჰგალობს ბუღბული შენ მიერ აქ მოყვანილი? შეიძლება, შეიძლება, მაგრამ მე...“

„მცივა... მცივა...“

„მამინ კი შემოდგომა იყო. ყვაოდა ჩემში იმედი, შენ მიერ დარგული. მამშვენებდი შენ, სათაყვანო ძეგლად ჩემ მიერ გარდაქმნილი. გიგალობდა გული ჩემი, ვით ბუღბული — იადონი...“

„ჭეშმარიტად თბილი, მზე-სხივიანი იყო ის შემოდგომა.“

„ეხლა, ამ გაზაფხულზე, ყვავის ვარდი, შენ მიერ დარგული, მამშვენებს ძეგლი შენ მიერ შექმნილი, ჰგალობს ბუღბული შენ მიერ აქ მოყვანილი... და...“

„დგება მკვდრეთით შენი გული, ჩემ მიერ დასევდიანებული.“

„მე კი მცივა... მცივა...“

ქალი დგება, მიიხედ-მოიხედავს. ნელ-ნელა მიდის. მისდევს ხმა სამარიდან.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

## საუკეთესო ვარი

(ლეგენდა, მეონი ესპანური)

„...და აი შენ ამთავრებ სწავლას. ჩემი ხელიდან გამოხვალ, ვეროთობი საზოგადოებაში. ათასი შეგხედება თაყვანისმცემელი და პრავალი შენი დასაკუთრების მდომი. ფეხქვეშ გაგიშლიან სახელს, სიმდიდრეს, თავის ვაჟკაცობასა და სიჩაუქეს. შე ვერაფერს მოგიძღვნი, გარდა ამ წიგნისა, რომელიც შედგება უძილო ლამეების, შოხუცის დაკვირვებისა და შენის ცქერისა... მომიტევე, — შენის ცქერისა.. ჩემი ოთახის ფანჯრიდან, შე ვუთვალთვალედი არა ამომავალ მზეს, არა ბაღში გაშლილ ყვავილს, არა-მედ... როდის გადმოიხედავდი შენ შენის ოთახიდან. და შენ არ იცოდი, რომ გაცრცილ შენს ტანს პირველად ხედებოდა არა შენ მიერ გაღებულ დარბაზში შემომკრთალი სხივი, არა სიო, ჩარჩოებს შორის შემომპარული, არამედ თვლნი ჩემნი, აღზნებულნი და შშიერნი. მაგრამ ეს მცირეც მეს-პობა: სამოსწავლო ოთახიდან, სადაც დღემდე ცხოვრობდი, შენ გადახვალ დედის ოთახში და მე, შეიძლება ესეც მოხდეს, გადამიყვანებენ დავრღობილთა თავშესაფარში.

და არაფერს, გთხოვ, არც ჩემი დაუღალავი შრომისთვის, არც უსინათლო, უიმედო სიყვარულისთვის. დღესაც, როგორც კვლავ წინად, მინდა მხოლოდ რჩევა მიიღო ჩემი:

მიეც გული მხოლოდ მას, ვინც თქვენს ბაღში სამი საუკეთესო ვარდი მონახოს.

მხოლოდ მას ანდევე, შენი გული, ვინც მფნახოს სამი საუკეთესო ვარდი თქვენს ბაღში.

სხვას არა! სხვას არა!..“

გაუკვირდა პატარა ქალბატონს, გაწყრა კიდეც, მაგრამ ალთქმა მისცა, — დარიგება მისი ხომ ყოველთვის იყო კეთილი...

და მოდიოდენ და თაყვანს სცემდენ ქალწულს, უკმევდენ სიტყვების გუნღრუტს და ფიანდაზათ უშლიდენ შთამომავლობას, სიყმაწვილეს, ცოდნას, სიყვარულს...

მაგრამ სამი ყვავილი, ყველაზე უკეთესი, ვერვინ იპოვა... ყოველთვის ჩნდებოდა კიდეც ერთი, სამივეს მჯობნი.

და ცხარობდა ქალი.

ბრაზობდა ქალი.

დაღვრემილნი შორდებოდენ სასახლეს მობრფილენი.

და აი მივიდა ვიღაც, და საბედისწერო დავალებაზე ასე უპასუხა:

სამი საუკეთესო ვარდი არის: შენ, ბაღი, ცა!

და ქალმა კრთომით დაძხარა თავი და გაჰყვა ვაჟს.

და დილას, ძლიერ აღრე, როცა ჯვარდაწერილი ახალგაზრდანი გაემ-გზავრენ ახალი ოჯახის დასაარსებლად, მათ დაინახეს მოხუცი მასწავლე-ბელი, ქლექიანი, მთრთოლვარე, ერთ ბუნქთან ჩაჩოქებული; მას ნაზად შე-შოყხვია ხელი გაფურჩქნაზე მიმდგარ ვარდისთვის და სულს უბერავდა.



— აი ის ყვავილი იქნება ყველაზე უკეთესი, — შენიშნა ქალი.  
 — მაგრამ ის იქნება ერთი... თქვენ კი სამი დამავალეთ  
 ნაც ის ვარდიც ხომ მთელ ბალს ეკუთვნის?  
 ახალგაზრდანი ეზოზე გადავიდენ.  
 მოხუცი მასწავლებელი, ყვავილით ხელში, გაცივებული, მსახურთ გა-  
 დასვენეს ბალიდან.

1928 წ. 31 იანვარი.

## ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი

გემი ნელ-ნელა შემოდის ნავთსაყუდელში: ნათურები, ვით უხილავი გველუშაის პატარა თვალები, ჩნდება; ზღვა ჩუმია. იგი არც კი მოსჩანს, მოსჩანს მხოლოდ ხელისგულივით სწორი შავი სივრცე, რომელიც უერთდება უფარსკვლავო და უმთვარო ნაცრისფერ ცას. ნაპირზე, ყავაზანაში ზის საზოგადოება, ჩვეულებრივ უფერული და უღმლაშო. ჩვენს გვერდით სუფრას მოუსხდა სამი ინგლისელი ზღვაოსანი. ერთი მათგანი ძლიერ ყმაწვილია და მშვენიერ შთაბეჭდილებასაც ახდენს. ოქროს ხუჭუჭი თმა, ლმობიერი და ენერგიული გამომეტყველება. თხელი ტუჩები, ტკბილი ხმა, მარდი მიხრა-მოხრა, მაღალი ტანი — მომხიბლველი, შავი ტუჩუქა და თეთრი წადები და შალვარი, თეთრი ქელი, შავი არშიით: მოკლე, ფერღზე ჩამოკიდებული ბებუთი — ყველაფერი უხდება.

ჩვენს სუფრას მოუახლოვდა ერთი ნაცნობი ქალი. ყმაწვილი ოფიცერი, რომელიც ენა-ტკბილად ემუსაიფებოდა ამხანაგებს, შეაჩერდა ახლად მოსულ, ჯერ კიდევ ფეხზე მდგომ ქალს.

ქალი გვეპატივებოდა, გავისეირნოთ. ინგლისელი მარდათ წამოდგა, მოგუბახლოვდა, მეომრის სალამი მოგვცა და მერმე, თითქოს ჩვენ იქ არც კი ვყოფილიყოთ, დამტერეულის რუსულით ქალს მიმართა:

— ქალბატონო, უკაცრავად, მაგრამ, პირველად ჩემს სიცოცხლეში ვნახე თქვენისთანა ქალი და პირველად ვგრძნობ ძალას, რომლის წინააღდგომა არ შემიძლო... ხელს ვთხოვთ. მე გიცდით, რამდენხანსაც გნებაესთ. ცნობებს ჩემზე თუ აქ არ ემარან, — ჩემი ამხანაგები და გემზე მყოფი უფროსები, — ბათომის კონსულისაგან გაიგებთ. ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა ბრძანდებოდეთ თქვენ. ჩემთვის საკმაოა თქვენი თანხმობა და თქვენში გამოსახული აღმოსავლეთის ზღაპარი; ქვეშაირტად სპილოს მოუტანია თავისი ეშვი, ყორანს ფრთა, ირემს ყელი, გველს მოქნილობა, მარჯანი ტალღას, — რომ შეექმნა უცოდველ მიწას ცის მიწხიდველი ჯადო-ქალი და ეს ხელი კი არა, ზუთ თავიანი პოემა არის, — და ინგლისელმა მოწინააღმდეგეობით აიღო, ხელზე აკოცა? არა! — ეამბორა? — არა! — ემთხვია. ინგლისელი ისე გულწრფელად ლაპარაკობდა, ისე სადათ, თითქოს ასედაც უნდა ყოფილიყო: სიტყვა ვერვინ გააწყვეტინა, ხელი ვერვინ შეუშალა თვით მისი მეგობრები გაკვირებულნი უცქეროდნენ და, რადგან ენა არ იცოდნენ, ვერ გავგოთ, რაში იყო საქმე.

— მე გათხოვილი ვარ! — უპასუხა ქალმა და მის სიტყვებში თითქოს სიხარული იხატებოდა.

ერეკონული

განხილვისთვის

— უკაცრავად!

ინგლისელმა ჭეშმარიტმა სალამი მისცა ქალს, შეტრიალდა და ნავესაყენ წავიდა. ნავემა გასწია გემისაკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ გემიდან მოისმა საყვირის გამაფრთხილებელი ხმა.

საჩქაროდ დაბრუნდა ნავი.

— რა მოხდა? რა ამბავია?

— თავიანთ ექიმს უძახიან...

ინგლისელის ერთი ამხანაგი მოვიდა საჩქაროდ ჩვენთან.

— ყმაწვილმა, რომელიც ეხლა გაგეცნოთ, თავი მოიკლა: თქვენ სამა სოფროდ ეს ბეჭედი გამოგიგზავნათ, მოგაჩვენათ: ბეჭედი უკანასკნელი წერტილი იქნება მშვენიერი ზუთთავიანი პოემისო...

ინგლისელი შებრუნდა. და, სანამ ვინმე პასუხს მოასწრებდი, ნავეში ჩაჯდა ექიმთან ერთად, რომელმაც მოიბრინა საყვირის ხმაზე.

— რა ვუყო ეხლა ამ ბეჭედს? — იკითხა ქალმა.

პასუხი ვერაფერს მივეცი.

ქალმა გაიკეთა ბეჭედი. მართლაც, რაც ბუნებას შეეკმნა, ის ოქრომჭედლის ხელოვნებას დაეგვირგვინებინა: პოემის ღირსი სყო საუცხოვო წერტილი.

— იცი რა, კოტე? ამ ბეჭედის ტარება უხერხულია, წაიღე და გაყიდე...

— გავეყიდო?.. ხუმრობ?

— სრულიადაც არა ვხუმრობ!.. მაშ რა ვუყო?

— რაც გინდა... — ჯავრით და გესლით უპასუხა ქმარმა ქალს. მოიძრო თავის ჯვარისწერის ბეჭედი, გადაუგდო ქალს და უთხრა:

— შეგიძლია ესეც გაჰყიდო... მშვიდობით!

სამუდამოთ დაშორდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს.

საკითხონ ვარდოშვილი

## პოეზი

თუ გულის ცეცხლი არ ახლავს,  
და სიყვარულით არ მღერის,  
თუ ხან ნაზად არ წკრიალებს,  
ხან არ ჰქუხს, როგორც ლანქერი

ისე რად ვარგა პოეტის  
ქნარი ხმაყალბი, მზე-ზნელი.  
გულს ვერ მოხიბლავს სიმღერა  
მზის შუქით აუფხვნებელი.

უდღეურია სიმღერა  
უსულო, გრძნობა გამშრალი  
ღრმად ფესვებს ვერსად გაიდგამს  
ვით უნაყოფო მარცვალი.



ქინია მგოსნის ოცნება  
ჭაობში ხობვას ჩვეული,  
სილაღეს განრიდებულნი —  
ვით ჩიტნი ფრთა დამსხვრეული.

პოეტი ერის ნიჭია,  
სიბრძნის უჭკნობი ყვაველი,  
თესლია უკვდავებისა,  
მიწიდან ამოყვანილი.

სარკვე უდიაღესი  
ხალხის ღებნის და წუხილის.  
უანგაროა, უსაზღვრო  
მისი გულისთქმის დუღილი.

საქართველო  
საბჭოთაო

ლექსი უკვლოდ გაპტრება  
თუ პოეზიამ არ სძლია,  
უსახო სიტყვა ფუჭია,  
სახის ჯავარი აზრია.

როს აზრი ფერით ელვარებს  
და გზების ცეცხლი ედება,  
ლექსი სიმღერით როს ტოკავს —  
ეს არის შემოქმედება.

გალობა ხეცის მადლია  
მონიჭებული განგებით.  
ცეცხლია მართალ გულისა  
აელერებული პანგებით.

პოეტს ლექსი არ გასწირავს  
თუ მისთვის იწვის მარადა.  
თუ სილამაზეს უმღერის  
და სიმართლე აქვს ფარადა.

ლექსი მარადი ეღერაა  
ცისა და მიწის ხმებისა,  
ერის ღირსების ემბლემა  
და ძველი უკვდავებისა.

ახალ სიბრძნეს ნუ დაეძებთ, —  
ის თავისებურ თქმაშია,  
სილამაზე კი ერთია,  
მისი მზე მარად ცელაშია.

ლექსი პოეტის სულია  
იღრმალ ცეცხლით გზნებულნი.  
იგი მძლე ჟრუანტელია  
მისსავ გულს დაჯახებულნი.

არ ცხრება მძაფრი ოცნება  
ხამოგუფუნე ზღვის დარი,  
პოეტი შეეებას მაშინ გრძნობს —  
როს არის ლექსით მდიდარი.

იმღერე ქვეყნის მშვენება —  
რაც ზეცამ ვაგიზიარა.  
ერის სევდა და სილალე  
და სიყვარულის იარა.

იმღერე ჰანგი მგზნებარე,  
მზის ელფარებით ნაფერი,  
ხან ყვავილივით ნარნარი,  
ხანაც მძლე, როგორც ლანჭერი.

უდღეურია სიმღერა  
ყალბი და გრძნობა ჩამქრალი,  
ღრმად ფესვებს ვერხად გაიდგამს  
ვით უნაყოფო მარცვალი.

---

ვიქტორ ზაზუნაძე

## მ ა რ თ ა

ხშირად მას ისე ეხვევიან შვილის-შვილები,  
როგორც მინდორში მარტო მდგარ ხეს ბუჩქთა ჩრდილები.

უსწავლელია. თოხს თუ იქნევს ის, ან ძაფს ართავს...  
მაგრამ გაიგო, უველაფერა შეიტყო მართამ.

იცის, რათ იქნევს იგი მინდვრად თოხს სალამომდის  
იცის, ფრონტიდან წერილები რატომ არ მოდის.

იცის, მინდვრისკენ სამუშაოდ როს მიიქარის,  
როგორც ფიქრები, რად ეხვევა, რას ამბობს ჭარი.

ისე, ვით ჭარი, მისი სულიც შფოთავს, არ ცხრება,  
მაგრამ არ იმჩნევს, თუმც გულით სურს მტრის დამარცხება.

ჩაუვლის სოფლის ორღობეებს ის ყოველ დღით.  
და თან მიჰყვება მისი სუსტი, ნაზი აჩრდილი.

უმზეო დღითაც, სამუშაოდ იგი როს მიდის,  
მის სათნო საბეს არ შორდება სხივი სიწმინდის.



კლავდია დავდარიანი

## დაბრუნება

მატარებლიდან პირველი გადმოვედი. მინდა დავემხო მშობლიურ მიწას. არასოდეს არ გყოფილვარ ასეთი ბედნიერი.

დაბრუნდი... მამ მართლა დაბრუნდი? შეათასედ ვეკითხები ჩემს თავს. თვალები ნაცნობ სახეებს ეძებენ. მაგრამ არა... მარტო დარჩენა მირჩევნია. გავყურებ ჩამწკრივებულ ვაგონების წინ როგორ დარბიან პატარა ფეხშიშველა ბიჭები და წკრიალა ხმით გაიძახიან:

— წაბლი! მოხარშული წაბლი!

— ჰყვინტი ყველი! ჰყვინტი ყველი! როგორი ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის ეს ყველაფერი.

ჩქარი ნაბიჯით გავეშურე სოფლისაკენ. რად მივიჩქარი ასე? მე ხო! დიდი ხანია ამ გზაზე არ მიველია. სიო აშრიალებს ოდნავ შემხმარ სიმინდის ფოთლებს და ამ შრიალში მესმის მათი ჩურჩული:

— დაბრუნდი?! დაბრუნდი?!

ჩემი სოფლის წისქვილს დავეახლოვედი. წისქვილის კარი გამოუხურავთ. ბორბალიც დგას. ჩამოვჯექე. მინდა ბორბალზე წყალი მიფუშეა, ისე როგორც ბავშვობისას ვიცოდი. მაშინ მოხუცი მეწისქვილე ჯოხით გამომიდგებოდა.

ამავე წისქვილთან დავისვენეთ უკანასკნელად: „მშვიდობით დაგვიბრუნდიო“. — მოგვძახოდნენ გამცილებელნი, როცა ჯარში გავწვეულნი სოფლიდან გავდიოდით.

— ნეტავ სად არიან ეხლა ისინი? — რომელ ფრონტზე იბრძვიან? — ვინ დაბრუნდა შინ? — ვინ დაიღუპა? გულს არ უნდა უსიამოვნო ფიქრებს გაჰყვეს. სწრაფად ვდგები. ჩქარი ნაბიჯით მავყები აღმართს.

აი, ჩემი სოფელიც. მიწას დავემხო. ხარბად შევისუნთქე მისი სურნელი. ბრძოლაში, როცა სიკვდილი ახლოს იყო ჩემთან, მიწას ვეკეროდი, მიწა მშველოდა.

ეუახლოვდები სახლს. ვეღარ ვისვენებ. მახსოვს ბავშვობისას გამოცდაზე მიმავალი, კაცის ნატებს მოვძებნიდი, უბეში ჩავიდებდი, „გული გამომავრდებათო“ — ეხლაც კაცის ნატები მიჭირავს ხელში. დავცქერი. მეცი-ნება. ქვას გადასავლემად ვერ ვიმეტებ, — ისიც ჩვენებურია. ფეხს ავუჩქარე. წაბლის ტყეში შევედი. აი, ამ ვებერთელა წაბლზე ვერავინ ვერ აღი-ოდა ჩემს მეტი, მე ვებერტყავდი ყოველ წელს. საღეთისმშობლო იყო, აღ-რე მწიფდებოდა. გახარებული მიცქერიან წაბლის ბუდეები და მეკითხებიან:

— დაბრუნდი?! დაბრუნდი?!

აი, ჩემი კარმიდამოც, ჩემი ბატონარი. წითლად ლეივიან ნაყოფით დამძი-მებული ატმის ტოტები. მზის სხივებზე ყვითლად ელვარებენ ფოთლებს შეფარებული ყურანის მტევნები.



— რა და ის, რომ ადამიანს თავისი უფრო უყვარს სხვისაზე, ასე მგონია, ვიღაც მეძახის ჩემი სოფლიდან. მიწა, ადამიანებულის გვერდით დახუნძლული ვაშლის ხეები, არ ვიცი, ყველაფერი მეძახის. — იტყოდა ის და ნაღვლიანად გახედავდა სივრცეს.

ჩვენ უკვე უკრაინის საზღვარზე გადავედით. ჩემს მეგობარსაც მეტი მღელვარება დაეტყო.

— იცი, მალე ჩემს სოფელში ვიქნებით, მეჩქარება, გული ვეღარ ითმენს. მინდა შინ ღამით მივიდე. დედის ფანჯარასთან დავაკაქუნებ, ასე ვიცოდი წინად, როცა შინ გვიან დავბრუნდებოდი. წინანდებურად ეხლაც ადგება დედა... მერე უკვე ოცნებას ვეღარ ბედავდა.

როცა მტრისაგან ახორბულ სოფელს გავივლიდით, შემკრთალი შემომხედავდა. ჩუმი, ჩავარდნილი ხმით შემეკითხებოდა.

— როგორ ფიქრობ, ხომ იქვე იქნებიან ჩვენები?

— აბა სად წაივლოდნენ, — ვეტყვოდი; — მეც არ მჯეროდა ჩემი სიტყვები და გასამხნეველად დავუმატებდი: — ნუ გეშინიან, მიკოლა, მალე დაუკაქუნებ დედის ფანჯარას. ისიც ხელს ჩაიქნევდა და ჩუმიად განვაგრძობდით წინსვლას, ჩვენ ნაწილთან ერთად.

— ათი, თორმეტი — ითვლიდა ავტომატის ყოველ გასროლას, ღიმილით მომიბრუნდებოდა და მეტყვოდა:

— იცოდე, ყოველ გასროლაზე თითო მაინც აკლდებათ.

— მაშ, მაშ — ვამხნევებდი მეც.

გულმომ შემწვარი ტაროები თეფშზე დააწყო და მომიბრუნდა: — მერე, მერე?

უხაროდა..

— ეს ხომ ჩემი სოფელია. — მეტყვოდა: — მალე, სულ მალე დაუკაქუნებ დედის ფანჯარას.

იერიშზე გადავედით. უეცრად ჩვენს ახლოს მიწა შეინძრა, თავზე ძლიერმა გრიალმა გადაგვიარა, ვიგრძენი, რომ მიწას დავენარცხე, სძინას ძლიერი გუგუნე მიხშობდა. თვალი გავახილე. წამოვიწიე, უვნებელი გადავჩენილიყავ. ჩემს გვერდით მიკოლა ეგდო. კენესოდა. აედექი. მივვარდი.

— მიკოლა! მიკოლა! — რა მოგივიდა? — შინ წაივდეთ! ჩვენ ხომ დედის ფანჯარაზე უნდა დაუკაქუნოთ? — დამძიმებული ქუთუთოები ძლივს გაახილა, ათრთოლებული ხელი სოფლისაკენ გაიშვირა:

— ხო, დაუკაქუნოთ! — შევხედე, ვიგრძენი, სიცოცხლე არ ეწერა.

— ნუ გეშინია, მიკოლა, ახლავ მიგიყვან შინ.

— რა კარგია, მე მაინც დავბრუნდი ჩემს სოფელში. მან ცალი ხელი მიწას მოუსვა, თითქოს მიუღალურსაო. წამწამებზე მსხვილი ცრემლი გადმოეკიდა:

— ძალიან კი მინდოდა შინ მისვლა. ჩუმიად დავუკაქუნებდი დედას ფანჯარაზე. აქედან ჩვენი სახლი პირველია. მარჯვნიდან მოუარე. გვერდზე მხოლოდ ერთი ფანჯარა აქვს. იქ დედას სძინავს ხოლმე დაუკაქუნე ფანჯარაში, გამოიხედავს დედა. უთხარი — შენი მიკოლა დაბრუნდათქო თავის საყვარელ სოფელში.

კიკია მარგინი

## ზკონგედის ღლიუკირან

თო ვს

მკონია, თითქოს თბილისში თოვდეს,  
მიდამოს მხოლოდ სითეთრე მოსაეს, —  
და მე შევხარი უთქვენოდ ოდეს  
ამ სახალწლო ფიფქების მოსვლას.

თოვს და ეს ველი ბიბინებს თეთრად,  
უხმოდ მოცვივა სანგარში თოვლი,  
ვარეთ კი ელავს იისფერ სვეტად  
პროექტორების მსუბუქი ბოლი.

თოვს, ზამთარია და სანგრებს ათოვს  
და თეთრ ყვავილებს ზუჩქები ისბამს,  
ასეთი თოვია და დარი მარტო —  
მხოლოდ მინახავს ჩემს ბავშვობისას.

თოვს... ხვეარიელად, შეუსვენებლივ  
გაყინულ მიწას ეყრება თრთოლვით,  
დაფრიალებენ ვით ფრინველები  
უსმეტაკესი ფიფქები თოვლის.

და ეხლა აღბათ რუსთველზეც ათოვს  
და ჩვენს აივანს ეყრება თოვლი,  
შუა ოთახში სამნი ხართ მარტო —  
ღვას სურნელება ჩაიღნის ბოლის...

მკონია, თითქოს თბილისში თოვდეს,  
მიდამოს მხოლოდ სითეთრე მოსაეს  
და მე შევხარი უთქვენოდ ოდეს  
ამ სახალწლო ფიფქების მოსვლას.

## ჩვენ ერთად ვიყოთ



ჩვენ ერთად ვიყოთ წუშილის დროსაც,  
გადღევინოსა ქუხილი ქართა,  
ვინ მომწოროს სამშობლოს დროშას  
კაცთსაძულველი სიკვდილის გარდა.

მეგრამ მაშინაც საფლავში გული  
უკანასკნელად შემძახებს ასე:  
რომ მე ოცნებით და სიყვარულით  
მხოლოდ მივლია სამშობლოს გზაზე.

დამქონდა გულით იმედი ზვალის,  
და საქართველოს ცხელი მზე მწვავდა,  
მწვავდა ერგულეს ელვარე ხმალი  
და ელვარება თამარის თვალთა!

ჩვენ ერთად ვიყოთ დიდების დროსაც,  
ვუგუნი ისმის დიდების ქართა,  
ვინ მომწოროს სამშობლოს დროშას  
კაცთსაძულველი სიკვდილის გარდა.

## დედისადმი

მშობლად ვღებულობ შენს ბარათს დედი,  
შენ დედისგულის სინათლით მლოცავ  
„დედიკო შენი შენ დაგენაცვლოს“  
შორით მიგზავნი ალერსს და კოცნას!

რა ვითბობა, როცა ასე შორსა ვარ,  
ჩვენს შორის ორი ზღვა და მთებია,  
მეგრამ ალერსი და შენი კოცნა,  
დღემდის არასდროს დამვიწყებია.

თუმცა შორსა ვარ, ზალბი რომ იტყვის:  
„ცხრამთას იქითო“ შენგან წასული,  
მეგრამ გჯეროდეს, რომ ჩემი ფიქრით —  
მხოლოდ შენით ვარ გარემოცული.

ახლა ეიწვი და გული მენთება,  
გარეთ თოვს... თითქოს სისმარში გზედავ,  
შენი თმებივით თეთრია მთები,  
შენს თვალებს ვხედავ ძვირფასო დედა!

დედიკო, ასე ნუ სწუხარ ჩემზე,  
რა დროსი არის დარდი და გლოვა,  
გჯეროდეს რომ მე, შენი მელეჩი,  
ვამარჯვებული შინ მალე მოვალ.



გარეთ თოვს, თოვლით თეთრდება მთები,  
 ნისლებმა ჰპოვეს ამ ველზე ბინა,  
 შუალამეში ვით შენი თმები —  
 გათეთრებული ეს ველი ბრწყინავს.

ბნობად ვღებულობ შენს ბარათს დედი,  
 შენ დედისგულის სინათლით მლოცავ:  
 -დედიკო შენი შენ გენაცვალოს"  
 შორით მიგზავნი აღერსს და კოცნას.

### მე ვენახე ვმირი

მე ვენახე ვმირი, იწეა დაჭრილი  
 სისხლით დაკლილი და ფერმიხდილი,  
 როგორც ყოჩანი — შავი აჩრდილი  
 დასტრიალებდა ლანდი სიკვდილის.

იგი უცქერდა საცსიან თვალით  
 შავბედით სიკვდილს მკლავს დაყრდნობილი,  
 როგორც სიზმარში, მღიშარი ქალი —  
 თავს დასცქეროდა მისი დობილი.

იქ აღარც გრგვიჩვა ისმოდა მწველი,  
 ის იწეა წყნარად და მყუდროებით,  
 მხოლოდ სიზმრად მოგონებებით,  
 თუ შეკრთებულენ ქუთუთოები.

იქ არც ქუხილის ბმამ მიაღწია,  
 არავინ იყო იმ ოჩის გარდა,  
 დარჩენილიყო სარკმელი ღიად,  
 ქადრის ხეები და ქალა სჩანდა

და შრიალებდა სამხრეთის ქარი,  
 აფრიალებდა სარკმელის ფარდას,  
 დაჭრილმა ერთი მოავლო თვალი,  
 დაიგვინა და აღდგომა სცადა.

მაგრამ ვერ შესწლო... დაბარა თავი...  
 მხარში დაუდგა დობილი მისი,  
 შერე შეკრთა და დახუჭა თვალი,  
 დობილს დაეცა წვეთები სისხლის.

და თეთრ ხალათზე ვით სიზმარცხადი  
 გაჩნდა ჟოლოს და მარწყვის ფერები,  
 თავს დასდგომიდა სიკვდილის ლანდი  
 გამოუთქმელი საშინელებით.



სწრაფად მოხვია დობილმა ზელი,  
სისხლიან ლოყას შეახო ტურნ...  
ჩამოუწმინდა დობილით ყლა  
და მღელვარებით ჩაიკრა გულში.

ის კი კენესოდა, დობილი მისი  
ჯანჯვით ნაბადდა სიზმრიან თვალსა,  
გოლო და მარწყვი — წვეთები სისხლის  
არ ეცემოდა ხალათზე არსად!

მე გამახსენდა სიმათლის წიგნი,  
ძველად ნაწერი და მოთბრობილი,  
მე ენახე გმირი, შეფბედით სიკვდილს  
უშკლავდებოდა თავდამხობილი.

მე ენახე გმირი, ზღაპარში თქმული  
ვერაგის ტყვიას დაეჭრა მძიმედ,  
სისხლით დატლილი მეომრის გული  
არა ჰკარგავდა სიცოცხლის იმედს.

მე ენახე გმირი — კაცური გულით,  
მძიმედ დაეჭრა ვერაგის ტყვიას,  
ენახე სიცოცხლემ და სიყვარულმა  
შავი სიკვდილიც თუ როგორ სძლიას!

ფუნქციონირებს

## ქაღის გული

მოთხრობა

სოფელ სალხინოში პრინცესა სალომე მიურატის სამარულე მინდორზე ძველდისძველი კაკლის ხეები ამართულიყვნენ. ფართოდ დაშვებული ტოტების ჩრდილი მწვანე მინდორზე გაწოლილიყო. აქა-იქ ჩრდილში ჩამოპარული შხის სხივები აქაურობას აცოცხლებდნენ და თითქოს ბაწრის ზღუდეში მომწყვდეულ მიდამოს ეჩურჩულებოდნენ: ზეიმი გათავდება, ბაწრებს მოგაშორებენ, ხმაურით დამფრთხალი ჩიტუნები დაგიბრუნდებიან, შენი ხეების ტოტებზე დაისვენებენ, მათ ხშირ ფოთლებში დაემალებაან ქორსა და მიმინოს.

სტუმრები რიგ-რიგად ეწყობოდნენ, თავისი ადგილი ყველამ იცოდა. პირველ რიგში თვით პრინცესა სალომე, სალხინოს მფლობელი, დაბრძანდა. მის გვერდით დასხდნენ მახლობელი ნათესავები, საპატიო სტუმრები, მოყვარები. სწავლადამთავრებულ ვაჟებს საზღვარგარეთიდან შეგობრები სწვევდათ, ისინი ცნობისმოყვარეობით აცვირდებიან აქაურ ზნე-ჩვეულებას. შემდეგ რიგში მოთავსდნენ ადგილობრივი წარჩინებული თავადაზნაურები, თავიანთი მანდილოსნებით, მათ უკან — მაძიებელი აზნაურები და ბოლოს — ხალხი, გლეხობა, მუდამ ბოლო რიგებში მდგარი. ვინც წრეში ვერ დაეტია, მინდორის განაქიდეებში დგას. იქიდან უთვალთვლებენ.

პრინცესა ზეიმის მასპინძელია, სალხინოში დღეს ბევრი მტერ-მოყვარე შეიკრიბება და ამაყი მემამულე თავაჯურს ადევნებს სტუმრების მიღების წესს. ზეიმისათვის ხომ მთელი სენაკისა და ზუგდიდის მაზრა ემზადებოდა, ნაწილობრივ აფხაზეთიც.

ზოგი სამარულე ცხენს ასამებდა, წვრთნიდა, ზოგი საჯიარითოს განსაკუთრებულად ყვებავდა, ჰბანდა, სწმენდა.

დიდი მზადების შემდეგ ისინი მზღებლებით ზეიმზე გამოცხადდნენ. იმ თავადაზნაურებმა, რომელთაც საკუთარი მზღებლები არა ჰყავდათ, მოყვარე გლეხები იხალეს. მათი შეძველებული ჩოხა-ახალუბი მათ შეუღლე-ქალბატონებს შეუყვებოდათ, თანგისანი რაბტები გაუწმენდათ, ტუჩუკიანი კაბები ვადაუახლებოდათ. თვით ქალბატონების ვალის უმარულით შელამაზებულ სახეებს ოქროს ქანძისთავებით დანაგრებულ, კეფაზე შებურთული და ფოჩებდაშვებული ნაქსოვი თავსაფრები ამშვენებენ. ნიავე ამ ფორქს არხევს და ეს რხევა ქალების გულისცემას რითმიულად ებასუხება.

ყველა გულის ფანქალით მთელის მარულის დაწყებას.

ვაისმა აჩაგვარული მათრახების ტკაცუნი. გამოჩნდა ანჩიბაია თავის მარულით და აფხაზური სიომარი სამარულე „აყიშით“ — წითლად გამო-



წყობილი ბავშვით და ცხენით. ცხენს კეხი ბუდესავით ადგია. გვერდით ძველი, ნაცაღი მემარულეები ახლავან, წინ ცხენის პატრონი ანჩიბაძე მუცლის, უკან — გზაზეთის საპატიო თავადაზნაურობა მოჰყვება თავისი მხლენლებით. სიმღერა გულის გამგმირავე კენესით იწყება: პატარა, 11-12 წლის წითლად ჩაცმულმა ბიჭმა, სამარულე ცხენზე მჯდომმა, ცხენი უნდა ატენოს: ის არის მარულის ბელის გაქაძმევეტი. ის „აყიშს“ გულშოდგინედ, ნაღვლიან ხმით იწყებს. მან არ იცის, გაიმარჯვებს თუ დამარცხდება. ჰელავს. მისდამი ყველა თანაგრძნობით იმსჯელება. მომყოლნი წითელ მხედარს გარს ეხვევიან. მის ნაღვლიანად დაწყებულ სიმღერას ძლიერი ხმით ათავებენ. ბავშვსა და ცხენს ამხნევენ. ახლად დაქვდილი ცხენების თქარა-თქური მწვანე ველსა, სკრის და სერავს.

მინდვრის მეორე ნაპირიდან იმავე წესით ხეციას სამარულე ცხენი შემოიჭრა, მხოლოდ „აყიშს“ ადგილი „კუჩხა ბედნიერისათვის“ დაუთმია.

ხეციას შემდეგ ქორთუა გამოჩნდა, ძველი გოლიათის ტიპი. ჩერტეზულ ცხენს დინჯად არონანებს. ნაბდის ქუდიდან ძლიერი, შრისხანე სახე გამოჩნდა. კიდევ არიან სამარულე ცხენები, მაგრამ ეს სამი კაცი განთქმულია აღზაზეთ-სამეგრელოში თავისი მეტოქეობით. ყველაზე მეტ ყურადღებას ესენი იქცევენ. სამივე ვაჟკაცი ცხენიდან ეშვება პრინცესა სალომეს მისასალმებლად. ისინი მის გვერდით იჭერენ საპატიო ადგილს. დანარჩენ მომყოლთაგან ზოგი ცხენიდან ხტება, სამარულე ცხენს თვალებსა და ყურებს უწმენდს, ძუა-ფაფარს უწყობს. ზოგიც ცხენებით მინდვრად იფანტება, რათა ვაჭირვების დროს თავიანთ მარულას დასჭყვიელონ, გაამხნეონ.

აირჩიეს ხუთი კაცი, მარულის მსვლელობის შემფასებელი.

აიქორჩენ პაწია წითელ ყაბალახწაკრული მხედრები. დაჭყვილეს თავიანთ ბედაურებს. გამოცდილი პირუტყვიანი პირველხანს დინჯად მიგოგავდნენ. ორჯერ ზღუდე აუჩქარებლად შემოითხზარიყეს. თანდათან უმატეს ჭენებას.

ყვინა და აყიში ძლიერდება. ისმის ხმაური და გამოძახილი: „ანჩიბაძე გაიმარჯვებს... ხეცია დაეწევა... ქორთუას ცხენი რჩება“.

უცნობის მარულა წრიდან გაიყვანეს. ბედაურმა სირბილი არ ისურვა. ისმის შენიშვნები: „მხედარი მძიმეა, ცხენი ცუდად მიჰყავს... გაუხამებელია“. მარულის მომყოლნი ფუსფუსებენ. მარულად გასულ ცხენებს ჩოხის კალთებ-აკრეფილი მეგრელები გზადაგზა წყლით ხელს ხელებიან, ქართაში ჩამდგარიანი შეჰკვივიან, გულს უმაგრებენ. მაგრამ ანჩიბაძის ცხენი მაინც პირველი მოვიდა: პირველი ჯილდო აიღო. მას ხეცია მოჰყვა. რა ხალხსია მეორედ მოსვლა: პირველობა გარეშემ ირგუნა!

პრინცესას თავმოყვარეობა შეელახა, წარბები ოდნავ შეეკრა. მაინც არ შეიმჩნია, ანჩიბაძის გამარჯვება მიულოცა: ვერცხლის აზარფეშით და სანადირო თოფით დააჯილდოვა.

უცხოელნი გატაცებით შესცქეროდნენ მარულას. მარულას ჯირითი მოჰყვა, მწყობრი, აუღელვებელი. ენგურის გაღმიდან მოდის განთქმული მოჯირითე აქირთაა. პრინცესა მას სამეგრელოს ჯირითის გოლიათს ახვედრებს. ეს გოლიათი ჩია, მაგრამ გულოვანი ვაჟკაცია. მან სოფელში ამბობდნენ: „სოლომო დგებია გამოსროლილ ტყვიასაც არ შეუწინდებაო“. ცხენოსნობის მცოდნე და მოყვარული იყო. მის სიმდიდრეს, მის ოჯახს ცხენი შეადგენდა.

იმვითა ლაფშა ჰყავდა სოლომონს, — გაბანილი, გაწმენდილი, თვალის ჩივივით მოვლილი. ამ ცხენს ილაშაზს ეძახდნენ.

ლაშაზია ილაშაზი, ნაკვეთები გამოთლილს მიუგავს, ძუა-ფაფარი — ხორცული ქალის თმას. ხობის წყლით ნაბან-ნასუქს მწიფე წაბლისფერი და შავი რგვალი ფორთაჯი კალმახისებერ გავაზე აყრია. კისერო ამაყად უჭირავს, მათრახის დაკვრას არ კადრულობს, არც ეკირვება. თავისზე უფრო ზორბა ცხენებს მკერდით უმკლავდება, გვეფხებზელი, ტორებამართული ხვდება. დამარცხებას ვერ ეგუება ლაფშა, იცის პატრონის ხასიათი: თუ უმტყუნა, იმ დღესვე მოიშორებს, გასცვლის, გაჰყიდის. ჯირითში ილაშაზი იმარჯვებს.

მაყი მსგდარი პრინცესასაგან ჯილდოდ შუბლზე ამბორს ღებულობს.

დილის ზეიმი დამთავრდა, ყველა მოილალა. პრინცესა საკუთარ სტუმრებს და საპატიო ნაცნობებს სადილად სასახლეში იწვევს. მინდორში გაისმის ზურნა, ფაჩანტურებში — სიმღერა. ველზე სავაჭროდ დადგმული კარვები ხალხით ივლეება. უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები პრინცესას ვაყებთან ერთად უფროსებს ჩამორჩნენ და ხალხში გაერივნენ. ერთი მათგანი პრინცესას ვაჟს ლუსიენს გვერდით დაჰყვება და მის ყურადღებას ეიდაც ლაშაზ კალზე აჩერებს.

— ვინ არის ნეტავ?

ლუსიენმა თვალი შეავლო.

— ჩვენი მოურავის ცოლს ახლავს. არ ვიცი, ვინ არის, ლაშაზი კია.

ლუსიენის თანამგზავრი ფრანგი იყო, შთამომავლობით გრაფი. სახელად ჟანი ერჭვა. 26-27 წლისა თუ იქნებოდა. მდიდარი, განებიერებული, განათლებული კაცი გახლდათ. თავის შესაქცევად თავისუფალი მხატვრობა აერჩია. ხატვა ოდესღაც მისი მოწოდება იყო, მაგრამ ხატვისათვის თავი მიუწებებია და ვასართობად მოგზაურობას შესდგომია.

ჟანი მალალი, მოქნილი ტანის კაცი იყო. ნაზად გამოიყურებოდა. მოთენთილი სახე ჰქონდა: თაფლისფერ თვალების ქვეშ ნაღველი ჩასწოლოდა. ეტყობოდა, ცხოვრების ფილა საკმაოდ შეესვა. ახალგაზრდას, ჯანმრთელობა პარიზის კაფეებში დაეტოვებინა. ახლა გამოთვითელი, ცხოვრება-მოყირკებული საქართველოში გართობას ეძებდა, პრინცესას ვაჟს ლუსიენს მეგობრობდა, სტუმრად სწევოდა. ხელშეუხებელი ბუნების წიაღში გართობას და ჯანის დაბრუნებას ლამობდა. ძარღვების დამშვიდება სწყუროდა. სახატავი მასალა მის ყუთში მოწყენილად ეყარა. ჟანს ბოლო ხანებში ხატვის სურვილი არ აწუხებდა.

სალამო ეამს — კვლავ მინდორში ვასელა. ცეკვა, თამაში, ბურთობა. სალამოთი ცხენების ჯირითი და მკერდით მისვლა აკრძალულია. იშვიათად თუ ვინმე გაათამაშებს ცხენს. ცხენოსნები ახლა მორჩილად დგანან და ახავთებულ ხალხს უცქერიან.

ეს სალამო უფრო ხალხს ეკუთვნის: ცეკვა-თამაშში, ბურთობაში სალამო ბუნების ლაღ შეილებს გამოაჩენს.

გლუხის ქალ-ვაჟთ დიდის ზეიმში მანაწილეობა არ მიუღიათ: ცხენები არა ჰყავდათ, საბატო ადგილები არ ეკავათ, ახლა კი, როცა ბურჯინის ცხენები გასატანი დატრიალდნენ თოხით და ბარით წავარჯიშევი, მუნღამაგარი მწყემსები და ხიზნები. ერთ ადგილას საცეკვაო წრე მოეწყო. ჰაერს ნახად არხევენ სოფლის ქალთა მკლავები. დანაოკებულ გრძელ კაბაში შეფარებული უძირო წაღები მოლს ძლივს ეამბორებინან, მწყერებივით დაგოგავენ. ყველას ჰყავს ხალხში რჩეული მიმინო. მათ კლანჭებში ჩავარდნას გაურბიან, მორცხად ლეკურს ათავენ და ლოყებ-აწითლებულნი ზღვა ხალხში ინთქებიან.

ქანი გატაცებით უყურებდა საცეკვაო წრეს, თვალს არ აშორებდა გრძელ-თმიან ასულს, რომელიც მალაღმა, შეთვალა ვაჟმა საცეკვაოდ გაიწვია.

— ცერე და ბადა ცეკვავენ, — გაისმა ხალხში ჩურჩული და ყველას გაუჩნდა სურვილი წინ დამდგარიყო, მათთვის ეცქირა.

ცერე, მანილას ქალი, საუკეთესო მოცეკვავედ ითვლებოდა პრინცესას კეთილ სოფლებში. მალაღი, მოშვილდული ტანის მოძრაობა შველის ხტომას მიუგავდა. მოღერილ ყელს და ამღრევენებულ წელს თოხი გრძელი, ხერხეპალზე გადაგდებული წაბლისფერი ნაწნავი უმშვენებდა, ასმულ კუნთებს უთახმავდა. თმა სიმძიმით თავს უკან იტაცებდა. გაშლილი სახე ცერეს მალა ეჭირა. ლაგვარდი თვლები ჯარად შემორტყმულ გრძელ წარბებს აშუქებდნენ. მარწყვის ტუჩებიდან შინდისფერ ჯამებში ჩასმული ფართო თეთრი კბილები კამკამებდნენ.

აქი კიდევ ხშირად ამკობდნენ ცერეს ლექსებით:

ცერე, ცირა ჩე კაბაში,  
კბას მტუნ იკართინი,  
იშენი ოკო ვაჯუდე,  
ხე დო კუჩი მებეკათანი.

განსაკუთრებით ხშირად უმღეროდა მას სოფელ ინჩხირის მცხოვრები ბადა წოწორია, მხარ-ბეკიანი, ბრგე, ღამისფერთვალუბა ახალგაზრდა ვაჟაკი, შავი ხეველი თმა რომ შუბლზე ფაფანაკად წამოხსუროდა. მისი უღვაშები ღამაზ ბაგეს ჩაკონებოდნენ, თითქოს ქალიშვილებს აჯაერებენ — სასურველ ადგილას მივეწყეთო.

ეს ბადაა, ახლაც შევარდენივით რომ დასდევს ცერეს და მის დაჭერას ღამობს. უხდებათ ერთად ცეკვა. ცერე ატევილი ტანით ვაჟს აჯაერებს, ხელიდან უსხლტება. ბადა დაღვრემილი ათაებს ცეკვას: ცერე ვაჟკცა, ხალხში მიიმალა.

განა მარტო ცეკვის დროს აჯაერებს ცერე ბადას. ცერე ცხოვრებაშიც მიუჯარებელია, — ვაჟმა მისი გული ვერ დაიპყრო. ბადას მრავალი მოტრფილე ჰყავს სოფლის ქალწულებში, მაგრამ მას ცერეს მეტი ვერაფერ იზიდავს. ღებანილეს და ინჩხირის ქალიშვილები ოხვრით აყოლებენ. თვალს ბადას. ბადა კი ცერეს არდილივით ასდევნებია, ეშინია, ჯარობის გათავების შემდეგ ნათლისას არ წავიდეს და ერთად მგზავრობის მოლოდინი არ გაუტრუფდეს. ცერესაც მოსწონს, მაგრამ ბადა ღარიბი კაცი, ობოლი, პრინცესას ხიზანი, ცერეს მას არ შიათხოვებენ. თვით ცერესაც ეშინია სიღარიბისა. კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ როდესაც ბადა ცოლობაზე დაუწყებდა ლაპარაკს, ცერე სიტყვას ბანზე აუგდებდა ზოლმე.

ჯარობის შემდეგ ბაღას ბედმა გაუღიმა, ცვერე ნათლის ცუდი ქვეყნებზე ეამბორა და თავის სოფლის ქალ-ვაჟს გაჰყვა სახლში. გზაზე მხარეში სხვადასხვა იხელთა დრო.

— რას შიშირებ, ცვერე, შითხარი, ნუ გამაუბედურებ? არც შენ იქნები ბედნიერი ასეთი სიყვარულის უარყოფით.

— რას ჩამაცოდრ, ბიჭო? დღეს ნათლმან ცოლმა ზუგდიდში წასვლა მიჩრძანა, თან დაუმატა: ნათლისდუდას უთხარი, შენი გათხოვება უნებოდ არ გაბედოს.

— ზუგდიდში რა დაგავდება? ვინმე ტლანქ ვაჭარს მივათხოვენ რჩენისათვის, ჩემისთანა ბიჭი და სიმდიდრე ვერ მოვართვეს ერთად.

— ეი, თვალი დამიდგეს, მართლა ლამაზი გგონია შენი თავი? თან ცელქად ჩაუციწებს: ეს დიმილი სიტყვებს ეწინააღმდეგება, ბაღას აზრს ჩემი აღერათ ეთანხმება.

— გლახაც ვიყო, სულერთია, ჩემებრ მაინც ვერვინ შეგიყვარებს, ცვერე, დამიჯერე.

ცრემლმორეული აღერათ საეც სიტყვები სიყვარულს სთხოვდნენ. არც ცვერე იყო გულგრილი ასეთ წუთებში: ნეტარების ერუნტელი უვლიდა ტანში.

მაგრამ ცვერეს სიღარიბისა ეშინოდა: მრავალი ოხვრა სმენია დედ-მამისაგან სიღარიბის გამო. საბრალო ბადაც უპასუხოდ რჩებოდა.

ჯარობიდან დაბრუნებული ახალგაზრდობა უკვე ლეზაჩეს მიუახლოვდა. მოწყენილი ბადა თავის ქოხს დაუბრუნდა, ზოლო ცვერე დედ-მამას ართობდა ჯარობის ამბებით.

პრინციასას სასახლეში სტუმრები დაიშალნენ. მხოლოდ შორიდან ზოსულნი ახმაურებდნენ ბებერა წადრების ხეივანს.

გრაფი მარტო დასცირობდა. ცვერემ და მისმა ცეკვამ მის გულშიც ჰპოვა ადგილი. დაწვა. მოისვენა, მაგრამ ცვერეს ტანის ნაკეთები გულში ჩასკროდნენ: სიცოცხლით და წინით საეცე მოძრაობამ გული აუთამაშა. ცეკვის დროს ნაწინაეების კოწიწი მთელ დამეს აგონდებოდა, ძილს უფრთხობდა.

— იცი, ლუსიენ, — ეუბნება მეორე დილით საუშმის შემდეგ ეანი მეგობარს, — ის ქალი, გუშინ რომ განკენე, ტიტეელი და თმებგაშლილი დასახატავად რომ მომტა, შეიძლება ჩემში კვლავ გაიღვიძოს ხატვისა და შემოქმედების სურვილმა.

მასპინძელს გულიანად გაეცინა.

— ზომ არ გაგიედი, ეანი აქ, სამეგრელოში, მაგეთი სურვილი მონაკვდინებელი ცოდვია, ზოლო სურვილის შესრულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ბრალი არ არის, ლუსიენ, ასეთი სილამაზე ტყუილად იქარგებოდეს უსარგებლოდ?

— რას ჰქვია უსარგებლოდ, ეანი? გათხოვდება, შეილება გაუჩნდება, ბუნებასა და ცხოვრებაში თავის წვლილს შეიტანს.

— შადისათვის ზომ განსაკუთრებული სილამაზე არ არის საჭირო, ეგ ყველას შეუძლია.



— შენის ფიქრით, ასეთი განსაკუთრებული სილამაზე ყოველთვის შეიძლება გასართობ საგანს უნდა წარმოადგენდეს? — გაიღიმებს ლუსიენმა.

— რატომ მხოლოდ გასართობ საგანს? ხელოვნებას გაამდიდრებს, თვითონ ფაქიზ გრძნობას განიცდის, აღმაფრენას იცემებს.

— დანებზე თავი, ენა, მკვ ფილოსოფიას, სჯობია სიმართლე სთქვა: ლამაზმა გოგომ გული აგიჩუყა და თავს ხელოვნების სიყვარულით იმართლებ. დედამ არ ვაგვიგოს ეგ ცუდი ზრახვები, თორემ ორივეს მოგვხვდება.

ყმაწვილებმა უდარდელად გაიცინეს. ლუსიენი სამკითხველოში წავიდა, ხოლო ქალი ხეივანით სასეირნოდ გაემართა.

ხეივანს თავდებოდა პატარა მდინარე წაჩხურით, რომელიც ეზოს მუაჯირად ევლებოდა. იქ ჩაშვებულნი, ცემენტითა და ქვიტკირით ამოშენებული მარანი ცივ ტალღებს იხვევდა და ოჯალუმის ძველ ღვინოს ფრთხილად უნახავდა ნებიერ სასახლეს. იქვე სათევზაოდ გამზადებულ, გაფართოებულ კალაპოტს ყოველ დილით პრინცესას მეთევზე ბადეს უნიშნებდა, ფოროჯაკალმახებს ნაპირზე ჰყრიდა.

ქანი მარნის აივანს გადაყურდნო. ცვერე გონებაში აესახა. დღეს უკანასკნელი სტუმრებიც სტოვებდნენ სალხინოს. დიდი სავაჭრო მოედანიც იცუდება. მხოლოდ ობლად დარჩენილი კარები მოსჩანან. საღუმეს ვაყი ნაპო უცხოელი სტუმრებითურთ უკვე წავიდა.

ლუსიენი კი დარჩა, შემოდგომის ნადირობა და თევზაობა უყვარდა. მასთან ერთად დარჩა ქანიც, რომელსაც მეგობრისა და მზიანი კოლხეთის დატოვება ენანებოდა, თანაც უხილავი, გამოურყვეველი ძალა აჩერებდა. ნადირობა არ უყვარდა, მხოლოდ ცხენით დადიოდა, ლამაზ კუთხეებს ეცნობოდა.

ლუსიენი სანადიროდ ემზადებოდა. ამ კუთხის საუკეთესო მონადირენი მასთან იყრიდნენ თავს თავიანთი მწვეარ-მეძებრებით.

ლუსიენმა ზრდილობიანად მოიხადა ბოღში მეგობართან. მაგრამ ქანს ახლა მარტობა ერჩივნა. ის მთელ დღეს ცხენით დახეტიალებდა და სულ ერთ რამეს ფიქრობდა: ის ქალი ხომ აქაურია, ნუ თუ სადმე ვერ შეგხვდება. მან ერთიანად შემოკარა მალღობი ვედიდი და ტაბაკონა, დაათვალიერა ქვიბის მთის გამოქვაბულები, უხელოდ ნაშენი ღრმა, ბნელი ოთახები, რომელნიც ოდესღაც დარბეულთა და დამარცხებულთა თავშესაფარს წარმოადგენდნენ. მოინახულა მდინარე ტეხურცი; მის ევრცხოვან კალაპოტში მოსრიალე ნაძვები ხედვით დაიჭირა, „ჩეგვალას“ თვალი აავლო, ხოლო მისი ზვიადი მეზობლს „უგურყელი“ მთის მწვერვალის ათასწლოვან ყინულსა და თოვლს თვალი ძლივს გაუსწორა.

როცა რამდენიმე დღის შემდეგ ლუსიენი ნადირობიდან დაბრუნდა, ქანი შთაბეჭდილებებს უზიარებდა. აღტაცებული იყო კოლხეთის ბუნების სიმდიდრით. დიდი სურვილი ჰქონდა ეს ზვიადი მთები, ანკარა მდინარეთა სათავეები ახლოს ენახა.

— ძნელია, — უპასუხა ლუსიენმა, — თანაც ახლა იქ უკვე ცივა, იქიდან მწყემსები ბარად ეშვებიან. მე უფრო კარგ სანახავს გაჩვენებ ამ ლეებში, ოღონდ ცოტა დავისვენოთ.

გადაწყვიტეს მესამე დღისთვის აბაშის წყალგარდნილზე პიკნიკი მოეწყოთ.

აბაშის წყალვარდნილი შეიდი-რვა კილომეტრის მანძილზეა სალხინოდან. სოფელ ლეზანის მახლობლად მდინარე აბაშა წყნარად მიედინება. ერთ ადგილას მდინარე თითქოს ივარგება, კალაპოტი არ მოსჩანს. მაღალი კლდე ბუჩქნარით არის შემოზღუდული, ატყორცნილი ხეებით გაშფეფებული. თვით უმწიკლო წყალვარდნილი კლდეების მკერდს შეჭარებია, ნაპირები შიშველ მკლავებად გადახვევია. კლდის ერთმანეთთან დაახლოებული ნაპირები გულად ვაჟს გადასასტომად მიიზიდავდა. სურნელოვანი მცენარეები სღარაჯობდნენ მას. დიდრონი ხეები მზის სხივებსაც ძვირად უშვებდნენ მასთან. მხოლოდ ფოთოლთა მკლეობის დროს მზის სხივები ნახად ჩაანათებდნენ მის უფსკრულში. ხოლო მთეარის შუქი ქურდულად ჩაიპარებოდა. ჩაუჭერტდა მის წყალთა ვარდნას, ქართული კამის გულისპირით ოჭროსკედივით ამოპქარგავდა მას.

მიუვალი იყო ოფეცხოლის წყალვარდნილი. მის ბილიკებზე დაშვება საბიფათო იყო. ამ უჩვეულო სილამაზით ყველაზე მეტად მოხუცი მეწისქვილე ქუჩე სტებებოდა.

წიხქვილი წყალვარდნილის ერთ შტოზე იყო აგებული, სათავესთან. ქუნუს ვიწრო და მაღალი კლდის ნაპირები ბოგირით შეუერთებია და ღრმა უფსკრული ამით ამოუყორია. ქუნუს მეგობრები—ქურციკი, ტურა, შველი ღალად დახტოდნენ ამ არე-მარეში და ქვევით ხავერდოვან მოლზე ჯარითობდნენ.

პრინცესა სალომეს შეუშინეველი არ დარჩა ბუნების ეს სიმდიდრე. მან საგრძნობი თანხა დახარჯა, რომ ამ სილამაზეს დაატრონებოდა. ჩაუვალ ბილიკზე ქვის კიბეები გააკეთებინა, მიხვეულ-მოხვეული, ბუჩქებში თეთრ ლეღებად შექრილი. შუა გზაზედ დასასვენებელი ოთახი მოაწყო, პაწია აიყენო. ამ კიბეებით მშვენიერების მაძიებელი ქვევით ეშვებოდა. შორს მწვანე ვიწრო ველი იშლებოდა, მაღალი კლდიდან მბურღავი წყალვარდნილი ეცემოდა. წარმტაცი სურათი იყო.

აქაფებული წყალი მოსხლეტით ვარდებოდა უფსკრულში. ჯერ იკუმშებოდა ვებერთელა ბურთად შეკრული, მერე კი, როცა ტალღა ტალღას ეწეოდა, ისევ გადისხნებოდა ფართოდ დაფენილ კლდეზე, ამეტყველდებოდა, ზვირთებად გაიბნეოდა. თითქო ბრძოლის შემდეგ ისევენბსო, გულჩათბობილი, წმინდა ნაკადალ ქცეული, ისევ ჩურჩულით განაგრძობდა გზას. მხოლოდ ზვირთების ბრძოლის ნაყოფი ვერცხლის ბუსუსები შერჩებოდნენ ხოლმე ძაერს, მათ კალაპოტში ჩასვლა ეზარებოდათ. ისინი მაღლა მზისკენ მიილტვიოდნენ, მაგრამ დაღლილნი, მიზანს მოწყვეტალნი, ნაპირის ბუჩქნარს ცვარ-ნამად ესხურებოდნენ.

პრინცესამ ამ ადგილის დასაკეთებლის სურვილი სისრულეში მოიყვანა. გაიყვანეს გზატკეცილი. გაქაფეს ბარდი და ეკალი. მიუვალი ადგილები ბაბითა და წერაქვით დაიმორჩილეს. ისეთი ჩირგვნარი აცაფა, სადაც ნადირსაც არ ერბინა. ვინ იცის, იქნებ ისეთი ტყის ყვავილები მოსწყდნენ კლდოვან ნიადაგს, რომელთა სურნელების მაღალი საუკეთესო ყვავილნარშიაც არ მოიძებნებოდა.

ამ წყალვარდნილზე მოეწყო პიკნიკი ქანის გასართობად. წყალვარდნილის პირდაპირ, მდელთზე თეთრი სუფრა გაიშალა: მწვანილი კალმები ოჯალეშის ღვინოსთან ერთად შამპანიურით დასველდა, დანიშნულ ოცუცხლის ქალწულ მიღამოებში ფრანგული ენის ხმაური გაისმა.

სოფლელები თავიანთ ჭიშკრებიდან ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ჩამოვლილ ეტლებს, ლამაზი მხედრებით დამშვენებულ ჯიშთან ბედაურებს. მოსწონდათ მათი უღარდელი ცხოვრება. რომელიმე ხიზანი, ნარმის ქუჩყიანი პერანგით და ძველი ჭილის ქუდიით, დაღლილი, თოხს დაყრდნობილი, ჭადისა და ეკალას საჭმელად რომ სახლში მიიჩქაროდა, შეჰხედავდა ამ ბედნიერ ხალხს და გულში მწარედ გაიფიქრებდა: ეს დალოცვილი ღმერთი უსამართლოა, ერთნაირად ვიბადებით, ერთნაირად ვიხოცებით, მაგრამ ეს ცხოვრება ჩვენთვის დუხჭირია, მაგათთვის კი სამოთხე. ესენი ქეიფში არიან, ბე კი, ვინ იცის, ხელ ვეჭილის გზირები მეწვიონ, თუ სახაზინო ღალა ვერ ვიშოვე, უღლიდან ხარს გამომიხსნიან, არც ამ მიწაზე გამაჩერებენ. მერე რა მიწა? ჩემი საკუთარი ოფლით შორწყული, გაპოხიერებული. ნაშენიც აგერ მომესწრება, საფარი ხეებიც აიყლორტნენ...

იფიქრებს ამას, მწარე თამბაქოს ნალვლიანად ვაბოლებს და უნუგეშო ხვნეშით ამოახველებს.

წარჩინებული ოჯახი ქვევით მოლზე ნებივრობდა, როდესაც ცვერე ბაჩილას ქალი პატარა ბოგირზე შეჩერდა. ტან საბანად მიდიოდა. როცა ნებბერნი დაინახა, შეკროა, თვალი გააყოლა და უცებ შეტრიალდა, მიიშალა. ქანში მხოლოდ გრძელ ნაწნაებს მოჰკრა თვალს და გაინახა, არ შეიმჩნია. გული კი სიხარულით აეგსო, — მოსძებნა ჯეირანის საბუდარი: ალბათ, ამ მიღამოებში ცხოვრობს. იმედი გულში დაიხვია.

საღამოთი ბედნიერი სასახლეში ბრუნდებოდნენ. მათ გულს ქვეყნის ჭირვარაში არ აწუხებდა.

სულ სხვაგვარი სულისკვეთებით იყო მოცული ბადა. გული დარდით ჰქონდა მას საფსე. მის ყმაწვილკაცობას სიღარიბე ავიწროებდა. გრძნობდა, თვალ-ტანადობით, ვაჟკაცობით არავის არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ცვერეს მაინც არ შიათხოვებდნენ. ინსტიქტით გრძნობს ცხოვრების სიდუხჭირეს — უსამართლობას. ვერ ერკვევა, თორემ იცის, რომ ეს ქვეყანა როგორმე სხვანაირად უნდა მოეწყოს.

სოფელმა ბუნდოვანად, მაგრამ მაინც იცოდა, რომ ხელმწიფესა და მდიდრებს ვიღაც ებრძოდა, მათი დამხობა და განდევნა უნდოდა, უბრალო ბეჩავ ხალხსა დიდ ბედნიერებას ჰპირდებოდა.

ბადას სიყვარულით დასერილი გულისთვის ეს ხმა ნამდვილი მალამო იყო. თითქმის ვიღაც ნასწავლმა და ჭკუიანმა კაცმა გულში ჩახედა, იქ დაბნეული აზრები ამოიკითხა, დააწყო და ქვეყნის მოკვინა. ბადა სიხარულით დაეწინა ამ ამბების გაგებას და შეგნებას.

— როგორ, მიწას და ტყეს დაგვირიგებენ? ასეთი სიკეთე თუ მომეცლება, მუშაობაში ვის ჩამოვრჩები? სიღარიბეს განვდეგნი, სანატორივე ცვერეს გვერდში ამოვიყენებ.

იმ დროს სამეგრელოში მართლაც არსებობდა სოც-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩანასახი. ბადა მართლაც ჩაება მათ მუშაობაში. ერთხელ ფოთშიც წავიდა დავალებით. ფოთში იმ დროს ბევრი სამუშაო იყო: ფოთის ქვისა და ცემენტის ჩარჩოში სვამდნენ. ბადას გული ერჩოდა. იქ კარგი ამხანაგები გაიცნო, სამუშაოც აღვილად ეშოგებოდა. მაგრამ ოფიცხოლი და ლეზაჩე მაინც იზიდავდა. ცვერესთან შეხვედრის დაგვიანება აღუღებდა. ამხანაგებს დამეშვიდობა, მალე დაბრუნებას დაჰპირდა, პაუზი წაიღო ფოთის ორგანიზაციიდან და ლეზაჩის ესტუმრა. თვით ცვერეს სახლში იშვიათად დადიოდა, არ ეხერხებოდა. ნახვის შემთხვევას დაეძებდა. ასეთი შემთხვევა მხოლოდ ოფიცხოლის წყალვარდნილის მიდამოებში ეძლეოდათ ხოლმე. ბადამ იცოდა, ცვერე ამხანაგ ქალებთან ერთად ხშირად დადიოდა საბანაოდ. ისიც ტოლ ვაჟებს გაიყოლებდა და იქვე ფერდობზე მიწებდნენ, მღეროდნენ, საბანაოდან ქალწულთ გამოვლას ელოდებოდნენ. არასოდეს ახლოს არ მივიდოდნენ, — ქალწულთა შორცხვობას თვითონაც პატივით ეპყრობოდნენ. შეხვედრის წყურვილი სწავდათ. დარაჯობდნენ ამ გზით სახლში მიმავალთ, რომ ორიოდ საამო სიტყვა გადაესროლათ, გრძობა გაემეღავნებინათ.

ვაეთა შორის ყველაზე თვალსაჩინოდ ბადა იპყრობდა ყურადღებას. თვითონაც გრძნობდა ქაბუკი, თუ როგორ დაეძებდნენ მას კეკლუცთა თვალები.

— ბიჭო, შენს ხელში ჩვენ ვერ გავიხარებთ, — გუხმრებოდნენ ბადას ძმა-კაცები, — ქალიშვილები ერთიანად შენ დაგდევენ. ფაშობას ხომ არ ფიქრობ?

— დამანემე, კაცო, თავი, არავინ არ დამდეგს! ვის რად უნდოვარ ღარიბი კაცი? — პორცხვად ამბობდა ბადა.

— მოვიტაცოთ, ბიჭო, ის ცვერე! — ეუბნება ფართხუ: — ვხედავ, მან დავკოდა გული, დედა ეუტიროთ მდიდარ მალხაზს.

— შეგვარჩენს, გგონია? — გამოეხმაურა კოჩია, — ქვეყანას დაანგრევს, თავის ნათლიას და პრინცესას დაიხმარს, ყველას მიგვაციმპირებს.

— მაგისი არ მეშინია, — მიუგებს ბადა, — ქალის რჩენის იმედი რომ მომცა ან დარწმუნებული ვიყო, ქალი არ გამწირავს...

— არა, ძმაო, მონატაცი ქალი რა ხეირია! — განაგრძობს კოჩია, — ყოველთვის დიდი გული ექნება.

როცა ვაჟები ასე მსჯელობდნენ, ცვერე და მისი ამხანაგები უკვე წყალვარდნილის ქვევით ტანთ იხდიდნენ.

საბანაო იქ იწყებოდა, სადღაც წყალვარდნილის ზვირთები, ნაკადო ქვეულნი, ბუჩქნარ-ყვავილით იყვნენ შემოფარგლულნი. ზევიდან ქოლგასეით კედლები ჰქონდა გადმობურული. წყალზე ჩრდილს სცემდნენ.

ცვერეს ძალიან უყვარდა წყალში ნავარდი. ხან წყალვარდნილთან მივიდოდა, ხან უკან გამოსცურავდა და შეცივებული მზის სხივებს ეძებდა.

ახლა ცვერე საბანაგები ტოლ-ამხანაგებში იჯდა და დწყებულ ლაპარაკს განაგრძობდა:

— არა-მეთქი, გოგო, არ წაყვებები მაგ სოფლის ვაჟებს, რაც უნდა მომწონდეს. მე ისეთი ქმარი მინდა, აი პრინცესას სასახლეში რომ დადიან. ისე მინდა ვიცხოვრო, როგორც ჩემი ნათლიის ცოლი ცხოვრობს. გუშინწინ



აქ მოლზე ისხდნენ. საუზნობდნენ. ღამაზები, ნასწავლები. ვახ სიყვარულს — და ამყად ასხმული ტანის ნაკეთებზე იხედა. თითქოს სურათს უხატავდა რობდა: რითი ხარ იმაზე ნაკლები და რითი გჯობნიან ის უხატავდა და ის კაცთა ქალებით.

— გადირიე, გოგო, ჩვენ მაგ ბედს ვინ მოგვაშავებს! ისევ ჩვენს ბიჭებს ნუ მოვიძულებთ. ბადასთანა კარგი მათში ვინ არის?

ცვერეს გული აუტოკდა. ამხანაგებმა იციან ბადას ტრფობა მისადმი. მას თავი მოსწონს. მოზღვაებულ გრძნობას წყლით აცხრობს: კვლავ ეშვება წყალში. უკვე ჩაცმული ამხანაგები კენჭებს ესერიან, ამოდო.

ამალ-ნ. ბანევი ათქვირებული ქალ-ვაჟნი ერთმანეთს შეხედნენ. ერთმანეთს მოიკითხეს. გაიმართა ნიძლობა მოტყუებაზე.

ვაჟები ცხვირსახოცს ართმევდნენ ქალშვილებს. ნიშნად გულთან სიახლოერსა, მარცხენა მკერდის ჯიბეში ატარებდნენ.

ბადასაც ჰქონდა ცვერესთვის წანართმევი ცხვირსახოცი. ყოველ ნახვაზე სუფთად დაეცილს ამოიღებდა.

— ცვერე, ჩემო ძვირფასო, ეს სიკვდილამდე უნდა შევიწახო, პირზე უნდა დამადარონ, მიწა ისე უნდა დამაყარონ.

ასეთ წუთებში ცვერეს ზეიადი გული თბებოდა. თანავრძნობით იმსვენებოდა. მაგრამ გაიხსენებდა რა ბადას სიღარიბეს. ცდილობდა ვრძნობა დაეოკებინა.

ცვერე ისეთ პირობებში იზრდებოდა, რომ ამკვარი სულისკვეთება ადვილად გასაგები იყო. მამა მისი მალხაზ ბაჩილა, ოდესღაც ღარიბი ხიზანი, წინაბ გზარტყეცილებზე მუშაობდა ზუგდიდის მაგრაში. ერთ შეძლებულ გლეხის ოჯახს დაუახლოვდა. მათი ქალიშვილი მისა შეიყვარა. მისა პრინცესას მოურავის ცოლის ძიძიშვილი იყო. შეძლებულ ოჯახს ღამაზე, მაგრამ ღარიბ მალხაზისათვის მისა საცოლედ არ ემეტებოდა, მაგრამ მისა გულის რჩევას აჰყვა: გაბარული. მალხაზს ცოლად ვაჰყვა. იმულებული გაბდნენ შეძლებული ოჯახი და ღარიბი სიძე შეერიგებინათ. და მალე დააჩინეს კიდევ მათ უხვი ხელი სიძეს. ძიძიშვილის ქმარს მოურავის ცოლიც დაეხმარა: იჯარით აღებული მიწა იფად მიაკეთვნა. მალხაზმა თავისი სიყვარულის ნაყოფი, უფროსი ქალი ცვერე მოურავს სასახლეში მიუყვანა ძღვენი და მონათვლინა. ნათლიდგდა მოურავმა ძროხით და კამეჩით დაასაჩუქრეს. მისამ ამრავლა ნათქვარი ძროხა და კამეჩი. ღამაზე ნათლულს ტანსაცმელითა და ფულით სწყალობდნენ მდიდარი გაზრდილი და ნათლია.

მოურავს თვით ესაპირობებოდნენ ერთგული და მოხერხებული გლეხები. მალხაზს ნდობით ეპყრობოდა. ხიზნებში საქმეებს აწყობდა, მოსაგებიან საქმეებს ანდობდა. მალხაზი წელში იმართებოდა. ჰვარტლიან და ისლიან ჯარგელს მალე სამთელიანი ოდა წამოუდგა წინ. ვენაბი გააშენა, გამრავლებულ პარტყეს აყიდდა. ახლა, როცა ცვერე უკვე გასათხოვარი გახდა, მომყოლი ვაჟიც მუშაობაში ეხმარებოდა. დამჯდარი, მშრომელი, კარგი ოჯახის პატრონი გლეხი იყო მალხაზი.

რა მარტო მუშობელი გლეხები, აზნაურებიც უბრაწადნენ თვალს ღამაზე ცვერეს, სიღამაზესთან ერთად მას მზითვეიც ჰქონდა, აგრეთვე მოყვრობა-წარჩინებულ მოურავთან. როცა მოურავი ამ კუთხისკენ დაიძვრებო-

და მამულების დასათვლიერებლად, მალხაზის სახლში ისვენებდა. თავისი მხლებლებით. მალხაზი და მისი უხვად უმასპინძლებოდნენ: არა მხოლოდ მხლებლებს, არამედ მოხარულ ბატყანს, ცხელი ჭვინავით და ელვარებით სუფრას. ცვერე ცქრიალით ემსახურებოდა, საერთო ყურადღებას იჭყავდა. მეზობლები შურით შესცქერდნენ საქმე-გაგონაკეთული კაცის მღვთმარობას. მასზე მრავალ კორს ავრცელებდნენ.

ასეთ პირობებში გაზრდილ გოგოს ღვთაებად სიმდიდრე-ნებიერობაზე შენდებოდა. საქმროდ როგორც ღვთაებად, ისე თავით მას სოფლის ვაყები სასურველად არ მიაჩნდათ. მაგრამ ბაღას გრძნობამ ის მაინც საგონებელში ჩააგდო. ხშირად მოინახულებდა თავის გამზრდელ ოფუცხოლის წყალვარდნილს. მის სავერდოვან ველზე წამოწოლილი ოცნებას ეძლეოდა. თვითონ იქნებ ვერც ეთქვა, რაზე ოცნებობდა, მაგრამ ასეთ წუთებში მის ბუნებაში დაგროვილი ცეცხლის მასალა ანთებდა და წვას თხოულობდა. მისი ბუნება სიყვარულისათვის ვრცელავდა. მას ბაღას ტრფიალი აღიზიანებდა, თუნთავდა. იმ დროს 18-19 წლისა თუ იქნებოდა.

ქანს ცვერეს ნახვის შემდეგ ახირებული ხასიათი დასჩემდა: ქანმა დაუარა. დაუქმყოფილებელი გრძნობა აწუხებდა. მარტოდმარტო დახეტიალობდა ცხენით, ოფუცხოლის წყალვარდნილს უტრიალებდა.

ლაშაზი და ზომიერი აგვისტოს დღე იდგა. ქანისათვის გამზავებულ ღვინოზე ბედაურს მსახურმა უზანგი დაუწია. ქანი ზედ მოახტა.

წყალვარდნილთან ცხენი ზევით მიიბა, თვითონ კიბეებს ჩაყვდა და დასასვენებელი ოთახის აივანზე მიკეთებულ სკამზე ჩამოჯდა. წყალვარდნილის სათავეს გაჰყურებდა. ყვავილთა სურნელებას ნთქავდა, წყლის ხმაურით ბრუვდებოდა. ჩაფიქრებულმა თავი მალა ასწია, მერე წამოდგა. კიბის რამდენიმე საფეხური ჩავლო და ხავერდოვან მოლს ესტუმრა. თვალი მდინარის კალაპოტს ჩააყოლა.

მოფლოდნელმა სანახაობამ შეაერთო: წყლის პირად სრულიად ტიტველი ქალი იდგა. გრძელ ნაწნავებს თავზე იხვევდა. მოიხვია, წყალში გადაეშვა.

უცხოელმა ცვერე იცნო. „როგორც იყო ვიპოვე,“ — ჩაილაპარაკა გულში. დიდი ხნის დაუჩრებელი გული აუტოკდა. მირველი გრძნობა-სურვილი იყო: ტილოზე გადაეტანა ეს სხეული, დაეხატა იგი. შემდეგ ამას სხვა სურვილებიც მოჰყვა. დამკვიდრდა მის გულში რწმენა: ეს მშვენება მან, როგორც ქალი, უნდა იგემოს.

აფორიაქდნენ ქანის სხეულში მიძინებული სურვილები, ამხედრდა მამაცური ქანი.

მიზნის მისაღწევად წინდახედულებას მიმართა: არ აჩქარდა, თავი შეიკავა, გამბრუნდა, ოთახში შეიშალა. კარგ მონადირეს მიჰბაძა, რომელიც, თუ ნადირის მოკვლის იმედი არა აქვს, თავს არ აჩვენებს, ჯერ ბინადრობას გაიცნობს მისას, ფარულად მიეპარება, ფოთილს არ შეარჩევს, სულისთქმას შეიკავებს. ფრანგმაც მოზღვაებელი გრძნობები შეაჩერა.

ცვერემ წყალში ინავარდა. მისი სველი ტანი აქადებულ მდინარეს სველად რე-სისწრაფეში ეჯიბრებოდა.

ბოლოს წყლიდან ნაპირზე ვავიდა. აშოლტილი ტანი და თმა მზეზე ინოყივრა. დინჯად ჩაიცივა, თითქმის აქედან წასვლა ენანებოთ. ნაწნავეები წელზე გადაიყარა.

ნელის ღიღინით კიბეებს აძყვა. თთახს ჩაუარა. ქურციკებით ბოგირზე გადაბტა, მეწისქვილე ქუჩრუს მიესალმა და თავის გზით ვასწრა.

ტანისამოსს გამთოვლილი ქანი უკვე საუზმეს მიირთმევდა პრინცესას საუტხოვო სასადილოში, სადაც შუაგულში დიდი ქვევრი ამოზიდულიყო, თჯალეშის ღვინით სავსე. ქვევრს სასადილო მაგიდა ჩარჩოდ ჰქონდა შემოსალტული. ვერცხლის ჰინჭილები და აზარფეშები ნამგზავრ გრატს გულს უგრეობდნენ. ნაზულზე სიტყვა არ დასძრა. სავსე იყო შთაბეჭდლებით, მაგრამ ვასაზიარებლად არაფერი არ ემეტებოდა. აღგილობრივი ტრადიციების პატივისმცემელ ლუსიენს ხომ შეიძლება ხელიც შეეშალა მისთვის. „არა, დავხატავ მას, დავუხალოვლები, დავტკპები“.

ერთადერთი, რაც მას ხელს უშლიდა, ენის უტოღინარობა იყო. როგორ ვაავებინოს თავისი გრძნობები? როგორ მოხიბლოს? ბავშვობისას ქანი პრინცესას სახლში იყო ნაყოფი. პარიზში ის ლუსიენთან ერთად სწავლობდა. პრინცის შორეული ნათესავეები იყვნენ ქანის მშობლები. თორმეტიცამეტრი წლის ქანმა ოდესღაც სალხინოში მთელი ზაფხული ვაატარა, მაშინ მეგრულად ლაპარაკობდა, ახლა კი დავიწყებლი ჰქონდა მეგრული, სწორედ იმ დროს, როდესაც მეგრული ყველაფერზე მეტად ვსაპირობოდა. ქანი სასწრაფოდ შეუდგა მეგრული ენის მეხსიერებაში აღდგენას. ბლოკნოტში იწერდა საპირო სიტყვებს ცვერეს მოსანადირებლად.

ლუსიენს სასაცილოდ არა ჰყოფნიდა — რად ვინდა, ქან, ეგ სიტყვები, ვის უბირებ თავდასტმას?

ქანი კი, თითქმის ვულგარილად, უბასუხებდა:

— მეგრული ენა თავისი სიღბილითა და ტკბილის ბვერებით საშობლო ენას ვაფონებს. მინდა ვიცოდე, რამდენად შეეფერებიან სიტყვები შინაარსს.

— იცი, ქან, მართლაც ფრანგული ენითაც არ შეიძლება ისეთი ნაზი და ტკბილი აღერსი, როგორც მეგრული ენით. ამ მხრივ ჩემი მკაცრი და მტკიცე დედის საშობლო სათუთი და ტკბილია.

ლუსიენი სტუმარს ვულუბრყვილოდ ვსაუბრებოდა, ქანი კი თავის კვამებს აწყობდა. ვამალებით იწერდა საპირო სიტყვებს.

— ხვალ დილით აღრე მომგვარეი ცხენი, — უბრძანა ქანმა თავის კამერდინებს, როცა მან ვრათი დასაწოლად მოასვენა, მაგიდაზე სანთელი და წყალი დაუდგა.

ვანთიადი ვჯერ დაძრულიც არ იყო, რომ ქანი აღდა. სახატავი მასალა სამგზავრო მეშის აბჯამში ჩანადო და წყალვარდინისკენ ვაეშურა. იქაფუცხოლის მიდამოები ტილოზე ვადაიტანა. გულისძგერით მოელოდა წყლის ასულს, მაგრამ ცვერე იმ დილით ვვიან ვამოჩნდა. თან ვოგო მოსდევდა: სარეცხი მოქონდათ.

ქანი ვაყუჩდა, ვაიღურსა.

ქალიშვილები სარეცხს მორჩნენ, იქვე ვაფინეს, მერე ტანთ ვაიხადეს.

„მარტო მაინც იყოს. ეს ვოგო რა-კირად აიდევნა!“ — ჰფიჭობდა აღლევებული ფრანგი.

რამდენიმე დღეს ასე უთვალთვალა. ეწვალა და სურათი იმდენად შეასრულა, რომ მასში ცვერე თავის თავს იცნობდა. ახლა მოქმედებდა იყო საჭირო.

ერთხელ ნაბანავები ცვერე კიბეზე აღიოდა, რომ ესანი საფარიდან გამოვიდა და გზა გადაუღობა.

ცვერე შეკრთა. ცოტა შეშინდა კიდეც.

მაშინვე გზა დაუთმო. მოინახრა, სასახლის სტუმარი იქნებოთ. ბატონიშვილებს, ე.ი. პრინცესას ვაეებს ცვერე კარგად იცნობდა. ისინი ახლოსაც ენახა ნათლიასას. შარშან კიდეც ნადირობიდან გამოსულთ, დასვენების დროს, თავმომწონე მალხაზმა ცხელი ხაჭაპურები, ხილი და ღვინო მიაგება მინდორში.

ყოველივე ეს ცვერემ საკუთარი ხელით მიაჩთვია. ბატონიშვილებს მისი ნათლია და ჩიქოვანები ახდენენ. კარგად ახსოვს, მომდიმარე ნათლიას ვულზე ეამბორა, ხოლო ბატონიშვილებს მდაბლად თავი დაუკრა.

„არა, ეს კაცი უცხოა“, — გაურბინა ცვერეს თავში.

სმენამ ახალი გაკვირება მიიღო.

— გამარჯობა, ლამაზო ცირა! — მიესალმა უცნობი მეგრული ენით.

ქალი დაიბნა, ეანის მიერ ჩამოსართმევად გაწვდილ ხელს, უნებურად თავისი ხელი მიაგება.

უცნობი ცვერეს მორიდებით ხელზე ეამბორა.

ცვერეს ეუცხოვა: პირიქით, ჩვეულებისამებრ, თვითონაც და დედ-მამაც დიდკაცებს ხელზე და გულზე ეამბორებოდნენ ხოლმე. ეს მშვენიერი კაცი კი რა თავდაბალი და კეთილი ყოფილა: ცვერეს ხელზე ჰკოცნის.

„იქნებ არც იცის, რომ გლეხის ქალი ვარ“, — გაურბინა შიშმა ქალს. ესანი თვალში ამოჰყვა. გზა გაგრძელებას მაინც აპირებს, მაგრამ ესანი მეგრულადვე დაჯდომა სთხოვა.

— რა გეჩქარებათ? დაცხდეთ.

ქვე, კიბეზე, მიხაკისფერი მოსასხამი გაშალა.

— დაბრძანდით, თქვენთან საქმე მაქვს.

„რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან ასეთ ნასწავლ დიდკაცს?“ — გაიფიქრა ქალმა. ვერც წარმოედგინა, თუ ასეთი საბატოთ კაცის თხოვნაზე უარი ითქმოდა.

შემკრთალი კაცებივით განაბული, გრაფის გვერდით დაეშვა. ცვერეს თმის ორი ნაწნავი ეანის გვერდით მიწას ტამბორა.

გრაფმა ნაწნავები ფროთხილად ასწია, ხელში ოდნავ შეაჩერა. გრაფის ასეთი ქება ცვერეს არ მოეწონა. ნაწნავები წერვიულად უკან გადაიგდო.

— რას გეძახიან, ცირავ? — ჰკითხა გრაფმა.

— ცვერეს, ბატონო.

— რამდენი წლისა ხართ?

— თვრამეტის.

— თქვენ ოდესმე სურათი გადაგიღიათ?

— არა, ბატონო.

სწრაფად მოაგონდა დიდი ხნის სურვილი, რომ თავისი სურათი ჰქონოდა. უნდოდა ამ ზამთარს ზეგდიდში გადაეღო იგი. „ამ უცხო კაცმა საიდან იცის ჩემი სურვილი? მისანი ყოფილა!“

— თქვენი სურათი რომ გიჩვენოთ, გესიამოვნებათ?

ქალი ვაწითლდა, უფრო მეტად დაიბნა.

— რაფერ, ბატონო?

ვინაა პასუხის მაგივრად მეშის აბგა გახსნა და დახვეული სურათი ამოიღო. მოშორებით დაიჭირა.

ფრთხილად გადასწია, მარტო თავი აჩვენა. ტანს კიდევ დახვეულში მალავს. ცვერეს სიხარული საზღვარს ჰკარგავს. ნამდვილი თავისი სახე ნახა. სანამ ქალი სურათის თავს მისჩერებია, ვანი ტილოს ბოლომდე უშვებს.

ცვერეს თვალით ტიტველი ტანი, გრძელი თმა იშლება.

ქალმა შეჰკვივლა, თავზე ხელი იტაცა და სასოწარკვეთილმა თავი კალთაში ჩაიმალა.

„უი, ჩემი ცოდვა! ჩემი ტიტველი ტანი ამ კაცს ხელში უჭირავს! შავი ხალი მვერდზე ცოცხალივით მაზის!“

სიხარული, მადლობა უცნობისადმი უმადურებად, უბედურებად გადაექცა. გაბრანებულმა სურათის წართმევა და დახვევა გადასწყვიტა.

წამოიწია, აიხედა, მაგრამ მისი სირცხვილის მომგვრელს სურათი ზელში აღარ ეჭირა.

უცხოელი მიუახლოვდა, თავზე ხელი დაუსვა, ალერსით მოეფერა. ანუგეშა, აუხსნა, რომ სიყვარულმა გააბედვინა. სურათს არავის აჩვენებს, თავისთვის შეინახავს.

კარგად არ ესმის ცვერეს ფრანგის არეული მეგრული, მაგრამ რასაც ენა ვერ ახერხებს, გრაფის თვალებში, მკვრივი ტანის შიშობგრა და სახის მეტყველება ამეღავენებენ.

ხშირად უკოცნის ხელებს, უსწორებს თმას, შემბარავი ალერსით, ჯადო სიტყვებით ამშვიდებს, ტირილს შეაწყვეტინებს. შემდეგ თავის პრილიანტის ბეჭედს ხელზე გაუქეთებს.

გრაფი ნეკზე ატარებდა ამ ნივთს, ცვერეს კი უსახელო თითი დაუშვენა. ქალი სიხარულმა აიტანა.

„როგორ, ბეჭედი თავისივე ხელით წამოაგო, დანიშნა. ნუთუ მართლა ოცნება ასრულდა: ასეთი დიდკაცი წაიყვანს?“

ვანი გულუბრყვილო გრგონას ტრფობის ქსელში ხვევდა, დიდხანს ითვალთმაქცა.

ცვერემ სახლში წასვლა მოინდომა, მზეს ახედა.

— დავგვიანდი!

გრაფმა ნებას მიუშვა, მხოლოდ სთხოვა, ხეალ დილით ადრე მისულოყო, ახლა ჩაცმულს გადაიღებს. ცვერე დასთანხმდა.

მერე მორცხვად გაჰქრა.

განთიადი იგვიანებს. ცვერეს მიული დამე არ უძინია. დაწინდებული გრძნობა მოსვენებას არ აძლევს. შიშსა და სიხარულს შეუჰყარია, — თრთოლავს, საიდუმლოს გამეღავენებაზე არ ფიქრობს. „სჯობია, როცა ჯვარისწერაზე მივა საქმე, მაშინ გავახარებ ჩვენიანებს“ — ჰფიქრობს იგი.

რამდენიმე დღემ ასე ბედნიერად გაიარა. ცვერე პაემანზე დანაშნულ ღრის ცხადდებოდა.

მხატვარი გრაფი ჰხატავს მას, ალერსით ათბობს, ვასაგებობს შავეს, შეეჩვივნენ ერთმანეთს.

ერთი არ მოსწონს ცვერეს: ალერსსა და შეხვედრას დასასრული არ უჩანს, მშობლებთან მოლაპარაკებისა, და საქმის გათავების სურვილს უანი არ იჩენს. ცდილობს, თავიანთი შეხვედრა საიდუმლოებით შემოსოს.

უანმა ეს ეჭვიც გაუქარწყლა: მათ, დიდკაცებს, არ ძალუძთ ცოლი შეირთონ, თუ მშობლებსაგან სათანადო ნებართვა არ მიიღეს. თითქოს მას წყრილიც ჰქონდა გავზავნილი და პასუხს ელოდებოდა.

ქალი ნდობით მოლბა. „რა არის შეუძლებელი? — ფიქრობს ის: — განა ზღაპარში არ გაუგონია, რომ დიდმა პელებიფემ მუწისქვილის ქალი შეირთო? ძლიერაც შეიყვარა, გააბედნიერა“.

ალბათ, ზღაპარი მართლდება.

შესი რწმენა გამაგრდა, გრაფს მთელი არსებით დაენდო.

უანს აღარ აქმაყოფილებს დილაობით შეხვედრა, შეიძლება ვინმემ შენიშნოს ისინი. პაემანი ღამისთვის გადაიტანეს. ჰირველად გაუქირდა ცვერეს შინარე ოჯახიდან ქურდულად გააპრავა. მაინც გადისწყვიტა. უანის უნახაობას ვეღარ იტანს.

აგვისტოს მშვენიერი დღეები აღგა, ღამეები კიდევ უკეთესი, კაშკაშა, მთვარიანი.

უანი და ცვერე ოთახის აივანზე შეხედნენ ერთმანეთს. კიბურით ქვემოთ დაეშენენ. მთვარის სინათლეზე ქალი წყლის დედოფალივით გამოიყურებოდა. წყალვარდნილის ზმურტი თითქოს მათ სიყვარულის ზღაპრებს უზღბდა.

ფრანგმა წონასწორობა დაკარგა. ქალს კი, პირველად ძლიერს, განცხრომის სურვილი მოერია. ბრძოლის უინი მოუღუნდა, მოკვადოვდა. დანებდა გრაფს.

გონზე მოსული ცვერე ფრანგის ცივ მკერდს ცხელის ტრემლით ალბობდა. უმანკობას დასტიროდა.

ამ სურათმა უანის გულში ოდნავ შეარხია ფაქიზ გრძნობათა ძაფები. საბრალოელი შეეპარა. მაგრამ ვნებაამტყდარ ევროპელს ქალია უმანკობა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ახარებდა საკუთარი განცდა, რომ მას კიდევ შესძლებია ვნებიანი გატაცება.

ცვერემ დაკარგული სიწმინდე ტირილით გაატანა შემოთენებული მთვარის ვადასვლას. უანს განშორდა. კვლავ ახალი პაემანი დაითარიღეს.

პაემანზე მისვლა ცვერეს უანზე უფრო მეტად ეჩქარება, — დამორჩილებულ სხეულს ალერსის გახსენება სწევას, ალერსიფეე გაგრძილებას ღამობს. ამ ხნის განმავლობაში ცვერე მეგობარ ქალუაეს იშვიათად ხედებოდა და თავს უხერხულად გრძნობდა.

აუტანელი იყო ბადას შავი თვალების გამოხედვა: ეგონა, ეს თვალები ჩაპკირავენ, საიდუმლოს წაიკითხავენო. ებრალება კიდევ შეყვარებული ბადა, მაგრამ საკუთარი ბედნიერების მოლოდანი ყველაფერს ავიწყებს.

დიდხანს არ გასტანა ამ ბედნიერებამ. ნებიერ ფრანგს ორი კვირის შემდეგ მოსწყინდა პაემანზე სიარული. უფრო იშვიათად იხარებდა ხოლმე ცვერეს.

გაპქრა ცვერეს უღარდელი ცხოვრება.

ერეკლესი  
გაგაბაშვილი

— ქალი, ეს გოგო უნდა გავათხოვოთ, — უთხრა ერთ დღეს მალხაზმა ცოლს: — ქალი რომ ოჯახს წილს დაუბლოვდება, ცხოვრება უნდა. მრავალი საპატიო სასიძო შეძლევია. შენი ნათესავი კაცი რომ გვირავება, ის ჭკვაში მოხდის.

— რომელი, გუფუ სიჭინაა? მდიდარია, მაგრამ დროგადასული კაცია, — უპასუხებს მაია.

— არც იმდენად ხნიერია, თოლი. გუფუ კარგი შესაბენდი ყაზახაა, ნავაჭრი, დარბაისელი, მთელი ზუგდიდის და ხაბურზაყანოს კარგ კაცებთან აღებ-მიცემა უჭარავს.

— როგორც გენებოს, ისე გადასწყვიტე, მაგრამ ასაჩქარებელი დასაუცხათო გასაპალებელი არაფერი მყავს.

— მათ უფრო, კარგი რომ არის, მიტომ უნდა აღრევე დაბინაეება. რომ ვინმე გადაეკიდოს, მომტაცოს?

ამათ სასიძოს გამორჩევა აწუხებდათ, ცვერეს კი თავისი შხამი ჰკლავდა. ეანი სდუმდა. ჯვარისწერაზე არას ამბობდა.

ცვერეს გრაფისა ერიდებოდა. ისე დაბნული და გატაცებული იყო ეანის სიყვარულით, გრაფს რომ ეთხოვნა, კლდეზე გადავარდებოდა.

ფრანგი საუცხოვოდ სარგებლობდა ცვერეს ზღვა გრძნობით, ეწალებოდა, სეამდა.

გავიდა ხანი..

ეაუმა ჩვეული გულგრილობა, დაღლილობა იკრძნო. მას დაწყებული რომანის დამთავრება ესწრაფებოდა, ცვერე კი აზვირთებულ გრძნობად იქცა. ცეცხლი ეღებოდა, ჰირველი სიყვარულის ალით აწვიდა. ხან მოდუნებულ, მოთენთილი, ხან აწყვეტილ მძვინვარე ვეფხვს ჰგავდა.

ერთ მთვარიან ღამეს ფრანგმა ცვერეს გრძელი თმა ვაფშალა, ტანთ გაბდალი თმის ტალღებში გაახეია, თვალი დაიტკბო. გულის ბადე ნდომით იაქსო.

გამოთხოვებისას ქალს რამდენიმე ოქროს ფული მოვერცხლილი შემისქისით ზელში ჩაუღო.

— როგორ გამოეაჩინო, მშობლებს რა უუთხრა, ვინ მომცა მეთქი? — შეეკათხა ცვერე.

— ვითომ ბაბოვე!

ეს აზრი ქალს მოეწონა, თუმცა სიცრუეს უჩვევს ახალი სიყალბე დაუმძიძა.

დამშვიდებული სინიდისით, რომ ქალი უპატივეცემოდ არ გაუშვია, გრაფი ცხენს მოახტა და საჩქაროდ სასახლეში დაბრუნდა. ისედაც ზმირად სტოვებდა დამამობით სასახლეს, ერიდებოდა მასპინძლებს, არ გაეგოთ, ზრდილობის დარღვევად არ ჩამოერთვიათ.

მეორე დღეს ცვერე ჩვეულებისამებრ ოფუცნოლს წავიდა. ეს არავის გაჰკვირვებია. ცვერე სიხარულით შინ დაბრუნდა და დედ-მამას შემთხვევით ნაბოვნი ნიეთი და ოქრო აჩვენა.

ოჯახის ხედნიერებას ნაზღვარი არა ჰქონდა. გადაწყვიტეს არ ვაემზილათ. ალბათ, პრინცისის სასახლიდან ვინმეს დაუვარდებოდა. მათ რა

დააკლდებათ? ქალიშვილს კი გამოაწყობს. რომ გამელავნდეს, ჯერეფუხება მოჰყვებაო.

შეორე დღეს ცვირა იყო. ცვერემ ნაოლალეში წასვლა აიჩემა, კახების ყიდვა-შეყვრა ეჩქარებოდა. ეგონა, ეანი მალე წასაყვანად მოსთხოვს მის თავს დღე-მამას.

გული ოდნავ სწყდება ოფუცხოლეზე, რომელიც ყოველთვის შშობელივით უყვარდა. ეანის მეუღლედ თავს რომ წარმოიდგენდა, ბედნიერების შარაუანდელით იმოსებოდა. ყველასთვის ბედნიერებასა და ხელის შეწყობას პტიქრობდა. ოცნებით ვატაცებული სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა. კვირას მეგობარ ქალებთან ერთად ნაოლალეში წავიდა.

— ამდენი ფული ეინ მოგცა, ვოგო? — ეკითხებიან ამხანაგები.

— მამამ მომცა. ნათლიამ შარუტა.

სტყუოდა ცვერე.

გული ესერებოდა, რამდენ ტყუილად დაუჯდა ეანის სიყვარული. მაგრამ მამინვე თავს იმართლებდა: ისეთი ბედნიერება უბრალოდ ზომ არ მოიპოვებო.

აზრეშუის ორი საკაბე იყიდა. დანარჩენი ფული და ბეჭედი მეშის ქისაში უდევს, ხელში უჭირავს.

ნაოლალეში დღეს დიდი ვაჭრობაა. ხალხი ფუსფუსებს, დუქნიდან დუქანში გადადის.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა პრინცესა სალომეს ეტლი. ეტლს ცხენონები მოსდევდნენ. ეტყობა, ეინმეს აცილებდნენ.

ცვერეს გაკვირვებული თვალები ეტლს მიაჩერდნენ. გულში რაღაცამ უჩხვლიტა. ეტლში ეანი და ლუსიენი ისხდნენ. მეეტლესთან კი ეანის მსახური იჯდა. ეტლის უკანა ნაწილს მეშის ყუთები, ხეველები ამაჩვენდნენ. ეტლში მსხდომნი მოსეირნეთ არა ჰგვანდნენ. ცვერე გაუითორდა, ვაჩერდა. ხალხში შეიმალა.

ეტლი შეჩერდა. ლუსიენი და ეანი ეტლიდან ჩამოხტნენ. ცხენებიდან გამოცილებულნი დაეშენენ. ეანი ლუსიენს კოცნით გამოეთხოვა. სხვებს ხელი ჩამოართვა. ეტლი კვლავ დაიძრა: ოთხმა ბედაურმა ეანი სამეგრელოს მოსტაცა. ცვერეს საბუღარიდან გული ამოუგდო. შისთვის ახლა უკვე ცხადი იყო: გრაფი თავის ქვეყანას უბრუნდებოდა, ცვერეს არაფერს უბარებდა, მოატყუილა, შეაცდინა.

ქალი ოდნავ შედგა, ლამის დაიკვილოს. ღონემ უღალატა, ენი სასაა აეკრა. იქვე ხის ძირში ჩაიკეცა.

„შეერცხვი, რა მომელის?“

მთვრალივით დაბარბაცდა. მერე სწრაფად წამოიღვა, მეგობართ დასცილდა, გაიპარა.

მეგობრებმა დიდხანს ეძებეს, არ იცოდნენ, რა დაემართა. ცვერე კი სირბილით მიდიოდა. წყალუარდნილამდის თავი და ფეჭრი ერთად მიიგდო. ნაოლალევას შარას თვალი მიამყრო.



მარტივის მონასტერი ბორცვად გადმოჰყურებდა არემარეს, მისი ზარბის რეკვა კრიალით აბობდა ჰერს.

— დაგწყევლოს ღმერთმა, მოლაღატე! ვანა ამ კინკებისათვის შეგიყვარე?

ზიზლით ჩაარბინა რამდენიმე დღის წინად სიხარულით ჩავლილი კიბური. ბოვირს ვავიდა.

ერთს წუთს უფსკრულმა გაუღიმა, მიიწვია, მაგრამ, ჩახედა რა ბნელ გულში, ვერ გაბედა. უნდობი იყო უფსკრული, ფერადი აბრეშუმის საკაბე დაფლათა, უფსკრულს მისცა. ხოლო უფსკრულის ძირში წყალვარდნილის მოვარდნილმა ზვირთებმა მსხვერპლი გულში ჩაიხვიეს. აბრეშუმს საჩქაროდ მემის ქისა მიჰყვა ბეჭდითა და ოქროს ფულით. ისაც წყვდიადში ჩაიძირა.

ცვერე იცრემლებოდა, ბედნიერებით ნამოვნ უბედობას წყალს ატანდა. საშინელი, დამამკირებელი ნიეთები მოიშორა. იქვე კბოდნე გულმოსული ვეფხვივით მიწვა. სლოკინი აუვარდა, ცრემლები მოასკდა, — მფფოთლილი წამწამები აებურდა.

შეურაცყოფილა თავმოყვარეობა გრესად შემოეჯავკა, დაღრჩობას უბიკრებდა.

არ იცოდა, რამდენ ხანს დაჰყო ამ მდგომარეობაში. მხოლოდ ნაშინ გამოერკვა, როცა დაბრუნებული მეგობრები მიუხალოდნენ. ცვერეს უნებარი წამოსვლით გაკვირებულნი მიზეზს ჰკითხავდნენ.

— ცვერე, გოგო, გატირია, თვალები დაეხივებია, რა დაგემართა?

— გამაცივა, არ მინდოდა თვალის სერის მომეცდინეთ. ძლივს მოვაწიე, აქ ჩამოვეკე. ნაეპრი და ფული წვეარაშში გადამივარდა.

კვლავ გული აუჩუყდა. მეგობრებს შეებრალა.

— რას ტარი, მახარია, მამაშენი კიღო გიყიდის, — მიუგო ერთმა.

— შენ ბედნიერი ხარ, — დაუმატა მეორემ: — სახლი რომ დაწვა, შენი ბაბა თვალ ზევით წარბი ვაქვსო, არ გიტყვის. გულს რაზე იხეთქა!

მესამე ქალიშვილმა თავზე ხელი გადაუსვა. თანესავით ცხელმა ხორცმა ხელი მოსწვა.

— შენ მართლა ავიდა ხარ, წამოდა, სახლში წაგიყვანათ.

გოგობმა ცვერე შინ მიაცილეს. ცვერე თითქმის უგრძობლად შეეხვრა საწოლში. ქალიშვილებმა დაწვრილებით გადასცეს დედას ცვერეს ამბავი.

მალხაზი შინ არ იყო. სოფლის სამართველოში წასულიყო.

მაინა შეაწუხა ზარალმა, მაგრამ ცვერეს ჯავრით ნაკლებ იგრძნო დანაკლისი. გულში პირჯვარი გადაიწერა, მაცხოვარი ახსენა:

— ალბათ, ნაოხარი კაცს არაფერი გამოადგება, — გააფიქრა და შვილის მოვლას შეუდგა.

ცვერეს სიცხემ უმატა. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ გოგო დასიცხა, ზოგი ნაუქმურრეს აბრალებდა, წყლიდან თუ ამოჰყვა, მაენე თვალი თუ ეცა, ტაბაკონას ავსულის ნაკვალეზზე თუ გადაიარაო, — ჩურჩულებდნენ ხნაერი დედაკაცები. ქვა გამოულოცეს, სასთუმალს დაუდეს. მარჩიელთან კაცი აფრინეს. მარჩიელმა ყველაფერი სალოცავის წყრომას დააბრალა. ცვერეს

სადაბადო უშობელი მიუჩინეს შესაწირავად. მაისამ ცვერეს სიკრე სანთელი ჩამოქნა, წმინდა გიორგის ილორში ფეხშიშველად <sup>ხიზლიყოსენ</sup> წიხუდნაჲს მიბრდა.

ცვერე ბოდავდა, მაგრამ ქანის სახელი არავის გაეგებოდა, ყველასთვის **ფცნობი იყო.**

მიიწვიეს ექიმის მოადგილე, სახელგანთქმული ფიფია, რომელმაც ცვერე ძალე მოარჩინა. ახალგაზრდა ჯანმა ჯაერით გამოწვეულ ღელვას დასძლია. ფიზიკურად მომჯობინდა. არ იცოდა შერა ვისზე ეძია.

მაღხაზი შუაპაელების მიღება-გაცილებას ვერ ასდგოდა. მსუყე შემოდგომა მას საქორწინო სამზადისისათვის აქეზებდა. ეჩქარის სოფლის თვალის ვოვონას ვათხოვებას. ყველაზე მეტად სიძედ სიჭინაა მოსწონს.

ქალის წვენების დღე დაისიტყვებს. ცვერე დასთანხმდა. მისთვის სულ ერთი იყო, ვის ვიათხოვებდნენ, ოღონდ საიდუმლო არ გამოჰქადებებულა. საქმარო აჩვენეს, ცვერეს ზედაც არ შეუხებდნია.

აღტაცებული სიჭინაა ქორწილს ეჩქარება. კარგი ნივთებიც მიიტანა. დაწინდა.

საწინდარი ცვერეს ჰირად ეჩვენება. მან გულის საწინდარი ოფუცხოლის უფსკრულს მიაბარა. გულიც თან გაატანა.

რა არის ჩემი სიცოცხლე? — ეკითხება თავს, — ქვეყნას ენის ასაქაეებლად თავს არ გაეზიდი, თავი რომ მოგიკლა, ათას რამეს იტყვიან. ვიყო ასე ძაღლურად, ვიტანჯებოდე, ღირსა ვარ“.

ცვერე ტოლუბში ძვირად გამოდის. წყალვარდნილის მოგონება სწვავს. განვლილი ვზა ჰბორკავს. წყალვარდნილის მკერდს სახეს აღარ უჩვენებს.

ერთ ღამეს აუადმყოფი მეზობლის სახლში ქალ-ვაენი დამის სათვლად იკრიბებთან. ცვერეს წასვლა უმიძის. ამხანაგებმა თითქმის ძალით წაიყვანეს. შიში გაუმართლდა: ბადა იქ დახვდა. გაფათრდა, აღელდა.

— ცვერე, მართლა თხოვლები? — ეკითხება ბადა ჩურჩლით.

მის ბმამი გულწრფელი ნაღველი იგრძნო ქალმა. შედრკა, ცრემლით სავსე თვალები ვაეა მოარადა, არ აჩვენა. ერთ წუთს შესდგა, რყევამ მოიცივა: უთბრას ბადას ყველაფერი, დაავალოს ქანის სიკვდილი, დასწვან ორთავემ პრინცესა? დამცველად და მეგობრად მხოლოდ ბადა ჰყავდეს? გონს მოეგო: ქანის კვალს ვინ იპოვნის? პრინცესას რა ბრალი აქვს? ბრალეული შე თვითონ ვარ: ვის მივანდე სირცხვილ-ნამუსი, ვეს? მერე ბადამ ჩემე შერცხვენა ვაიგოს? არასოდეს. ეს საიდუმლო საფლავში უნდა ჩავიტანო. ბადა, ალბათ, თვით აღარ მომინდომებს, ჩემს ღაცემას რომ ვეტყვი. კვლავ დამცირება? არასოდეს.

ერთს წუთს ასეთი აზრიც ამეტყველდა მასში: ვეტყვი ბადას გაბიტაცოს, ამ ჩემი უბედური თავით მას მაინც გაგაბედნიერებ. შეუძლებელია, ცოდვაა, წაგას ნამდვილი სიყვარულით ვუყვარეარ. ღირსი არა ვარ, ცუდი ვარ, ფლიდა. რას ვერჩი, რად მოვატყუო? მაგის წმინდა სიყვარულს ორპირობით როგორ ვუპასუხო? ჩემი გალანძღვა არასოდეს არ მოუწოდებია, კოცნაც არ შემოუკადრებია ჩემთვის. ოჰ, ქან, დაგწყველოს სიყვარულის გამჩენმა, ღმერთმა!

ქალის დავოდილ გულსა და გონებაში მწარე ვანცლება ერთმანეთს სცვლიდნენ.

საქართველო  
განმანათლებელი

მალბანი საქორწინოდ ემზადება. აეფა გააქეთა: აკაციის მაგარ სვეტებზე ამართული, ისლითა და ჩალით დაბურული მეფე-დედოფლის დააჯდომი ადგილი ნოზით მოჰფინეს. გრძელი სკამები შემოგარსეს. საბატო მოყვრები, შესობლები მაყრად და წვეფლად დაბატოცეს.

ცვერე თანდათან დნება. „ეს გოგო ნამდვილად გათვალულია“, — ამბობს მამისა. შეავს ფიქრებით დაჩრდილულ ქალს ნათვალევის წამლებს აკუთრებს, ნეშოდან მომზადებულს.

ქორწილი გაჩაღდა. ქალის წამყვანი მაყრონი „კუნხა ბენდიერთ“, სრალბთ, ცხენების თქარუნით მოვრდა. საძე არ ჩამორჩენია სიმამრს. საბატო მაყრები გამოუგზავნია. ნზითვე ჩააბარეს, ზვიმად დასხდნენ. მჩქეფვარე ოჯალეში ყანწებიდან მოშუშპარობს, სასწელად იზადავს სტუმარ-მასპინძელთ.

შოსული მაყრები წასულად იჩქარიან, შორი გზა აქვთ გასავლელი. დვინოს არ ეძლევიან, ქალი უვნებლად უნდა ჩააბარონ საქმროს.

პატარძალს აცმევენ. შემოდგომის სივრილე საგრძნობი გახდა, — არ გაუცივდეთ. წყისსამებრ პირი ნახევრად აუხვეეს. ეხვევიან, ეფერებიან.

შეგობარი ქალიშვილები ტირიან.

თვით ცვერეს ტირილი დააეწყუდა, ცრემლები გაუშრა, გული გამოეფიტა. რა არის ჩვეულებრივი ცრემლები იმ ცეცხლთან შედარებით, რომელიც მას გულში უგზავნიან? ცრემლებს გარსავს, გარედ არ უშვებს, მას არაფერ ეფოდება. გული ბოროტებით ავსებია, გაქვებია: „სიცრუე-ორბირობას შევეჩვიე, სიამეტაკე დაჯარვე, ყველაფერი მართო გადავიტანე, ახლა თქვენი თანაგრძნობა და ცრემლები რად მინდა, რას მიშველის?“

საუკეთესო ცხენზე შესვეს პატარძალი. შავ ტალაში ფრთაშეკვეცილ არწივად გამოიფურებოდნ უღონობა მის ნადვლიან ქანდაკებას მრისხანების შატებდა. სდუშდა. კბილებს უჭერდა, რათა გულის ვარამი გარედ არ გამოჭრილიყო, მისი უდადესი საიდუმლო ქვეყნისათვის არ ემცნო. დაღებო-მაყრები ცვერეს რკალივით შემოერთყენ. იგრიალეს ფილთებმა.

ცვერე შშობელ ოფუცხოლეს მოაშორეს.

ქალის გულში ჯოჯოხეთი ენთა: „ნეტავ ლაფშამ კლდეს მიმაკლას, ტყვიამ საწუთროს გამომასალმოს. სად მივდივარ, რისთვის? რა ნამუსით, რას ველოდი, რა მოხდა? უქალობის ქალი ვყოფილვარ. რაზე იმ დღეს არ მოვიკალ თავი, როდესაც ვანი გამექცა?“

ამ ფიქრებით მოქანცული ცვერე შუა ღამისას სქმროს სოფლას ეკლესიას ვალავანში შეიყვანეს, სადაც ჯვარის საწერად განმზადებული საქმრო ელოდა.

ასწლოვანი მუხის ტოტები ნებიერად ირხეოდნენ. მიცვალებულთა ლოდებს თავი წამოეწიათ, თითქოს ცხოვრებისათვის ახლად განზადებულთ დასცინაანო. ეკლესიის თვითი ქვიტყირის კედლები გულში ცივად ეპრებოდა ცვერეს. გუმბათი ლანდად დასქდობია. უმთვარო ღამეს ვარსკვლავების სხივი არა ჰყოფინდა ვასაშუქებლად. ქალი ოდნავ ვაციპროვნებულ ტაძარში შეიყვანეს. ხატების წინ ანთებული თავლის სანთელი დნებოდა, წვეთების ნაკადი თავისსავე ტანს ევლებოდა. ამ წუთს ცვერე ყველაზე მალად სანთლად გამოყრათოდა. მისი გული სანთელივით იღვწნებოდა.

საერთოხველიდან მოძღვრის ხმა გაისმა. ხმა თავისებური საიდუმლოებით მოცული. ცვერეა წიარსულს იგი გამოძახილად აეტმასნა. **შეკრთა, დააბრბაცდა;** თავი შეიკავა, გასწორდა, ამაყად მიმოიხუდა, სამყაროს შეეჯიბრა: „მოვეკვდები, მაგრამ სქმს საიდუმლოებას არ გამცნობთ, თავს არ დაგამცირებინებთ“.

კუთხეში უღარდელი, მაყურებელი გვერდით მდგომ მეზობელს თავის აზრს უზიარებდა:

— მართლაც, მწიფე მსხალი ღორისია: რად უნდა გუდუეს ასეთი ახალგაზრდა ლამაზ ქალი? ვინ შეარჩენს? სახელი მისი იქნება, სახარავი სხვათა.

— ფული აქვს, ძმაო; — უბასუბებს შეორე, — აბა, ჩვენს ახალგაზრდობას ორ გროშადაც არაფერ იყიდის.

— ფულა რას უშველის, ასეთი ლამაზი ქალი ქირია ბნირი, კაცისთვის.

— არც ამდენად ბნირია გუდუ, — ჩაერია ლამაზაკში მესამე, — ვალახედულია, შეძლებული, ქალს კარგად დაარჩენს.

ახალგაზრდები მაინც თავიანთ აზრზე დარჩნენ, არ ემეტებოდათ პატარძალი გუდუსთვის.

ჯვარისწორის შემდეგ ლეზანილებ დაწყებული ქორწილი ზუგდიდის მახრაში გუდუს ოჯახში უნდა დამთავრებულყო. აქაც სეფა, სროლა, საქორწილო სიმღერები. პატარძალი ხელის მოშკილეთ მიჰყავთ. კარებთან უფროსი მული ეგებება: მან პური, მარილი, შაქარი, ხატი და ღომის მარცვალი შეახვედრა. ვზადაგზა დადებები ტალმას და შებურულ თავს უხსნიან, რათა შესვლისთანავე ყველამ დაინახოს მისი მშვენება. ოდნავი გალახული, განაზებული სახე გამოჩნდა: გრძელი ნაწნაევი გველებივით შეირხნენ. ღომის მარცვალი უხვად გაიბნა გუდუს ოთახებში: ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი, ცხვარი, თხა, ღორი, ყატა, ძაღლი. მხიარულად მისდევს ხელმოშკილე პატარძალს.

ცვერე სკამზე ჩამოსევს, მეზობლის პატარა ვაჟი კალთაში ჩაუგორეს. ბავშვს ზელში ჩაჭაბური მისცეს. სტუმრები ზაჭაბურს მიესიენ, დამიტკრიეს, დაიტაკეს.

წესების შესრულების შემდეგ ცვერე მისთვის გამზადებულ ოთახში წაიყვანეს. ერთ წუთს იგი გაჩაღებული ბუხრის წინ მარტო დარჩა. ვერ გეტყოდათ, რა უტრო ცხელი იყო: მასი გული თუ ბუხარი, რომელსაც პირი დაეღო, შიგ საშიში ნავეერჩხლის ალესილი კბილები ჩაეწყო, ახალ შემატებულ შეშას ნაბერწკლად ნაცრაედა, ქალს თვალეზში მუქარით უნათებდა: დაწვავ, ჩაწოტავყოველივეს. ამ ბუხარსა და შეი ვულს ჯერ ცეცხლს მოფუკადებ, შემდეგ შეუბრალებლად მივატოვებ, გავყინავთ, — ამბობდა ყოველი ნაბერწკალი.

ცვერემ ძლეული თვალეზი მადლა ასწია. კუთხეში ჯვარცმას ხატი დაინახა. ტანჯვის ბილგამ გააჰხნევა: ღმერთო, ღმერთო, მომეც ძალა პატიოსან ქალად დავჩრჩე, ჩემი სარცხვილი არაფერ გაიგოს.

ოთახი ქალეზით აივსო: ყველა ჰკოცნიდა, ეფერებოდა, ეცნობოდა. ცვერეს სინჯავდნენ, როგორც გასაყიდ საქონელს: კარგი ნავაჭრი იყო, ყველა კმაყოფილი რჩებოდა, მყიდველს არ წაეგო.

ირიქრავა. მოშყოლი მაყარი აიშალა. თავი კაცები ქმრის ნათესაეებს ცვერეს თავს აბარებდნენ, ყველა ალაპარაკდებოდა. უზოში თოლები გავარდა, ვიღამაც ქათამი მოკლა. გამარჯვებულნი მილიან მაყრები.

როდესაც გუდუს ეზო დაიკალა მომყოლი ხალხისაგან, ცვერემ კრეფილად ამოისუნთქა, სევდის ნაწილი გულს წამოეცალა: გასწვევბა: ყველაზე მე მოგონებასთან. იმ მიწა-წყალს, სადაც გაუბედურდა, ერთხელ და სამუდამოდ მოშორდა.

ცვერეს მული მიტახლოვდა, წელზე ზედი მოხვია, ოთახები შემოატარა, ბაღში გადაახედა.

— შვილო, — ეუბნება: — მამიჩემის ოჯახს გუდუს მეტი მოცილე არა ვინ ჰყავს. მე თვით შეგიწყობთ ხელს ჩემმა ძმამ გართული ცხოვრება გაატარა. ცოლია შერთვა დაუგვიანდა, კარგს ეძებდა, რადგან მისმა ბედმა შენებარ ანგულოზი მოუვლინა, არაფრის შემინია. შენ იცი და შენმა ქალობამ. ლამაზი ხარ, ახალგაზრდა. მტერი არ გაახარო, მეზობელი არ გააცინო. ჩემი ერთადერთი დამტირებელი ძმა დირსეულად დაიჭირე. მამიჩემის ოჯახის სენება არ შეარცხვინო.

ცვერე მორჩილად უსმენდა თავხალხული.

სიტყვა „ანგულოზი“ გულში ლურსმანივით ჩაერჭო: არ იცით, თქვე უბედურნო, რა ბოროტი გველი ვარ!

წარსული ცოდვა მის სინდისს ხვესად მოედვა, გულს ლოდოდ დაწვა. შფოთვის იმედით იწყნარებდა: „მომავალში ერთგული და მორჩილი ცოლი ვიქნები, თუ შენარი ახლა უსირცხვილოდ გადამარჩენს“.

— მართლაც, ბედნიერი კაცო ყოფილ გუდუ სიჭინა, — ამბობდნენ მეზობლები. ცვერე შესანიშნავი მეოჯახე და თავდაპირველი ქალი გამოდგა.

ერთი წლის შემდეგ ვაჟი შეეძინა. მართალია, ცვერემ დადი ტანჯვა გამოიარა, უხეშმა გუდუმ მისი გული ვერ გაათბო. არ ვანშორდა პირველი სიყვარულის თრთოლეაწვა.

ქანის ალერსის მოგონება ახალგაზრდა ქალის ცხოვრებას აორებდა. რაკი მისი საიდუმლოება არ გამოშვლავნდა, ყველაფერმა უსირცხვილოდ ჩაიარა. ცვერე შეეჩვია ახალ ცხოვრებას. სიყვარული, შეურაცყოფა გულში ჩაიკლა. ოჯახურ შრომას შეუდგა. სევდა მოგონებაში ჩაიძარხა.

თუ ოდესმე სევდა გულის სიღრმიდან ამოფეთქდა და ცვერეს თვალებში მწარედ ჩახედავდა, ის მაშინვე სევდას ოჯახურ მუშაობას ან პირმშო ვაჟის სინაზეს გადააფარებდა.

სწაღდა, შვილისთვის ქანი დაერქვა, მავრამ გადაიფიქრა. შურმა-მტრობამ გრძნობათა შინაშებული გამოძახილი შეაკრთო, დაჩრდილა.

ბავშვს ჯიშმერი უწოდა. გულმა უბასუსხა, შვილს განათლებით არ აღზრდის: ნასწავლი ხალხი ფლიდიაო. გონებაში ქანისა და ბაღის გრძნობა ბევრჯერ დაუკავშირა, შეაღარა ერთმანეთს. იგონებდა მის მიერ უარყოფილ ვაჟს, მოსწონდა ბაღას ფაქიზი გრძნობა, პატივით განვლილი დეღვა, სიყვარული. უფრო იმას ცდილობდა ცვერე, ყველაფერი დაევიწყა. ქმარ-შვილის ზრუნვაში აღამ-ათენებდა, ეს ზერხი ყველაზე კარგად შეელოდა ბრძოლა გეწია ჯავრ-ვარამისთვის, მორეოდა შათ.

წარსული გრძნობა ხშირად ესტუმრებოდა ცვერეს. გაახსენდებოდა განის მიერ დამსხვრეული ცხოვრება. ამ დროს ქალი კაპანძის წყნარად ალერსი ეჯავრებოდა, ღელავდა, სოგონებანი ალყად ერტყმოდნენ.

ასეთ ხასიათზე მყოფს, თავის სახლადან თუ ვინმე მოინახულებდა, უსატყვო იყო. ეწინოდა, რამე არ ეკითხნა. შეიძლება ვინმე მათგანს ეანის ამბავი მოეთხორო, ოფუცხოოს წყალგარდნილს მისი საიდუმლო გაეცა.

გამოიცვალა. აბაშის მდინარით ნაბან-ნასუქი თმა შეიღოსნობის შემდეგ შესამჩნევად დასცვივდა.

მომხიბლავია. სოფელში ბადალი არა ჰყავს, მაგრამ წარსულ ცვერეს მანაც ვერ შეეღრება. სიცოცხლით აღარ ჩქეფენ მისი თვალები. სიყვარულის ზალისთან ერთად სილამაზის იერიც გამოეცვალა.

მეზობელი ვაყები ძველებურად უთვალთვალებენ. ბევრი ცდილობდა დაახლოვებას, მაგრამ ახალგაზრდა ქალს ფაგლახად გამოლაპარაკებასიც ვერცინ უბედავდა. ისწავდა მიჰყვება, ისიც ძალდატანებით, ქმარს დღესასწაულებზე, ჯარში, მეზობლებში. თავის არსებობაში ჩაძირულს არავითარი გასართობი არ იზიდავდა.

უფერულად გარბოდნენ ცვერეს დღეები.

ერთადერთი რამ დაკმაყოფილებული ჰქონდა, — თავმოყვარეობა. მისი ამბავი არ ვახშაურდა, თავი არ მოეჭრა.



ცვერეს გათხოვების შემდეგ ბადას ინიჩირის და ლეხაის ჰაერი სუფარად უხვია. ნიავს ალერსის იმედი არ მოჰქონდა. სასიმღეროდ მოსული სიტყვები ყელში უჩრებოდა. მან ფოთს მიამწრა. იქ ნათესადგურის უბრალო მუსათ ჩაერიცხა. მოწინავე მუსების საშუალებით სოც-დემ. ორგანიზაციას დაუახლოვდა, მონის ბედი და ცხოვრების ადრესტირე დაჩავრულმა გულმა უფრო მწვავედ იგრძნო. შეგნება თავისუფლად იჭრებოდა მის არსებაში. ბაღე ბადას ფოთში საიდუმლოებით მოცულ პარტიულ საქმეებს ანდობდნენ. სამეგრელოს კომიტეტის წევრები ზედმეტ სახელად „მაჭირბოლს“ ეძახდნენ. მგზნებარე გულის ლტოლვა ბრძოლის ჩარხს მიანდო. ბადას დაკოდილი გული რევოლუციის იდეებით მართვდებოდა. ნაღვლიანი სახე სიხარულს იძენდა. სატრფიალო ლექსებს თითქოს განგებ იფრწყებნო. რევოლუციურ ლექსებსა და სიმღერებს ეწაფებოდა.

პირველ რევოლუციის დროს ბადა სადღეღვატო მატარებლით აქეთ-იქით დაქროდა. წითელ რაზმელებს აიარალებდა. სამეგრელოში თითქმის არც ერთ დიდ მითინგს არ ჩაუვლიო, რომ ბადას მქუხარე ხმას ცეცხლი არ დაერხიოს. ერთხელ ის ნაოლაღევიცა გაგზავნა კომიტეტმა. პრინციესა მიურატს და მის დამქამებს ტყვიანავით აყრიდა ბრალდებებს.

რეაქციამ რევოლუციონერებს ცუდად ჩაჰკიდა ხელი. ბადას ფოთში და სენაკის მაზრაში არ დაედგომებოდა, — ყველა იცნობდა თმახუქუქა „მერცხლის“. ის დასამალავად ზუგდიდის მაზრაში გადავიდა.

ალიზანოვის პლასტუნის ყანახთა ნაწილები სამეგრელოში დათარეშობდნენ, მცხოვრებთ იკლებდნენ. ახალ გაღვიძებულ სოფელს გულმეშარავი

ამბები სწყდებოდა: მოუკლავთ, დაუწყავთ, ქალები გაუტყუებთ, რაღაცაა. ცეცხლითა და მახელით შემოიჭრა თვითმპყრობელობა აწყვეტილ ნუჯე-თველოს დასაბამად. ცხერის ფარასავით გაფანტული ახალგაზრდობის მტკიცე შეივრდომა. შეილახა ხალხის თავმოყვარეობა, წმინდათა-წმინ და. სწავლიათ რომელიმე თავგანწირული ოჯახი თუ შეინახავდა შემჩნეულთ.

ბადა ამხანაგთან ერთად ტყიდან გამოვიდა. სოფელს უახლოვდებიან, საკეები შემოეღიათ. უნდა იმოყნონ. გაუმა ვერ მოისახრა, ვერ გაიხსენა, რომ იქ მახლობლად ცვერეს საქმრეულოა. მწარე ფიჭვებით მიუახლოვდა ბადა სოფელს.

როდესაც ბადა აეთ ყაფაში იყო, ცვერეს უფროსი ვაჟი გვიშვრი რა-ტაფელას თამაშობდა.

დედის დაძახილზე სამხარეულოში შეიბინა. აქანში ჩავრულს ერთი წლას დაიას მიუღერსა. აქანზე დაკიდებული კრილოსანი და ალის ოვალი აბგერა.

გუდუა ოჯახი მთავრობის დალატში შემჩნეული არ იყო. მოხელეები მის შეძლებულ ოჯახში ხშირად ისვენებდნენ, პატივისცემით ტკებობდნენ. ამ საღამოს გუდუ სასოფლო სამმართველოში წასულიყო საგანგებოდ გამართულ ყრილობაზე, სადაც მთავრობა სოფლისაგან რევოლუციის მოთავეებს მოითხოვდა, დაჭერით და დასჯით ემუქრებოდა ხალხს.

ცვერემ ძროხები მოსწყელა, ვახშამი დაამხდა. კვიშტარს ცეცხლი შეუწელა. ვინ იცის, ვინ ამოიყვანდა სტუმრად მისი დარბაისელი მეუღლე. ღლას სინათლეს ბნელი სჭარბობდა. ათებული ქრაქი თაროზე ედგა. ყველის ამოყვანას შეუდგა. უცნობმა ფრთხილად შემოაღო უკანა კარი.

— ვინა ხარ? მობრძანდით!

ცვერემ მორიდებით შეიპატიჟა. ერიდებოდა: სოფელში მთავრობის მოხელენი და ჯარისკაცები დაბრწიან. ცვერეს საესემით არა აქვს გარკვეული მოძრაობის მიზეზი. დაწყობილი ცხოვრების ანგრევა არ მოსწონს, რევოლუციას არ თანატყობს. მან ყურად მოჰკრა ქმრისა და მეზობელი გლეხების ლაბარაკს. ვაუგონია, რომ ასეთი ამბები წინად საფრანგეთში მომხდარა, ზელშიდგე გადაუყენებიათ. „რა სიკეთე მოვა ასეთი ხალხისაგან, სადაც ეანისთანა უსინდისი იბადებიან? არ ვარგა, ალბათ, ეს რევოლუცია“, — გბდაწყვიტა მან მტკიცედ და რევოლუციის თანაგრძნობისთვის გული დაბურა.

კარებში ქრაქისა და ცეცხლის სანათლებზე შავი ჩრდილი გასოჩნდა.

— გამარჯვება, ბატონო! — მოესმა ცვერეს.

ნაცნობი ხმა ქარივით ყურში შეიჭრა. გაკვირვებული ქალი წამოდგა, ქრაქი შეანათა, ყაბალახწაქრული, შევტანისამოსიანი, დავაქცა ცეცხლი, ოდნავ შეფრთხილი, მაგრამ ისევ კენარის ტანით ბადა იდგა, გაშრის თვალებს თვალეში უყრიდა, ცეცხლის ნაკვერჩხლებს საბნელეში აციალებდა.

— ცვერე, შემოგველე, სად მოვსულვარ?

ვერ შეიჯაჭვა თავი ალერსიანი სიტყვებისაგან.

— ბადა, მახარია.

შეჰკიელა ქალმა.

ორივენი საბტად დარჩნენ. უმაღ ბადა გამოარკვეა

— თუ სინდისი მაქვს, არ ვიცოდი, რომ შენსას შემოვედი. ბედი მჭო-

ნია — ორ ლუკმა საქმელს არ ვემსხვერპლე. ხომ არ მილატატებს, შენი ტირიმე?

— რას ამბობ, ბადა, შენს მოლატატეს ცამ და მიწამ უღალატოს! რა გვირს? ხბიდან მოსულხარ?

სკამი შიარდა.

— არა, ჩემო სიცოცხლე, დასაჯდომად არ მცალინ, მერქარება, ვარედ ბურქნარში ამბანაგები მელოდებიან. ხაკეებს დავეძებთ.

მოკლედ უამბო თავგადასავალი. საგზალი სთხოვა. ცვერე აირია. რა უშველოს? დაფრთხა კიდევ: ოქნებ ცუდუს ვინმე მთავრობის კაცი მოჰყვეს, იცნონ, დაიჭირონ, მისი თვალის წან მოჰკლან. საჩქაროდ დატრიალდა, ღომი ჩაზილა. აცნით ვოგო და ჯიშშერი ოღაში აიყვანა.

— ბაბა თუ მოვიდეს; დამიძახე, — უთხრა ბიჭს.

სუფთა ხელსახოცები ჩამოიტანა. კედლის კარადიდან შემწვარი სავახშმო ქათამი გამოიღო. კეციდან კვიშტარი არეკა, ხალამიდან ორი დიდა სულგენი ამოსწურა. ღომი დააგო. ყველსაფერს ხელსახოცებში ზევეს, საგზალს აწვადებს. ბაბა საშვარეულოს კუთხის წყვილიდს შეფარებია. ბნელ აზრებს ატუნდავებს.

ოდესღაც დაიწყოებული ვნება ყალყზე დამდგარიყო, დაუშრეტელა სურვილი დაებადა ბადას, მოხვეოდა ცვერეს, დამტკბარიყო ამ მიუჯარებელი ქალის აღერსით, დამორჩილებით. საკუთარი უბედობით ბრახმორგული მზად იყო ცვერეს ბედნიერებისათვის ხელი შეეშალა.

ცვერემ საგზალი მრამზადა. ბადას მიუაწლოვდა:

— ჰე, ძმაო, მიირთვი. ორ დღეს გეყოფათ. მერმე თავს უშველე. ჩემთან ნუ მოხვალ. მეშინია. ხბითი არ შეგეძობხვეს, — წითელი ქალღღრს თუმნიანი ბოდიშით ჯიბიდან ამოიღო:

— მეტი თან არა მაქვს, წაიღე, რამედ გამოგადგება!

ბაბამ საქმელი ჩამოართვა, სკამზე დასდვა.

— ფული არ მინდა, თუ გემოგება, ცოტა თუთუნი მითავაზე.

ბაბა უდილობდა, თუნდა იქვე მოეკლათ, რამდენიმე წუთს ცვერესთან ესუნთქა ძაერათ, მისთვის ეცქირა.

ქალი კვლავ ოღაში ავიდა, „ცხუმის“ დაჭრილი თამბაქო ჩამოუტანა.

— ლამაზაკი მესმის, ბაბა, აღბათ, ხალხი სამშობრთველოდან ბრუნდება. სადაცაა, კაცი მოვა. ჯობია, არავინ ვნახოს.

— რას მაგდებ, შე ქალო, სულ არ გეცოდები, სულ არ განსოვარ. ყველსაფერა შენი ბრალია, რაც ცხოვრება არეული დავდივარ. რას შეგაკვდევ, არ ვიცი. შენ ბედნიერი ხარ, რა გვირს? სიმიდირე გინდოდა, დმერთმა მოგცა.

ქალს გული ატრუყდა ბაბა შეებრადა.

— რა დროს მასეთი ლამაზაკია, შე უბედურო, თავი არ წააგო, ჭკუით იყავი.

— შენი სიყვარული მოკლავს, ცვერე. ნეტავ შიმშილს მოვეკალ, ტყვიას გავემირე, შენ კი არ შეგხვედრთოდა.

თავდაჯიწყებული მიუახლოვდა, ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა. ცვერეს უკვე დაიწყოებულია სიხარულის ღრუანტელმა დაუქროლა: აცანტახდა, იტოკდა. მაგრამ მოშვებულ გრძობებს მაშინვე აღვირი ამოსდო, შეაჩერა. განვლილი დამიერება ეანის სახის ანარეკლთან ერთად აესანა.



„უკეთილია ბადა, — გაუფლავა ფიქრმა, — მაგრამ მამაკაცია, გაუტანელი, გულის ამყოლი. კიდევ ლალატი, ფლიდობა შორს ჩემგან!“ *სანქსანიონისა*  
გაუმკლავდა, ბადას მკლავებიდან თავი გაინთავისუფლა.

— არ გრცხენია, ბიჭო, მე ძმასავით მიგაღე, შენ კი არ მინდობ? შენ-  
გან ამას არ მოველოდი.

ბადა ტყვიანობა ვეფხვით შეტორტმანდა, უკან დაიხია. კედელ-  
მა შეაწერა, შერცხვა. გულისთქმა გაუფუჭდა, ძარღვები გაუცივდა.

— არ გეწყინოს, საფიცარო ცვერე, ეშმაკი დამეუფლა. გფიცავ: არ  
ვნახო, არ შეგაწუხო. სიკვდილი თუ მოგვსმას, დამიტირე.

დამცხრალი გულით ცვერეს გამოემშვიდობა, მოკრძალებით მხარზე ეამ-  
ბორა, შეკრული საგზალი უკანა კარებით გაიტანა, გადაბტა, წყვიდაღს  
მიეცა.

ცვერე გამობრუნდა. ცრემლები სდიოდა. თითონაც არ ესმოდა, რწსთვის  
ტიროდა, რა აცრემლებდა. გზად გამრვლილმა აღტაცებამ გულის კარები  
გაუღო, შიგ მკაცრად შეანათა. ობიანი ნაჭუჭები სხივებით აუვსო. ვერ  
დაბინადრდა, წავიდა, უფერული ცხოვრება დაუტოვა.

ცვერეს ოჯახი მოაგონდა — უფახშმოდ დარჩენილი ქმარი, ზევით, უსი-  
ნათლო ოდაში მიტოვებული ბავშვები.

სანქაროდ ჯიმშერს ახალი ქათამბ დააკვლევინა, ვახშმის კეთება განა-  
ახლა.

გაღუ ცოლთან თავიზიანი კაცია.

— ცვერე-მაზარია, რისთვის დაავდიანე ვახშამი? დაღლილი ვარ, მოსვენ-  
ება მინდა.

— საკერავი მქონდა, ბავშვებმა ხელი შემეშალეს, — კვლავ იტრუა ცვე-  
რემ.

„უბედური ქალი ვარ, ყველაფერი ისე ეწყობა, რომ დავიტანჯო. ისევ  
ტყუილი დამჭირდა. რამ შემახფედრა ბადას? აწი მასზე ჯიერი არ მომა-  
სვენებს. გამოვტყდე: მე გავაუბედურე. ვინ იცის. კანი რომ არა, ჩვენ  
ცოლ-ქმარი ვავხდებოდით“. — ფიქრობდა ცვერე და თან ნავახშმ ქურტულს  
რეცხავდა.

ცვერეს ვაჟი ჯიმშერი რვა წლიაა. გუღუ სწორად ამოიტოლებს: ვაჟკა-  
ცი მომესწროო.

— ქალო, ჯერ ზუგდიდის გოროდის კლასი გავათავებინოთ, შემდეგ, თუ  
ნაჭიერი აღმოჩნდა, უმაღლესსადც დაემთავრებინებ.

ცვერეს ქმრის აზრი ტყუაში არ მოსიდა: გულს წინსული უსერავს. „ვიც-  
ნობ მაგ ნასწაველ ჩალხს, სინდისი არა აქეთ, შებრალება არ იციან. აღბათ,  
ჩემი შეილიც ეანივით მატყუარა იქნება. ვისზე გულს ამოგლეჯს“. ქმარს  
კი მშვიდად უბასუხებს:

— რას ჩაიცივდი, კაცო, ამ ბავშვს, რა გყავს ჯერ სასწავლა? ბავშვი  
სუსტია, სხვას ვერ ვენდობი. მაგ ერთისთვის ოჯახს ზომ ვერ მივატოვებ?

იყოს, წამოიზრდება, ხელის მოწერას ისწავლის. ქონება დარჩებოქმე სწავლაში რა ყრია?

— რას ამბობ, ქალო, უსწავლელი ჩემი თავი მძულს, მომავალში მთლად ფუქე იქნება, საამხანაგოში ყრულ დარჩება. ვაიზრდება, სულს შეგვაგინებს.

— ქონება თუ აქვს კაცს, ყველგან წელგამართულია, — უბაძუხა წყნარად ცვერემ.

— აი ვიდი, ნეტა ჩემთვის ესწავლებიათ და ერთ ქცევა მიწაც არ დამჩენოდა. ათაჯგერ სირცხვილის ოფლი. მომიწმუნდია, საბოდრაჩიკო საქმეებზე რომ ხელი მქონა მოსაწერი.

გუდუმ თავისი აზრი განახორციელა.

შვილს ჯერ ზუგდიდის საქალაქო სკოლა დაამთავრებინა, შემდეგ ტფილისის ტექნიკურ სასწავლებელში შეიყვანა.

ცვერემ აქაც წააგო ბრძოლა.

არაფერი გაუვიდა. ჰკუაში ჩავარდნილ ჯიმშერსაც ნიჭი ხელს უწყობდა. სწავლის სურვილი ერეოდა. საშუალო სწავლის მიღების შემდეგ ინჟინრობის აზრი იტაცებდა. უყვარდა ტექნიკა, გულდასმით მუშაობდა. დედას მასავით წამოეწია. სიმალლით გაუსწრო კიდევ. სახით ცვერეს დაემსგავსა. დედა ამყობს შვალით. თავის მხრივ ნასწავლი ვაგი მოხიბლულია დედის ხასიათის სიმტკიცით, გარეგნობით. დედის ძუძუთი ვაზრდილი ჯიმშერი სტუდენტი იყო უკვე, როცა დედას ლოგინში შეუხტებოდა ხოლმე:

— ნანა, ჩემი ხალიანა ძუძუ მომეცი.

— თავი დამანებე, ბიჭო, მალე ცოლი უნდა მოგიყვანო, შენ კი ბავშვობა დადღალი ვარ, ნუ შაწვალე.

— ეისი შრალია, სულ მუშაობ, ზევრ ამჩნევ როგორ გამოიცვალე? წინანდულად ლამაზი აღარ ხარ, თეთრიც ბლომად გაგრეცია.

ჯიმშერს მამის მოკრძალება სდევდა. დედას მეგობრობდა. ცვერე დრომ მოტეხა, პირადი უბედურების გამო ქმარ-შვილს ხელს არ უშლიდა. ნებას დაჰყვა, უმცროსი ქალაშვილიც სწავლობდა. თვით კი ხანშიშესულ ქმარს მეშველად ედგა. შრომობდა, გასართობად არ სცალოდა, ოჯახს იშვიათად სტოვებდა, დედ-მამას იშვიათად ესტუმრებოდა. მხოლოდ სატირალს აუცილებლად ეწვევოდა. მოთქმა-ტარილი ეხერხებოდა. როდესაც ცვერე სატირალში მივიდოდა, კარგი მომთქმელის საპატაოდ ზარს შეაჩერებდნენ. ხალხში ჩურჩულა ისმოდა: ცვერე ბაჩილაზე მოდის. დაიბერა გუდუმ ეს ქალიო.

ცვერეს გრძელ წამწამებს ცრემლი ამდიდრებდა. ის თავის სევდას ტირილს აყოლებდა. ტირილს შემდეგ რამდენიმე დღით გულა დამჩატებული ჰქონდა. ჩუმად, მარტო მგლოვობდა პირველი სიყვარულის დამსხვრევას. მის მოგონებას ყოველთვის ბადა ახლდა თანამგზავრად. მოკრძალები-სათვის მადლობით სავსე გული მას სხეებში არჩევდა. მამის ოჯახიდან

მოსტლებს ყოველთვის ეკითხებოდა ბადას ამბავს, — სად არის ან უკოლი თუ შეირთო.

— რომელი ცოლი, სადღაც გადაეარდა. ერთ ხანს ეძებდნენ, იგი სახლს არ დაბრუნებია, — უპასუხა ერთხელ მისმა ძმამ ბესამ. — ამბობენ თავის დას ეკას წერილი და სურათი გამრუგზანა, ბაქოში არისო. მაგრამ სანამ პრინციესა ჩვენს კეთხეშა, ბადა ვერ დაბრუნდებო, ერთობის დროს დიდი დანაშაულები მაუძღვისო.



1914 წელია. მსოფლიო ომი მსხვერპლს მოითხოვს.

სოფლები ომში გაწვევულებით ზნეობენ. შემოდგომის მოსავალი ბევრს შემოკლებული დარჩა. ცხოვრება გაძვირდა. გუდუს მსგავსი მყდის ერთგულნიც ორგულაბენ: ნიკოლოზი არ ვარგა, ჩხუბი დამღუპველიაო, — იჭრება მათ შეგნებაში.

— არ ვიცი, როგორ წავა ქვეყნის საქმე, თუ ცხოვრება ასე გაძვირდა, — სთქვა ერთხელ გულემ.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, მალე გოგო ვასათხოვრად მოვეწვწვრება, პატრონობა უნდა, — უპასუხა ცვერემ.

— გოგოს გათხოვება რას მერქარება, ძმას ეუზრდი, მან უპატრონოს.

ჩამავალი მზე გუდუს დარბაზს უკანასკნელ სხივებსა სტყორცნის. ღრუბლებს შუა წითელი მზე გველემავივით გაწოწილა, სხივის სტეტებს ჯვარის მთის გრეხილს აბჯენს. კითა წყალში გაშლილი თმით საბანაოდ ეშვება. უახლოვდებიან შავი ღრუბლის სალტეები. მზე-გველემავი იმალება, ღრუბლებს მოწყვეტილი სხივები ბურუსში ითქვიფებიან. დასავლეთით შავი, მწვარი იშლება და ოდნავ ეფინება გუდუს სახლს.

— ლაბარაკს შევრჩი, შემომღამებია, — ამბობს ცვერე და ოჯახის საქმეს უბრუნდება.

გულუ და ბავშვებიც შევილიან.

ჭიშკარი გაიღო, ცვერეს საიღში ცხენოსანი შევიდა. არ მოიტანა კარგი ამბავი სტუმარმა: ცვერეს ჯერ კადევ ყოჩალი მამა მალხაზი მომყვადარიყო. სტუმარს საწვევი ბარათი მოჰქონდა. ოჯახში საშინელი ამბავი დატრიალდა: ცვერე ჰკიოდა, შევერცხლილ თმას იგლეჯდა, საცოდავი ზნით მოსთქვამდა. გულუ ცოლს ბანს აძლევდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა, ოჯახი ძილს მიეცა. მხოლოდ ცვერეს დარდაყრილი გული ჰკენისს. ტყეში უპატრონოდ, უმეგობროდ დაჭრილი ნადირის ბორგვას ეხმაურება.

დილიდანვე იწყებს გულუ მზადებას: იკერებენ შავებს, იწვევენ მოზარეებს. ორი დიდი სანთელი ზუგდიდიდან მოიტანა. ცხენოსნებით დამშვენებულ ცოლს — მის სატირლად მიჰყვება. პატივმოყვარე კაციმ, სავადროსად უნდა ესტუმროს მოყვრებს.

ცვერეს და მისი მომყოლი ღედაკაცების კვილი ლებაჩის მინდორ-ვილს ეღება. ოფუცხლის წყალუარდნილს ცვერეს ოფესღაც ნაცნობი ზმა აღწევს.

სენობს კიდევ თუ არა ადამიანისათვის უსიტყუო, მუდამ მოღუღლუნე წყალვარდნილი თავის ხავერდოვან მოლზე ეხნის მკერდზე, ცრემლებად მძვინვარეობს ცვერეს? ებრალება თუ აჩქარებისათვის ნიშნს უგებენ?

ცვერემ მამა დაიტირა, გული მოიჯერა, დაღლილი კუბოსთან ჩამოჯდა, ისვენებს. არემარეს ათვალეობს. მასთან ხანშიშესული შავადმოსილი ქალი მივიდა, მამა მიტრია, მერმე თავის გაჭირვებას მოჰყვამ: ქვეყანაზე ერთი ძმის მეტი არა გამაჩნდა რა. ისიც არ ვიცი, ცოცხალი მყავს თუ მკვდარი.

ცვერემ იცნო ბადას და ეკა.

— რატომ მოთქვამ, შე ქალო, იქნებ ღმერთმა გაღირსა და ცოცხალი მყავს?

— ხმა დადის, ომში ბევრი ხალხი გაწყდაო, ცოცხალი აღარ მეგულებოდა დიდა, სიზმრები მჭამა, ერთი წელია წერილი არ მიმიღია.

— ნუ შეშინდები, ეკა, ასე ღმერთი როგორ მოგიძულებს.

თითონ კი გულში მოტულოდნელმა შიშმა მოთქმისა და ტირილის სტრვილი უფრო გაუტოველა. მიგონებანიც წამოიჭრნენ. გაახსენდა უკანასკნელი საიდუმლო შეხვედრა. მე დაედუბე, მე: პატიოსანა გრძნობა უგულო ეხნის ვარგუნე, ის კი უკუვაგდე. მწარე აზრებმა უცბინეს, გულს მღვრიე ფიჭვები უსერავენ, ლამაზ სახეს — ცრემლის ზოლები.



როდესაც საბაჩელოში ორი ქალო ბადას გამო ცრემლებს აფრქვევდა, თვით ბადა ომში იყო გერმანიის ფრონტზე, უბრალო ჯარისკაცად. რევოლუციური ცეცხლით ანთებული ბადა არალეგალურ ფერტლებს ავრტუნებდა, სანგრებიდან სანგრებში დაძვრებოდა. ყოველი წუთი სიკვდილსიცოცხლის საკითხად იდგა.

ბადას ბევრი რამ გადახდა. რეაქციის დროს ბაქოს მიაშურა. ეს სწორედ ის ხანა იყო, როცა რევოლუციის დამარცხები: გულგატეხილი ზოგი პარტიული მუშაკი არალეგალური მუშაობის წინაღობევი იყო. მაგრამ იყვნენ ნამდვილი რევოლუციონერებიც, რომელნიც მუშაობას თავს არ ანებებდნენ და გადარჩენილ ორგანიზაციებს თვლის ჩინივით უვლიდნენ და ამბარებდნენ. ბადა ამ უკანასკნელთა რიგებში მოხვდა. ბაქოში ბოლშევიკურ ორგანიზაციაში განვლილი რვა წელი მისთვის მთელი სკოლა იყო, სკოლა ბოლშევიკური სიტყვის და საქმის გაგებისა და შესრულების.

ბადას ბაქოში ჩასვლისთანავე გაუჩნდნენ მფარველები და მეგობრები: როგორც ბაქოს ბოლშევიკურ კომპარტიის, ისე კერძო ამხანაგების სახით. კინც ბადას თავგადასავალი გაიგებდა, გულთბილად და ნდობით ეკიდებოდა.

ბადა თეორიულად მოუშაადებელი იყო, მაგრამ რწმენით მტკიცე. დაუცხრომელი და გულწრფელი პარტიული მუშაობის გარდა, ის გატაცებით დაეწაფა წიგნებს. ხშირად არალეგალურ სტამბაშიც მუშაობდა. მთელი ენერჯია თვითგანვითარების და პრაქტიკულ მუშაობას მოახმარა. მრაველი დავალებით დატვირთულს მას ხშირად ნახავდით ბალახანა-სურახანის მუ-

შთა შორის, ერთ დროს მზურღავ მუშად მოეწყო ნაეთის, საწარმოში, ერთ-  
შიაჲ გადასულა და დაბრუნებულა ფრიად საშიში დავალებზედა. ერთ-  
ვი იყო, გრძნობა-ქარბი, თითქოს მუდამ თავგანწირვას ეძებდა.

ზაღა ეერც ფრონტზე ისვენებდა და ჯარის ნაწილებში ფრთხილად და  
გონიერად მუშაობდა. სანგრებში მოწყობილ კრებებზე ქართულს და რუ-  
სულ ენაზე თავისუფლად აწარმოებდა აგიტაცი-პროპაგანდას.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ სოფელი მენშევიკების მთავრობას  
უნდოდ უყურებდა, კიდევ რაღაცას მოელოდა. გულუს შემღებულ ოჯახში  
ამ გარდატეხით ბევრი არაფერი შეცვლილა, პირიქით, მას პატივი მოეპატა,  
ბშირად იბარებდნენ კრებებზე და საქარო საქმეებს ავალუბდნენ.

ჯიმშერი თბილისის ტეხნიკურ სასწავლებელში სწავლობდა. გულუ ხში-  
რად დადიოდა შვილთან თბილისში. მცირე სავაქრო საქმეებსაც აკეთებდა.

1918 წლის თებერვალს უკანასკნელად მოინახულა შვილი და დაბრუნდა.  
გზაში გაცივდა და ანთებით-აყად გახდა. ორი კვირა იავადმყოფა. ცეკრე  
არაფერს აკლებდა: ფერშალი, ექიმი, წამალი. ვერაფერზე უშველა. ჩქარა  
გულუს ოჯახში მოთქმა გაიშა: ცეკრე გულწრფელად დასტიროდა ქმარს.  
მართალია, გულუ ცეკრეს გატაცებით არ უყვარდა, მაგრამ პატივისცემას,  
ჩვეულებას, სიხალისს თავის ნაყოფი გამოელო.

ქმრისადმი სიბრალული ქალმა ეხლა უფრო მწვავედ იგრძნო. ხომ ყო-  
ველთვის დამნაშავედ გრძნობდა თავს, მაგრამ ცოცხალი ისე არ ებრალე-  
ბოდა. როდესაც ეს საქმიანი თავმოყვარე მამაკაცი მისთვის უნიშარი გახ-  
და, სიბრალულით, სინანულით აევსო გული.

ღამით, როდესაც მიცვალებულის დამისმთვევლთ წაეძინებოდათ ან პეო-  
რი ოთახში ლაპარაკით ერთობოდნენ, ცეკრე ფეხაკრებით შედიოდა ქმარ-  
თან, კუბოში ჩასვენებულს წინ იბოქებდა და ქვითინით ეჩურჩულებოდა:  
მომიტყვე, შემინდე, გულუ! განგებამ ხომ იცის, შენი ღალატა გულში არ  
მდებია. როცა ღმერთი სააქიოს მოსულას მადირსებს, კარგი გულით მი-  
ნიღე.

მორწმუნე ქალს ეშინოდა, განვლილი ცოდეა უზენაესსა და ქმარს მის-  
თვის საიქიოს არ მოეკითხა. ჭირი უფალა, მეგრულის წესით, ყოველ მო-  
ტირალს მოთქმით უხედებოდა, ოჯახს თავდარიგს აძლევდა.

გულუს მტერ-მოყვარეს ცეკრე პატივით ღებულობდა. სასწავლი ვაჟი  
დააბარა. ამშვიდებს, ეალერსება ერთად-ერთ იმედს.

— არ შემიწუხდე, დედა შემოგველოს!

ვრძელ მკლავებს ტანზე ჰხვევს, რაც „ქირის წაღებას“, თავზე შემოვ-  
ლებას“ ნიშნავს.

ყველაფერი მოითავა. ქმარი დაასაფლავა, შვილი ტფილისში გაისტუმრა.  
თვით ოჯახის გამაჯრებას შეუდგა: ქმრის სიკვდილი ოჯახს არ უნდა დაამ-  
ჩნიოს, მტერა არ უნდა გააციუნოს, შვილი უნდა მოასწროს.

1920 წელს ჯიმშერი თბილისში სწავლობდა. უმაღლესი სასწავლებლის მეორე კურსის მსმენელი იყო. ფრანგული ენის სწავლას ეწეებოდა. საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნებობდა. ტენიისზე უდმიწვევით შესწავლა ეწადა.

მის მეზობლად ხანშიშესული ცოლ-შვილიანი ფრანგი ცხოვრობდა. საელჩოში მუშაობდა. ფრანგის ვაჟი ეორჟი და ჯიმშერი ერთმანეთს უახლოვდებიან. ეორჟი თავის დედ-მამას აცნობს. ჯიმშერი სიამოვნებით დადის ამ ოჯახში, მათთან საუბარი ფრანგულის შესწავლასაც ხელს უწყობს.

ჯიმშერის გარეგნობა ფრანგებს ხიბლავს. ლამაზი ხალხია ქართველები, განსაკუთრებით მამაკაცები, — ამბობს ფრანგი. ჯიმშერის ამოღობილ ტანს სათვალეებიდან შეჰყურებს.

ჯიმშერს ზშირად აგონდება დედა. მას დედა ხომ განსაკუთრებით მოსწონს. პატარაობისას ის გეტყობდა: ჩემს ნანას ვერცხლის თვლები აქვს და ოქროს თმაო. ეს აზრი დაეფაცება დიდად როდი შესცვალა. ზშირად ფიქრობს ჯიმშერი, უყვირდება დედის თვისებებს, ცხოვრებას. დედას პიროვნება მისთვის ამოცანაა: კეთილი და ცივი გულისაა, გამოუთქმელი სევდით მოცული, მელამ გულჩახვეული. თავგანწირვით მშრომელი. უყვირს კიდევ. ასე შემგული და ახალგაზრდა ქალი მის მოწუც მამას ერთგულად რთვორ შერჩა. იგონებს დედის ახალგაზრდობას: 10-12 წლას წინად დედა სრულიად ახალგაზრდა იყო. ის მაშინაც ასე მოწყვნილი დადიოდა, შრომობდა. როგორც დედა გატაცებით უყვარს. შრომა-ერთგულებისათვის დიდად აფასებს. სპეტაკი, ზნეობისთვის მზად არის მის წინაშე ილოცოს დაეფაცებულმა, ცხოვრების სიდუხჭირის მცოდნე ჰაბუქმა.

წყაზარი გარეგნობა თვით ჯიმშერსაც ხელს უწყობდა კვლევს ქალთა შორის ნღობა და ყურადღება მოეხეება. ბევრს იცნობდა: მოსწონდათ, უყვარდათ. 21 წლის ვაჟის იდეალი, დედის სიმტკიცე-სისპეტაკემ გაამძაფრა. საბოლოოდ ვერცინ იზიდავდა.

ჯიმშერის უსაზღვრო სურვილი იყო, დედა თბილისში ჩამოეყვანა, თავის მეგობრებისთვის ვაეცნო. მაგრამ ცვირე უარზე იდგა, თითქოს ემინოდა, თბილისში ჯანი ან მისებრა ვინმე არ ენახა.

— არ მინდა, შვალო, ქალაქში, ხარჯი დამჭირდება, ოთახში მარტომ უსაქმოდ რა ფაეოთო? როცა, სწავლას ვაათავებ, როცა ცოლს შეირთავ, მაშინ ვეწვევი.

ქმრის სიკვდილის შემდეგ დასაყრდნობ იმედად დარჩენილ ვაჟს სააღერსოდ გული დაუძახებდა ხანდახან.

ჩვეულებად ქვეული გულთავობა მაინც ვერ დაეძლია. მძიმე წარსული მაინც ლოდვიით აწვა.

ერთ საღამოს ფრანგმა ხელოვნების ძველი ძურნალები გადმოაწყო. სურათებს ათვალეირებდა.

ჯიმშერმა რვეული გადაფურცლა. უჩვეულო სურათს წააწყდა. გაოცდა. დააკვირდა, თვლები გაუფართოვდა, გააღიმა:



— ცვერე ნანა! — ანგარიშში უცემლად წამოიძახა.

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა დიასახლისი.

— საოცრებაა, ქალბატონო! ასეთი მსგავსება წარმოუდგეხელია. ეს ხალი მკერდის წინამოხე. სწრაფად მოაგონდა დედის მკერდი, ხალით შემკობილი, ბრძოლა ბავშვობისას უმცროს დასთან მიწინაინი ქუჩისთვის.

შემდეგ დიასახლისს მალაუბრუნდა:

— დედა რომ გართული ქალი ყოფილიყო ან ქალაქებში ეცხოვრა, ცუდი ენები უზნეო ქალად დასახედნენ: ეს სურათი მისი ეგონებოდათ.

„ამაგალითო მსგავსებაა“, — ჰფიქრობს თავისთვის. ესაა მოგონა სურათის ნახვა. თან მეტოქე გაუჩნდა დედის გარეგნობის მის გულში.

— არ შეიძლება, პატივცემულო ბატონო, ეს რვეული დამითმობ?

ზრდილობიანმა ფრანგმა გაკვირვებით შეხვდა:

— რამ გაკიტაციათ, ყმაწვილო?

— აი ამ სურათმა.

ფრანგს სურათი აჩვენა.

— დიახ, მშვენიერი სურათია, მაგრამ დღესაც არ ვიცი, რომელი ერის სინამდვილედან ამოიღო ჩემმა მეგობარმა ეს სურათი.

— განა იცით, ფინ დანატა?

— როგორ არა, ჩემო კარგო. ერთი მეგობარი მხატვარი მყავდა, ეანი... ხშირად მოგზაურობდა. მგონი, საქართველოშიც ყოფილა. ავადმყოფი ცაცი იყო, ნერვები აწუხებდნენ. როდესაც მოკვდა, მის სახელოსნოში მრავალი ნაწარმოები ენახეთ. სხვათა შორის, ეს სურათიც. ამ ნახატებს შემდეგ ეტრნალეზში ვათავსებდით. სურათს თარიღი არ აღმოაჩნდა. მხოლოდ იმ დახედვით კუთხეში პაწია ასობით „ეანი“ აწერიან. მართლაც, ქაეროვანი ქალია.

— დამითმეთ, თუ თქვენს კრებულს დიდად არ დააკლდება, — მეორედ სთხოვა ჯიშერმა.

ფრანგმა სიამოვნებით დაუთმო.

ჯიშერი ზაფხულის არდადეგებზე სოფელში წასასვლელად ემზადებოდა. უნდოდა, ეს სურათი თან წაეღო დედისთვის საჩვენებლად.

ცვერეც სიხარულით მოელოდა შეილს. ისედაც დალაგებული ოჯახი ახლა უფრო სუფთად და კოხტად გამოიყურებოდა. სულ ჭიშკრისაკენ ჰქონდა თვალი.

შეილის მოლოდინში იყო, როცა თავისი ძმა ბესა ესტუმრა. ჩვეულებრივი მისალმებას შემდეგ ბესა ქვეყნის ამბებს მოჰყვა.

— ცვერე, დადა, დიდი ამბები ხდება, მალე ეს შენსეიკების მთავრობაც ისე გაქრება, როგორც ნიკოიასა.

— რითი იცი, ჯიშავე, თუ კიდევ არეულობა მოდის, არ ყოფილა ჩემი საშველი ამ ბაჭის ვაფრი მაქვს, როდის ველირსები მის ჩამოსვლას და სწავლის გათავებას.

— რომ ჩამოვიდეს, ერთი ჩვენც გვინახულოს.

— არა, შენი ჭირიმე, მეშინია, ამ არეულ დროში ისეც თავისი სოფელი შეინახავს. რა ვიცი, იქნებ კომუნისტია და ხადმე დაიჭიროს.

— ჩვენსკენ არაფერია საშიში, კარგი კაცი ხელმძღვანელობს აჯანყებულ გლეხებს. უი თლად დამავიწყდა მეთქვა, ბადა წაწორია ცოცხალი ყოფილა.

ცევრემ ერთი კი შეჰკვივლა, როგორ ბეჩაო და სიხარულსაგანსა დადიებოდა.

— ლომივით ვაეკაცი დამდგარა, თურმე კომუნისტების პარტიას მაგა დაუნიშნავს სამეგრელო-ლეჩხუმის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთ ორგანიზატორად.

— რა გასაოცარ ამბავს მეუბნები, კაცო! — იძახოდა ცევრე. სიხარულსა და გაკვირვებას ველარ მალავდა.

ოთახში უხერხულად დაბორილებდა. თან გულსა და გონებაში ახლო აზრი შეეჭრა: პატიოსანი ბადა ხომ ცუდ რამეში მონაწილეობას არ მიიღებს, ეს კომუნისტობა, ალბათ, სანიდისიერი საქმეა; გლეხთა გამოსვლებსავე ოდნავ მიიშართა მისი თანაგრძნობა. ცხოვრების არევისა მაინც ეშინოდა, მაინც ჯერ გარკვეულიყო, რა უნდა ახლა ხალხს? ნიკოლოზი ხომ ჩამოგდებულია, სოფელში მამასახლისი და ბოქაული აღარ არის. მამ რისთვისაა ამდენი ლეღვა და იარაღის ჩხრიალი?

ჯიმშერი ორი თვით ჩავიდა. ცევრე სახარულით ჟუბზე ძლივსა დგას-თავს ევლებოდა.

ბარჯი გაბანეს, ჯიმშერმა წიგნები ამოალავა. დედას და დას ეძახის.

— მოდი, რა სამავალითო ქალი გიჩვენოთ! აბა ვისა ჰგავს, თუ მიზევლებით? — სთქვა და რვეული გადაშალა. ცევრემ დახედა, კინა ამ შეჰკავლა. თავს ძალა დაატანა, ვაქვავდა.

გულუბრყვილო შეილები სურათს სინჯავდნენ

— დედა, სრულიად შენა გგავს ეს სურათი, დაუკვირდი, ახალგაზრდობისას შენ უთუოდ ასეთი იქნებოდი.

ცევრე მორჩილად დგას, ელას, თუ რა ამბავი იცის დაეკაცებულმა შეიღმა დედის შესახებ.

— მაგისტანა რავა ვიქნებოდი? — ყრუდ ამბობს ის.

— დედა, შენი ხალიანი ძუძუ, მე რომ მიყვარს, სად დაუხატავს ფრანგ მხატვარს? ზელი საალერსით დედის მკერდასავე გასწია.

— არა გრცხენია, ბიჭო, მაგოდენა ყაზახი ბავშვივით ძუძუზე ზელს მიპოტინებ, — მოფერებით შეუწყრა დედა, თან გათამამდა, იმედი მიეცა, შველა კეთილად განწყობილ თვალბში საიდუმლოს ცოდნა ვერ ამოიკითხა.

ლონე მოიკრიბა, სურათს დაკვირვებით დახედა: ოფუცხოლეს მიდამო. თვით წელამდე წყალშია. დიდი ნაწიანები მდინარეს ეფიანებან. მათ დაქერას ედილობს. მკედრებით ამდგარი ახალგაზრდობა წინ მიეგება ცევრეს. გაფითრდა, ჰკუთხს შერყვივისა შეეშინდა. „ობერო ჩემო თავო!“

იქვე ლოგინზე გარინდებული წამოწვა. წარსულის მოგონებამ ფრთა გაშალა. არ იცის, როგორ მოიგერიოს შავ ფრინველთა გუნდი: საშიში ნისკარტები მოუმარჯვებიათ, დაფლეთას ემუქრებიან.

ჯიმშერი უმცროს დას რვეულსა და წიგნებს უფურცლავს, სურათებს უჩვენებს, უცნობ ადგალებს უხსნას. უღარდელი ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ ცხოვრების ბასრი კლანჭები არ მიჰკარებიათ, საამურად ბასობენ. მხოლოდ გარინდებულ ცევრეს არ შესწევს ადგომის ძალა, სხეული



ნაცემივით სტკივია. სულსთქმა ეხუთვის. თვალის გახელა უნდა, ამ წესს ვეფელაზე მწვავე ის შეგნებაა, რომ თვალი უნდა გაახილოს, შეგნება იქნება ში ჩახედოს, ცხოვრება უნდა განაგრძოს.

დედას შეილმა ფიქრი გააწყვეტანა:

— დედა, ძალიან არეულობაა სოფლად, აშკარაა, მენშევიეები მალე დამარცხდებიან და ჩვენშიაც მუსურ-გლეხური მთავრობა იქნება.

— არეულობა კი არის, შეილო, სულ კრებებს აწყობენ, ეშხადებაან, მალე უნდა დავამხოთო ეს მთავრობაო.

— კარგიც იქნება. თბილისის მუსები და ახალგაზრდობა მომზადებულნი არიან ახალი ხელისუფლებას დასამყარებლად, მხოლოდ მომენტს ელოდებიან.

— შენ რომელი მთავრობა გირჩევნია, შეილო?

— რა თქმა უნდა, მომავალი, მუსური, დედა. ჩვენი მთავრობა ხომ მუსური არ არის, ეს ბურჟუაზიულია. მე კი მწამს, მდიდრებისა და მუსუხორების მთავრობა უნდა დავეცეს. ის გარყვნილების ბუდეა, შენც ხომ ხიდავ, ჩემო ცვერე-ნანა, რამდენ ბოროტებას ჩაღიან ბურჟუაზიული ქვეყნების შემოსული ჯარი და მისი ხელმძღვანელება? ღამის ხალხის ზნე და თემოყვარება ფეხით გასთელონ.

— მე რა ვიცი, შეილო, მე მხოლოდ შენი კეთილდღეობისათვის ვფიქრობ. ნუთუ მდიდრები მიტომ ჩნდებიან ქვეყანაზე, რომ საწყალნი და უმწიფონი ფეხით სთელონ, შეილო? მაშ, რატომ მოსწონდათ ძველ დროში ის დიდკაცობა?

— ის მოწონება ძალით იყო, ცვერე-ნანა. შიშით გიყვარდათ თქვენ დიდ-კაცები.



გავიდა ხანი. ჯიმშერმა საინჟინრო ინსტიტუტი დაამთავრა, ტფილისში დარჩა, მაგრამ დედას ხშირად ნახულობდა, დახმარებას უწევდა.

— მოესწრო ოჯახს, მისი ჭირიშვილი! — ეუბნებოდა მეზობლებს წელში გამართული ცვერე.



საბჭოთა ხელისუფლებამ აღორძინების გზაზე დააყენა საქართველო. ქვეყანა განახლდა, მრავალ ახალ წარმატებას მიიღწია მან და სხვათა შორის აბჟესის მშენებლობაც დაიწყო. მთავარ ინჟინრად დანიშნულმა ჯიმშერმა დედასთან შეიარა.

ცვერე შეილს სიზარულით შეეგება. ხალხიანი სიცოცხლით სავსე ჯიმშერი დედას გულში ჩაეკონა.

— შემდური, დედა, ნახვა რომ დავაგვიანე? მიწყრები განა? კიდევ არ მოგწონს ქვეყანა? ცვერემ მზიარულ სახეზე წაიკითხა, რომ მათი აზრთა წინააღმდეგობა ჯიმშერს შეაწუხებდა.

— ქვეყანას რას დავსდევ, შვილო, შენ მყავდე კარგად. მე ქვეყნიერების დიდი ხანია მოვკვდი. მხოლოდ სიკვდილი ეცლიათ ჩემს ნაშნამ!

— ნანა, რაება ამბობ? სამწუხარო რა გვირს? თლონდ ქვეყნიერებაში წიოს, დაწყებული საქმეები დათავდეს, ქვეყანა წელში გაიმართოს...

— კარგი, შვილო, სულ ქვეყნის ამბავში ნუ ხარ, ერთი შენს თავზედაც მითხარი რამე. არც ცოლი, არც შვილი, სანამღი უნდა იშრომო ასე ვაუხარებლად. ღმერთმა ნუ იცის ამ ნასწავლი ხალხის ამბავი, ქვეყანა სულ თქვენი შიზენით აირია.

— ნანა, აზრები კიდევ არ გამოგიცვლია? შენ კარჩაკეტილ ცხოვრებას რომ არ ეწეოდე, საზოგადოებას რომ უახლოვდებოდე, მაგვარად არ იმსჯელებდი.

— რა ვიმსჯელო, ბიჭო, რამდენი კაცი ხართ. იმდენი სხვადასხვა აზრი გაქეთ. სჯობია საქმელს მოგიტან. ქვეყანას ჩვენ ვერ მოვლევთ!

თითქოს უკმაყოფილომ, გულჩახეულმა გასილა დააბირა. შვილმა ხელი გადახვია, შეაჩერა.

— არ შშია, ნანა. ზუგდიდში ვისაუბრე. ნუ ცხარობ, დაჯექი, მომისმინე. კი მინდა აბქესში ვადმოვიდე სამსახურში. შენც თან წაგიყვან, ბებია მაისას სიხარულს ხომ საზღვარი არ ექნება. თბილისზე უფრო შენ იქ შენიანებში ისიამოვნებ. მე მგონი, დედა, ამაში შენთვის საწყენი არაფერი იქნება. მეც მიჩრუვნია ჩემი ცვერე-ნანა ჩემს ახლოს მყავდეს, — და ალერსით ხელი ვაუწოდა.

ცვერეს შიშის ერუანტელმა დაუარა. მან იცის, რომ აბქესი ახლა ძველ ოფუცხოლეს ჰქვია. ისიც იცის, რომ იქ რაღაც დიდი სადგური ააშენეს, რომ იქაური სინათლე ზუგდიდსა და ფოთში მიიყვანეს. მაგრამ თუ მის სალოცავ ჯიმშერს ამ ადგილთან რაიმე კავშირი ექნებოდა, ვერ წარმოედგინა.

— მერე, შვილო, შენ იქ რა უნდა გააკეთო, იქ შენი საკადრისი რა იქნება ოფუცხოლეში? განა იმიტომ გადაგყევი, რომ სადღაც ტყეში დამალო შენი სწაელა? რა გაკეთდა იმ ოფუცხოლეში?

— დედა, როგორ არ იცი? ამ დროს განმაცლობაში ბებია არ გინახავს? ლუბანეს არ ყოფილხარ?

— ვეყავი ერთი დამით მხოლოდ. ვარედაც არ გამოხედავს, ვალმომცეს კი, რაღაცას აშენებენო, მაგრამ შენ მისთვის გადაგყევა, რომ მიყრუებულ სოფელში ვადავარდი? რა დრო დადგა, რას არ მოიგონებენ! ეს აბქესი კიდევ რისი მაქნასია?

შვილი უხსნის დედას ელექტრონის მნიშვნელობას, სურს დააჩუმუნოს, მაგრამ არაფერი გამოუდის.

— ვეყავით ამდენ ხანს უაბქესოთ, გვედგა სული, რა ქნათ არ იცით ნასწაელმა ხალხმა, ღმერთს ვეჯიბრებით.

— განა ცუდად ვეჯიბრებით, ნანა? ჩვენი ბუნებით მღრღარი ქვეყანა წინ უნდა წაიწიოთ. გვარში ქაღალდის ქარხანას ვაშენებთ; — და, შვილი უყვება დედას ჩვენი ქვეყნის წარმატების ამბებს.

ცვერე ჩაფიქრებული უსმენს. ოფუცხოლესი არა სწამს, არა, ეშინია იმ ადგილისა, საქლს, არ უყვარს...

— როდესაც წამოწყებულ სადგურებს დამავთავრებთ და მათ ძალას

ერთმანეთს შეევერთებო, მთელი სიჭარბელო განათდება, — უმჯობესეს ლე-  
ნებაში წასული ჯიმშერი.

— რად გინდათ შარტო სინათლე, ხალხს სისმელ-საკმელო, ტანთ შესა-  
მოსი უჭირს. უმჯობესია, ფართალი და შაქარი მისცეთ.

— მაგასაც შევძლებთ: ელექტრონის ქარხნები იაფფასიან ფართალს მოგე-  
ცემენ. შემდეგ არ გვისაყვედურებ, დარწმუნდები, ხალხისთვის ვინ უფრო  
შეტს ჩრუნავს — შენგან დაწუნებული ახალი თაობა თუ ძველი დიდ-  
ჯაცობა?

— არაფერი მჯერა, შვილო, ნასწავლების, არაფერი. ზდაპრები გიყვართ,  
ამდენს არ წვალობდა კაცი, მაგრამ დრო მიგვეტონდა. დღღლილი ხარ, და-  
ბურებული: ოცდაათი წლის კაცი ხარ, მამაშენი ორმოცის იყო, რომ მიმა-  
თხოვეს, შენზე უფრო ახალგაზრდათ გამოიყურებოდა. თმაში თეთრა  
გამოგრევი, დედა მოგიკედა! — და შეიღოს ხვეული თმა თითებით ავარცხნა.

— თეთრი რას დამაკლებს? ქალებს მაინც მოვეწონები. ბრძოლის ხანაში  
ცტხოვრობთ. ველაფთა ვიღლებით. ყოველი მიღწევა შრომით მონაპოვა-  
რია. აქი კიდევ მივიწვეთ წინ.

ჯიმშერი გულიანად იცინის, ცვერე კი ნალელიანად უპასუხებს:

— რა ვიყა შეილო, ღმერთმა ქნას, ყველაფერი გაგვეკეთებოთ, მე კი  
მგონია, ნასწავლი ხალხი ყველაფერს საკუთარი ენისთვის აკეთებს, არა-  
ვინ ვიყვართ, არავინ გეცოდებათ, გულის შავივრად რკინა ვაქვთ შვერდში.

— სცდები, ცვერე-ნანა. რკინა რომ მჭონდეს, მაშინ არავინ შეუყვარება,  
არც ჩემი ნანა, არც ბებია მაისა, მთელი ხალხი, რომლის კეთილდღეობაც  
მახარებს. დედა, მოდი დაკარი ხელი, ხვალ შევისვენებ, ზეგ კი ბებია  
მაისასთან გავსწოთ. ჩემი კარგი ნანას გამზრდელ კუთხეს ახლა კარგად  
გავეცნობი. ბავშვობას გავიხსენებ, ვიბანავებ, ვინადირებ. იქ ამხანაგი  
ინჟინერები და ტეხნიკები დამხვდებიან.



ცვერე და ჯიმშერი ლეზამილეს ეწვივნენ. მოხუცი მაისა სიხარულით  
კან სწვდებოდა. ცვერე ოჯახს ათვალეირებდა.

— კუბედური შაბას საკედილი არ დაფტყობიათ, — ეუბნება ძმასა და  
რძალს, — გუჯა საცოლუ გამხდარა.

— შემოდგომამზე ცოლს მოუყვანდი, მაგრამ ჯერ გოგოს გათხოვება  
მირჩევნია, ბევრი ქალი არ ვარგა ერთად, ოჯახი ამერევა, — უპასუხებს  
ძმა.

შემდეგ მუზობლები მოიკითხა ცვერემ:

— ხომ არავინ მომკედარა? — კითხულობს ის.

— პირიქით, ერთი დაკარგული მუზობელი შეტეძინა, ბადა წოწროია,  
მენშევიკების დროს რომ გლეხებს აჯანყებდა. მერმეთ გაჯავში გადასული-  
ყო და ყაზბეგიდან ბოლშევიკებს მოუძღვებოდა. დიდი კაცი გამხდარა.  
თურმე რუსეთში მუშაობდა, სწავლაც ძალიან შეუძენია, უმაღლეს ნას-  
წავლებს არ ჩამოუთარდებაო. ვინ იცის, სად არ ყოფილა!



ცვერე გაკვირვებული და თავდახრილი უსმენდა.

— მთლად განათლებული კაცია, მთელი ქვეყნის ამბავი ხედავს და უსმერია. ყველგან შეუძლია სამსახური, დიდი პარტიული კაცია.

— კარგი დაგემართოს! საწყალი ვაა ცოცხლად ტიროდა და რა მოსწრე-ბია, გაკეთებულა, იმ ობლებს მაინც გამოუზრდია.

— ობლებს კი არა, ქვეყანას გაკეთებას უპირებს, მთავრობას ჩვენს რაიონზე მოუშვარებია კოლმეურნეობის მოსაწყობად. თურმე ახლა ასეთ დიდ პარტიულებს აგზავნიან სოფლებში.

ამ ლაპარაკის დროს ბესას ცოლი ბურღდა სტფრას შლიდა, მულს ეშმა-კური ღმირით გადახედა და თვალი ჩაუკრა.

— ბადა ძალიან გამოცდილია, მაგრამ მაინც კარგია, ყველა ჩვენს კაცებს თავწყარით სჯობია.

— უბედური მალხაზი, — გაერაა ლაპარაკში მაისა, — ჯინიანი იყო, ვინ გაუბედავდა თქმას, ცვერე ბადას მიუცეთო. კარგი ყაზაბი იყო ჩემი სიძე, მაგრამ ხნიერი იყო და გოგოს ადრე მოესპო ცხოვრება.

— დედა, მაშინ ბადას ჩვენს სიძობას ვინ აღირსებდა. გადაყოლილი იყო ერთობის საქმეს. ის დალოცვილი ქონებას არ ეძებდა. ძველად კი შეძლე-ბულ კაცს ეძებდნენ.

— გახსოვს, ცვერე, რა ცეკვა იცოდა ბადამ? კორივით რომ მოგდევდა. ძალიან შევენოდით ერთმანეთს. არც ეხლა არის ვიანი ძველი ამბის მოგო-ნება, — უთხრა ბურღლამ ღმირით მულს.

ცვერემ წარბები შეიკრა. ჯიმშერისა და გუჯას შემოსვლამ ლაპარაკს სხვა მიმართულება მისცა.



მეორე დილას ჯიმშერი გათენებისთანავე აღგა. აბქესის დათვალერებას ისწრაფის. ბიძაშვილი გუჯა აბქესის ამბებს უყვება... ის იქ თანამშრომ-ლობს, არტელის წევრია, ათი ნუშა აბარია. თუ მამიდაშვილი იქ ინჟინერ-რად დაინიშნა, ოჯახისათვის ბედნიერება და სახელია, — ფიქრობდნენ ბა-ჩილავას ოჯახში.

დილის საუზნის შემდეგ ჯიმშერმა დედა დაითანხმა, აბქესი დაეთვალერ-ებინათ. ცვერეს რძალი ბურღდა ეახლა.

— წადი, შვილო, — ეუბნება მაისა, — გაიარე შენს სამშობლოში, საამა-ყო შვილით გაიხარე, ჩვენც დგასახელე. ენაცვალე დეთისმშობელს, ჩემი ოჯახი მუდამ წარჩინებული იყო. ამასაც მომასწრო, ჩემი ცვერეს შვილი ათასში გამორჩეული კაცია. უბედურო მალხაზო, შენ კი არასდერი მო-გესწრო!

და მაისა ოღნაე დაიცრემლა.

წავიდნენ წყალგარდნილისაკენ. ცვერეს აკვირვება: თემშარას ბირად და-დი სამუშაო სახლი აღმართავთ. ლებაჩის ვადმოსახელავზე მაღალი გორა გაუჭრიათ. ცემენტით შეჭედილი წყალა ქვემოთ ეშვება, შუშბანდით გა-რემოცული სახლის ძირში აჭაფებული იჭრება.

— შეილო, ეს წყალი აქ საიდან მოიყვანეს?

— საქმეც ეგ არის, რომ მოვიყვანეთ, გათხრილს ხომ ხელფეხებს და გოკვილილთან იწყება. შემდეგ მდინარე ძველ კალაპოტს სტრუტებს, ისევე ნური არხით მოდის. დაუქვარდი, ძვეით ეშვება. მოტორს ამოძრავებს. ამ მოძრაობით ვლებულობთ იმ სინათლეს, რომელიც წუხელის ისე უხვად მოგვეცემა ოფუცხოლეს მიღამოებში.

— ოფუცხოლის წყალგარდნილი? — გაკვირვებით შეეკითხა დედა.

— იქვე არის, მაგრამ ნაკლებად სცემს. ხელოვნური, ძლიერი ცემენტის არხში ჩაკალაპოტებული მდინარე მეტ წყალს ავროვებს. ხომ ხედავ, რა სასარგებლო საქმეს აკეთებს?

ცვერემ ძველ წყალგარდნილისკენ გაიხედა.

— მაშ, იქ წყალი აღარ არის, კლდეები ცარიელი დარჩენილია, — გაიფიქრა მან.

სანამ ჯიმშურა დაგეშილი იხეინრა თვალთ დაათვალიერებდა შენობებს, ტურბინებსა და ყოველ წვრილობას, ცვერე თავისი რძლით წელ-წელა შორდებოდა მათ. გული ოფუცხოლესკენ მიუწევდა. უსიტყვოდ ნაწინაველას უახლოვდებოდა. წისქვილი აღარ არის, ცვერეს თითქოს ბავშვობის მეგობარი წაართვეს. გული ჩასწყდა. მეწასქვილე მომეკდარა. ის დამწეული თვალთ აცქერდება ნაცნობ ადგილებს. ოცდაათი წლის უნახავი ადგილები თითქოს ეალერსებიან მის ფეხის ტერფებს.

ცვერე მოვირს გადავიდა, კლდე-ზრიოკები მოიარა და, დათენთილი, ოდესღაც სავეარელ მოლზე დაეშო, მოისვენა. ნაცნობ ყვავალთა სურნელები, წყლის ორთქლში არეული, ძველებურად გაეთამაშა. საღ კლდეებს თვალი მიამბჯნა. წყლის ვარდნი თითქო შესუსტებულიყო, ძლიერება ტურბინებს მოეტაცნათ მათთვის. ფაქრობა: გარშემო არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ბატარა ოთახი დანგრეულა, კიბეებს ბალახი ჯადაბურვია. დიდიხნის წინად განცილი ტრფობა, დამარხული გრძნობა აფორაქდა. ბაღას აქ ყოფნაც ხომ მოლოდინელი ნიაღვარივით დაატყდა. უხარია, რომ ცოცხალია, დიდი კაცია, მაგრამ... და ვერ ერკვევა... დაკარგული სიხარულის ჯაფრი ღამის ცრემლებად დაიღვაროს, მდინარის ნაკალს შეერიოს. შელახული თავმოყვარეობა წინ წამოიჭრა, სათნოებას შეეჯახა.

ცვერეს ბაგეს დამცინავი ღიმილი აეკრა. სახე მომაკედავივით დაემანჭა. მრიახანება გულში ჩაიხვია. მოგონებანი ერთი მეორეს მისდევდნენ. ბაღას ზსოენა უმანკოებამათან აკავშირებდა, თანის გახსენება კიდევ თრთოლვასა და გულის წყრომას უღვიძებდა. ხრც ერთა წუთი აქ განვლილი ბედნიერებისა და უბედურებისა არ დავიწყებოდა, სიხარული და ტანჯვა ერთი მეორეს სცვლიდა.

რძალი სოფლის ამბებს უყვება. ცვერეს ერთი სიტყვაც არ გაუგონია. ადგა. ბოჯრა გადაადგა. უფსკრულს ჩასცქერის. მია წვეარამი ცვერეს გულივით ხელა.

აქ რომ წყალი დაშრეს, ჩემი უბედურების სასყიდელი ნივთები გამოჩნდება. უფსკრულსა და გულის საიდუმლოს ფარდა აეხდება.

ყველაფერს წაგართმევნ სალო კლდეებო. ჩემებრ დაცარიელდებით. კოტი თუ მოგინახულებთ. გველ-ხელიკები დაბინადრდებიან თქვენს გულში. ნასწავლი ხალხი შეუბრალებელია, ყველაფერს თავის ნებაზე გარდაქმნის. არავის სიბრაღული არა აქვთ, — ფიქრობს ბრახზორელი ქალი. ბაგის

ქვეითა ძარღვი შტრახიძების სურვილით ეგრობება. მხაროდ არ იდის, როგორ და ვისზე იძიოს შური.

შინ დაბრუნებული უსიტყვოა, დაბნეული, ფერდაკარგული, ჯიშმერი და გუჯა მივიდნენ. კანტორაში ნაცნობი ინჟინერი და ტექნიკოსები ენახათ. აბჰესას მუშაობით კმაყოფილი ჯიშმერ სიხარულს განიცდიდა.

— ცვერე-ნანა, რისთვის ხარ მოწყენილი? კული ფერი გაქვს. დედას წიწილში ურჩენია ჩემს თავს, — ეუბნება ბიძია ბესას ჯიშმერი, — სახლს რომ მოვაშორე, დარღობს.

— დავილაღე, შეილო, ოფუცხოლეს ვიყავი.

— გუჯა, ვიბანაოთ ამ საღამოს, ამ დღით მინდოდა ნანა და ბაცო, თქვენი იქ მისწრება, მაგრამ ნაცნობების ნახვამ დამაგვიანა.

— ამ საღამოს ვერა, მახარია, ჩვენ კომპარტან კრებაზე დანიშნული. კოლექტივებს წევრები იკრიბებიან. იმას დავესწროთ, საინტერესო საკითხებია, მოხსენებით კი ძველი ბოლშევიკი ბადა წოწორია გამოვა კოლექტივისაიის შესახებ. მაშიდა, თქვენც ხომ წამობრძანდებით?

— არა, შეილო, რა შესაქმება კრებებზე.

— წამოდი, ცვერე-ნანა, — ათხოეს ჯიშმერი. ყველანი ებატიყებია.

ცვერემ შეილს ზათრი ვერ გაუტეხა, მთელი ძალა მოიკრიბა და წაიქცა. კრებაზე ცვერეს ნაცნობები ესალმებოდნენ. პატივით და ყურადღებით მხარზე ჰკოცნიდნენ, შეილის სიკარგეს ულოცავდნენ. კრებაზე ბადაც გამოჩნდა. ყველა პატივით მიესალმა. ბადა ცვერეს შეხვედრას არ მოელოდა, შეკრთა, გაფითრდა. მაგრამ ბრძოლაში გამობრძმედილა და ხანშიშესულს გრძნობებთან ბრძოლა უფრო მოეადვილა, მივიდა, მდებლად თავი დაუკრა და ხელი გაუწოდა. ცვერეს უნდოდა მებობლურად გადასხვეოდა ბადას, რომ ამით უხერხულობა მოეხსნა, მაგრამ ადამ მხოლოდ ხელი ჩამოართვა და ისეთი საყვედურის თვალებით შეხედ რომ ცვერემ თავი დახარა. ბადა მაშააკეებში გაერია და იქ მოლზე დაეშვა. ყურადღება მათთვის არავის მალტყვეია. მრავალი წლის წინად ჩამქრალი ამბავი ახლა აღარავის ვახსენებია.

— ბადა, როგორ შეეჩვეე აქაურობას? — ეკითხებიან ნებობლები.

— რა მქირს შესანივები, ჩემს სოფელს რად ვერ შევეჩვეოდი, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ყველგან თავს შინ ვგრძნობდი და ვგრძნობ.

— ბიჭო, ასე უცოლოდ ხომ არ უნდა დაბერდე, — ეუბნება მოხუცი ნებობელი.

ბადას გაელიმა.

— მაგის დრო წავიდა, ჩემო ძეკუ, — და თავისდაუნებლიეთ თვალი ქაღრბს გადაავლო და ცვერეს შალგადაკრულ ლამაზ თავზე შეაჩერა. შეკრთა. ამდენი ხნის დამარხელი გრძნობა ახლა რამ ამოზიდა სიღრმეიდან?

მთელი წარსული ცხოვრება წინ წამოიჭრა. ამ წუთში იგი ერთის ნაბიჯით უმაღლოდა კადეც ცვერეს, რომ უარყოფილი გრძნობით ვაბოროტებულ სულ სხვა გზით წაიქცა. „ეს მხარე ჩემი ცხოვრებისა დამსხვრა. დამსხვრეულის შეკოწიწება აღარა ღირს“. ცვერეზე იმ წუთს თითქოს ჯავრიც მოუფიქრა, რომ ას ერთხელ კიდევ შეაქრა მის გრძნობებში, ააფორიქა, დიდი საქმეების გამო კრებაზე მოსულ კაცს აზრი აერია.

კრება ცხოველად და ნაყოფიერად მიდიოდა. იყო მსჭვებლობა, სიყვარული, ნაციაზე, ხუთწლიან გეგმაზე. აბქისის ცეცხლი აითქვს აფრთხილებდა, ოფუცხოლეს გლეხობას. შრომით გატაცებული სოფელი თავის ბედს სპეცყსო მდგომარეობას უკავშირებდა.

ბაღას ყველა ყურადღებით უსმენდა და შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდნენ. ჯიმშერსაც, როგორც თავიანთი გუმოწყუდილის ნასწავლ შეილს, სიყვარულით ეპყრობოდნენ. მრავალ კითხვას აძლეოდნენ. ისიც გულმოდგინეთ უპასუხებდა.

ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი გლეხები ერთმანეთს ებაძებოდნენ.

— ჯიმა, რითი არ დადიჯერო ამ ახალი მთავრობის სიყარგე, — ეუბნება ერთი მოხუცი გლეხი შეუახნის გლეხს: — ჩემს მახსოვრობაში ეს ქვიბიაა მთა და სალხინოს დიდი ველები პრინციპს ხელში იყო. თუ რამეს აკეთებდა, დალოცვილი, მხოლოდ თავისთვის.

— ახლან კი რა, შენთვის და ჩემთვის აკეთებენ? — უპასუხებს მეორე.

— ქვეყნისთვის, შეილო, ქვეყნისთვის. ამას წინად წავლოდი ნასასახლარში, მინდოდა მენახა, რა გაუკეთებიათ, რა სკოლა გაუწარხავთ, ვინ სწავლობს, ჯიმა, იქ, ან რა სახეობი მაშინა დაუდგამთ ტეტურთან, რა ფრინველები ყავთ, რა მცენარეები დაურგავთ. არა, შეილო, შეაძლება მე არ მომესწროს, თორემ ესენი რომ ქვეყანას კარგად აწყობენ, ცხადია.

— რა ვიცო, ჯიჯი, ჯერ გაჭირვების შეტს ვერას ვხედავთ.

— იშრომეთ, შეილო, მთავრობას მაყვივით, ყვალაფერი მოეწყობა. ქვიბიის მთაზე რომ პირუტყვი უბაყოდ გაგვეშვა, სადადიო მიწაზე ვზირები პირუტყვებსაც და ჩვენც ტყავს აგვადრობონენ. ენლა ვახედუ, საერთო მინდვრებია, ყანები, საბალახოები, ტყე-ყველაფერი ხალხის არის. მოვიდა, შეილო, ქვეყნად სიკეთე და განათლება!

ხალხი თანდათან იშლებდა. თავმჯდომარე იცხადებს: ხვალ სალამოს კონოსურათი მოაქვთ სენაკიდან. აჩვენებენ ახალ მიწებს. დასწრება უფასოა. ხალხი ჩოჩქოლით დაიშალა.

ჯიმშერს ნათესავ-მოყვარები ეხვევიან, კოცნიან: დავბერდით, ცვერეს შეილი რამხელა ვამხდარა, — ამბობენ დროული კაცები და ქალები. ბაღა გვერდზე სდგას. ხალხი შემოხვევია. ის ახსნა-განმარტებას აძლევს მათ.

ცვერეს მრავალი განცდა აღელვებს: ერთის მხრივ, საამაყე-სიხარულს ასეთი შეილის დედობით. მეორეს მხრივ, გულს უკრთობენ ოფუცხოლის ნახვით გაიცოცხლებული საშინელი მოგონებანი. ახლა კიდევ ბაღასთან შეხვედრა. „ოპ, რა უბედური ვარ! ვისი დედა არის ასეთი შერცხვენილი, ფლიდი დედაკაცა?“ — ფიქრობდა თავისთვის.

რამდენიმე ნათესავი და მოყვარე ცვერეს და ჯიმშერს სახლში წაყვება. ბენა ბაღასაც შეგზავნა. ბაღამ საქმეები მოიმიზუნა. არ წაპყვა. მხოლოდ ჯიმშერს გამოუესაუბრა ტყვილად, ურჩია აბქისში ემუშავა.

სალამოზე გუჯამ მამიდაშვილის პატრესაცემად აბქისზე მომუშავე ტენნიკოსები და მეთაურები ვახშმად მიიწვია. ვახშამზე ტენნიკაზე, კოლმეურნეობაზე, ქვეყნის გარდაქმნაზე ბაასობდნენ.

ცვერე ამაყად გამოიყურება. შავი გრძელი კაბა აცვია, შავ ქიცა მოხვეულს, სახეზე ნების ძალა და სათნოება აღბეჭდრდა. ოცდაათი წლას წინად ყოფილ ცვერე ბაჩილახეს აღარა ვგავს. საცეკვაოდ ფეხები აღარ უთამაშებენ. ჭაღარა თმის ნაწინავი წყლამდე ძლივსა სწვდება. მაგრამ მთე-

ლი მისი სახის წყობა, იერი წარსულ სილამაზეს მოწმობს. სტუმრები კურადლებით და თავიზიანად ექცევიან ბოლოს სტუმრები დაიშალნენ.

აგვიანტოს მშვიდი მთვარიანი ღამეა. მასპინძლები სტუმრებს ჭისკრამდე აცილებენ.

ცევრემ ცას შეხედა, შემდეგ ოფუცხოლეს. ასეთი ღამე იყო, ეანი რომ ჭიანასკნელად გამოეთხოვა.

წინა ოთახში ხის ორი საწოლი დგას. დაგებულია დედაშვილის მოსასვენებლად. დედაც და შვილიც წვებიან, მაგრამ მათ თვალს ძილი არ ეკარება. ორივენი უხმოდ ფიქრს მისცემიან. დედა—წარსულით ჯაფრიანი, შვილი—აწმყო მომავლით გატაცებული. მის თავში ახალი შესაძლებლობანი იგეგმება.

— დედა, გძინავს?

უნდა აზრი ვატეხაროს.

ცევრე სდრემა. ნაშთილაშვილია. ქალი ფეხაკრეფით დგება.

ჯიმშერმა იგრძნო. ახალ ჩათვლემილს გამოლაპარაკება დაეზარა.

ჩაცემულმა ცევრემ კარი გაიარა. ხმაურმა ჯიმშერი გამოაღვიძა. „სად მიდის ნეტავი დედა?“ ფანჯრის ფარდა გადასწია, ჭიშკრისკენ წასულ დედას თვალი გაადევნა.

როდესაც ჯიმშერმა გარედ გასული დედა დაინახა, ათასმა ფიქრმა გადაურბინა ცხოვრების სივალაღის მცოდნეს.

— იქნებ დედას ქალიშვილობის გულის ტოლი ჰყავს. აქ შეხვედრა მოსწყურდა. დედა მიხუცი არ არის. მაგ ხნის ქალები თხოვდებიან კიდევ.

ძარღვებაშლილი საჩქაროდ დგება. იცეპს. დედის ნაკვალევს მასდევს. ეშინიან, რაიმე ცუდი არ შეემთხვეს დედას. საკვირველია, სად მიდის, რა სტანჯავს, რა აწვალვებს?

ფიქრებაყრალი არემარეს გასცქერის. არხის თავთან ანოლტილ შავ ლანდს თვალს არ აშორებს. ცევრე კი შენობას ზევიდან დასცქერის. სადგურის მინები მთვარის შუქს იტაცებენ, მიდამოს აელვარებენ.

ცევრეს პირშუთ აგონდება. როგორი სიხარულით აღიოდა ამ დილით მაღალ კიბეებზე, სიყვარულით ათვალეირებდა იქაურობას.

კვლავ ოფუცხოლეს გადახედა. წყალვარდნილის ხმაურა მოისმის.

აქ ღვანან საიდუმლო განდობილი კლდეები, რომელთაც ამ ტურბინებმა სიცოცხლე წაართვეს.

ამ შენობას ოფუცხოლესთვის წარამეული წყალი გულში დაღვებები და ქვეყანას ანათებს. ოფუცხოლეს გულა კი ცევრეს გულივით დაბნელებულა.

მრავალ ტანჯვა გამოვლილ ცევრეს გონების დაკარგვი არ გამოეცადა. ღონემ უღალატა და აქვე გაიშხვართა. შავად გაწოლილ ლანდს ვაგი მიუახლოვდა. ჯიმშერმა გულშეღონებული დედა ხელში აიტაცა. მჯგ და გული გაუსინჯა.

ცევრე გამოერკეა შვილს მიეყრდნო.

— ვაი სირცხვილო, ვერ მოვიხსნარე შენა დეგლობა, შვილო, სირცხვილო გაქამე...

— რა მოგდია, დედა? აქ რისთვის მოსულხარ? გონზე მოდი. სადგურის დარაჯმა რომ გენახოს, რას იფიქრებს? გიგი ეგონება.



— ნუ მაძვირებ, შეილო, გიცი არა ვარ. მე ცხოვრებამ დიდი ხანია და-  
მაძვირა, მომსაო.

გაფათრებული დედის სახე ჯიშმერს საბრალოლსა და შიშვანსა  
ბიძყავს. ცაცხვის ძირში სხდებიან.

— დედა, არ მეტყვი, რა მოგივიდა?

— სიკვდილი მომივიდა, შეილო! ამაღამ უნდა გადასწყდეს ყველაფერი.  
თუ ხელს მკრავ, დედად არ მინდომებ, მე უბედური აქედან მამიშენის  
ოჯახში აღარ დავბრუნდები.

— რაებს ამბობ, რა დაგეშართა, ცვერე-ნანა? მითხარი, ლამას მეც გა-  
დამრიო.

— უნდა გათხრა, ღვდლისთვის არ მოიქვამს, ქმრისთვის... საფლავში  
მინდოდა ჩამეტანა, ვეღარ ვზიდე, ვიბრჩევი.

შეილოს მკერდს მიეყრდნო. დილით ამაყი და შუპოვარი დედაკაცი, ერთ  
წუთს მოიკუმშა. მუკში ჩასატევი გახდა.

— დედა, ნუ მტანჯავ, რა მოგდის, სად არის შენი სიმტკიცე? ხომ არა-  
ვინ შეურაცხავო?

— შენი ღედა დიდხანია შეურაცყოფილ ცხოვრებას დაატრევს... შენ  
რომ სურათი მოიტანე, შეილო, ჩემი მსგავსება რომ გეგონა, ის ჩემი სუ-  
რათია, ჩემი მაწადასაყარი ტანიდან ვადაღებულა.

შეილი შეკრთა: დედა ავადმყოფობით შეპყრობილი მოჩვენა.

— რას ამბობ, დედა?

— სურათი ჩემია-მეტეი... ერთმა შეჩვენებულმა გრაფმა... მისი სახელა,  
წყველი სახელი... ეანია... დამხატა. იქ წყალვარდნილზე ეხედებოდით.  
ვეყვარდი, მიყვარდა. ცოლად უნდა შევეერთე, მომატყუილა...

ცვერე ცახცახებს. შეილი სდუმს.

— შემდეგ მამაშენს მიმათხოვეს. მე პატიოსანი აღარ ვიყავი, როდესაც  
მის ოჯახში ფეხი შევდარ.

ყველაფერი უაშბო.

— დღეს ჩემა უბედურების ადგილი რომ ვნახე, ჭკუა დამებნა.

გულამომჯდარი შეილის მუხლებს დაეყრდნო, ცრემლის ღვარით ასვე-  
ლებს მათ.

თავჩაქინდრული ჯიშმერი დედის დაბრილ თავს ზევიდან დაჰყურებს.  
მის წარსულს ითვალისწინებს. ყველაფერი აშკარა ხდება მისთვის: დედის  
თავისებურება, ცხოვრების გულჩაბვეული სიძულვილი, ბაგეზე ნაძალადევი  
ლიშილი. ვაჟს საშინელი გრძნობა აპყრობს: მისი წმინდათა-წმინდა ნანა  
ოდესღაც გარყვნილი ფრანგის სათამაშო იარაღი გამხდარა. დიდი საიდუმ-  
ლო მოხერხებულად დაემალავს, თვალთმაჭობდა... წუთით მრისხანე მსა-  
ჯული ხდება. უნდა მოაშოროს დედა, უნდა ადგეს, გაეცალოს... ამ დროს  
მკერდზე დედის ცრემლით დანამული პერანგი იგრძნო... ერკვევა. მსჯე-  
ლობა: უმანკო გოგო გამოუტყდელივით მოტყუვდა. მას მხოლოდ ტანჯვა  
შეეძლო და დაიტანჯა კიდევ. მარტოდ-მარტომ გადაიტანა ყოველივე. დე-  
დას ახლა მეგობარი უნდა, ხელის გაწოდება. მის მტკიცე ხასიათს — პა-  
ტივი. საგანგებო ცოლი იყო, ოჯახის დედა. საზოგადოებრივ სიმამინჯვა  
მისი სუტაკი ნანა დაუტანჯავს. მთლიანი ჰაროვნება გაუორებია.

დედა სდუმდა. მისა გული სიცალიერეს მოეცვა. სწავლული შეილის გა-  
ნაძინს მორჩაღად ელოდებოდა.

დრო და სივრცე, შავის ფიქრებია შემოგარსული, არ იბრუნა ჩამხვილი მთვარე უკანასკნელ შუქს აბნევედა დარდ-აყრილ დედა-შვილს შორის მოისმა მამლების ყვილი. შეერთნენ. თავები აიღეს, ერთმანეთს დასველეს თვალში გაუყარეს. დედის თვალში შიში კიათის. შვილის თვალი ძალას, გარდაწყვეტილებას სახავს.

ჭაბუკმა ძლიერი მკლავი დედას გადახვია, მკერდზე მაგრა მიიკრა.

ცვერეს თბილი ცრემლი ცრემლზე სცვივა. გული მაგრა უცემს. დედა უსიტყვოდ გრძნობს, რომ შვილმა მას ყველაფერი აბატრა.

ოთახისაკენ ჩუმად მიაბიჯებენ.

მამლებმა მოუხშირეს ყვილს.

მთვარის შუქი განთიადის სინათლეს ებრძვის. ბოლოს ძლიერი იმალე-ბა. გარიყრაჲის სინათლე გრძნობადათენთილ დედა-შვილს ოთახამდე აცი-ლებს.

ეს სინათლე მათ მომავალსაც ანათებს.

პონორამ ბალზაქი

## პოლკოვნიკი შაბერი

(გაგრძელება)

გრაფი ფეროდი იყო შვილი პარიზის პარლამენტის ძველი მრჩეველისა, რომელმაც ტერორის დროს საზღვარგარეთ გაქცევით თავს უშველა, მაგრამ ჭონება კი დაჰკარგა. კონსულობის დროს შვილი დაბრუნდა და იმავე ლუი მეთვრამეტეს ინტერესების მუდმივ ერთგულ დამცველად დარჩა, რომლის შინაკაციც მისი მამა იყო რევოლუციამდე. ამგვარად, ის ეკუთვნოდა სენ-ჟერმენის გარეუბნის იმ პარტიას, რომელიც კეთილშობილად გაუშავრდა ნაპოლეონის საცთურს. ახალგაზრდა გრაფს, რომელსაც მამის უბრალოდ ბატონ ფეროდს ეძახდნენ, ნიჭიერი აღამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი და იმპერატორმა მასი გულის მონადირება მოინდომა. იმპერატორი ისევე ბედნიერად სთვლიდა თავს არისტოკრატიაზე გამარჯვებით, როგორც ბრძოლის შოკებით. გრაფს აღუთქვეს წოდების აღდგენა, გაუყიდავი ჭონების დაბრუნება, შორეულ მომავალში მინისტრობა, სენატორობა.

იმპერატორი დამარცხდა. გრაფ შაბერის სიკვდილის დროს ბატონი ფეროდი ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა იყო, უქონებო, სასიამოვნო გარეგნობით დაჯილდოებული. იგი დიდი წარმატებით სარგებლობდა, რასაც სენ-ჟერმენის გარეუბანი ერთ-ერთ თავის დიდებულ სთვლიდა. გრაფ შაბერის მეუღლემ ჭმრის მემკვიდრეობიდან ისეთი კარგი სარგა ნახა, რომ დაქვრივების მეთვრამეტე თვეზე მას დაახლოვებით ორმოცი ათასი ლივრი რენტი ჰქონდა. ახალგაზრდა გრაფისა და შაბერის მეუღლის დაქორწინება სენ-ჟერმენის გარეუბნის წრეებს დიდ აშბად არ მიუღიათ. ნაპოლეონი კმაყოფილი დარჩა ამ ქორწინებით, რაც შეკავშირების მის ზრახვებს შეესაბამებოდა. მან ქალბატონ შაბერს პოლკოვნიკის მემკვიდრეობიდან ხაზინის წილიც დაუბრუნა. მაგრამ ნაპოლეონს იმედი გაუცრუვდა. ქალბატონ ფეროდს ეს ახალგაზრდა როდი უყვარდა როგორც მარტო სატრფო, — იგი გატაცებული იყო იმ მედიდურ საზოგადოებაში შესვლის სურვილით, რომელიც თავისი დაქვეითების მიუხედავად, იმპერატორის კარზე ვალდა იდგა. ამ ქორწინებით მან ვნებასთან ერთად დიდების მოყვარულობაც დაიკმაყოფილა. იგი მაღალი საზოგადოების ქალი ხდებოდა. როდესაც სენ-ჟერმენის გარეუბანში გაივო, რომ ახალგაზრდა გრაფის ქორწინება ჩამოშორებას არა ნიშნავდა, სალონებმა მის ცოლს კარი გაუღეს.

მოვიდა რესტავრაცია. გრაფ ფეროდის პოლიტიკური კარიერა სწრაფი არ იყო. მას ესმოდა, რა მდგომარეობაში იყო ლუი მეთვრამეტე. გრაფი ფეროდი იმ გაბოზობილთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც „რევოლუციების უფსკრულის ამოვსებას“ ელოდნენ. შეფის ამ ფრაზაში, რომელსაც ლიბერალები ესოდენ დასცინდნენ, პოლიტიკური აზრი იმალებოდა. მიუხედავად ამისა,

იმ გრძელ საკანცელარიო წინადადებაში მოყვანილი ბრძანებულებები, რომლითაც ეს მართრობა იწყება, გრაფ ფეროდს დაუბრუნდა ოჯახურ დედას მულა. დაბრუნებული ქონების ღირებულება სეკესტრის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა იმ ხანებში გრაფი ფეროდი იყო სახელმწიფო მრჩეველი, გენერალ-დირექტორი, მაგრამ იგი თავის მდგომარეობას პოლიტიკური კარიერის დასაწყისად სთვლიდა. უზომო პატივმოყვარეობით შეპყრობილმა მდივნად აიყვანა ერთი გაკოტრებული ძველი ვეჭილი, გვარად დელბეკი, კაცი მეტად მოხერხებული, რომელმაც შარის მოღების ფანდები საუცხოოდ იცოდა; თავისი კერძო საქმეების წარმოება მას ჩაბაბრა. მოხერხებულ ვეჭილს თავისი მდგომარეობა გრაფთან საკმაოდ კარგად ესმოდა: მისთვისვე იქნებოდა სასარგებლო, რომ პატიოსანი ყოფილიყო. დელბეკს იმედი ჰქონდა, რომ პატრონის ნდობის მოპოვებით რაიმე სამსახურს იშოვნებდა. გრაფ ფეროდის ქონება მთელი მისი ზრუნვის აგნად გადაიქცა. ვეჭილის ახლანდელი ყოფიქცევა მის წარსულ ცხოვრებას ისე იყო დაშორებული რომ მას ცილ-დაწამებულ კაცად სთვლიდნენ. ტაქტიკა და ალლოთი, რომლებითაც ცოტად თუ ბევრად ყველა ქალია დაჯილდოებული, გრაფის მეუღლე მიხვდა, რა კაციც იყო მმართველი, და მას მოხერხებულად აღევნებდა თვალს. ისე შესანიშნავად უძღვებოდა, რომ იგი კარგად გამოიყენა თავისი პირადი ქონების გასაღიძვრებად. ქალბატონმა ფეროდმა დელბეკი დაარწმუნა, რომ ქმარი მისი მორჩილია. იგი დაპირდა ხელის შეწყობას საფრანგეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის პირველი ბნსტანციის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნაში, თუ ვეჭილი თავდადებულად დაიცავდა მის ინტერესებს. მუდმივი ადგილის შეპირებამ, რომლის მიღებაც მას ხელსაყრელად დაქორწინების საშუალებას მისცემდა, ხოლო მერე პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო მაღალ მდგომარეობას მოუპოვებდა — დებუტატად იქნებოდა არჩეული, დელბეკი გრაფის მეუღლის ყურმოჭრილ მონად გახადა. არც ერთ ხელსაყრელი შემთხვევა არ გაუშვია, რომ გრაფის მეუღლის სასარგებლოდ არ გამოიყენებინოს. რესტავრაციის პირველი სამი წლის განმავლობაში ასეთ შემთხვევებს ხშირად სთავაზობდა მოხერხებულ ადამიანებს ბირეის მერყეობა და კერძო საკუთრებაზე ფასის აწევა.

ვეჭილმა თავისი მფარველის ქონება გაასამკვეცა. ეს მით უფრო ადვილად ზოახერხა, რომ გრაფის მეუღლე არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, ელონდ უზარმაზარი ქონების პატრონი გამხდარიყო. თავისი შემოსავლის კაპიტალიზაცია რომ მოეხდინა, ოჯახის ზარკებისთვის ქმრის ხელფასს იყენებდა. დელბეკი ამ ძუნწი ქალის ანგარიშებს ისე დაემორჩილა, რომ იგი არც კი ცდილა მიმხედარიყო მისი სიმძუნწის მიზეზს. დელბეკის მსგავს ადამიანებს მხოლოდ ისეთი საიდუმლოება აწუხებდა, რომლის მიხედვრაც შეიძლება თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ. ამას ვარდა, დელბეკისათვის გრაფის მეუღლის ოქროს მოყვარულობა გასაგები იყო, რადგან პარიზელ ქალთა უმრავლესობა ამ სენით არის შეპყრობილი. გრაფ ფეროდის შრახვების განხორციელებაც დიდ ქონებას მოითხოვდა. ამის გამო მმართველი ზოგჯერ გრაფის მეუღლის სიმძუნწეში ერთგულების გამოხატულებას ხელავდა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ყოველთვის უყვარდა; თავისი საქცილის საიდუმლოებანი გრაფის მეუღლემ გულის სიღრმეში ჩაიმარხა. აქ იყო მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება, აქ იყო სწორედ ამ ამბის კვანძი.

1818 წლის დასაწყისში რესტავრაცია გარეგნულად ურყევ საფუძველზე იყო დამყარებული. მისი მთავრობის დოქტრინებს, მძლავრი გონების აღზრდასა და გაგებით, საფრანგეთის ახალი კეთილდღეობის ხანა უნდა შეეყვანათ. მაშინ პარიზის საზოგადოებამ საზე შეიცვალა. გრაფის მეუღლისთვის ეს გათხოვება სიყვარულის, ქონებისა და პატივმოყვარეობის ქორწინება გამოდგა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მშვენიერი ქალბატონი ფეროდი საზოგადოების თვალი იყო და მეფის კარზე ტრიალებდა. თვითონ მდიდარი იყო, ქმარიც მდიდარი ჰყავდა, სახელ-მოხვეჭილი, როგორც როიალისტებს პარტიაში ერთ-ერთი უნიჭიერესი აღამიანი და მეფის მეგობარი, რომელიც, ალბათ, მინისტრობას ზიილებდა. ამრიგად, გრაფის მეუღლე არისტოკრატას ეკუთვნოდა, მისი ბრწყინვალეების მონაწილე იყო. ამ გამარჯვების დროს ქალბატონ ფეროდს სწეულება შეეყარა — მორალური კიბო. არის გრძნობები, რომლებსაც ქალები ხედებიან, მიუხედავად იმ სიფრთხილისა, რომელსაც მამაკაცები მათ დასამალავად იჩენენ.

მეფის პირველი დაბრუნების დროს გრაფმა თავისი ქორწინების გამო სინანული იგრძნო. პოლკოვნიკ შაბერის ქვრივის შერთვამ იგი არავისთან არ დააკავშირა. გრაფი, ფეროდი მარტო იყო, ვერავის დაეყრდნობოდა ათასგვარი ზიფათითა და მტრებით ავსებულ კარიერის ვაზე. მერე როდესაც ცივი გონებით შეაფასა თავისი ცოლი, დაინახა მისი აღზრდის ზოგიერთი ნაკლი, გრაფი ფეროდი დარწმუნდა, რომ თავისი ზრახვების განსახორციელებლად იგი არ გამოადგებოდა. ტალღირანის ქორწინების გამო ქმარს შერ თქმულმა სიტყვამ გრაფის მეუღლისათვის ნათელჰყო ერთი რამ: იგი კარგი, ახლა რომ დასაქორწინებელი ყოფილიყო, პოლკოვნიკ შაბერის ქვრივი ვერასოდეს გრაფ ფეროდის ცოლი ვერ გახდებოდა. ამ სინანულს რომელი ქალი აბატებდა ქმარს? ეს ხომ არ იყო ჩანასახი ყველა შეურაცხყოფისა, ბოროტმოქმედებისა და ცოლთან განშორებისა? წარმოსადგენია, როგორ უნდა დაეკოდა ამ სიტყვას გრაფის მეუღლის გული, თუ დაეუშვებთ, რომ მას თავისი პირველი ქმრის დაბრუნებისა ეშინოდა. ქალმა გაიგო, რომ იგი ცოცხალი იყო, მაგრამ ახლოს არ გაიკარა. მერე, იმ ზნის განსაჯობაში, როდესაც მის შესახებ არაფერი ამბავი არ მისვლია, ქალბატონი ფეროდი თავს იმით ინუგეშებდა, რომ შაბერი ვატერლოოში დიდღემა იმპერატორის არწივებთან, ბუტენთან ერთად. მიუხედავად ამისა; ქალბატონმა ფეროდმა გადასწყვიტა, გრაფი უძლიერესი ძალით — ოქროს ჯაჭვით მიეზიდა თავისკენ. ქალმა მოისურვა ისე გამდიდრებულიყო, რომ თავისი მეორე ქორწინება დაურღვეველი გაეხადა, თუ პოლკოვნიკი შაბერი ისე გამოჩნდებოდა. და იგი მართლაც გამოჩნდა, და ქალს ვერ აეხსნა, რატომ არ დაიწყო ის ბრძოლა, რისაც ასე ეშინოდა. იქნებ ტანჯვას, ავადმყოფობას მოეშორებინა ეს კაცი? იქნებ ნახევრად შეშლილი იყო? მაშინ საგაიეთში მოთავსებით შესძლებდა მის მოშორებას. ქალბატონმა ფეროდმა არ მოისურვა თავისი საიდუმლოება გაეცნო, დეღბეკისთვის ან პოლიციისათვის იმის შიშით, რომ თავზე ბატონი არ დაესვა, ან მარცხი არ დაეჩქარებინა. პარიზში ბევრია გრაფ ფეროდის ცოლის შგაქსი ქალი, რომლებსაც უცნობი ზნეობრივი ურჩხული ჰყავთ გულში, ჩამჯდარი ან რომლებიც უფსკრულის ნაპირს მიჰყვებიან. ისინი მტკივნეული ადგილის გარშემო ქერქს იკეთებენ და მათ თავის გართობა და სიცილი კიდევ შეუძლიათ.

„არის რაღაც ძალიან უცნაური ბატონ გრაფ ფეროდის მღვდელმთავრებში, — ხანგრძლივი ჩაფიქრებისაგან გამოეცემა და თავისთვის ჭეშქვარეფრთხა, როდესაც მისი ეტლი ვარენის ქუჩაზე გაჩერდა, ფეროდის სასახლის კიშკართან. — მდიდარია, მეფეს უყვარს და რატომ არ არის იგი უკვე საფრანგეთის პერი? შეიძლება მართალი იყოს, რაც ქალბატონმა დე ვრანდლოემ ნიობრა: „ასეთია მეფის პოლიტიკა, რომელიც პერობას დიდ მნიშვნელობას აძლევს. მას არ უნდა, იგი ადვილად მისაწვდომი გახადოსო.“ ამასთან პარლამენტის მრჩეველის შვილი არ არის არც კრილიონი, არც როანი. გრაფ ფეროდს ზედა პალატაში მოხვედრა შეუძლია მხოლოდ კანონის დარღვევით, შეპარებით. მაგრამ თუ მისი განქორწინება მოხდებოდა, მას შეეძლო, რითაც მეფეს ძალიან ასიამოვნებდა, მიეღო პერობა მემკვიდრეობად იმ მოხუცი სენატორის ქალიშვილის შერთვით, რომელსაც ვაჟი არა ჰყავდა. აი სწორედ კარგი გამოსაჩენი ტყუილი გრაფის მეუღლის შესაშინებლად.“ — სთქვა თავისთვის დერვილმა, კიბეზე რომ აღიოდა.

დერვილმა არც კი იცოდა, ისე დაადო თითო საიდუმლო წყლულს, ხელი შეახო იმ კიბოს, რომელიც ქალბატონ ფეროდს ღრღნიდა.

ვექილი გრაფის მეუღლემ კონტა საზამთრო სასადილო ოთახში მიიღო, სადაც ის საუზმობდა, თან ეთამაშებოდა მაიმუნს, რომელიც ჯაჭვით იყო მიბმული რკინის-ჯოხებთან პატარა ბოძზე. გრაფის მეუღლეს ლამაზი პენუარი ეცვა. დაუდევრად დამაგრებული თმის კულულები თავსაბურთიდან ჩამოშლილად, რაც მის სახეს ცოცხალ გამოიმეტყველებას აძლევდა. ქორთა და მოცინარი იყო. ვერცხლი, მოოჭრული ვერცხლი, სადაფი ბრწყინავდა მაგიდაზე. ქალის ვარშემო შესანიშნავ ფაიფურის ვაზებში იშვიათი ყვავილები იყო. როცა ვექილმა პოლკოვნიკ შაბერის ცოლი, საზოგადოების მაღალ ფენებში მიღებული და თავისი კმრის ნეშტზე გამდიდრებული, ფუფუნებაში დაინახა, მაშინ, როდესაც უბედური შაბერი ღარიბ მერძვესთან პირუტყვებს შორის ცხოვრობდა, გაიფიქრა:

„ამის მორალი ის არის, რომ ლამაზი ქალი არასოდეს არ მოისურვებს თავის კმრად იცნოს, არც თავის საყვარლად აღიაროს ადამიანი, რომელსაც ინგლისური ძველი სურათუკი და დაბეული ჩექმები აცვია, ხოლო ბალახის პარიკი აქვს ჩამოცმული“.

ცბერმა და მწარე ღიმილმა გამოხატა ნახევრად ფილოსოფიური, ნახევრად დამცინავი აზრები, რომლებიც უნდა მოსვლოდა თავში საქმის შინაარსში ჩასაწვდომად კარგად მომარჯვებულ ადამიანს, მიუხედავად იმ ტყუილებისა, რომლებითაც პარიკელთა ოჯახების უმრავლესობა თავის არსებობას ფარავს.

— გამარჯობა, ბატონო დერვილ, — უთხრა ქალმა ისე, რომ მაიმუნისათვის ყავის მიწოდება არ შეუწყვეტია.

— ქალბატონო, — სთქვა დერვილმა უცერად, ნაწყენმა გრაფის მეუღლის აგდებული კილოთი, რომლითაც მან მიმართა: „გამარჯობა, ბატონო დერვილ.“ — მე თქვენთან მოვსულვარ მეტად მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად.

— ეგ ჩემთვის ძალიან საწყენია, ბატონი გრაფი შინ არა ბრძანდება.

— მე კი მაგიტო გაბარებული ვარ, ქალბატონო, იგი ძალიან ნაწყენი დარჩებოდა, ჩვენს საუბარს რომ დასწრებოდა. ამასთან მე ვიცი დელბეკისაგან,



რომ საკუთარ საქმეებს თქვენ თვითონ უძღვებით და ბატონ გრაფს არ აწუხებთ.

— მაშინ დელბეკს დავუძახებ, — სთქვა ქალმა.

— მიუხედავად მისი მოხერხებულობისა, იგი არ გამოვადგებათ, — განაგრძო დერვილმა, — ყური დამიგდეთ, ქალბატონო. ერთი სიტყვა იქნება საკმარისი თქვენს დასადინჯებლად. პოლკოვნიკი შაბერი არსებობს.

— მაგეთი ხუმრობით განლათ ჩემი დადინჯება? — გადაიხარხარა გრაფის მეუღლემ.

მაგრამ დერვილმა გრაფის მეუღლეს თვალი დააშტერა და დააწყნარა. ამ შეხედვით ყველაფერი ცხადად აგრძნობინა. ასე განაგრძო ვეჭილმა ქალის დაკითხვა, თითქოს მისი გულის სიღრმეში ყველაფერს კითხულობდა.

— ქალბატონო, — უბასუბა ვეჭილმა ცივი და მკაცრი სიღრმეით, — თქვენ არ იცით ის დიდა საფრთხე, რომელიც გემუქრებათ. არაფერს ვიტყვი საბუთების უდავო სისწორეზე, არც იმ ფაქტების უქვეულობაზე, რომლებიც გრაფ შაბერის არსებობას ადასტურებენ. მოგეხსენებათ, მე არა ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც წსაავებ საქმეს ხელს მოჰკიდებს. თუ თქვენ არა სცნობთ ჩვენს განცხადებას გარდაცვალების აქტის ვაბათილების შესახებ, პირველსავე პროცესს წააგებთ. ამ საკითხის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტა კი ყველა დანაარჩენ პროცესს მოგვეგებიანებს.

— რის შესახებ გსურთ ჩემთან ლაპარაკი?

— არც პოლკოვნიკის, არც თქვენს შესახებ. ახ გულაპარაკებით არც იმ ბართებზე, რომლებს შელგენასაც შესძლებდნენ გონებაშახვილი ვეჭილები, შეიძლება აღვნიშნო ამ საქმის საცნობისმოყვარეო ფაქტებით, არც იმაზე, როგორ გამოიყენებდნენ ისინი იმ წერილებს, რომლებიც ქმრისგან შიილეთ მეორე ქმართან დაქორწინებამდე.

— ეგ მართალი არ არის! — სთქვა მან პრანჟია ქალის მთელი სიშმაგით. — გრაფ შაბერისაგან მე წერილები არასოდეს არ მიმიღია, და თუ ვინმე ამბობს, პოლკოვნიკი ვარო, ის ინტრიგანია, შეიძლება კონსიარით ვინმე სასჯელმთხილი კატორგელია. ამაზე ფიქრი თრთოლვას მგერის. განა პოლკოვნიკს, ბატონო, შეუძლიან აღსდგეს? ბონოპარტმა თავისი ადიუტანტის პირით სამომხარი გამომიცხადა, და დღესაც ვიღებ სამი ათას ფრანკს პენსიას, რომელიც მე, მის ქვრივს, ბერებისა და დეპუტატების პალატებმა დამინიშნეს. მე საქმაო საბუთები მქონდა ყველა ახალმოვლენილი შაბერის თავიდან მოსაკილებლად. ახლაც ახლოს არავის გავიკარებ, ვინც შაბერობს დაიჩეშებს.

— საბედნიეროდ, ქალბატონო, ჩვენ მარტონი ვართ. ჩვენ შეგვიძლიან, რამდენიც გვინდა, იმდენი ტყუილი ვილაპარაკოთ, — სთქვა ცივად ვეჭილმა. იგი ერთობოდა გრაფის მეუღლის აღელვების გამოწვევი რისხვის გაღვივებით, რომ გრაფის რაიმე წამოეცდინებინა. იგი ვეჭილებსათვის ჩვეულ ხერხს აყენებდა: ისეთი სიშმაგდეს იცავენ მაშინ, როდესაც მათი მოწინააღმდეგენი ან კლიენტები ცხარობენ.

„წინათ, ვინ ვის აჯობებს“, — სთქვა თავისთვის ვეჭილმა და მყისვე მოიფიქრა მახის დავება გრაფის მეუღლისთვის, მისი სისუსტე რომ დაენახებინა.

— პირველი წერილის გადმოცემის საბუთი არსებობს, ქელზიტურულად განაგრძო დერვილმა ხმამალა, — ამ წერილში ძვირფასეული ვეჭვსაჲსი...

— ოჰ, რაც შეეხება ძვირფასეულს წერილში მაგისი მსგავსი არაფერი ყოფილა.

— მაშასადამე, თქვენ ის პირველი წერილი მიგიღიათ, — განაგრძო დიდი-ლით დერვილმა. — უკვე გაებით პირველსავე მასეში, რომელიც ვეჭილმა დაგიგოთ, და თქვენ ფიქრობთ, რომ მართლმსაჯულებასთან ბრძოლას შესძლებთ?

გრაფის მეუღლე გაწითლდა, გაფითრდა, სახე ხელებით დაიფარა. შერე სირცხვილი დასძლია და ასეთი ქალებისათვის ბუნებრივი გულგრილობით განაგრძო:

— ვინაიდან თქვენ შაბერის ვეჭილი ბრძანდებით, კეთილი ინებეთ...

— ქალბატონო, — სიტყვა შეაწყვეტინა დერვილმა, — მე ამ წუთში თქვენს ვეჭილიც ვარ ისე, როგორც პოლკოვნიკისა. ნუთუ გგონიათ, რომ თქვენს-თანა ძვირფასი კლიენტის დაკარგვას ვისურვებდი? მაგრამ თქვენ არ მისმენთ...

— ბრძანეთ, ბატონო, — უხებრა ქალმა.

— ქონება გრაფ შაბერისაგან მიიღეთ, მას კი ხელი ჰკარით. თქვენ უზარმაზარი ქონების პატრონი ბრძანდებით, ის კი სამათხოვროდ გაუშვით. ქალბატონო, ვეჭილები საკმაოდ მჭერმეტყველები არიან, როდესაც მდგომარეობა თავისდათავად მჭერმეტყველია. აქ კი ბევრი ისეთი გარემოებაა, რომელიც თქვენს წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ამხედრებას შესძლებს.

— მაგრამ, ბატონო, — მიუგო გრაფის მეუღლემ, ოგი მოთმინებას ჰკარგავდა იმის გამო, რომ დერვილი ნელ ცეცხლზე სწვავდა: — დაუშვათ, რომ თქვენი შაბერი არსებობს. სასამართლო ჩემი ბავშვების გულისათვის სცნობს ჩემს მეორე ქორწინებას და ბატონ შაბერს ორასოცდახუთი ათასი ფრანკის მიცემით მოვიშორებ.

— ქალბატონო, ჩვენ არ ვიცით, სასამართლო რა თვალსაზრისით მიუდგება სათუთ საკითხს. თუ ერთის მხრივ, ჩვენ გვყავს დედა და მისი შვილები, მეორეს მხრივ, გვყავს აღამიანი, თქვენ მიერ-გაუბედურებული, განადგურებული, თქვენი უარყოფით დაბერებული. სადღა იპოვის იგი ცოლს თავისთვის? შერე, განა მოსამართლეებს შეუძლიან კანონს გვერდი აუარონ? პოლკოვნიკთან თქვენს დაქორწინებას აქვს თავისი პირველობის უფლება, მაგრამ თუ თქვენ საქმის გარჩევას დროს ულამაზო მდგომარეობაში ჩავარდით, შეიძლება მოულოდნელი მოწინააღმდეგე გამოვიჩინდეთ. აი აქ არის, ქალბატონო, იმ საფრთხე, რომელიც მინდა ავაცვილოთ.

— ახალი მოწინააღმდეგე? — სიტყვა მან, — რომელი?

— გრაფი ფეროდი, ქალბატონო.

— ბატონი ფეროდი ჩემი დიდი ერთგულია და თავისი ბავშვების დედი-დიდი პატივისმცემელი...

— მაგ უშიშვნელო რამეზე ნუ ელაპარაკებით ვეჭილებს, — სიტყვა შეაწყვეტინა დერვილმა, — რომლებიც გულში დაფარულის წაკითხვას დაჩვეულნი არიან. ამ წუთში ბატონ ფეროდს განქორწინების სურვილი არა აქვს და, დარწმუნებული ვარ, რომ გადმერთებთ, მაგრამ ვინმეს მისთვის რომ ვთქვა,





შესაძლებელია თქვენი ქორწინება გაბათილდეს და საზოგადოებრივად აზრმა თქვენი ცოლი საბრალდებულო სკამზე დასვასო...

— იგი, ბატონო, მე დამიცავდა.

— არა, ქალბატონო.

— რა მოსაზრებით მიმატოვებდა?

— იმ მოსაზრებით, რომ საფრანგეთის პერის ერთადერთი ქალიშვილი შეერთო, რის შემდეგაც მეფის ბრძანებულებით თავისი სიმამრის პერობა გადასცემოდა...

გრაფის მეუღლე გაფითრდა.

— გულს მოხვდა, — სთქვა თავისთვის დერვილმა, — კეთილი. ჩემს ხელთა ხარ. საწყალი პოლკოვნიკის საქმე მოგებუღია".

— ამას გარდა, ქალბატონო, — განაგრძო ხმამაღლა დერვილმა, — სინდისის ქეჯნაც უფრო ნაკლები ექნება, თუ ცოლის დაბრუნებას მოსთხოვს არა ვიგინდარა, არამედ სახელმორჭმული ადამიანი, გენერალი, გრაფი, საპატიო ლეგიონის დიდი ოფიცერი...

— კმარა, კმარა, ბატონო! — სთქვა მან, — არასოდეს, თქვენ ვარდა, სხვა ვეჭიღ არ შეყრლება. რა ვქნათ?

— მორიგებით გაათავეთ, — მიუგო დერვილმა.

— კიდევ ვუყვარვარ? — ჰკითხა ქალმა.

— ვფიქრობ, სხვანაირად არც შეიძლება.

ამ სიტყვების გაგონებაზე გრაფის მეუღლემ თავი ასწია. იმედის სხივი ათინათლა მის თვალბში. იქნებ ვარაუდობდა, ესარგებლნა პირველი ქმრის ნაზი გრძნობით და რაიმე ქალური ეშმაკობით საქმე მოეგო.

— მე თქვენს განკარგულებას დავუცდი, ქალბატონო, იმის გასაგებად, საჭირო იქნება თუ არა საბუთების წარმოდგენა, ან, თუ მოისურვებთ, ჩვენთან მობრძანებას მორიგების საფუძვლების დასადგენად, — უთბრა დერვილმა გამოთხოვებისას გრაფის მეუღლეს.

დერვილის ამ ორი დარბაზობის შემდეგ რვა დღემ გაიარა, რომ ივნისის ერთ მშვენიერ დილას, თითქმის ზებუნებრივი შემთხვევით დაშორებული ცოლი და ქმარი პარიზის ურთიერთის მოპირდაპირე წერტილებიდან გაემგზავრნენ, რათა საერთო ვეჭილის კანცელარიაში ერთმანეთს შეხვედროდნენ. დერვილის უხეად გაცემულმა აენსმა პოლკოვნიკ შაბერს საშუალება მისცა თავისი წოდების შესაფერისად ჩაეცვა. მიცვალბული კარგმა ეტლმა მიიყვანა. შაბერს თავი სახის შესაფერი პარიკით აქონდა შემოსილი. ლურჯი მაუდის ტანისამოსი და სუფთა თეთრული ეცვა. ეილუტის ქვეშ საპატიო ლეგიონის დიდი ოფიცრის წითელი ლენტი გაეკეთებინა. თავისი ძველი სითამამე დაბრუნებოდა. მხედრული იერი მიეღო. ტანი გამართულად ეჭირა. მისი სახე, დარბაისლური და, იღუმალი, სადაც სიხარული და ათასგვარი იმედი ისახებოდა, გაახალგაზრდავებული, გამოცოცხლებული გამოიყურებოდა. გამოვიყენოთ მხატვრობის მარილიანი გამოთქმა: იგი სრულიად არა ჰგავდა იმ შაბერს, რომელსაც ძველი ინგლისური სერთუკი ეცვა, ისევე, როგორც გაცვეთილი სუ არა ჰგავს ორმოცდრანკიან ახალმოჭრილ ფულს. მისი მნახველი ადვილად გამოიცნობდა მისში ჩვენი ძველი არმიის ერთ მშვენიერ ნამსხვრევთაგანს, ერთ იმ გმირ ადამიანთაგანს, რომელზედაც, როგორც მზით განათებულ სარკეზე, ჩვენი ეროვნული დიდება აირეკლება ბოლმე. ეს ძველი ჯარისკაცები,

ყველანი ერთად, თითქოს სურათებსა და წიგნებს წარმოადგენენ. როდესაც გრაფი ერთიდან ჩამოდიოდა დერვილთან ასასველად, იგი ახალგაზრდას ეხვედრებოდა მსუბუქად ჩამობტა. როგორც კი მისი ეტლი წავიდა, ერთიანად ლერბეზით მოხატული დახურული ეტლი მივიდა, საიდანაც ქალბატონი ფეროდი ჩამობრძანდა. სადა ტანისამოსი ეცვა, მაგრამ იგი კარგად იყო გამიზნული იმისათვის, რომ მისი ტანის ახალგაზრდობა გამოეჩინა. თავზე ესურა ვარდისფერი სარჩულიანი კაპორი, რამელიც უხდებოდა, მისი სახის ზაზებს ჩქმალავდა და აცოცხლებდა. თუმცა კლიენტები გაახალგაზრდადებდნენ, კანცელარია მაინც უცვლელი დარჩა. იგი ისეთსავე სურათს წარმოადგენდა, როგორც ამაჰმადის აღწერა დავიწყეთ. სიმონენი საუზმობდა, მხრით გაღებულ ფანჯარას შიშვრდობოდა და შავი შენობების ოთხი კორპუსით გარშემორტყმული ქუჩურტანდანი ცის ლაქვარდს შესცქეროდა.

— ეჰ, — წამოიძახა შიკრიკმა, — ვის უნდა ჩემთან სანამღვო დასდოს წარმოდგენასე, რომ პოლკოვნიკი შაბერი წითელენტიანი გენერალია?

— ჩვენი პატრონი ნამდვილი ჯადოქარია — სთქვა გოდემალმა.

— ახლა მას ოინს ვერ მოეკობთ? — იკითხა დეროშმა.

— ამას მისი ცოლი დაივალებს, გრაფ ფეროდის მეუღლე! — სთქვა ბუკარმა.

— მაშასადამე, — დაურთო გოდემალმა, — გრაფ ფეროდის ცოლი ორივეს უნდა ეკუთვნოდეს.

— აი ის! — წამოიძახა სიმონენმა.

ამ დროს პოლკოვნიკი შევიდა და დერვილი იკითხა.

— აქ ვახლავთ, პატრონო გრაფო, — უპასუხა სიმონენმა.

— მაშ შენ ყრუ არა ყოფილხარ, პატარა ეშმაკო! — მიმართა შაბერმა, შიკრიკს ყურზე ხელი წაავლო და მოუგრიხა.

გადამწერებს ეს მოეწონათ და სიცილი ასტეხეს. ისინი პოლკოვნიკს ცნობის-მოყვარობით და მოწიწებით შესცქეროდნენ, რასაც მისი იშვიათი პიროვნება იმსახურებდა.

გრაფი შაბერი დერვილთან იყო იმ დროს, როდესაც მისი ცოლი კანცელარიის ტიშკარში შევიდა.

— იცოდე, ბუკარ, პატრონის კაბინეტში იშვიათი ამბავი მოხდება. აი ქალი, რომელსაც ავგის ლუწ რაცხვებში გრაფ ფეროდთან შეუძლიან იაროს, თვის კენტ რაცხვებში კი — გრაფ შაბერთან.

— ნაკიან წლებში ანგარიში გამოსწორდება, — სთქვა გოდემალმა.

— დაჩუქდით, ბატონებო, შეიძლება გაიგონონ! შეუტია მკაცრად ბუკარმა. — არასოდეს არ მინახავს ისეთი კანცელარია, სადაც კლიენტებს ისე დასცინოდნენ, როგორც თქვენ აქ იქცევით.

დერვილმა პოლკოვნიკი საწოლ ოთახში შეიყვანა, როდესაც გრაფის მეუღლე გამოცხადდა.

— ქალბატონო, — მიმართა დერვილმა, — არ ვიცოდი, გესიამოვნებოდათ თუ არა პოლკოვნიკ შაბერის ნახვა; ამიტომ გაგაცალკევეთ. მაგრამ, თუ შოისურვებთ...

— ყურადღებისათვის, ბატონო, მადლობას მოგახსენებთ.

— მოვამზადე შავად ხელშეკრულება, რომლის პირობების შესახებ შეიძლე-



ბა იკამათოთ თქვენცა და ბატონმა შაბერმაც. მე თოხიდან *თქვენი ვეფხვო,*  
 ერთმანეთის მოსახრებები რომ გაგაცნოთ. *გინგ-ლირისუნჯა*

— დავიწყეთ, ბატონო, — სიტყვა გრაფის მეუღლემ და მოძრაობით მოუთ-  
 მენლობა გამოხატა.

დერვილმა წაიკითხა:

„ქვემოთ ხელისმომწერნი გენერალ-მაიორი, გრაფი იასეიტ შაბერი, საა-  
 ტიო ლევიონის დიდი ოფიცერი, მცხოვრები პარიზში, პტი-ბანკიეს ქუჩაზე,  
 ერთის მხრით, და ქალბატონი როზ შამოტელი, ზემოთდასახელებული ბატონ-  
 ნის გრაფ შაბერის მეუღლე, დაბადებულია.“

— გამოსტოვეთ, — უთხრა ქალმა — შესავალს თავი გავანებოთ, პირობებ-  
 დან დავიწყეთ.

— ქალბატონო, — სიტყვა ვეჭიღმა, — შესავალი მოკლედ გვიხსნის, რა მდგო-  
 მარეობაშიც იმყოფებით ორივე მხარე. მერე, პირველ მუხლში თქვენ აღიარებთ  
 სამი მოწმის თანდასწრებით (ერთი იქნება მერძევე, ვისთანაც თქვენი მეუღ-  
 ლე ცხოვრობდა, და ორი ნოტარიუსი). მათ საქმე გავანდე, როგორც საიდუმ-  
 ლო, და ისინი ამის შესახებ კრინტსაც კი არსად დასძრავენ. თქვენ აღიარ-  
 ებთ, ვამბობ მე, გრაფ შაბერად, თქვენს პირველ ქმრად, იმ ადამიანს,  
 რომელიც ამასთანავე დართულ აქტებშია აღნიშნული და რომლის მდგომარე-  
 იობა, სხვათაშორის, დადასტურებულია თქვენი ნოტარიუსის ალექსანდრე  
 კროტას მიერ. მეორე მუხლში გრაფი შაბერი თქვენი ბედნიერებისათვის  
 პირობას იძლევა, თავისი უფლებები გამოიყენოს მხოლოდ იმავ აქტით  
 გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ შემთხვევებს, — თითქოს ფრჩხილებს  
 შორის ჩაურთო დერვილმა, — გამოიწვევს მხოლოდ ამ საიდუმლო ხელ-  
 შეკრულების თქვენმიერ დარღვევა. თავის მხრით, — განაგრძო ვეჭიღმა, —  
 ბატონი შაბერი თანახმაა, თქვენთან ერთად მორაგებით ითხოვოს სასამართ-  
 ლოს დადგენილება, რომელიც გააბათილებს აქტს მისი სიკვდილის შესახებ  
 და თქვენ შორის განქორწინებას დაადგენს.

— ეგ მე სრულიად არ შემეფერება, — სიტყვა გაკვირებულმა გრაფის  
 მეუღლემ, — მე არ მინდა პროცესი, — ხოლო რატომ, თქვენ იცით.

— შესამე მუხლით, — განაგრძო ვეჭიღმა და სრული სიმშვიდით, —  
 თქვენ ივალებთ გრაფის შაბერის სახელზე დააწესოთ რენტის ოცდაოთხი  
 ათასი ფრანკის რაოდენობით და იგი შეატანინოთ სახელმწიფო ვალების  
 დიდ წიგნში. მისი სიკვდილის შემთხვევაში კაპიტალი კანონიერი გზით  
 უკანვე დაგაბრუნდებათ.

— კეთილი, მაგრამ ეგ ძალიან ბევრია, — სიტყვა გრაფის მეუღლემ.

— უფრო ნაკლებად მორიგებო განა შეიძლება?

— შეიძლება.

— მითხარათ, რა ვნებაეთ, ქალბატონო?

— შე მინდა... პროცესი არ იყოს. მე მინდა...

— რომ ის მკვდარი დარჩეს, — შეაწყეტარნა დერვილმა.

— ბატონო დერვილ, — უთხრა გრაფის მეუღლემ, — თუ თქვენ ოცდა-  
 თხუთთბი ათას ლევრს რენტს მოითხოვთ, მაშინ უნდა ვადავოთ...

— დიად, ვადავოთ, — წამოიძახა ყრუ ხმით პოლკოვნიკმა, რომელმაც  
 კარი გააღო და უტყარად თავისი ცოლის წინ გაჩნდა. ერთი ხელი ვადავო-



— წავადეთ, ბატონო, — უთხრა ცოლმა და მკლავში ხელი გუყუყუყავს... ასეთი ქცევა პოლკოვნიკს ეცნაურა. გრაფის მეუღლის ასრუბანს შეხვედრისას მისი განაზრებული კილო საკმაოდ იყო იმისათვის, რომ პოლკოვნიკს განარისებდა დასცხრომოდა და ცოლო ეტლამდე მიეცილებინა.

— აბა, ამობრძანდით! — უთხრა გრაფის მეუღლემ, როდესაც მსახურმა ეტლის საფეხური დაუშვა, და შაბერი, მოჯადოებულებით, დახურულ ეტლში აღმოჩნდა, თავისი ცოლის გვერდით.

— ქალბატონო, საათ მიბრძანდებით? — ჰკითხა მსახურმა.

— გროსლენს, — მიუგო ქალმა.

ეტლი დაიძრა და პარიზი გადასვრა.

— ბატონო... — უთხრა გრაფის მეუღლემ პოლკოვნიკს ხმის თავით თრთოლვით, რომელიც არაჩვეულებრივ მღელვარებას იწვევს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს არსებას ცეცხლად ედება.

ასეთ წუთებში გული, ნერვები, სახე, პული, მთელი სხეული უთრთის ადამიანს, თითქმის სიცოცხლეს სტოვებსო. იგი გარეთ ილტვის და შადრევანივით სცემს, გადამღები სენივით ვრცელდება; გადადის შეხედვით, ხმის კილოთი, მოძრაობით, ჩვენს ნებისყოფას უმორჩილებს სხვებს. მოსუფი ჯარისკაცი აჯანჯალდა, როდესაც გაიგონა მხოლოდ ერთი სიტყვა, ეს ბირველი, ეს საშინელი „ბატონო!“ მაგრამ ეს, მართლაც, ყველაფერი იყო ერთსა და იმავე დროს: საყვედურაც, ვედრებაც, პატივაც, იმედიც, უიმედობაც, კითხვაც და პასუხიც. ეს სიტყვა ყველაფერს შეიცავდა. ადამიანი თვალთმაქცი უნდა ყოფილიყო, რომ ერთ სიტყვაში ესოდენი მკერმეტყველება, ესოდენი გრძნობა მოეთავსებინა. სიმართლე თავისი გამოხატვის დროს სრულყოფილი არ არის, მას ყველაფერი გარეთ არ გამოაქვს, იგი დაგანახვებს ყველაფერს, რაც შიგნით არის. თავისი ეჭვების, მოთხოვნების, განრისხების გამო პოლკოვნიკი სინდისის ქენჯნას ვერ უძლებდა და მან თვალები დახარა, რათა თავისი შეშფოთება დაეფარა.

— ბატონო; — ვანაგრძო გრაფის მეუღლემ შეუშინველი დუმილის შემდეგ — შე თქვენ, რასაკვირველია, გიცანით.

— როზინ; — სთქვა მოხუცმა ჯარისკაცმა, — ეს სიტყვა ერთად-ერთი მალამოა, რომელსაც შეუძლიან მთელი ჩემი ტანჯვა დამავიწყებინოს.

ორი მსხვილი ცხელი ცრემლი დაეცა მისი ცოლის ხელებზე, რომლებსაც შაბერი მამობრივი სინაზით ხელს უქერდა.

— ბატონო, — ვანაგრძო ქალმა, — როგორ ვერ მიხვდით, რომ ჩემთვის საშინლად ძნელი იყო უცხო ადამიანის წინაშე ისეთ ცალბ მდგომარეობაში გამოჩენა, როგორშიაც ვიყავი? თუ ჩემი მდგომარეობის გამო მე უნდა გაეფითლდე, ეს წინაურთობაში ზაინც მოხდეს. ეს საიდუმლოება განა ჩვენს გულში დამარბული არ უნდა დარჩეს? დანაშაულად არ ჩამითვლით, იმედი მაქვს, ჩემს ვითომდა გულგრილობას იმ ვილაც შაბერის უბედურებათა შიშართ, რომლის არსებობა მე არ უნდა დამეჯერებინა. თქვენი წერილები მივიღე. — სთქვა მან ცოცხლად, როდესაც ქმრის სახეზე გაკვირება ამოიკითხა, — მაგრამ ეს წერილები ჩემთან ეილაუს ბრძოლის შემდეგ შეცამეტე თეიზე მოვიდა გახსნილი, დასერილი, ხელიც ვერ ვიცანი. და იმის შემდეგ, რაც ნაპოლეონმა ჩემი ქორწინების ახალ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, განა არ უნდა მეფიქრა, რომ ვილაც მოხარბებულ ინტროვანს ჩემი გაკუთრება უნდა? გრაფ ფეროდის სიმშვიდე რომ არ დამერღვია და ოჯა-

ხის კავშირი არ შემებღალა, მე ცრუ შაბერის წინააღმდეგ კიდევანსულის ზომები უნდა მიმეღო. მითხარით, განა მე მართალი არ ვეყოლებოდა?

— ღიად შენ მართალი აყავი. მე ვარ სულელი, ბირუტყვი, გამოთყუანებული, რომ ვერ გავითვალისწინებ მსგავსი მდგომარეობის შედეგები. მაგრამ საით მიემგზავრებით? — ჰკითხა პოლკოვნიკმა, როდესაც ლა შაბელის სადარაჯო დაინახა.

— ჩემს მამულში, გროსლესის მახლობლად, მონმარანსის ველზე. იქ, ბატონო, ერთად მოვიფიქროთ, რა გადაწყვეტილება უნდა მივაღოთ. მე ვიცი ჩემი მოვალეობანი. კანონით თქვენი ვარ, სინამდვილეში კი თქვენ არ გეკუთვნიათ. განა ისურვებთ, რომ მთელი პარიზის ყუბადასაღები გაჭიდდეთ? მთელ ქვეყანას ნუ ვაცნობებთ იმ ამბავს, რომელიც შენს სასაცილო მდგომარეობაში ჩამაყენებს. ჩვენი ღირსება დაეიცვათ. კიდევ გიყვარვართ, — ვანაგროძო მან და პოლკოვნიკს სევდიანად და ნაზად შეხედა. — მაგრამ განა მე უფლება არა მქონდა სხვას დაგკავშირებოდი? ამ განსჯებულ მდგომარეობაში იდუმალი ხმა ჩამძახის, ჩემთვის ასე კარგად ნაცნობი ვულკეთილობის იმედი ვიქონიო. ნუთუ ვცდები იმაში, რომ მსურს მხოლოდ თქვენ ერთი იყოთ ჩემი. ბედის გადაწყვეტა? შესაჯულიცა და პოპირდაპირე მხარეც თქვენ იყავით. თქვენს კეთილშობილ ხასიათს ვერდობი. თქვენი სულგარძელობა შესძლებს ჩემი უცოდველი დანაშაულის შედეგების პატიებას. მამ გამოგიტყდებით, ბატონი ფეროდი მე მიყვარს, ვფიქრობდრე, რომ მისი შეყვარების უფლება მქონდა. თქვენს წინაშე ამის აღიარება არა მრცხვენინან. ეს თუ თქვენ შეურაცხყოფთ, სახელს მაინც არ გიტყბთ. სინამდვილეს ვერ დაგიმალავთ, როდესაც შემთხვევამ დამაქვრივა, მე დედა არ ვიყავი.

პოლკოვნიკმა ცოლს ზღლით ანიშნა დაღუმებულყოფით. ნახევარი ღიე ესე გაიარეს, სიტყვა არ წარმოუთქვამთ. შაბერს ეგონა, რომ ორი პატარა ბავშვი თვალწინ ედგა.

— როზინ!

— ბატონო?

— მამ მეკვრებს დიდი შეცდომა ჩაუდენიათ, რომ გაცოცხლებულან?

— ოჰ, ბატონო, არა, არა! უმადურად ნუ ჩამთვლით, მაგრამ იქ, სადაც ცოლი დასტოვეთ, დაგხვდათ საყვარელი, ცოლი. ჩემ ზღლით არ არის, რომ მიყვარდეთ, მაგრამ ვიცი, რა დავალებული ვარ თქვენგან და შემძლიან კიდევ ქალიშვილის მთელი სიყვარული შემოგთავაზოთ.

— როზინ! — ვანაგროძო მოხუცმა ნაზი ხმით, — შენს მიმართ არავითარ ბოროტებას არა ვგრძნობ, ყველაფერი დაეივაწყით, — დაუმატა მან ისეთი ღიმილით, რომელიც მშვენიერი სულის მშვენიებაა. — არა ვარ ისე უზრდელი რომ სიყვარული მოვთხოვოთ იმ ქალს რომელსაც აღარ ვუყვარვარ.

გრაფის მეუღლემ ისეთი მადლიერი თვალებით შეხვდა, რომ საწყალი შაბერი მზად იყო ეილაუს საფლავში შთანთქმულიყო. ზოგიერთ ადამიანს ასეთი თავდადებისათვის აქვს სულის სიმტკიცე და მისთვის საკმარისია დარწმუნდეს, რომ ამით საყვარელ არსებას გააბედნიერებს.

— ჩემო მეგობარო, ყოველივე ამანე ცოტა ხნის შემდეგ მოვალაპარაკოთ გულდამშვიდებულად, — სიტყვა გრაფის მეუღლემ.

საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო, რადგან ამ საგანზე დიდ ხანს ბაასი შეუძლებელი იყო. თუმცა ცოლქმარი ზშირად უბრუნდებოდა, თუმცა ნაურ მღვთმარეობას ხან სიტყვის გადაკვრით, ხან არსებითად, მაგრამ მაინც მშვენივრად იმზავრეს, ერთად ცხოვრება და იმპერიის ამბები გაიხსენეს. გრაფის მეუღლემ ეს მოგონებები ნაზი მიმზიდველობით შეამყო და საუბრის სიღაბჯის დასაცავად მათ სევდიანი იერი მისცა. ენების გამოუწვევლად ქალი ძველ სიყვარულს უღვიძებდა და თითქოს შემთხვევით თავის პირველ ქმარს საშუალებას აძლევდა დაენახა ყველა ის ზნეობრივი სიმდიდრე, რომელიც მან უიმისოდ შეიძინა. თან იგი ცდილობდა ქმარი იმ აზრს შესწევოდა, რომ მას თავისი ბედნიერება მხოლოდ იმ სიამოვნებით შეეზღუდა, რასაც მამა თავისი ძვირფასი ქალაშვილის სიახლოვეთ განიცდიდა. პოლკოვნიკი თავის ცოლს იცნობდა როგორც იმპერიის გრადის მეუღლეს, ახლა კი იგი ხედავდა რესტავრაციის გრაფის მეუღლეს. ბოლოს ცოლქმარმა სასოფლო ვზით მიაღწია პატარა ხევში მოთაქებულ დიდ პარკს, რომელიც მარჯანის მდლობენისა და ლაშაში სოფლის გროსლესის შუა მდებარეობს. გრაფის მეუღლეს იქ წარმოცოცხდა სასაბლე ჰქონდა. პოლკოვნიკს მისგლისას დაჰხვდა იქ ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო ცხოვრებისათვის. უბედურება რაღაც ჯაღოა, რომლის ძალა იმაში გამოიხატება, რომ იგი ჩვენს თანდაყოლილ მიდრეკილებებს ამტკიცებს. ზოგს უღვივებს უნდობლობასა და სიაყეს, მშვენიერი სულის ადამიანს კი — გულკეთილობას.

უბედურებამ პოლკოვნიკი უფრო თავაზიანი და კეთილი გახადა, ვიდრე ოდესმე იყო. მას შეეძლო ჩასწვდომოდა ქალის ტანჯვის საიდუმლოებას, რომელსაც მამაკაცთა უმრავლესობა ვერ ხედავდა. თუმცა პოლკოვნიკი შაბერს ეჭვი თითქმის გაეთანტა, მაგრამ მან თავის შეკავება მაინც ვერ შესძლო და ცოლს ჰკითხა:

— მაშ თქვენ დარწმუნებული ყოფილხართ, რომ აქ მომიყვანდით?

— დიალ, — უპასუბა ქალმა, — თუ მოსარჩილე პოლკოვნიკი შაბერი აღმოჩნდებოდა,

თავის პასუხს ქალმა ისეთი სიმართლის იერი მისცა, რომ პოლკოვნიკს თავისი ეჭვების შერაცხვა. სამი დღის ვანმავლობაში გრაფას მეუღლე თავის პირველ ქმარს საუცხოოდ ეპყრობოდა, ნაზი ზრუნვით და მუდმივი სათუთი მოპყრობით თითქოს ქალი ცდილობდა პოლკოვნიკი შაბერისათვის დაევიწყებინა გადატანილი უბედურება. ქალი ცდილობდა ქმარს ებატებინა მისთვის ის ტანჯვა, რაც მას უნებურად მიაყენა. ეს ადამაშაული ქალმა აღიარა. მას სიამოვნებას ჰგვრიდა ქმრის წინ გადადგმა ყველა თავისი მომხრეულობა, რასაც მან იცოდა, პოლკოვნიკი ვერ გაუძლებდა ამასთან ქმარს თავის სევდიანობას ამჩნევიებდა. არის მოპყრობა, სულიან გულის სიკეთე, რასაც განსაკუთრებული სიმძაფრით განვიციდით და ვერ ვუშკლავდებით. ქალს უნდოდა გაეცნო თავისი მღვთმარეობა ქმრისთვის, გული ისე აეჩვილებინა და გონება ისე შეებოჭა მისთვის, რომ იგი თავისი ნებასურვილისათვის დაემორჩილებინა.

გრაფის მეუღლეს გადაწყვეტილი ჰქონდა მიზნის მისაღწევად არაფერი დაეზოგა, მაგრამ ჯერ არ იცოდა, რა უნდა ექნა ამ კაცისათვის. მისი განადგურება კი, მისი საზოგადოებიდან ამოგდება, აუცილებლად სურდა. მესამე ალაამოს, ქალმა იგრძნო, რომ, მიუხედავად ძალთა დაძაბვისა, მას

ადარ შეეძლო დაეფარა ის წუხილი, რასაც მისი ფანდბა იწვევდნენ. რათა ცოტა ხანს მარტო დარჩენილიყო, თავის ოთახში ავიდა, საწერის მაგიდას მიუჯდა და ჩამოიხსნა სიმშვიდის ნიღაბი, რომელსაც შაბერის წინაშე ატარებდა. მოიქცა იმ მსახიობივით, რომელიც მძიმე მეხუთე აქტის შემდეგ, დაქანცული, თავის საპირფარეშოში დაბრუნებული, უსიცოცხლოდ ჩაიკეცება და დარბაზში სტოვებს თავის სახეს, რომელსაც უკვე აღარა ჰგავს. იგი დელბეკისათვის ვასაგზავნ წერილის დამთავრებას შეუდგა. გრაფის შეუღლე ავალებდა დელბეკს, მასი სახელით ეთხოვნა დერვილისთვის იმ საბუთების გაცნობა, რომლებიც პოლკოვნიკ შაბერს ეხებოდა, გადაეღო მათი პირები და მაშინვე გროსლერის ჩასულიყო. დამთავრა თუ არა წერილი, დერეფნიდან პოლკოვნიკის ფეხის ხმა მოესმა, შემფოთებული შაბერი მას დაეძებდა.

— ეჰ, სიკვდილი შირჩენია, ჩემი მდგომარეობა აუტანელია! — ხმაძალ-ლა სთქვა გრაფის მეუღლემ.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა კეთილმა მოხუცმა.

— არაფერა, ხრადერი, — მიუგო ქალმა.

ადგა, პოლკოვნიკი მიატოვა და დაბლა ჩავიდა, რათა მოსამსახურე ქალს მოწმის დაუსწრებლად დალაპარაკებოდა. მოსამსახურე პარიზს გაგზავნა, დაავალა თვითონ მას გადაეცა დელბეკისათვის წერილი, რომელიც ის-ის იყო დაამთავრა, და უკანვე ჩაეტანა, როგორც კი მას დელბეკი წაიკითხა-და. მერე გრაფის მეუღლე ბაღში ადვილად დასაანახ ადგილას დაჯდა, რომ პოლკოვნიკი მასთან მისულიყო მაშინვე, როგორც კი მოინურებდა. შაბერი, რომელიც უკვე დაეძებდა ცოლს, აჩქარებული ნაბიჯით მივიდა მასთან და გვერდით მიუჯდა.

— როზინ, — უთხრ მან. — რა მოვივიდა?

ქალმა არაფერი უპასუხა. ერთი იმ საუცხოო და წყნარ საღამოთაგანი იყო, რომლის ადრემალი პარმონია იენისის თვეში მზის ჩასვლისას ესოდენ სინაზეს აფრქვევს. ისეთი წმინდა ჰაერი და ღრმა სიჩუმე იყო, რომ პარკის შორეული კუთხიდან ხავშვების ხმა მოისმოდა. ესეც ბუნების დიდებულ სურათს რაღაც მელოდიას შატებდა.

— პასუხს არ მაძლევთ? — ჰკითხა ცოლს პოლკოვნიკმა.

— ჩემი ქმარი... — დაიწყო გრაფის მეუღლემ და სიტყვა გაუწყდა. ერთი შეტოკდა, მერე შაბერს ჰკითხა, თან გაწითლდა... — როდესაც გრაფ ფერთლზე ელაპარაკობ, როგორ უნდა ვახსენო იგი?

— სთქვი, ჩემი ქმარი-თქო, ჩემო საბრალო ბავშვო, — უპასუხა პოლკოვნიკმა გულკეთილად, — იგი ხომ შენი ბავშვების მამაა?

— კარგი, — განაგრძო ქალმა, — ბატონმა ფეროდმა რომ შეითხოს, აქ რა გინდაო, აქ უცხო კაცთან ჩემი ყოფნა რომ გაიგოს, რა უნდა ვუთხრა? მომისმანეთ, ბატონო, — განაგრძო მან, თან სახის ღირსეული გამომეტყველება მიიღო, — ჩემი ბედი გადასწყვიტეთ, მე ყველაფრისთვის მზად ვარ...

— ჩემო ძვირფასო, — სთქვა პოლკოვნიკმა, — და ცოლს ხელზე ხელა მოჰკიდა, — გადაწყვიტე, თქვენს ბედნიერებას თავი შეგსწირო...

— ეგ შეუძლებელია, — წამოიძახა ქალმა და კრუნჩხვამ უნებურად აათრთოლა, — მაშინ თქვენს არსებობაზე უარი უნდა ვეთქვათ კანონიერი ვნით.



— როგორ? — სთქვა პოლკოვნიკმა, — ჩემი სიტყვა თქვენთვის საკმარისი არ არის?

ეს თქმა „კანონიერი გზით“ მოხუცს გულს დაესება და უნებურად უხლობლობა გაუღვიძა. ცოლს ისე შეხედა, რომ იგი გააწიოლა, მან თვალები ძირს დაჰხარა. პოლკოვნიკს შეეშინდა, იძულებული არ გავხდე, ცოლი შე-  
შეზიზღოსო. გრაფის მეუღლე შაშვი აიტანა, რომ იმ ადამიანის ველურ შორეულობასა და მკაცრ პატიოსნებას შეეხო, რომლის კეთილშობილ ხასიათს, ბუნებრივ სათნოებას კარგად იცნობდა. თუმცა ამ ფიქრმა მათ შუბლს ღრუბლები მოჰქინა, მაგრამ კარგი შეთანხმებულობა მათ შორის მაინც აღსდგა. აი როგორ მოხდა ეს. შორიდან პავშვის ყვირილი მოისმა.

— ეიულო, თქვენი და მოასვენეთ! — დაუძახა გრაფის მეუღლემ.

— როგორ, თქვენი ბავშვები აქ არიან? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— დიალ, მაგრამ თქვენი შეწუხების ნება არ მიეცეო.

მოხუცმა მხედარმა გაიგო ეს გულზნაურება, ეს ქალური თავდაპყრილობა, რაც ამ კარგი საქციელით გამოხატა, და გრაფის მეუღლეს ხელზე აკოცა.

— შოვიდნენ აქ, — სთქვა შაბერმა.

პატარა გოგონამ მიიჩბინა ძმაზე შესაჩივლელად.

— დედა!

— დედა!

— ეიულომ ჩაიდანა!

— თვითონ მან.

ხელებს დედისკენ იწვდიდნენ. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ეს იყო უეცარი და წარმტაცი სურათი.

— საწყალი ბავშვები! — წამოიძახა გრაფის მეუღლემ და ცრემლები ველარ შეიკაფა. — ისინი უნდა მიეატოვო, სასამართლო ვის მისცემს ბავშვებს? დედის გულის გაყოფა არ შეიძლება, მე ისინი მინდა, მინდა!

— თქვენ ატირებთ დედას? — წამოიძახა ეიულომ და პოლკოვნიკს მრისხანედ შეჰხედა.

— დაწყნარდით, ეიულო! — ბრძანების კილოთი დაუყვირა დედამ.

ბავშვები ჩუმად იდგნენ მათ წინ. დედას და უცხო კაცს ისეთი ცნობის-მოყვარეობით ათვლიდებდნენ, რომ სიტყვებით მისა გადმოცემა შეუძლებელია.

— ოჰ, დიალ, — განაგრძო ქალმა, — თუ გრაფს გამაშორებენ, ბავშვები მაინც დამიტოვონ და ყველაფერს დავემორჩილები.

ეს გადამწყვეტი სიტყვა იყო და მან სრული გამარჯვება მოიპოვა, რასაც გრაფის მეუღლე მოელოდა.

— დიალ, — წამოიძახა პოლკოვნიკმა, თითქოს იგი თავის ფიქრს ამთავრებდა, — მე მიწას უნდა დავუბრუნდე. ეს უკვე ვთქვი ჩემთვის.

— ასეთ მსხვერპლს როგორ მივიღებ? — უბასუხა გრაფის მეუღლემ. თუ იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც თავიანთ სატრფოთა პატიოსნების დასაცავად თავი გასწირეს, ისინი მხოლოდ ერთხელ დაიხოცნენ. თქვენ კი სიცოცხლე ყოველდღიურად უნდა გასწიროთ. არა, არა, ეგ შეუძლებელია. ეგ რომ მხოლოდ თქვენს აღსებობას შეეხებოდეს, არაფერი იქნებოდა. მაგრამ იმის ხელისმყოფერა, რომ თქვენ პოლკოვნიკი შაბერი არა ხართ, აღიარება იმისა, რომ ცრუმოსახელე ხართ. თქვენი ღირსების უარყოფა.

სიცოცხლის ყოველ წუთს ტყუილის თქმა, — აღამიანს თავგანწირვა ამ ზომამდე ვერ შივია. დაფიქრდით მხოლოდ. არა, ჩემი საწყისი მსაშუქები რომ არა მყადნენ თქვენთან ერთად ქვეყნის კიდემდე გავიქცეოდით...

— ნუთუ, — სთქვა შაბერმა, — არ შემეძლო აქ მეცხოვრა ერთ პატარა სახლში, როგორც თქვენს ნათესავს? მე ძველი ზარბაზანივით გაცვეთილი ვარ და, გაზეთისა და თამბაქოს გარდა არაფერი მინდა.

ქალი ცრემლებად დაიღვარა. გრაფ ფეროდის მეტლლესა და პოლკოვნიკ შაბერს შორის ბრძოლა გაიმართა, რომელი გამოიჩინდა მეტ კეთილშობილებას. ამ ბრძოლაში ჯარისკაცი დარჩა გამარჯვებული. ერთ საღამოს, როდესაც თავის ბავშვებს შორის დედა დაინახა, ჯარისკაცი მოიხიბლა ამ ოჯახური ამბულელებელი სურათით სოფლად, ჩრდილსა და სიწყნარეში. მან ვაღასწყვიტა მკვდრად დარჩენილყო. კანონიერი გაფორმებისას არ შეშინებია. იკითხა, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ამ ოჯახის ბედნიერება სამუდამოდ უზრუნველყო.

— მოიქციეთ, როგორც გენებოთ! — უპასუხა გრაფის მეუღლემ, — მე გიცხადებთ, რომ ამ საქმეში სრულიად არ ჩავერევი. არც უნდა ჩავერიო.

დელბეგი რამდენიმე დღის ჩამოსული იყო და, თანახმად გრაფის მეუღლის სიტყვიერი შითითებისა, მან მოხუცი მხედრის ნდობის დამსახურება მოახერხა. და ამ მეორე დღეს, პოლკოვნიკი შაბერი ყოფილ გეჟილთან ერთად სენ-ლე-ტავერნში გაემგზავრა, სადაც დელბეგმა ნოტარიუსს შეადგენინა აქტი ისეთი გარკვეული გამოთქმებით, რომ მისი წაქითვისთანავე პოლკოვნიკმა კანცელარია მიატოვა.

— ღეთის რისხვამ კარგი ვინმე ეიქნებოდი: ყალბის მქნელის სახელი დამივარდებოდა! — წამოიძახა მან.

— ბატონო, — უთხრა დელბეგმა, — მე არ გირჩევთ, რომ ხელის მოწერაში აჩქარდეთ. თქვენს ადგილას ამ პროცესიდან ოცდაათი ათას ლივრს რენტს მაინც მივიღებდი, რადგან ქალბატონი ფეროდი ამას მოგცემდათ.

პოლკოვნიკმა ანთებული თვალებით გაანადგურა ეს დამსახურებულ თაღლითი, მერე გაიქცა. ერთი მეორას საწინააღმდეგო განცდებმა გაიტაცეს. იგი კვლავ უნდობელი გახდა, ხან აღშფოთდებოდა, ხან დაწყნარდებოდა.

ბოლოს, გროსლეის პარკში დაბრუნდა, გამონგრეულ კედელში გავიდა, ნელი ნაბიჯით ჰაელიონისაკენ გასწია და იქ მოწყობილ კაბინეტში დაჯდა, საიდანაც სენ-ლეს გზა მოსჩანდა. უნდოდა მარტოდ დარჩენა აზრების დასალაგებლად. ზეივანი მოყრილი იყო ერთგვარი ყვავილი მიწათ, რომელსაც მდინარის სილის შავიერ ხმარობენ. ასეთივე ჰაელიონის პატარა სასტუმრო ოთახში მყოფ გრაფის. მეუღლეს პოლკოვნიკის მისვლა არ გაუგია, ისე იყო გართული თავისი საქმის წარმატებით. შაბერის ფესას ხმისთვის ყურადღება სრულიად არ მიუქცევია. არც მოხუც მხედარს დაუნახავს თავისი ცოლი.

— როგორ არის საქმე; ბატონო დელბეგ? მოაწერა ხელი? — ჰკითხა გრაფის მეუღლემ თავის მმართველს, — როგორც კი მოპერა თვალი გზაზე, თხრილის ღობის გადაღმა.

— არა, ქალბატონო. არ ვიცი, ამ აღამიანს რა დაემართა. ბებერი ცხენი ყალბზე შესდგა.

— მაშ საქმე საგაეეთში მისი მოთავეებით უნდა გაეთავსოთ, — თქვა ქალმა, — იგი ხომ ჩვენს ხელთ არის.

პოლკოვნიკმა, რომელსაც ახალგაზრდული სიმარტე დაუბრუნდა, თხრობის დროს ლობეზე გადასახტომად, თვალის დაზამხამებაზე მმართველის წინ განდგა და ისეთი წყვალ კარგი სილა გააწინა, რომ არც ერთ ვეჟელის ლოყებს ასეთი ლაზათიანი სილა არ უგემნია.

— დაუმატე, რომ ბებერმა ცხენმა დაწიხვლაც იცის, — უთხრა მას.

ეს მძვინვარება რომ დაუტყრა, პოლკოვნიკი თხრობზე გადახტომას ძალა აღარა ჰქონდა. ჭეშმარიტება მთელი თავისი სინოშულით დაუდგა წინ. გრაფის მეუღლისა და დელბეკის სიტყვა-პასუხმა ფარდა ანადა იმ შეთქმულებას, რომლის მსხვერპლიც უნდა გამხდარიყო. ის ზრუნვა, რომელიც მისთვის არ დაიშურეს, მოსატყუებელი ყოფილა მათში მას ვაძამებლად. ეს სიტყვა-პასუხი თითქოს რაღაც მძაფრი შხამის წვეთი აყო, რომელმაც მოხუც ჯარისკაცს კვლავ განუხალა ფიზიკური და მორალური ტანჯვა.

პარკის ჭიშკრით პავლიონში დაბრუნდა. დაჩაჩანაკებული აღამიანით მიდიოდა. მაშ მისთვის არც სიმშვიდე, არც დასვენება? ამიერიდან ამ ქალთან ის საზიზღარი რამი უნდა დაეწყო, რომლის შესახებაც დერვილი ელაპარაკა. დავა-ჩივილში უნდა გაეტარებინა მთელი სიცოცხლე, ნაღველი ესვა, ყოველ დღით სიმწრის ფიალა დაეცალა. მერე, საშინელი ფიქრი წამოეტყრა: სად იშოვოს, პირველი ინსტანციების ხარჯების დასაფარავად საჭირო ფული? ცხოვრების მიმართ ისეთი საშინელი. ზიზღი იგრძნო, რომ მზად იყო წყალში გადაეარდნილიყო. დამბანა რომ ჰქონოდა, თავს მოივლავდა. და იგი ისევე მოიცვა გაურკვეველმა ფიქრებმა, რომლებიც დერვილთან აუბარა გამოიწვია, როდესაც იგი მერძევის ბინაზე ეწვია. ბოლოს, პავლიონის მიღწია და საზაფხულო კამინეტში ავიდა, რომლის მრგვალ სარკმელთა მიწებდან ყოველ მხარეს ველის წარმტაცი სანახაობა იშლებოდა. იქ სკამზე ჩამომჯდარი ცოლი დახვდა. პეიზაჟს გასცქეროდა. ქალს თავი მშვიდად ექირა, მის სახეზე კაცი ვერაფერს ამოიკითხავდა. ასეთი გამომეტყველების მიღება იმ ქალებს შუძლიათ, რომლებიც არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ. გრაფის მეუღლემ თვალზე ცრემლი მოიწმინდა, თითქოს ბევრი იტირაო. იგი დაფანტულად თავისი ქამრის ვარდისფერ გრძელ ლენტს ხელში ათამაშებდა, მაგრამ, შიშხუდავად გარეგნული სიმშვიდისა, მან ვერ შესძლო არ ათრთოლებულყო თავისი დარბანელი კეთილისმყოფელის, წინაშე, რომელიც გულზელდაკრედილი, სახემკრთალი, შებლშექმტხნილი ადგა მის წინ. შაბერმა თვალი თვალში გაუყარა, გააწითლა და მერე უთხრა მას:

— ქალბატონო, ქალბატონო, მე თქვენ არა გწყევლით, მე თქვენ შენიშვნებით. ვუბადლი იმ შემთხვევას, რომელმაც ჩვენ შორის კავშირი გასწყვიტა. შურისიების სურვილიც არა მაქვს, აღარ მიყვარხართ. არაფერი მინდა თქვენგან. იცხოვრეთ მშვიდად, ენდეთ ჩემს სიტყვას, თუ უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი პარიზის ნოტარიუსების ნაჯღაბნი, მე არასოდეს არ მოვიტხოვ იმ სახელის აღდგენას, რომელიც შეიძლება დიდებით შეემოსე. ამიერიდან მე მხოლოდ ერთი საწყალი ვინმე ვარ, იასენტი, რომელიც ცის ქვეშ მხოლოდ პატარა ადვილს ითხოვს. მშვიდობით!

გრაფის მეუღლე პოლკოვნიკს ფეხებში ჩაუყარდა, უნდოდა მისი შეჩერება, ხელი მოჰკიდა, მაგრამ მან ზიზღით მოიშორა და უთხრა:

— არ მომეკაროთ!

როდესაც თავისი ნიშნავალი ქმრის ფეხის ზემა მოესმა, გრაფის მეუღლე ისე შეტოვდა, რომ მისი გადმოცემა შეუძლებელია. მერე დრმა შორსმჭვრეტელობით, რასაც დიდი აკვაცობა ან მაღალი საზოგადოების სასტიკი ეგოიზმი აძლევს ადამიანს, იგი დაარწმუნდა, რომ მას შეეძლო ამ მატროსანი ჯარისკაცის შეპირებასა და ზიზღს დანდობოდა და მშვიდად ეცხოვრა.

შაბერი მართლაც გაჰქრა. მერძვევე გაკოტრდა და შეეტლეობა დაიწყო. იქნებ პოლკოვნიკმაც ამდაგვარ საქმეს მოჰკიდა ხელი. იქნებ უფესკრულში გადადებულ ქვასავით, პარიზის ქუჩებში მოდებულ სიღარიბის ქაობში ჩაეფლა.

ამ ამბოს შემდეგ ექვსმა თვეს გაიარა. დერვილს არც პოლკოვნიკ შაბერზე, არც გრაფ ფეროდის ცოლზე არაფერი გაეგონა. მან იფიქრა, რომ მათ საქმე, ალბათ, მორიგებით გაათავეს და ჩემზე ჯავრის ამოსაყრელად გრაფის მეუღლემ ეს საქმე სხვა ვექილის კანცელარიაში გააფორმავ. ამიტომ დერვილმა ერთ დილას შაბერისათვის მიცემული თანხები შეაჯამა, ზედ ხარჯები დაუმატა. მერე გრაფ ფეროდის მეუღლეს ბარათი გაუგზავნა, რომლითაც საზოგადო წარდგენილი ანგარიშით გაესტუმრებინა გრაფ შაბერის ვალი. ვექილი ფიქრობდა, რომ ცოლს თავისი პირველი ქმრის მისამართი ეცოდინებოდა. მეორე დღესვე გრაფ ფეროდის შმართველმა, რომელიც ახალდანიშნული იყო ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის პირველი საფეხურის სასამართლოს თავმჯდომარედ, დერვილს დამალონებელი პასუხი მისწერა:

„პატრონო, გრაფ ფეროდის მეუღლემ დამავალა ვაცნობოთ, რომ თქვენმა კლიენტმა თქვენი ნდობა ბოროტად გამოიყენა, და იმ პირმა, რომელიც თავს გრაფ შაბერს უწოდებდა, აღიარა, რომ სხვისი ღირსება უკანონოდ მიითვისა.

შიაღწეთ და სხვა

დელბეკი“.

— პატრონებმა ვეიცავ. — წამოიძახა დერვილმა, — გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შეტის-მეტად სულელები არიან, ისინი ამოდ მოუნათლავეთ. თავის გასაბრძვებლად საკმაოა იყო დიდსულოვანი, კაცობოყვარე და ვექალის ან საქმე, რომელიც ორი ათას ფრანკზე მეტად მიღირს.

ამ წერილის მიღების შემდეგ ცოტაოდენმა დრომ გაიარა, და ერთხელ დერვილი სასამართლოში ვექილს დაეძებდა, მასთან მოსალაპარაკებელი ჰქონდა. ის ვექილი გამასწორებელი პოლიციის სასამართლოში საქმეს იცავდა. შემთხვევით დერვილი შეექვსე და რბაზში შევიდა იმ დროს, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარემ ორი თვის პატიმრობა შეუსაჯა, როგორც მობეტიალეს, ვინმე იასენტს და ზრძანება ვასცა, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ სენ-დენისის მათხოვართა თავშესაფარ სახლში მოეთავსებინათ იგი. ასეთი სასჯელი პოლიციის პრეფექტების პრაქტიკაში მუდმივ პატიმრობა უდრის. იასენტის სახელის გაგონებაზე დერვილმა შეხედა ორ

უანდარმს შორის საბრალდებულო სკამზე შედგომ დამნაშავეა და მასში თავისი ცრუპოლკოვნიკი შაბერი იცნო.

მოხუცი ჯარისკაცი შშვიდად, უძრავად იჯდა. დაფანტულმა ეცუბოდა. თუმცა ძონძები ეცვა და სახეზე სიღარიბის დაღი ესეც, მას მაინც კეთილშობილი სიამაყის იერი ჰქონდა. მისი გამოხედვა სტოიციზმით იყო გამსჭვალული, რაც მოსამართლეს, ალბათ, შეუნიშნავი არ დარჩებოდა. შაგრამ რაკი ადამიანი მართლმსაჯულებას ხელში ჩაუვარდებო, იგი მხოლოდ ზნეობრივ არსს, უფლებისა და ფაქტის საკითხს წარმოადგენს იმის მსგავსად, როგორც სტატისტიკოსებისათვის ადამიანი ციფრულ იქცევა ხოლმე. როდესაც ჯარისკაცი კანცელარიაში შეიყვანეს, რომ იგი იმ დღესვე გასასამართლებელ მოხეტიალეთა ჯგუფთან ერთად წაეყვანათ, დერვილმა გამოიყენა ის უფლება, რომლითაც ვეჭილებს ნება აქვთ სასამართლოში ყველგან თავისუფლად შევიდნენ. ახალმისჯილს კანცელარიაში შეჰყვა და ცოტა ხანს ათვალერებდა მას და ცნობისმოყვარე მათხოვრებს, რომელთა შორისაც შაბერი იმყოფებოდა. მაშინ კანცელარიის წინა ოთახი წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ სურათთაგანს, რომლის შესასწავლად თავს არ იწყებდნენ არც ჩვენი კანონმდებლები არც ფილანტროპები, არც მხატვრები და არც მწერლები.

როგორც სასამართლის ყველა ლაბორატორია, ეს წინა ოთახიც ბნელი და მურალი იყო. მის კედლებთან მიდგმული ხის სკამები გაშვებული იყო, როგორც იმ შავსებთანა მუღღში დასაჯლომი ადგილი, რომლებიც თავს იყრიან საზოგადოებრივ უბედურებათა ამ პაემანზე. ამ შეკრებს ვერც ერთი მათგანი ვერ დააკლდება. პოეტი იტყოდა, დღის სინათლეს სცხეენია ეს საშინელი, ბილწი ადგილი გაანათოს, სადაც ამდენი ბედერული გაივლისო. აქ ერთი ადგილიც არ არის, რომ რომელიმე განზრახული ან უკვე მომხდარი ბოროტმოქმედების ჩამდენი არ მჯდარიყოს. ერთი ადგილიც არ არის, სადაც პირველი შეცდომისათვის მართლმსაჯულების მიერ დადასტული ადამიანი არ მოხვედრბლიყოს, სადაც პირველი შერცხეენით სასოწარკვეთილ ადამიანს ამიერიდან ახალი ცხოვრება არ დაეწყოს, რომლის დასასრული აღმართული გილაოტიანა ან დამბაჩით თავის მოკვლა. ყველა ის, ვინც პარიზის ქვაფენილზე ეცემა, ამ მოყვითალო კედლებზე უნდა ასხლტეს, რომლებზედაც ფილანტროპს, თუ ის გრძნობადანშული არ არის, მრავალი თვითმკვლელობის გამართლება შეუძლიან ამოიკითხოს. ფარსეველი მწერლები დასტორიან ამ თვითმკვლელობებს, უნარი კი არ შესწევთ მათ წინააღმდეგ წინასწარი ზომები მიიღონ. ეს გამართლება სწერია ამ წინა ოთახში, რომელიც თითქოს მორგისა და გრევის მოედნის დრამების წინასიტყვაობაა.

მაშინ პოლკოვნიკი შაბერი დაჯდა ამ ადამიანთა შორის, რომლებსაც ენერგიული სახე ჰქონდათ და სიღარიბის საშინელი ლივრეები ეცვათ. ისინი ჩუმად იყვნენ, ან ხმადაბლა საუბრობდნენ, რადგან სამი მორიგე უანდარმი აქეთ-იქით დადიოდა, მათ ხმლებს იატაკზე რაწყენი გაჰქონდათ.

დერვილი მოხუც ჯარისკაცს წინ დაუდგა და ჰკითხა:

— ვერ მიცანიო?

— გიცანით, ბატონო. — უპასუხა შაბერმა და წამოდგა.

— თუ თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, — განაგრძო დერვილმა ხმადაბლა, — ჩემ მოვალედ როგორ დარჩით?

მოხუცი ჯარისკაცი გაწითლდა იმ ახალგაზრდა ქალიშვილით, რომელსაც დედამ დაფარული სიყვარული გაუგო.

— როგორ, ქალბატონმა ფეროდმა ვალი არ გადაგიხადათ? — წამოიძახა მან ხმაჟღერით.

— ვაღამიხადა? — სთქვა დერვილმა. — მან მხოლოდ მომწერა, რომ თქვენ ინტრიგანი ხართ.

შაბერმა საშინელებისა და კრულების გამოხატველი თვალები ზევით ილაპყრო, თითქოს ღმერთს შესწიოდა ამ ახალი მოტყუებებს განო.

— ბატონო, — სთქვა მან წყნარი ხმით, ნიუხედავად აღლეებისა, — ამიღეთ ყანდარმებისაგან ნებართვა კანცელარიაში შესასვლელად. მე დავიწერთ ბრძანებას, რომლითაც თქვენ ანგარიშს გაგისწორებენ.

დერვილი ბრიგადირს მოელაპარაკა და მას ნება დართეს თავისი კლიენტი კანცელარიაში შეეყვანა, სადაც იასენტმა გრაფ ფეროდის მეუღლეს რამდენიმე სტრიქონი მისწერა.

— გაუგზავნეთ ეს, — სთქვა ჯარისკაცმა, — და თქვენ ავინაზღაურდებით გაწეული ხარჯები და ჩემი ვალი. მტრწმუნეთ, ბატონო, თუ თქვენ მიერ აღმოჩენილი დახმარებისთვის მადლობა ვერ გადაგიხადეთ, იგი ამის გამო აქ არ შემიტრებულა, — სთქვა მან და გულზე ხელი დაიდო. — დიად, ის აქ არის სრულად და უკლებლად, მაგრამ ბედშავთ რა შეუძლიათ? მათ უყვართ, მორჩა და გათავდა.

— როგორ, — უთხრა მას დერვილმა, — თქვენთვის რაიმე რენტი ვერ დაიმტკიცეთ?

— ნუ მელაპარაკებთ მაგის შესახებ! — უპასუხა მოხუცმა მეომარმა, — თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა ზიზღს ეგრძნობ ამ გარეგნული ცხოვრების მიმართ, რომელსაც აღამიანთა უმრავლესობა ეტანება. მე უეცრად შემბყრო ავადმყოფობამ, ზიზღმა კაცობრიობის მიმართ. როდესაც ვამახსენდება, რომ ნაპოლეთონი წმინდა ელენეს კუნძულზეა, მაშინ ჩემთვის ყველაფერი ამოა; მე აღარ შემიძლიან ვიყო ჯარისკაცი. ეს არის მთელი ჩემი უბედურება. ბოლოს, — დაუმატა მან ბავშვური გულუბრყვილობით, — უმჯობესია, საკუთარი გრძნობებით ბრწყინავდე, ვიდრე ტანისამოსით. მე არავისი ზიზღისა არ მეშინიან.

პოლკოვნიკი თავის ადგილას დაჯდა.

დერვილი წავიდა. როდესაც იგი თავის კანცელარიაში დაბრუნდა, გოდელალო, რომელიც იმ დროს მასთან მეორე გადაწყვერად იყო, გრაფი ფეროდის მეუღლესთან გაგზავნა. როგორც კი მან ბარათი წაიკითხა, მაშინვე გასცა განკარგულება, მიეცათ ვეჭილისთვის გრაფ შაბერის ვალი.

1840 წელს, იენისის დამლევეს, გოდელალო, რომელიც მაშინ უკვე ვეჭილი იყო, დერვილთან ერთად რისს გაემგზავრა. როდესაც მიადწიეს ვზატკეცილს, რომელიც ბისეტრში მიმავალ დიდ გზაზე გადის, გზის პირად, თელის ქვეშ, დაინახეს ერთი ღარიბი, გათეთრებული და დაჩაინახებული მოხუცი. ასევე მოხუციები, რომლებმაც მათხოვართა მარშლის კვერთხი მიიღეს, ბისეტრში ცხოვრობენ ისე, როგორც ლატაკი ქალები სალბეტრიერში. ეს კაცი, ერთი ამ ორი ათას უბედურთაგანი, რომლებიც მოხუცთა სამადლო სახლში არიან მოთავსებული, კუნძვე იჯდა და მთელი თავისი ყურადღება ბნელიდებისთვის კარგად ცნობილ საქმისათვის ეხურათ: იგი მზუნვე ჰუმკვიან ცხვირსახდეს აწრობდა, რომ მისი გარეცხვა არ დასკო-



რებოდა. ამ მოხუცს მიმზიდველი სახე ჰქონდა. ეცეა რაღაც საშინელი ლივრის მსგავსი, მოწითალო შაულის ტანისაშისი, რომელსაც სამსკდარს სახლი თავის ბინადრებს აძლევს.

— შეხედეთ, დერვილ — უთხრა გოდეშალმა თავის თანამგზავს, — ხომ ხედავთ ამ მოხუცს? ხომ ჰგავს იგი იმ სასაცილო პატარა ქანდაკებებს, რომლებიც გერმანიიდან შემოაქვთ? იგი ცხოვრობს და იქნებ ბედნიერიც არის.

დერვილმა ლორწეტი გაიკეთა, მათხოვარს შეჰხედა, გააცემული შეტოკდა და სთქვა:

— ეს მოხუცი, ჩემო კარგო, მთელი პოემაა, ან, როგორც რომანტიკოსები ამბობენ, დრამა. ოდესმე გრავ ფეროდის მეუღლეს შეხვედრიხარ?

— დიალ, ჰევიანი და მეტად საამბური ქალია, მხოლოდ მეტის-მეტად ღეთისმირსავი, — სთქვა გოდეშალმა.

— ეს მოხუცი ბისერტელი მისი კანონიერი ქმარია, გრავი შაბერი, ყოფილი პოლკოვნიკი. ალბათ, მისმა ცოლმა ჩასვა ის აქ. თუ შაბერი ამ საბადლო სახლშია იმის მაგივრად, რომ სასახლეში ეცხოვრა, ეს მოხდა იმის გამო, რომ გრავ ფეროდის ლამაზ მეუღლეს მოაგონა, ხომ გახსოვს, დაქირავებული ეტლით რომ წაგიყვანეთ. ახლაც მაგონდება ძუ ვეფხვის ის შეხედვა, რომელიც მაშინ ცოლმა ქმარს სტყორცნა.

ასეთმა შესავალმა გოდეშალს ცნობისმოკვარეობა აღუძრა და დერვილი უკვე მოთხრობილ ამბავს მოუყვა. ორი დღის შემდეგ, ორშაბათს დილით, როდესაც პარიზს ბრუნდებოდნენ, მეგობრებმა ბისეტრს გადახედეს, და დერვილმა პოლკოვნიკი შაბერის ნახვის სურვილი გამოსთქვა. შარა გზის შუა ადგილას ორი მეგობარი წააწყდა მოხუცს, რომელიც მოჭრილი ხის კენძზე იჯდა, ხელში ჯოხი ეჭირა და სილაზე ხაზებს ავლებდა. კარგად რომ დააკვირდნენ, შენიშნეს, რომ ნასვამი იყო.

— გამარჯობა, პოლკოვნიკო შაბერ, — უთხრა მას დერვილმა.

— მე შაბერი არა ვარ, არა ვარ შაბერი მე იასენტი მჭეიან, — უბასუხა მოხუცმა. — მე ადამიანი აღარ ვარ, მე ვარ ნომერი 164, მეშვიდე დარბაზიდან, — დაუმატა მან დამფრთხალმა და შეწუხებული სახით შეხედა დერვილს, შეხედა ბავშვური შიშით. — თქვენ სიკვდილიმისუილს ნახეთ? — სთქვა მან ღუმლის შემდეგ, — იგი ხომ უცოლოა. თავს ბედნიერად გრძნობს.

— საწყალი კაცი! — სთქვა გოდეშალმა, — თამბაქოს სასყიდლად ფული გინდათ?

პარიზის ქუჩის ბავშვის მთელი გულუბრყვილობით პოლკოვნიკმა უცნობებს ხარბად ხელი გაუწოდა. ოცფრანკიანი მისცეს. მოხუცმა უაზრო შეხედვით მიდლობა გამოჩატა და უთხრა:

— ყოჩაღ, ბიჭებო!

შერე ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს თოფს უმიზნებსო, და დიმილით წამოიძახა:

— ცეცხლი ორი ქვემეხიდან! გაუმარჯოს ნაპოლეონს! — და პიერში ჯოხით რკალი მოხაზა.

— ისეთი ხასიათის კრილობა აქვს, რომ, ალბათ, გამოჩერჩეტდა, — სთქვა დერვილმა.

— გამოჩერჩეტდა! — წამოიძახა ერთმა მოხუცმა ბისეტრელმა, რომე-

ლიც მათ უცქეროდა. — ეჰ! გამოერევა ღღეები, როდესაც არცაა მოსული არ წაგაჯარებინებს. ეს ეშმაკი მოხუცი ისეთი ცილოსოფოსად გულანდობდა, რომ ვერავინ შეედრებოდა. მაგრამ ღღეს რა პასუხს მოსთხოვთ, თავისი ორშაბათი იღღესასწაულა. ბატონო, 1820 წელს იგი უკვე აქ იყო, იმ ხანებში პრუსიელი ოფიცერი, რომლის ეტილიც ვილჟეჟივის ზღმართზე აღი-  
ოდა, ფეხით მისეირნობდა. გზის პირას ჩვენ ორნი ვიყავით, მე და იასენტი, ის ოფიცერი თავის მსგავს ცხოველს ესაუბრებოდა. როდესაც პრუსიელმა მოხუცი დაინახა, იგი რომ მასხარად აეგდო, უთხრა თავის თანამგზავს: „აი მოხუცი მსროლელი, რომელიც, ალბათ, როსბაბთან იბრძოდა“. „მე იმ დროს ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, რომ იქ ყოფნა შემძლებოდა. — უპასუხა შაბერმა, — მაგრამ იმისთვის, რომ იენასთან მებრძოლა, იმ ხანებში საკმარის დავაქვავებული ვიყავი“. პრუსიელმა მაშინვე სიუსვა, პასუხის გაცემის თავი აღარ ჰქონდა.

— როგორი ბედია! — წამოიძახა დერვილმა. — მივდებელი ბავშვი, სამადლო სახლიდან გამოსული, მოხუცთა სამადლო სახლში ბრუნდება სასიკვდილოდ იმის შემდეგ, რაც მან შოასწრო ნაბოლონს ევებტისა და ევროპის დაპყრობაში დახმარებოდა. იცით თუ არა, ჩემო ძვირფასო, — განაგრძო დერვილმა დუმბილის შემდეგ, — ჩვენს საზოგადოებაში არის სამი ადამიანი: მღვდელი, ეჭიმი და მართლმსაჯულების მუშაკი, რომლებსაც არ შეუძლიანთ საზოგადოებას პატივს სცემდნენ. მათ შავი ტანისამოსი აცვიანთ, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ყველა სათნობას და ილუზიას ჰგლოვობენ. ამ სამში ყველაზე უბედურია ვეჭილია. როდესაც ადამიანი მღვდელთან მიდის, იგი მიჰყავს მონანიებას, სინიდისის ქნეჯნას, რწმენას, რაც მას ყურადღების ღირსად ზღის, ამაღლებს, შეამავლის სულს ნუგეშს სცემს, და მღვდელი თავის მოვალეობას ერთგვარი სიხარულით ასრულებს. იგი ვანწმენდს, გაასწორებს და შეარჩევს. ჩვენ კი, ვეჭილები, ვხუდავთ ერთსადა იმავე ცუდი მიდრეკილების განმეორებას, არაფერი მას არ ასწორებს, და ჩვენი კანცელარიები ზღუჯიანი წყლის შილებია, რომლების განწმენდაც შეუძლებელია. რამდენი რამ ვამიგია ჩემი მოვალეობის შესრულების დროს! მინახავს თჯახის მამა, სხვენზე მომავკდავი, ჯიბეცარიელი, ორი ქალიშვილის მიერ მიტოვებული, რომლებსაც მან ორმოცი ათასი ლიერი რენტა მისცა. მინახავს როგორ სწავედნენ ანდერძებს, მინახავს, როგორ სძარცვავენ დედები თავიანთ შვილებს, როგორ ჰჭურდავენ ქმრები თავიანთ ცოლებს, როგორ ჰკლავენ ცოლები თავიანთ ქმრებს, იყენებენ რა მათ სიყვარულს, რომ გიყებოდ ან სულელებად გამოაცხადონ და შემდეგ საყვარელთან მშვიდად იცხოვრონ. მინახავს, როგორ აჩვედნენ ბავშვს აკენიდან ისეთ რამეს, რაც მის სიკვდილს გამოიწვევდა, რომ ამით თავისი უკანონო შვილი გაემდიარებინათ. ვერ გეტყვით ყველაფერს, რაც მინახავს, რადგან მინახავს ისეთი ბოროტმოქმედები, რომელთა მიმართ მართლმსაჯულება უძლეურია. ბოლოს, ყველა ის საშინელება, რასაც რომანისტები სთხზავენ, სინამდვილეზე რაბლა დგას. თქვენ მოგვლით ამ მშვენიერი ამბების გაგება, მე კი ვიცხოვრებ სოფელში ჩემ ცოლთან ერთად. პარიზი თავზარს მცემს.

— დეროშთან უკვე ბევრი რამ ვნახე, — უპასუხა გოდეშალმა.

თარგმანი ფრანგულიდან ირ. მანუარაძისა.

(დასასრული)



ივ. ციციშვილი

## პოეზის ბიბლიოთეკაში

1

ხარფუხში, თაბორის მთის კლდინ კალთაზე, ამართულია პატარა და მყუდრო ორსართულიანი სახლი, ისეთი ტიპის, როგორიც ჯერ კიდევ ბევრია შემონახული გორისა, თელავისა და თბილისის ძველ უბნებში და როგორსაც ე. წ. „მდაბიო ხალხი“, ე. ი. ხელოსნები, ქარგლები და წვრილი ვაჭრები ამუშავებდნენ.

გარშემო ისეთივე პატარა, ქართული ავტოით ნაშენი და ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი აივან-შუშაბანდებით შემორტყმული სახლებია. წინ ფართე თვალსახედა მტკვარსა და გაღმა უბანზე. აქიდან თქვენ ხედავთ აელაბარს, ვოგილოს და ნავთლუღის ნაწილს. ძველი თბილისისა და მისი ბოპემის ტრუბადურს უეჭველად აქ უნდა ეცხოვრა: „სადაც ქიმ-მომტკრეული სახლის იაქთალი ირიბათაა გაწოლილი, სადაც „ყარაჩოღელი ბერანე“ მღეროდა: „ქალო ხაბარდიანო, გაქვს და გიხარაინო“.

2

ი. გრიშაშვილის ბინა ორი ოთახისაგან შესდგება. რადგან სახლი მთის ფერდობზეა, პატარა ბაღი, რომელიც სახლის უკან არის გაშენებული, მეორე სართულის დონეზეა და ოთახიდან პირდაპირ ამ ბაღში შეგიძლიანთ გასვლა. ეს ამწეანებელი და აფერადებული ბაღი უბნის რუბ და კლდოვან გარემოსთან საამო კონტრასტს წარმოადგენს.

პირველი შთაბეჭდილება: უაღრესი სისუფთავე, მყუდროება და ორიგინალობა. მცირე ხნის შემდეგ, რადესაც მიმოიხედავთ და დააკვირდებით—თქვენი თავი უკვე მუზეუმში გვონიათ. არაჩვეულებრივ მუზეუმში, სადაც ექსპონატები სტანდარტულ ვიტრინებში სტანდარტულ რიგზეა გაწყობილი, არამედ ფაქიზი გემოვნების ადამიანის ბინა-მუზეუმში.

აგერ ლურჯად დამათული ფარდა და ასეთივე საფენი, ტაბლაზე გადაფარებული, რომელსაც დღეს ველარსად ნახავთ, ძველად კი ხელოსანთა ოჯახის ჩვეულებრივი აქსესუარი იყო. პირველი ოთახის შარტენა კედელი შეფენილია ძველი თბილისის ილუსტრაციებით, რომელიც დამშვენებულია ვანო ზოჯაბეგოვის საუცხოო გრაფიკით ყარაჩოღელთა ცხოვრებიდან. აქავე თქვენს თვალს იტაცებს სურათი, პოეტისათვის მხატვარ შმერლინგის მიერ საჩუქრად მიღებული. სურათში ასახულია ძველი თამამშვევისეული თეატრის ხანძარი. თულუხები, გამხდარ და ჯაგლავ ცხენებზე მსხდარნი, მიეშურებიან ცეცხლის ჩასაქრობად და უნებლიეთ გულისებთ: რა უნდა უყოს თულუხის ორმა ჩაფმა

წყალმა ცაში ავარდნილ და ვახტანგულ ზღვა კოცონს? არქონესული

აქვეა ყარაიოღღელთა, ხელოსანთა, ქარვალთა და მათი უსტაბნაქანის სტატოსტოსტო-სტოათები. ავერ ნავტიკით მებადურნი ან ნახშირით დატვირთული ჯორების ქარაენი. აქვე აწყვია ხელოსნების იარაღი, რომელნიც თან უნდა ჰქონოდათ ოსტატობის ხარისხზე დალოცვის ცერემონიალის დროს.

ცალკე კუთხეში, ძველებურ სუხანეზე თქვენ ზედავთ „მზიარულ თბილისს“ ატრიბუტებს: კელას, სტვირს, დუდუქს, დაირა-დიბლიბიტოს და სხვა ამისთანებს.

მარჯვენა კედელზე გაწყობილია მწერალ-მოღვაწეთა იშვიათი სურათები, უმეტესი მათგანი ფართე საზოგადოებისათვის ვერ უცნობი, პოეტის დაუღალავი მეცადინეობით და საყვარულით გადარჩენილი ნიკოლოზ ბრიათაშვილის სურათის ბედს.

## 3

მეორე ოთახი საკუთრივ ბიბლიოთეკისათვის არის განკუთვნილი. ოთახის კედლებზე და შუა ნაწილში ამართულია სტელაეები, ძირიდან ჰერამდე სხვადასხვა ზომის, ფერის, შინაარსის და ენის წიგნებით გაქედილი. აქაც სისულეთავე და აკურატლობა გეცემათ თვალში. წიგნების რაოდენობა 20.000-ს უნდა აღემატებოდეს.

რა თქმა უნდა, საქმე ამ რაოდენობაში არ არის. არც იმ თავისებურ წესრიგშია, თვალში რომ უმაღ გეცემა. თქვენ აქ გაცნობენ ის დიდი შრომა, დაუღალავი მისწრაფება და საყვარული, რომელმაც ეს საკვირველი ბიბლიოთეკა შექმნა. პოეტს დაუღალავად უძებნია, უმოვიდა და დაუცავს მრავალი ისეთი წიგნი, წიგნაკი, ჟურნალი თუ გაზეთი, აფიშა თუ თეატრალური პრაგრამა, რომელსაც ვერც ერთ ბიბლიოთეკაში ვერ ნახავთ.

პოეტი, როგორც მკვლევარი და ბიბლიოგრაფი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, არ კმაყოფილდებოდა ნაწარმოების მხოლოდ ერთი რომელიმე გამოცემით, არამედ დიდი შრომის შედეგად, მან თავი მოუყარა თვითვეულ ნაწარმოების არსებულ თითქმის ყველა გამოცემას. თქვენ აქ ნახავთ შოთა რუსთაველის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, წერეთლის, კლდიაშვილის და ყველა ჩვენი კლასიკოსის ნაწარმოებთა ყველა გამოცემას უკლებლად, თვით ისეთსაც, რომელიც ან თითქმის უცნობი არა, ან მთლად დავიწყებული.

პოეტს მწერალთა არც უმცროსი პლეადა ყავს დავიწყებული. „როგორც ძველი თბილისის ტრუბადურმა და ქეშეკმა, როგორც ძველი წიგნების ჩილმა და აფანჩაენმა, პოეტმა თავისთავი მოვალედ გახადა, ვიდრე ვერ კიდევ დავიანებული არ არის, დავარაზმა მესხიერება, წინ წაეგდო გამოცდილება და, შეძლებისდაგვარად შეეგროვებინა უმწერლობო პოეტების ნაწარმოებნი და აშუღების ზეპირი სიტყვები“.

მეორე მხრით, მან თავი მოუყარა იმ უთვალავ ზღაპრებს, რომლებიც იაფფასიან წიგნაკებად იბეჭდებოდა: ყარამანიანი, ბარამიანი, ახრასიანი, ეთეროანი, ქორთოლიანი, ვარაშეიანი, ალექსანდრ-ლუდვიკიანი, კარხმალაჯიანი, როსტომ-ზურაბიანი, ბეჟანიანი, დავრიშაიანი, მირიანიანი, შუშანიკიანი, ალ-ლუზიანი, სარიდონიანი, ალექსიანი, ქალვაიანი, შვიდ-ვეზირიანი (თიმსარიანი) და სხვა ამგვარები. მასთან, როგორც ითქვა, თვითვეულ ამ ნაწარმოების ორი, სამი და ზოგჯერ ათი მისი გამოცემა.

ტფილისის ე. წ. ბაზრულ პოეზიას (ლუბოკს) დათმობილნი არიან მანქანითაო. პოეტს არც ქართული პიესები აქვს დაეწიებული, ვინაიდან ქართული პიესა, თუ კი რამ დაბეჭდილია დღევანდლამდე, პოეტის ბიბლიოთეკაში ყველა მოიძებნება.

ამ დაბეჭდილ პიესებს შორის მას შემოუნახავს ე. წ. სუფლიორის ეგზემპლარები, რომლითაც მას ოდესმე უკარნახია ჩვენი დიდი არტისტებისათვის. ასეთებია: „ურთელ-აკოსტა“ (მესხიშვილის მონტაჟით); „სამეგრელოს მთავარი ლევან“ (კოტე მესხის მონტაჟით); „დალატი“ (ალ. იმედაშვილის მონტაჟით).

აქვებ გორკის „ნაძიარლი“, რომელიც გათამაშებულ იქნა 1908 წელს ავადმყოფ სუფლიორის ბეგლარ ანოსპირელის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენის შესახებ არ დარჩენილა არც რეცენზია და არც პროგრამა. გრიშაშვილს, როგორც ამ წარმოდგენის სუფლიორს, მომქმედ პირების გასწვრივ აღუნიშნავს იმ მსახიობთა გვარები, რომელთაც პირველად უთამაშნიათ ამ პიესაში. ასეთებია: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ვ. გუნია, ყ. შათირიშვილი და სხვ. ამგვარად, ირკვევა, რომ გორკის პიესები ჩვენს სცენაზე არ იყო უცხო ხილი და მათ დადგმაში იღებენ მონაწილეობას ჩვენი სცენის კორიფეები. ქართულ თეატრის ისტორიისათვის ეს შემონახული ეგზემპლარები ახალსა და საინტერესო მასალას იძლევიან.

თაროების ერთ კედარს ამშვენებენ მსოფლიო კლასკოსები რუსულ და ქართულ ენებზე. შექსპირი, ვოიტი, ტოლსტოი, გორკი, სერვანტესი, მერიმე, სტენდალი, დანტე და სხვები, ზოგი სადად და ზოგიც მდიდრულად გამოცემულნი. მათში ბევრი ისეთი იშვიათი ეგზემპლარი ურევია, როგორც არის: ენტანგისეული „ვეფხვის ტყაოსანი“, 1712 წელს გამოცემული. პუშკინის ისეთი პირველი გამოცემანი, როგორც არის: „Стихотворения Александра Пушкина“—СПБ. 1826 г. ან „Цыгане“ писано в 1824 году—Москва. 1827. „Думы“. Сочинение К. Рылеева—Москва. 1825. „Стихотворения Павла Кукольника“. Вильно. 1861. ამ წიგნს ქვეთურად აწერია: Книга эта не поступает в продажу. ეს წიგნი, ფრად განსაზღვრულ რაოდენობით დაბეჭდილი, დაურვიდა მხოლოდ ავტორის მახლობელ მეგობართ.

იშვიათ წიგნთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ვორონცოვის დროინდელ ექიმის ანდრეევსკის შემუარები: Из архива К. Э. Андреевского. Том I и II. Под ред. с предисл. и примечаниями С. А. Авалиани. წიგნი შეიცავს მდიდარ მასალას იმ დროინდელ თეატრის, პოლიტიკურ ამბებისა და მოღვაწეთა შესახებ. ამას გარდა აქ ნახავთ დელევიის, ვლინკას, პანაივის, ტურკოვის, ოვარიოვის და სხვათა მოგონებებს.

პოეტის ბიბლიოთეკაში მრავლად მოიპოვება ძველ და თანამედროვე მწერალთა ავტოგრაფები. აი ორიოდ მათგანი: „ჩვენი გულის გამხარებელს ძვირფასს ს. გრიშაშვილს“. დავ. კლდიაშვილი. 1912 წ. მარტის 8-ს. (მოთხრობათა ორტომეულზე); „პატრიცეზულ იოსებ გრიშაშვილს ენა ტკბილსა მგოსანს“. კიტა აბაშიძე. 1912 წ. მარტის 10-ს (ეტიუდების ორტომეულზე). რაც შეეხება თანამედროვეთ — არ დარჩენილა ერთი მათგანი, რომ პოეტისათვის არ მიეძღვნას თავისი ნაწარმოები სიყვარულითა და პატივისცემით ილსაკე წარწერით.

ცალკე დგას ქართველ მწერალთა მდიდარი კოლექცია, რუსულ და სხვა ენებზე ნათარგმნი.



ჩვენ შევადარეთ ვ. ზერცალოვის წიგნში მოხსენებული ჟურნალ-გაზეთები პოეტის ბიბლიოთეკაში დაცულ ჟურნალებს (Библиография журналов и периодики Грузии. Ч. I. 1828—1920. Тб. 1941) და ვამოიჩვენებ, რომ ბევრი პერიოდული გამოცემა, რომელთა შესახებაც ზერცალოვს ცნობა არ მოეპოვება — გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია. მაგ. ზერცალოვი ამბობს ჟურნალ „ქუქურეკუს“ შესახებ: „Издание прекратилось после первого же номера“ (კაბ. 82), მაშინ როცა გრიშაშვილს მისი № 2-იც მოეპოვება. თუ ზერცალოვი ამბობს ჟურნალ „Комар“-ის შესახებ: „Журнал закрыт администрацией после выхода первого номера. В книгохранилищах Тбилиси это издание не сохранилось“. (კაბ. 81), — პოეტის ბიბლიოთეკაში დაცულია „Комар“-ის № 2.

პოეტის ბიბლიოთეკაში ასევე მოიპოვება სხვა უცნობი და უნიკალური ჟურნალებიც: „Крапива“, „За неделю“, „Радуга“, „Игла“, „Гроза“, „Хурма“.

გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში არის აგრეთვე ჟურნალი „Огни“ 1907 წლისა (№ 4, 5), ჟურნალი „Петушок“ 1906 წ., ტფილისის პირველი რუსული იუმორისტული ჟურნალის კომპლექტი „Фаланга“ და სხვა. მას ეს იუმორისტული ჟურნალები იმიტომ შეუძენია, რომ, როგორც ვაძმოვეცა, განზრახული ჰქონია დასწეროს ვრცელი გამოცვლევა: „ქართული იუმორისტორია“.

გრიშაშვილს წიგნადი ფონდის ასეთივე შეჯერება „ქართულ წიგნთაშიც“ გვიჩვენებს, რომ ამ დიდი შრომის შემდგენელთა პოეტის ბიბლიოთეკიდან შეეძლოთ ქართული წიგნის რეპერტუარი კიდევ რამდენიმე ათეული წიგნით გაემდიდრებინათ. ასეთია ეს ღირსშესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელსაც პოეტი ასე სათუთად უფრთხილდება.

## 6

პოეტს-ბიბლიოფილს ჩვეულებად აქვს დაწესებული ყოველ კვირა-უკმე დღეს მაზარზე გასვლა და იქ ბუკინისტებში მოსთვის სავირო მასალის ჩხრეკა და ძებნა. ამ კერძო ძიებებს წაყოფად მან შესძლო ჟურნალებში გაბნეული სხვადასხვა ავტორთა წერილებისათვის თავი მოეყარა და ერთ მთლიან წიგნად შეეყინა ლამაზ ყდებში. ოღონდ, მკვლევარს არც აქ დაეიწყინა მეცნიერული ნორმები და თვითიველ ასეთი ნაკრებ წიგნის ყდის ჰვედა კაბადონზე აღნიშნული აქვს; თუ ამ წიგნის ესა თუ ის ნაწილი რომელ ჟურნალის რომელ ნომრიდან არის ამოღებული. ასე და ამგვარად, აქ მთლიან წიგნად ნახავთ ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთ, სხვადასხვა გამოცემებში გაფანტულთ.

იღებთ პირველ ყდას. ეს არის: დოსტოევსკის — „დანაშაული და სასჯელი“ — რომანი. იწ — ანის ნათარგმნი.

ხელოვნურად გაკეთებულ თავფურცლის ჰვედა ნაწილში გრიშაშვილს შენიშვნა აქვს გაკეთებული: ამოღებულია 1905 წლის ჟურნალ „მოამბე“-დან № 1, 2, 3, 4, 5, 7, 9, 11, 12. ყდის ჰვედა კაბადონზე პოეტისავე მინაწერებია: „ივ. ახალშენიშვილი, ამ წიგნის მთარგმნელი დაიბადა 1871 წ. გარდაიცვალა 1906 წ. დეკემბრის 22-ს (იხ. ნეკროლოგი: „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1907 წ. № 1, გვ. 36)“. ამის შემდეგ პოეტისავე ხელით: „ივ. ახალ-

შენიშვლის ფსევდონიმები იყო: ინანი (სთარგმნილა ამ ექსცელენციამ), დამოუკიდებელი (ამით პაექრობდა ქართულ ენის შეტყუებას) და დამოუკიდებელი (ლექსებს სწერდა ამ ფსევდონიმით).

ვიღებთ მეორე ყდას. ეს არის ალ. სარაჯიშვილის „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“. შემდეგ ამისა პოეტის მონაწირობა: „მოამბე“ 1895 წ. 11, 12; 1896 წ. 3, 5, 7, 8; 1897 წ. 2, 4, 5, 7, 9, 11; 1898 წ. 1, 2, 4, 5, 11; 1899 წ. 1, 10; 1900 წ. 3, 4, 5, 7, 8, 10; 1901 წ. 5, 6; შემდეგ აწერია: „გავრცელება იხ. „ძველი საქართველო“, ტ. 4. კაბ. 54. ამის იქით მიწერილია „ალ. ს-ზე ნეკროლოგი იხ. „ძველი საქართველო“ ტ. 5“. ცალკე ქიმზე მიწერილი აქვს, რომ ალ. სარაჯიშვილი სწერდა „რიშაბაბა“-ს ფსევდონიმით. ვასწვრივ აღნიშნულია მისი დაბადება-სიკვდილის თარიღი: 1851 — 1914 წ.

ასე და ამგვარად, პოეტს შეიძინა წლის „მოამბე“ „გაუფუჭებია“, რომ იქიდან ცალკე წიგნი შეეკრა, რაც მას ნაწარმოებზე მუშაობას უდავოებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტს იგივე „მოამბე“ მთლიან კომპლექტებადაც აქვს დაცული.

ცალკე ყდაშივე აქვს აკინძული პოეტ-მკვლევარს იმ წარმოდგენების პროგრამები და რეცენზიები, რომელშიაც მას მონაწილეობა მიუღია 1906 წლიდან.

ცალკევეა აკინძული მისი პოლემიკა სხვადასხვა პირთან. აქ თქვენ ზედავთ, რომ პოეტსა და მკვლევარს დიდი პოლემიკური ნიჭიც ჰქონია. განცვიფრებაში მოდიხართ ქართულის ღრმა ცოდნით და თან სიამოვნებით მოხდენილი ირონიითა თუ იუმორით, რომლითაც იგი ებრძვის მოწინააღმდეგეს. ამ პოლემიკას პოეტი აწარმოებდა „მარტოა შუამდინარელის“ ფსევდონიმით.

## 7

პოეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ზოგი ისეთი გამოცემა, რომელსაც მისი სინათლე არ უნდაავს: ან დაწყებულია და ავტორს გელარ დაუშთაერებია, ან მისი გამოსვლა ცენზორს ატყრდალავს. აი ამის ორიოდ ნიმუში: მკვლევარმა პაველ ინგოროყვამ 1914 წელს განიზრახა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დაბეჭდვა საკუთარი რედაქციით. დაიბეჭდა მხოლოდ ერთი ფორმა. პოეტს იგი შემოუნახავს, გაუკეთებია კანი თანადი შენიშვნებით და წარწერით.

1918 წელს უნდა გამოსულიყო ქართველ მწერლების ნაწარმოებთა ალმანახი, რომლის სათაური უნდა ყოფილიყო „ნიავე“. ამის კორექტურა მინდობილი ჰქონდა ახალგაზრდა პოეტს იოსებ გრიშაშვილს. დაიბეჭდა უკვე 288 კაბ. ე. ი. 18 ფორმა და ამ დროს ცენზორმა ეს გამოცემა მთლად აკრძალა. პოეტს, როგორც კორექტორს, შენახული ჰქონდა თითო ფორმა. შემდეგ მან ეს ფორმები აჰკინძა და ამგვარად, ხსენებული ალმანახი სამუდამო დაღუპვას ვადაარჩინა.

1913 წელს აკრძალა აკაკი წერეთლის „ჩემი ნაწერები“, რომელშიაც პოემა „ეორონცივი“ იბეჭდებოდა. ამ გამოცემის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი შენახული ჰქონდა იმ დროინდელ ცენზორს ივანე პოლუმორდინოვს. აკაკის აკადემიურ გამოცემის დროს, პოეტმა მიმართა მას, რათა ხსენებული ერთადერთი „გამოუშინავი“ ეგზემპლარი ეახოვებინა მისთვის. პოლუმორდინოვს აღნიშნული ეგზემპლარი პოეტისათვის უჩუქნია.)

1) ამის შესახებ იხ. აკაკის შესახებ ტომი, 1940 წ. კაბ. 712 — 715.

პოეტი ხშირად დეფექტურ წიგნებსაც იძენდა, რომელთაც ზოგს თავი აკლდა, ზოგს ბოლო, იმ იმედით, რომ მეორე ასეთივე დეფექტური წიგნი შეავსებდა პირველს. ხშირად ამგვარ ეგზემპლარისათვის პოეტს თავისივე ხელით შეუვსია ნაკლული კაბადონები. ასეთებია: დავით გრისთავის — ს ა მ შ ო ბ ლ ო, „ს ა ლ ხ ი ნ ო ს ა ხ ა ნ დ ა რ ი“, „მ ბ ფ ე ლ ი რ ი“, ამ უკანასკნელის კორექტურული შეცდომები გასწორებულია ილია ჭავჭავაძის ხელით.

ზოგი უფიცი მკაზმავი წიგნისა თუ ეურნალის აკინძვის დროს კანს გააცლის ზოლზე. ეს, რა თქმა უნდა, ერთგვარი ბარბაროსობაა, რადგან კანს ბევრჯერ საჭირო ცნობები ახლავს. პოეტს ხშირად მეორე ეგზემპლარი მხოლოდ იმიტომ შეუძენია, რომ პირველს კანი არა ჰქონია.

## 8

ადგილის უქონლობის გამო პოეტი გაზეთების კომპლექტებს არ ინახავს, ხოლო ველევისათვის საჭირო მასალას ამოსურის და ცალკე კაბრებში ინახავს წარწერით, თუ საიდან არის იგი ამოღებული (გაზეთის სახელწოდება, წელი, თვე და №). უნახეთ კაბრები ასეთი წარწერებით: „თეატრი“, „პოეზია“, „ფოლკლორი“, „რადიოულ გაზეთების პოეტები“, „რუსთაველი“, „ეპოპეა-ფეხველა“, „აკაკი“, „ილია“, „კოტე მარჯანიშვილი“, „მამიაკოვსკი“, „ბუშკინი“ და სხვა.

ეურნალებს პოეტი ორ ცალად იძენს: ერთს — კომპლექტისათვის; მეორეს ამონაჭრებისათვის, შემოხსენებულ თემატიკურ კაბრებში ჩასაკერად.

რადესაც ეურნალის კომპლექტს აკლია ორიოდ ნუმერი, პოეტი მას, დაცვის მიზნით და მუშაობის გასაადვილებლად, აძლევს ყდაში. მასთან ყდაზე აღნიშნავს, იმ ნუმრებს, რომელნიც აკლია, თან იმ ადგილებში, სადაც ნაკლული ნუმერია, ჩატანებულ-ჩაყერილია ქაღალდის ზოლი, რომელზედაც მომავალში ჩაიკერება ნაშოგნი ნუმერი.

რთი თანამედროვე ლიტერატორი სწერას: „იოსები დხლით რომ ხელცარიელი გამოვა შინიდან, სადამოს წიგნებით იდლიებავსილი ბრუნდებაო“ (ეურნ. „პიონერი“ 1936 № 6). ამას ისიც უნდა დამატოს, რომ პოეტს უბის პატარა წიგნაკი აქვს, სადაც ჩაწერილია ყველაფერი ის, რაც მის ბიბლიოთეკას, ან რომელიმე კომპლექტს აკლია. ეს „მასსივარი“ მას სულ თან დააქვს და თუ სადმე გასაყიდი წიგნი ან ეურნალი დაიგულა — ისიც იქ გაჩნდება. ასეთია ამ შესანიშნავ ბიბლიოთეკის დაკომპლექტების მეთოდი.

შესაძლოა შეიქნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს ბიბლიოთეკა შემთხვევით მიგნებულ წიგნთა შემთხვევით ასორტიმენტს წარმოადგენდეს. პირიქით! პოეტ-მკვლევარს თავიდანვე მკაფიო და გარკვეული გეგმა და ამოცანები დაუსახავს და ათეული წლების მანძილზე ამისათვის შრომა და მსხვერპლი არ დაუზოგავს. ეს არის: კაზმული მწერლობა, მისი ისტორია და კრიტიკა. კავკასიოლოგია და მემუარები, ქართული და საქართველოში გამოხული მხატვრული ბეჭდვითი ნაწარმოებნი. და ამ ფარგალში რამდენი იშვიათი ეგზემპლარი, რამდენი უნიკლი!

ამ წყნარი და კულტურული კერის არომატს მართო ეს იმეფიანი და გრძელი მზრუნველობით დაცული წიგნები, ჟურნალები და გაზეთები არ შეადგენს, არამედ ის მეცნიერული კვლევის, ძიების და შრომის ატმოსფერო, რომელსაც თქვენ აქ გრძნობთ და ამჩნევთ ყოველ წიგნის კაბადონებზე.

არსებითად ეს ბიბლიოთეკა სრულებით არ მიაგავს მოხალისე ბიბლიოფილის ჩვეულებრივ ბიბლიოთეკას, რომელიც აგროვებს მხოლოდ იმეფიან ლამაზად გამოცემულ და კარგად შენახულ წიგნებს. აქ, ერთი მწერლისა არ იყოს, თქვენ არ ხედავთ გატაცებულ კოლექციონერის გურმანობას, რომელიც განსაკუთრებული სიამაყით გიჩვენებთ გაუჭრელ ეგზემპლარს, რომლის შინაარსი მას სრულიადაც არ აინტერესებს.

ბირიქით, ამგვარი ბიბლიოფილის თვალსაზრისით, პოეტი გრიშაშვილი ძალიანაც სცოდავს, როცა წიგნის თუ ჟურნალის არეებზე, ფორზაცზე თუ სხვა ადგილზე თავის აუარებელ შენიშვნებს აკეთებს.

აქ თვითველი წიგნის, ჟურნალისა, თუ გაზეთის ნუმერი შესწავლილია, გამოკვლეულია და ამის კვალს თქვენ ხედავთ თვითველ წიგნის ყველა იმ ადგილზე, სადა კი წარწერა შეიძლება.

კვლევისა და შტუდირების ერთი ნიმუში ჩვენ უკვე ვნახეთ, როცა ლაპარაკი გვექონდა ჟურნალებიდან ამოღებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე — დოსტოევსკისა და სარაჯიშვილზე. წიგნებისა და ჟურნალების უმეტესობას, გარდა შინაწერებისა, სტოლიოებისა და შენიშვნებისა — წიგნის და წერილების ავტორთა და მთარგმნელთა პორტრეტებიც აქვს ხოლმე დართულ-დაწებებული, ჟურნალ გაზეთებიდან ამოჭრილნი. პორტრეტებსავე მიწერილი აქვთ ავტორის თუ მთარგმნელის ბიოგრაფიული ცნობები დაბადება-სიკვდილის თარიღები.

ბევრ ნაწარმოებს ჩაკრული აქვს ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი რეცენზია. თვით ამ რეცენზიებს პოეტის შინაწერებიც აქვს. მაგ.: შემუშარისტი მანსვეტაშვილი ვერ იხსენიებს სათანადოდ აკაკის, როგორც პოეტს და მას მესტიერეს უწოდებს.

რეცენზენტი შემუშარისტს ამას უსაყვედურებს. რეცენზენტს, რომელიც ლაპარაკობს მანსვეტაშვილის ხსენებულ ადგილზე, არ დაუსახებელია შემუშარის სათანადო გვერდი. პოეტს მოუძებნია ციტირებული ადგილი და წითელი ფანქრით უჩვენებს, რომ ეს არის შემუშარის 206 კაბადონი.

როცა ჟურნალსა თუ წიგნში რაიმე საინტერესო ფაქტს ამოიკითხავს, იქვე მიაწერს: „იხ. აგრეთვე“ და უჩვენებს, თუ ამავე საგანზე სად რა ლიტერატურა არსებობს. ამას იმიტომ სჩადის, რომ, თუ ვინცობაა პოეტს ამ საგანზე წერა მოუხდეს, — საჭირო მასალა ხელად იპოვოს.

ჩვეულებრივ, თვითველ წიგნის ფორზაცზე, აღნიშნულია ყველა ფაქტი, ან საკითხი, რომელმაც პოეტის ყურადღება მიიქცია. ასათან თვითველი ასეთი საკითხის გვერდით აღნიშნულია წიგნის თანადი კაბადონი. სანიშნულად განვიხილოთ ერთერთი ამგვართაგანი.



ხელში მოგვდება დავით მესხის „მოგონებანი“, ავტორასაგან პოეტისადმი მიძღვნილი. ფარზაცზე დაინახეთ შენიშვნების ასეთ სვეტს: **პოეტისადმი მიძღვნილი**

1. ნიკო მარი	კაბ. 68
2. ისარლოვი	„ 81
3. აკაკის უხამსი ანეგდოტი	„ 74
4. აკაკის არაბი ფაშა	„ 84
5. სიკოია დენშიკი	„ 102
6. შე ვცდები?	„ 96
7. აკაკის ბუტიაობა	„ 108
8. გუნიაშ წაილო	„ 93
9. არა, არ არის დამნაშავე, ანა შესბმა სოაჯმნა	კაბ. 40.

როგორც ხედავთ, ამ პატარა წიგნში ბევრი ისეთი რამ აღმოჩენილია, რომელსაც პოეტის ყურადღება მიუბჟყრია.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს საკითხთა აღნიშნული ტაბულა, — პოეტმა განგვიმარტა ყოველისფერი. ჩვენც ზოგიერთ მათგანს ვადმოვცემთ: პირველი შენიშვნა, სადაც აღნიშნულია: „ნიკო მარი“, გამოწვეულია შემდეგით: პოეტი ამგვარად მუშაობს თემაზე: „ნიკო მარი, როგორც პოეტი“ და რადგან „მოგონება“-ში ცნობაა, რომ: „უმცროს კლასიანებს ჩვენი ორგანო გეჭონდაო და ნიკო მარი ამ დროს პოეტობდაო“ (კაბ. 68), პოეტმაც ეს აღვლილ ჩაინიშნა.

შესუთე შენიშვნა: შემუარისტი სწერს, რომ სიკოია დენშიკი მას შეეჩნკოდან უთარგმნია. პოეტი შენიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ეკუთვნის არა შეეჩნკოს, არამედ გ. ფ. კვიტკა-ოსნოვიანეკოს. ამის შესახებ პოეტმა წერილიც კი დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1939 წ. № 14 სათაურით: „შეეჩნკო ქართულ ლიტერატურაში“.

მეექვსე შენიშვნა „შე ვცდები?“ გამოწვეულია შემდეგით: პოეტმა თავის „ლიტერატურულ ბოჰემა“-ში ცნობა მოათავსა (კაბ. 149), რომ აკაკის ერთი ლექსი „გლესავ და გლესავ ნამგალო“ ცენზორმა ლუკა ისარლოვმა არ გაუშვა. აკაკიმ ეს ლექსი ფოთში დაბეჭდა და ქვეშ თავისი გვარის ნაცვლად ლუკა ისარლოვი მოაწერაო. შემუარისტი შენიშნავს, რომ ფოთში კი არა — ტფილისშივე დაბეჭდაო... („მოგონებანი“ კაბ. 96). პოეტს ფაქტის შესამოწმებლად კითხვითი ნიშანი დაუსვამს.

მერვე: „გუნიაშ წაილო“. ეს შენიშვნა შემდეგმა გამოიწვია: შემუარისტი სწერს, რომ ილიას შარათი, მისადმი მიწერილი, გუნიაშ წაილო. ამაზე პოეტი სქოლიოში შენიშნავს, რომ მართალია წაილო, ოღონდ კი არ მიუთვისებიაო, არამედ დაბეჭდა თავის ჟურნალ „ნი შ ა დ უ რ“-ში 1908 წ. № 7). ეს კითხვითი ნიშანი ალბად იმიტრამ იქნება, რომ პოეტს ჯერ ამ ჟურნალის თანალი ნუმერი ვერ მოუწახავს.

ამ წიგნზე აღნიშნული შენიშვნების გაცნობაც საკმაოდ ცხადყოფს პოეტის მუშაობის მეთოდსა და ხასიათს.

ხელთ მომხვდა ჟურნალ „Peace“-ის კომპლექტი, შმაგატით შეკრული-თვითვეულ ნუმერს პოეტის წარწერა აქვს გაკეთებული. ერთს აწერია: „მირზა-ფატალი-ახუნდ-შადე“. მორტეს: „იღამ მიცევინი და პუშკინი“ და ა. შ.

ერთხელ გრიშაშვილს პოეტი აბაშელი სწევდა. მის ამგვარ ნამუშევარს, რომ გასცნობია — უთქვამს: „დრახ, ის სამსახურშია თავის-თავისა“.

## 11

ყოფილა შემთხვევა, როცა პოეტს ბუკინისტებთან შეხვედრია მისთვის საჭირო წიგნი და ხელმოკლეობის გამო იგი ვერ შეუძენია. წიგნს კი ავტორის ან მკვლევარის საინტერესო მინაწერები ჰქონია. ასეთს შემთხვევაში პოეტი ბევრჯელ დამჯდარა იქავე, ბუკინისტის დუქანში და თავის ეგზემპლარში გადაუწერია წიგნში მოთავსებული ყველა შენიშვნა-მინაწერი. ურთი ასეთი წიგნი გავსინჯეთ. ეს იყო დავით კარიჭაშვილის ნაშრონი პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანა“. ამ წიგნს გაეცემბული ჰქონია კარიჭაშვილის შენიშვნები და მინაწერები და რადგან მისი შეძენა პოეტმა ვერ შესძლო — ყველა ეს შენიშვნა-მინაწერები პოეტს გადაუწერია თავის ეგზემპლარზე.

აი ერთერთი იმ შენიშვნებიდან, განსვენებულ დავით კარიჭაშვილს რომ გაუკეთებია და პოეტს რომ გადმოუწერია:

„რუსთაველიანა“-ს მე-63 კაბადონზე კარიჭაშვილს უწერია „ჩვენა აზრი თავნართისა და ბოლონართის შესახებ სრულებით მართლდება“ აქ მოტანალი მსჯელობით“. იქავე პოეტს მიუწერია: „დ. კარიჭაშვილის შენიშვნა“.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ხსენებული მინაწერები და ნარკვევები მომავალ მკვლევართათვის სასარგებლო მეგვეიდრობას წარმოადგენს.

პოეტს დაუგროვებია ლექსიკურ მასალის მდიდარი კარტოთეკა, რომელსაც „ტფილისის ქართული ლექსიკა“ ეწოდება. აქ თავმოყრილია ისეთი სიტყვები, რომელსაც სხვა ლექსიკონებში ან არ შესულა, ან თუ შეტანილია — სულ სხვა მნიშვნელობით. თვითიულ სიტყვას, პოეტს მიერ მოტანილს, თან ახლავს საჭირო კონტექსტიც.

ამ კარტოთეკის ზოგი თერმინი, სახელდობრ: ხელოსნობის დარგიდან, ჩვენ შევადარეთ დოკენტ ა. ფირცხალაიშვილის წერილში მოთავსებულ თერმინებს. (იხ. მისი — „თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის“ — ტ. ს. უ. შრომები — ტფ. 1940 ტ. 9 კაბ. 51-52) აი ზოგი მათგანი:

დოც. ფირცხალაიშვილის მიერ

ნახმარი თერმინები

აზიური მეჩეკმე

მეუნაგირე

მექურქე

მეფაბახე

სირმების მკეთებელი

პოეტის თერმინები

ხარაზი

სარაჯი

ქურქი

კონი

ყაზაზი და ა. შ.

ვინც ძველი ტფილისის ცხოვრებას იცნობს, უეჭველად დარწმუნდება, რომ ძველად სწორედ ასეთ თერმინებს ხმარობდნენ, პოეტს რომ აქვს შემონახული.

მოტანილი ნიმუშები და მაგალითები, ვგონებ საკმარისად ასურათებენ პოეტის კვლევითი მეთოდებს. გაოცებული რჩებით პოეტის, როგორც შრომის უნარით, ასევე მისი ერუდიციით ქართული მწერლობის დარგში.

ჩვენი საზოგადოების ადათ-ჩვევები მოგეხსენებათ, როცა მინათხოვარ წიგნის დაბრუნება წამლებს აზრადაც არ მოუვა. არ დაგიბრუნებს, დაგიკარავს და, თუ ღმერთი გაგიწყრა და უკან მოსთხოვე, — ჩემ მტერს ის, რაც თქვენ ამის შემდეგ მოგელით. ამის საილუსტრაციოდ საკმაოა გავიხსენოთ პეტრე უმიკაშვილის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი, პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილს რომ მოჰყავს. (იხ. მისი — პეტრე უმიკაშვილი. ბიოგრაფიული ნარკვევი — წ-ში: პ. უმიკაშვილი — ხალხური სიტყვიერება ნაწ. 1 კაბ. XXXIX).<sup>4</sup>

ლადო მესხიშვილისათვის უთხოვებიათ სუნდუკიანცის ხელთნაწერი პიესა „დაქცეული ოჯახი“. ვინაიდან გადაწყდა მისი დაბეჭდვა, პეტრე უმიკაშვილს იგი უკანვე მოუთხოვია ჩვენი სახელოვანი მსახიობისათვის. ამაზე ლადო მესხიშვილს მეტად შრისხანე და შეურაცხყოფელი პასუხი მოუწერია პეტრესთვის.

ჩვენი საზოგადოების ასეთი ზნე და ჩვევები რომ იცით, გიკვირთ და თქვენს თავს ეკითხებით: ამგვარი ჩვევების საზოგადოებაში როგორ მოახერხა პოეტმა და როგორ გადააჩინა ეს თავისი ძვირფასი განძი განიაგებისაგან?

პოეტმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის ჩვენი ინტელიგენციის ნაწილის ეს სენი და ამიტომ არის, რომ მას არ უყვარს წიგნის განათხოვრება. მასთან კი თუნდაც კვირაობით იმაცადინეთ. ზოლო თუ შეგატყო, რომ წიგნის თხოვნას აპირებთ, მაშინ შემოსასვლელ კარზე გაკრულ პატარა ქაღალდს წაუკითხავთ:

„თუ არა გსურთ მძლედ და უხმოდ  
დამიბაროთ პოეტს გული —  
წიგნებს ნუ მთხოვთ, წიგნებს ნუ მთხოვთ,  
შეისმინეთ ჩემი თქმული!“

„მე ზომ, ძმაო, ხელს არ გიშლი,  
არ გაკადრე სიტყვა მწევე  
აი, სახლი გრიშაშვილის,  
დაიჭეკი და იმუშავე!“

„ვიცი, ვიცი უარითა  
ბევრჯელ გული დაგისტებ,  
მაგრამ როცა ჩაფიქრდები,  
დამიმაღლებ, ძმაო, შერე“.

პოეტმა ყველაფერი შესწირა ამ ბიბლიოთეკას, თვით ჯანმრთელობაც კი და ამიტომ ამბობს:

„წიგნს შეეწირე მე ოჯახი,  
გამიჩინა გულს იარა,  
მთხოვე რაც გსურს, მთხოვე რაც გსურს —  
პეტრანგს მოგცემ, წიგნს კი არა“.

პოეტი, რომელმაც გამოცდილებით იცის, თუ რა მოჰყვება ზოლმე წიგნის განათხოვრებას, სწერს:



„ერთ შეგობარს წიგნი მივე  
სამური საკითხავი  
და როდესაც უკან ვსთხოვე —  
ნე გამოველ ისევე ავი“.

და თუ გაიხსენებთ პოეტის ზემოდ აწერილ ჩვენებს, რომლის მიხედვითაც მისთვის საჭირო ცნობებს იგი თვით წიგნშივე აღნიშნავს ზოლმე — დამუშავებისას, რომ ისეთ წიგნს ხელთნაწერის მნიშვნელობა უძლევა და სავესებით გასაგებია მკვლევარის გულის წყრომა, როცა ამბობს:

„და სიცილით, ლაღად, შევბით  
„რა წიგნია?“ — ერთმა შკითხა.  
— წიგნი ჩემი შენიშვნებით  
ვით ვათხოვო, ერთი მითხარს“

აქედან არ უნდა შეიქნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გრიშაშვილი წიგნს გარედ არავის ატანდეს. ამისათვის მას ე. წ. სადუბლეტო ფონდი აქვს, სადაც თვითვე წიგნის ქიმზე აწერია: „დუბლ“ და „შედ“. რაც იმას ნიშნავს, რომ ის წიგნი შედარებულია ძირითად ფონდთან.

ამას წინადა ერთმა ქალიშვილმა შემდეგი მიაძმო: გრიშაშვილს მისთვის ცვაიგას „ჟოზეფ ფუშე“ უთხოვებია. გაიარა კვირამ და მეტმა. პოეტმა წიგნი მოსთხოვა. ქალს კი იგი თურმე დაჰკარგვოდა. ქალაშვილი გადაჰყვა ამ წიგნის ძებნას და ბოლოს, როგორც იქნა იშოვნა და პოეტს წარწერით წაგიკითხათ:

„სოსო, ნდობა ჩავეფუშე:  
დამკარგა „ჟოზეფ ფუშე“  
ვერ ვიპოვე, ძალიან მწყინს,  
გადავყვი ქალი ამ წიგნს“

შემდეგში, როდესაც ქალიშვილს გაუგია, რომ მის მიერ წაღებული წიგნი სადუბლეტო ვგზემპლიარი ყოფილა — განვილილი გულისხმეთქა სინანულად დარჩენია.

პოეტს, მისთვის ჩვეული აკურატობით, მისი პირველი გამოსვლიდან დღევანდლამდე, შეკრებილი აქვს მთელი ის კორესპონდენცია, რომელიც მას მოსდის და ყველაფერი, რაც მასზე დაწერილა, თუ დაბეჭდილა, კარგიც და აუგიც. ეს საინტერესო მასალა ჩაკრულ-ჩაწებებულია შვიდ დიდ ალბომში, რომელთაც ეწოდება: „ჩემზე, ჩემთვის“. მასალა შემუშავისათვის.

შკითხველი რომ არ დაეღალათ, მოგვყავს იქიდან მხოლოდ ერთი სახე-შარო ლექსი, სადაც გამოთქმულია შიში: პოეტი, ამ ბოლო დროს, დიდ დროს ანდომებს სხვა და სხვა გამოკვლევებს და ვაი თუ პოეზიას ჩამო-

შორდესო. აი ეს საბუღალრო ლექსი, ახალგაზრდა ქალიშვილის მიერ შედგენილი  
სადმი მიძღვნილი, როცა მან უნივერსიტეტის ერთერთ სალიტერატურო სა-  
ლამოზე მოხსენება წაიკითხა:

საყვედური სოსოს  
ახალგაზრდობისაბანს

რათა სდუმბარ? დაილაღე?  
აღარ გიძგერს ტრფობით გული?  
რად მოხუცდი ასე მალე?  
საყვედური, საყვედური!

ჩანგს, შემოსწყერ და მის ნაცვლად  
ახლა მკვლევარის ხარისხს ირჩევ?  
ეგ საბურის ნიშანია,  
სიბერეს კი ჯერ არ ვირჩევ!

ლექსი! გესმის, ლექსი გვინდა,  
კლდევა, სიბრძნე ბუფს მერე,  
ტუბილ პანგებზე ჩანგი წმინდა  
გრობელ კიდევ ააფურე.

1941 წ. 29 მაისი.

1865 წიგნი

## ი. ა. კრილოვი ქართულ ლიბრაფიაში

გენიოსი რუსი იგავთმწერლის ივანე ანდრეას ძე კრილოვის დიდებული სახელი საქართველოში, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე გაისმა. კრილოვის იგავთმემოქმედებას კარგად იცნობდა ქართველი მოწინავე მწერლობა და ცდილობდა მრავალრიცხოვან თარგმანთა საშუალებით გაეხადა იგი ქართველი ხალხის ფართო მასების საკეთრებად.

კრილოვის პირველ მთარგმნელად ჩვენ სახელოვანი პოეტი გრიგოლ ორბელიანი გვევლინება; მან 1832 წელს კრილოვის სამი იგავ-არაკი გადმოსთარგმნა. კრილოვი ითარგმნებოდა მთელი მე-19-ტე საუკუნის მანძილზე. კრილოვის პოპულარობას საქართველოში დიდად შეუწყო ხელი ჟურნალმა „ცისკარმა“. 1852 წლიდან მოყოლებული 1869 წლამდე ჟურნალში სისტემატურად იბეჭდებოდა კრილოვის იგავები, თარგმნილი გრიგოლ ორბელიანის, ივ. კერესელიძის, დ. მგალობლიშვილის, ვიორჯი ორბელიანის, ა. აკოფროვისა და აკ. წერეთლის მიერ. ანტონ ფურცელაძემ გადმოსთარგმნა ხუთი იგავი, რომელიც გამოქვეყნდა 1897 წ. მის ლექსთა კრებულში. სამი იგავი, ცახელის მიერ თარგმნილი, დაიბეჭდა 1915 წელს, — „ბუნების კარში“.

გარდა ამისა ცალკე გამოცემად გამოვიდა კრილოვის იგავთა თარგმანები შესრულებული ბებუთოვის მიერ — 1876 წ., რაფ. ერისთავის — 1878 წ., იგივე შევსებული და გადამუშავებული 1881 წ., ლ. ისარლიშვილისა — მის ლექსთა კრებულში 1895 წ. და ბოლოს აკაკი წერეთლის თარგმანი — 1891, 1893, 1895, 1901 და 1906 წ.წ.<sup>1)</sup> ამრიგად კრილოვის იგავ-არაკები აკაკის თარგმნილი — 15 წლის მანძილზე ხუთჯერ იყო გამოცემული. მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად პოპულარული იყო კრილოვი ქართველ მკითხველთა შორის. კრილოვის პოპულარობას უდავოდ ხელს უწყობდა ჩვენში მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. — „Люблю где случай есть пороки пощипать“ — ამბობდა კრილოვი. იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება ასეთს „შემთხვევებს“ კიდევ უფრო მეტი რაოდენობით იძლეოდა; როგორც ცნობილია ჩვენში ხალხის სოციალურ ჩაგვრას ნაციონალური ჩაგვრაც ემატებოდა. ამასთან დაკავშირებით ცენტრაც მეტი სისასტიკით ებრძოდა თავისუფალი აზრის ყოველ გამოვლენებას. ჩვენი ცხოვრების პირობები კიდევ უფრო დატენიებით მოითხოვდა — ალფორიებისა და არაკების მომარჯვებას სინამდვილის ნაკლოვანებათა მხილებისათვის.

კრილოვის იგავთა პირველი თარგმანები, გარდა გრ. ორბელიანისა, დიდ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ. ცნობილია, რომ კრილო-

(<sup>1</sup>) აქ მოხსენებულია მხოლოდ რევოლუციის წინა დროინდელი გამოცემანი.

ვის თარგმნა სხვა ენაზე მეტად ძნელია; კრილოვის იგავ-არაკთა ეპიგრა-  
მული სიმახვილე, მაქსიმალური ლაკონიურობა გამოთქმისა და მისი  
სადასიტყვის ფართო გამოყენება და თავისუფალი ლექსის ფორმა, მი-  
ნაარსთან საუცხოვოდ შეხამებული, — ყოველივე ეს წარმოადგენს კრი-  
ლოვის მთარგმნელთათვის თითქმის გადაუღალავ სიძნელეს. საჭიროა, რომ  
მთარგმნელი დაჯილდოებული იყოს დიდი პოეტური ნიჭით, მხატვრული  
ზომიერების გრძნობით და იშვიათ ოსტატობით, რომ კრილოვს მიუახ-  
ლოვდეს. კრილოვის პირველი მთარგმნელები მოკლებულნი იყვნენ ყველა  
ჩამოთვლილ თვისებებს, მათ ერთადერთ ღირსებას წარმოადგენდა სიყვარ-  
ული და პატივისცემა უდიდეს იგავთ-მწერლისადმი, რასაც, რასაკვირ-  
ველია, არ შეეძლო ნიჭის მაგიერობის გაწევა.

თუ ნათქვამს დავუმატებთ, რომ საერთოდ თარგმნის კულტურა ჩვენში  
იმ დროს საკმაოდ დაბალ დონეზე იდგა, გასაგები ვახდება, რომ აღნიშნუ-  
ლი მთარგმნელები სულ მცირე შოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფი-  
ლებდნენ.

შემდგომ მთარგმნელებს — ანტ. ფურცელაძეს და ნაწილობრივ ბებუ-  
თოვს მცირეოდენი გაუმჯობესება ეტყობათ, მაგრამ მათი თარგმანები  
დენდისაგან საგრძნობლად დაცილებულია და კრილოვის შესწინააღმდეგ  
ბე-  
ლოვებაზე შორეული წარმოდგენის მოცემაც კი არ შეუძლიათ. დღეს-  
დღეობით ამ თარგმანებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა თუ მოეპო-  
ვებათ. მიუხედავად ამისა პირველმა მთარგმნელებმა თავისი დადებითი  
როლი მაინც შეასრულეს: მათ ხელი შეუწყვეს კრილოვის პოპულარობას  
ქართულ საზოგადოებაში და შემდგომ ნიჭიერ მთარგმნელებს, როგორც  
იყვნენ რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელი, ნიადაგი მოუმზადეს.

2

რაფ. ერისთავმა გადმოთარგმნა კრილოვის ორმოცდაათზე მეტი იგავ-  
არაკი. იგავ-არაკები რაფ. ერისთავს განკუთვნილი ჰქონდა უმთავრესად  
ახალგაზრდობისათვის, როგორც წესიერი აღზრდის ერთი საშუალებათა-  
განი. კრილოვის იგავთა თარგმნით, რაფ. ერისთავი მეტწილად დი-  
დაქტიურ მიზნებს ისახავდა. ამიტომ მან კრილოვი ქართველ საზოგადოე-  
ბას უმთავრესად ზნეობის გამომასწორებელ მწერლად წარმოუდგინა. რაფ.  
ერისთავმა ყურადღება გადაიტანა კრილოვის იმ იგავ-არაკებზე, რომლე-  
ბიც საყოფაცხოვრებო მორალისა და გონიერების პროპაგანდას შეიცავენ.  
კრილოვი სატირიკოსი, ბიუროკრატიულ-ბატონყმურ სახელმწიფოს მრავალ  
უსამართლოებათა მხილებელი, ერისთავის ყურადღებას ნაკლებად  
იპყრობდა.

რაფ. ერისთავის თარგმანებს სიზუსტე და ბეჯითობა ახასიათებს.  
მთარგმნელი ცდილობს დენდის ტექსტს მაქსიმალურად მიუახლოვდეს.  
მაგრამ ეს ცდა ყოველთვის მიზანს ვერ აღწევს. ხშირად რ. ერისთავს  
უხდება ტექსტის გავრცელება და, როგორც ამის აუცილებელი შედე-  
გი, ტექსტში პროზაიზმის შეტანა. მიუხედავად ამისა, თარგმანთა შორის  
გვხვდება საკმაოდ ბევრი მოხდენილად შესრულებული იგავი, როგორი-  
ცაა „კრიჴინა და ჴიანჴველა“, „ლორი“, „ცნობისმოყვარე“, „ლომი წილა-  
ლობაში“, „გელი, თეუზი და კიბო“ და სხვ. საყურადღებოა იგავ-არაკის

„Любопытны!“-ს თარგმანი. იგავი გადმოცემულია საუბრის სახით ორ ქართველ დედაკაცთა შორის ტიპური ფრაზეოლოგიით, როგორც „მეტი და მიდგეს ორივე თვალები“ და სხვ.

რაფ. ერისთავის უდავო დამსახურებას წარმოადგენს კრილოვის ლექსის ფორმის დაცვის ცდა. კრილოვის ლექსი, რომელიც მრავალტერფიან იამბიკოს წარმოადგენს — ხასიათდება შესანიშნავად შეხამებული მრავალფეროვანი შინაარსით. თუმცა რაფ. ერისთავმა ამ რთული პრობლემის ბოლომდე გადაწყვეტა ვერ მოახერხა, მაგრამ მან ნაწილობრივ მაინც დაძლია კრილოვის სხვა მთარგმნელთათვის ფრიალ დამახასიათებელი ფორმის მოსაწყენი ერთფეროვნება.

რაფ. ერისთავის თარგმანები — ნაბიჯია წინ კრილოვის მემკვიდრეობის ქართულად გადმოღებას საქმეში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უცილობელ დადებითი მხარეებისა და მიღწევებისა, რაფ. ერისთავმა მაინც ვერ შესძლო ორიგინალის ტოლფასიანი თარგმანების მოცემა.

## 3

კრილოვის საუკეთესო მთარგმნელად ქართულ ენაზე აკაკი წერეთელი გვევლინება. მან გადმოთარგმნა კრილოვის ას ორმოცდაათზე მეტი ყველაზე ძვირფასი და ფართოდ გავრცელებული იგავ-არაკი. მაგრამ ზუსტად რომ ითქვას, თერმინი თარგმანა ამ შემთხვევისათვის სავსებით შესაფერისი ვერ იქნება. მოთხოვნა, რომელიც თარგმანს უნდა წარედგინოს: როგორიცაა ზუსტი გადმოცემა ორიგინალის აზრებისა და სახეების, მისი რიტმისა და მეტრის, ხშირად აკაკის თარგმანებში დარღვეულია. თარგმანთა შორის იშვიათად შევხვდებით არაკს, რომელიც ასე თუ ისე ორიგინალს არ სცილდებოდეს და, პირიქით, ენაზეთ ძლიერ ბევრს მთლიანად გადაკეთებულს. თვით ზუსტად გადმოთარგმნილი იგავ-არაკებიც, მაგალითად ისტორიული ხასიათისა, 1812 წლის სამამულო ომს რომ შეეხებიან, ორიგინალისაგან მეტად დაშორებულია; აქ, და მრავალ სხვა შემთხვევაშიაც, დაშორება გამოწვეულია სათარგმნი მასალის სირთულით; მაგრამ არის თარგმანები, სადაც დედნისაგან დაცილება, როგორც ჩანს პრინციპული ხასიათის მოსაზრებებითაა ნაკარნახევი; აკაკი წერეთელმა იგავ-არაკი ბრძოლისათვის გამოიყენა. ასეთ პირობებში აკაკი დედნის სიზუსტით დაცვაზე იმდენად არ ზრუნავდა, რამდენად ცდილობდა იგავი ქართულ ცხოვრებასთან შეეწყო და მის შესაფერად სატირულად აექლერებინა. ამ შემთხვევაში აკაკი თვით კრილოვის გზით მიდიოდა.

ცნობილია, რომ კრილოვი სარგებლობდა სხვა იგავთმწერლების სიუჟეტებით, როგორიცაა ეზოპე, ლაფონტენა, ჰელერტი და სხვ. მაგრამ ნასესხებ იგავ-არაკებში აღწერილია და გამოხატული რუსეთის ცხოვრება, მთელი მისი მრავალნაირობით, ისე, როგორც მის ორიგინალურ იგავებში. მართალი იყო პლეტნიოვი, როცა სწერდა: „На мысль не придет, что сочинитель повторяет старинную басню, известную уже всем народам и прикрывает его общую истину. Высказываемый им случай, повидимому только и мог подобным образом произойти у нас. Он проникнут духом нашей жизни и речи“.

აკ. წერეთელი განსაკუთრებით დაინტერესდა კრილოვით, როგორც სატირიკოსით. მან გადმოთარგმნა უკლებლივ ყველა იგავ-არაკი, რომელშიც გაიკებულა ბატონყმურ-ბიუროკრატიული წყობა. თარგმანებზე



დაკვირვებამ გვიჩვენებს, რომ აკაკი ცდილობს გააძლიეროს სატირა, აქტიურად აქციოს იგი და თავის თანადროულობას დაუახლოვოს. განთქმული აზრის დასამტკიცებლად შევჩერდეთ იგავზე „ფესვები და ფოთლები“: ამ იგავში კრილოვი იძლევა სოციალური უთანასწორობის კრიტიკას. აკაკი წერეთელი ნაწილობრივ სცვლის იგავ-არაკს: დასაწყისში მას შეაქვს ვაზაფხულის გამოცოცხლების სურათი. შემდეგ გადმოგვცემს—რა ფაბულას კრილოვისებურად, შესამჩნევად ზრდის და აძლიერებს დაბალი ფენების პროტესტს მაღალი წრეების წინააღმდეგ. კრილოვის არაკში ფესვები, (ე. ი. გლეხობის სიმბოლო), მორიდებით შეკადრებენ ფოთლებს: (დიდ გვაროვანთა განსაზივრებას):

„Промолвить можно-бы спасибо тут и нам,  
Им голос отвечал из-под земли смиренно“

აკაკი წერეთლის თარგმანში კი ფესვები ასე მორიდებულნი არ არიან:

„იციო, რას ამბობთ, გაჩუმდით!  
რათა ხართ მაგრე ტრაბახა?  
ხმამ ულოდნელმა, მრისხანემ  
დაბლიდან ამოიძახა“.

მანძილი ფოთლებიდან ფესვებამდე თარგმნილ იგავ-არაკში მეტად შემცირებულია, თუ კრილოვის ფოთლები შიუქარებულნი და მედიდურნი არიან, ვერ იტანენ ფესვების რაიმე წინააღმდეგობას, აკაკი წერეთლის ფოთლები შესამჩნევად იმდაბლებენ ხმას ფესვების შემოტევის წყალობით.

ფესვების დასკვნა აკაკის იგავში, რომელიც სრულად არ ატარებს მოწიწების ტონს, პირდაპირი მუქარაა ფოთლების წინააღმდეგ მიმართული:

„თუ ჩვენ არ ვიყოთ აქამდე  
აქ შევჩებოდით სულთა!  
საზრდოს ჩვენ გაძლევი აქედან  
უხმოდ და უწინარადო,  
და თვეენ ეს ჰეშმარიტება  
უნდა გახსოვდეთ მარადო“.

შევადაროთ ამას კრილოვის იგავის ფესვების მოწიწებითი და მოკრძალებითი ტონი:

„Красуйтесь в добрый час,  
Да только помните ту разницу меж нас.  
А если корень иссушится,—  
Не станет дерева, ни—нас.“

და გასაგები გახდება, თუ როგორ გაამახვილა აკ. წერეთელმა იგავის სოციალური აზრი. თუ კრილოვი შემოიფარგლა მაღალი კლასების კეთილგონიერებენსაკენ მოწოდებით, აკ. წერეთელი პირდაპირ მუქარით მი-

მართავს მათ დაჩაგრულთა სახელით. ეს იგავი აკაკიმ დაუახლოვა თავის თანამედროვეობას. 1811 წლიდან, როცა იგი დაიწერა, გავიდა 30-70 წელი და თარგმანად ბევრმა წყალმა ჩაიარა; ამ ხნის განმავლობაში ცხოვრებამ წინ წაიწია, დამონებულმა კლასებმა შეიგნეს თავისი მდგომარეობა, მოახლოვდა დრო მათი ორგანიზებული გამოსვლისა მჩავერელი კლასების წინააღმდეგ. ამიტომ სოციალურად დაჩაგრულთა პროტესტი წერეთლის იგავ-არაკში ძლიერად და მრისხანედ ისმის.

ავიღოთ მეორე იგავ-არაკი „ჭრელი ცხვრები“. ცენზურამ ეს იგავი ვრ გაუშვა და კრილოვის დროს არ დაბეჭდილა. აი მისი მოკლე შინაარსი: ნადირთა მეფე-ლომს შეძლდა ჭრელი ცხვრები, უნდა მათი მოსპობა, მაგრამ როგორ მოიქცეს, რომ სახელი არ გაიტეხოს? რჩევისათვის იწვევს დათვისა და მელას. პირველის უხეში რჩევა ჭრელი ცხვრების პირდაპირ ამოხოცვის შესახებ ლომს არ მოსწონს, სამაგიეროდ მას აკმაყოფილებს მელას მზაკრული რჩევა: მუხინოს ცხვრებს საძოვარი აღგილი და მწყემსად მგელი დაუნიშნოს. ასეც მოიქცა ლომი, და სულ მოკლე დროში არამც თუ ჭრელი, ჩვეულებრივი ცხვრებიც მთლად განახევრდა.

ეს იგავი აკაკიმ გაამახვილა და კიდევ უფრო სატირულად ააღერა. აკაკი თავიდანვე სცილდება ორიგინალს. მის იგავში ლომი იწვევს საიდუმლოდ ერთგულ პირებიდან შემდგარ საბჭოს, სადაც, სხვათა შორის, არიან დათვი და მელა. კრილოვის ლომი კი პირდაპირ დათვისა და მელას იწვევს რჩევისათვის. დათვის უხეში და მოურიდებელი რჩევა აკაკიმ კიდევ უფრო გაამიშვლა.

აკაკის ორიგინალთან შედარებით აგრეთვე სატირულად აქვს გამწვავებული მელას რჩევა.

აღნიშნულ იგავ-არაკის ანალიზიდან ირკვევა, რომ აკაკიმ იგავის სატირული ელერადობა ნაწილობრივ შესცვალა და დაუახლოვა იგი თავის დროებას, — განსაკუთრებით საქართველოს ცხოვრების პირობებს; როგორც ჩანს, აკაკის მიზანში ჰყავდა საქართველოს უმაღლესი მმართველები, რომლებიც წერილ ჩინოვნიკების ზურგამოფარებულნი — ხალხთან ანგარიშის გასწორების ამ მეთოდს ხშირად მიმართავდნენ.

ამიტომაც დასჭირდა აკაკის საიმედო პირებისაგან შემდგარი საბჭოს წარმოდგენა. ამიტომ აიძულა მელა მიეწოდებია მეფისათვის წინადადება თავისი ერთგული სამსახურის შესახებ, გამოეყვანა მეფე-ლომი ცხვრების მწყალობელად და ბოლოს დაეხატა ხელისუფალთა მიერ წაქეზებული მწყემსი მგლის ადვირაზსნილი თარეშის სურათი. ყველაფერი ეს უდმიწევნით უღვებოდა საქართველოს ცხოვრების პირობებს. ძირითადი ცელილება, შეტანილი იგავ-არაკებში აკაკი წერეთლის მიერ, — არის მათი შეფარდება ქართულ სინამდვილესთან. ამ შემთხვევაში აკაკის დახლოვნება უსაზღვროა. იგი ზოგჯერ მთლიანად გადმოაკეთებს ამ იგავ-არაკებს და შთაბერავს ქართულ სულს. ზოგჯერ შეიტანს ყოფითი ელემენტებს, აღებულს ისევ ქართულ სინამდვილიდან, ზოგჯერ ქართულ ენამახვილ გამოთქმებს, ამა თუ იმ სოციალურ წრისათვის ტიპიურსა და დამახასიათებელს. ყველა ამის შედეგად კრილოვის ბევრი იგავ-არაკი აკაკი წერეთლის კალმის ქვეშ წმინდა ქართულად აეღერდა. და მათში საქართველოს რევოლუციამდელი ცხოვრება თავისი მრავალფეროვანებით ცოცხლად წარმოდგა.

შევაჩეროთ ყურადღება იგავ-არაკებზე „პირველი თამადა“: უნდა ითქვას, რომ აკ. წერეთელმა ახალი იგავ-არაკი შექმნა. მას არა შემოთავაზებია არც ღემიანი, არც ფოკა, არც იმ ცნობილ 'თევზის' წვენით (АХА) გამახპინძლება. აკაკის დახატული აქვს ქეიფი თამადას მეთაურობით, რომელიც ძალას ატანს სტუმრებს ღვინის სმაში.

ამ იგავ-არაკის წაკითხვისას ჩვენც ზემოხსენებული პლეტნიოვის მსგავსად, შეგვიძლიან ვთქვათ: „აზრადაც არ მოგვივა, თითქოს შემთხვეული სხვის იგავს იმეორებს.“ ეს იგავ-არაკი ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი მეტყველების სულით არის გაქვნილი.

აი კიდევ გადაქართულებული იგავ-არაკი „Два мужика“ — რომელსაც ა. წერეთელმა „გლეხების საუბარი“ დაარქვა; რუსული ხალხური სახელები „ფადი“ და „გგორ“, წერეთლის მიერ შეცვლილია შესაფერი ქართული სახელებით — ივანე და გიგოლა და მათი სახით წარმოსდგებიან ნამდვილი ქართველი გლეხები.

შეტანილია აგრეთვე ყოფითი ცვლილებები: ქართველი გლეხის ქეიფი უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი, ჰუმორით ვრის ასახული ქართველი უხვი მასპინძელი, რომელიც სტუმრების გამასპინძლებისა და გართობისათვის არაფერს იშურებს.

აკაკის თარგმანში გულუხვი მასპინძელი მარანში წავიდა ღვინის ამოსატანად და არა თავლაში ცხენებისათვის საკვების მისაცემად, როგორც ეს კრილოვს აქვს, და ცეცხლი მარანს გაუჩინა და არა თავლას.

იგავ-არაკში „გაპირვებაში ჩავარდნილი გლეხი“ აკაკი წერეთელი იძლევა ქართველი გლეხობის ყოფასა და ჩვეულებებს. გლეხის საჩივარი უბედო-ბედზე ვადმოცემულია ტიპური ქართული გამოთქმებით:

— ვაი ღედა!  
ვინ დამღება, ვინ გამჭურდა,  
გამომიჭრა ცოლ-შვილს ველი!  
მიშველეო და მომხმარეთ,  
ან ჩამქოლეთ მე დღეზნელი!”

ვინ არ გაიფიქრებს ამ სიტყვებში ქართველი რევოლუციამდელი გლეხის საჩივარს? დამახასიათებელია, რომ კრილოვს ასეთი გამოთქმა სულაც არა აქვს.

ჩვენი პოეტი ყოველთვის არ აქართულებს გლეხის ცხოვრებიდან აღებულ იგავ-არაკებს. იგავში: „სამი გლეხკაცი“ მან დისტოვა რუსი გლეხები, რომელნიც პეტერბურგში მივიდნენ სამუშაოს საშოვნელად, და მათ შესახებ დაახლოებით ზუსტად ვადმოგვცა ყველაფერი ხსენებულ იგავ-არაკში.

საუცხოოდ ვადმოქართულებულია იგავი „Обед у медведя“ („დათვის წვეულება“). დათვის ქეიფი სრულიად ქართული სტილითაა შესრულებული:

ვადაკრეს და სადღეგრძელო  
სათითოდ გააჩინეს.  
სამადლობელს სავსეს სვამდენ,  
წვეთი არვის შეაჩინეს.

ქართული ყოფითი ცხოვრების დამახასიათებელი ელემენტები სხვა იგავებშიც დიდი ოსტატობით არის გადმოცემული.

საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

## 4

აკაკი წერეთელი საკმაოდ დიდ ოსტატობას იჩენს კრილოვის იგავ-არაკთა „რეზიუმეების“ თარგმნაში, რომელნიც თითქმის გარდაუღალახველ სიმწიფეს ჰქმნიან თავისი ეპიგრაფული სიმკვეთრითა და შემეხიდრობით.

მოვიყვანოთ რამდენიმე შედარება: მოსამართლე მელას, იგავ-არაკში „გლეხი და ცხვარი“, გამოაქვს შემდეგი განაჩენი:

„И вследствие того казнить овцу,  
И мясо в суд отдать, а шкуру взять истцу.“

აკაკი წერეთლის იგავ-არაკშია:

„დაჰკალით და გაატყვევით,  
ამოიღეთ ოთხში ცხვარი!  
ხორცი — მთავალს, ტყავი — გლეხსა,  
და მოისპოს საჩუქარი“.

ასეთივე ოსტატობით აქვს თარგმნილი აკაკის „რეზიუმეები“ იგავ-არაკებში „მჭადაგებელი“, „ბარნასი“ და სხვ.

მაგრამ ყოველთვის ვერ სძლევს აკაკი წერეთელი ასეთ ძნელ ამოცანას: არის შემთხვევები, როცა მისი თარგმანი ჩამოუვარდება ორიგინალს, როგორც სიმკვეთრით, ისე სიმეხიდროვით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კრილოვს იგავ-არაკების ფრანგულ ენაზე მთარგმნელს დიუჟალს, ოცი ტაეები დასჭირებია პირველი ორი ტაეპის აზრის გადმოსაცემად კრილოვის იგავ-არაკი „სამცოლიანი“-ს თარგმნის დროს, მაშინ ჩვენ თამამად შეგვიძლიან აღვნიშნოთ, რომ აკაკიმ მშვენივრად გადალახა ეს სიმწიფენი.

საერთოდ აკაკისათვის უცხო არ არის კრილოვის იგავ-არაკთა გავრცელება; მაგრამ ეს გამოიწვევლინა არა მხოლოდ გადასათარგმნი მასალის სირთულით, რასაც, რასაკვირველია, მნიშვნელობა ჰქონდა; ჩვენმა პოეტმა, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, გამოიყენა კრილოვის საიგავარაკო მასალა თავისი მიზნებისათვის და იმის მიხედვით, თუ რა ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი და რა მიზანი დასახული, ხან ამოკლებდა და ხან ავრცელებდა მათ. ერთი სიტყვით იქცეოდა ისე, როგორც თვით კრილოვი სხვა მწერლებიდან გადმოღებულ იგავ-არაკთა მიმართ.

კრილოვის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს რუსული სალიტერატურო ენის გასადავება, მისი ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოვება და მწიგნობრული მალაქფარდოვანი სლავიანიზმების ელემენტებისაგან განთავისუფლება.

ქართულ სალიტერატურო ენა არასდროს არ ყოფილა ამგვარად გათიშული ცოცხალ ხალხურ ენისაგან.

თუ ერთგვარ სხვაობას ჰქონდა მაინც ადგილი, ეს სწორედ შე-19 ს. დასაწყისში იყო. და სწორედ კრილოვის პირველი, განსაკუთრებით „ცისკარის“ მთარგმნელების ერთერთი სუსტი მხარე მოძველებულ, არქაულ ენაში გამოიხატებოდა.

აკაკის დროს სალიტერატურო ენა საკმაოდ გაიწმინდა და ხალხურ ენას დაუახლოვდა. მაგრამ აკაკის ნიჭმა აქაც იჩინა თავი. მისი იგავები დაწერილია ცოცხალი, მკვირცხლი ენით. მხეცები და სხვა პერსონაჟები აკაკისთან მეტყველებენ ისე ბუნებრივად, წმინდა ხალხური ენით, რომ არასდროს ფქვადაც არ მოგვივა, რომ ეს ნათარგმნი ნაწარმოებია.

რუსულ კრიტიკაში მრავალჯერ იყო აღნიშნული, რომ კრილოვის პუბლიკაციები რუსულ ხალხურ მეტყველებაში აქვს გამდგარი: ხალხში გავრცელებული ანდაზები სხვადასხვა გამოთქმებით შევიდნენ კრილოვის იგავ-არაკებში და ორგანულად დაუკავშირდნენ მის მხატვრულ აღნიგობას.

მეორე მხრით კრილოვის მრავალი მოსწრებული აფორისტული გამოთქმა ხალხში გადავიდა და ანდაზებად გადაიქცა.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაც ხალხური ფესვებით იკვებება, ქართული ანდაზები და გამოთქმები ორგანულად შეერწყოთ მის იგავ-არაკულ შემოქმედებას. და თუ აკაკის მრავალი მახვილი გამოთქმა, რომელთაც კრილოვის აფორისტული, სიბასრე აკლიათ, ქართულ ანდაზებად ვერ იქცნენ, მათ ქართველ საზოგადოებაში მაინც ფართო პოპულარობა მოიპოვეს.

ვასრულებთ რა აკაკი წერეთლის თარგმანთა განხილვას, შევხვით რამდენიმე სიტყვით მისი არაკების ფორმას.

აკაკი წერეთელი არ მიჰყვება კრილოვს ლექსთაწყობის ზომიში. ეფარდება რა ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებას, ჩვენი პოეტი უმთავრესად რეამარცვლიან სალექსო წყობის გადატეხილ შიარსს ხმარობს. ამგვარად ა. წერეთლის იგავ-არაკებში არ არის მოცემული კრილოვისებურად ის განსაკუთრებული მრავალწირობა ფორმისა, რომელიც შესანიშნავად შეთანხმებულია შინაარსის მრავალფეროვანებასთან. პირიქით, აკაკი წერეთლის იგავ-არაკებს ახასიათებს ფორმის ერთფეროვნება.

როგორც ჩანს, აკაკი წერეთელს უნდოდა თავისი საიგავ-არაკო შემოქმედება ხალხურ-პოეტურ ებოსთან დაეახლოვებინა. ამასთან დაკავშირებით მის თარგმანებში შესამჩნევად შეკვირებულია მოქმედება და მთავარი ადგილი დათმობილი აქვს თხრობას. კრილოვის შემოქმედებაში კი დრამატული მხარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია.

რალა თქმა უნდა, ზემონათქვამი ისე არ უნდა გაეფგოთ, თითქოს აკაკი წერეთლის იგავთშემოქმედებიდან გამორიცხული იყოს დრამატულობა. მის იგავთა შორის ბევრს შეხვდებით ისეთსაც, რომლებშიაც საღილოგო ფორმა ოსტატურადაა გამოყენებული. მაგრამ უდიდესი ნაწილი მისი იგავ-არაკებისა თხრობითი-ეპიური ხასიათისაა, და სრულიად შეესაბამება მის ხალხურ-ეპიკურ ფორმას — გადატეხილ შიარსს.

## საქართველო. დიალექტოლოგიური ლექსიკონი

(სტ. შენიქშაშვილი — „ქიზიური ლექსიკონი“ ვ. თოფურიას რედაქციით, ქართულურ ენათა ლექსიკა II. საქ. მეცნ. აკადემიის ნ. შარბის სახ. ენის ინსტიტუტი, 1944).

ამა თუ იმ ენის ლექსიკას თავის-განვითარების ყოველ გარკვეულ საფეხურზე სხვადასხვა შენაყალი ჰქვიადავს. იგი მოიცავს, ზოგადად, როგორც ხალხური მეტყველებს, ისე სალიტერატურო ენის სიტყვიერ მარაგს, და ამასთანავე უცხო ენათა ელემენტებს; თუ ენის ევოლუციის ერთი რომელიმე ეტაპით არ შემოვიფარგლებით, მაშინ აბე შეგოდა „ისტორიული ლექსიკის“ ფაქტობრივ, ე. ი. ძველი სალიტერატურო ენის ლექსიკონი.

ლექსიკა ყველაზე ფაქიზი სფეროა ენისა: მასში მკვეთრად აღიბეჭდება ერის ისტორიული განვითარების საფეხურები, — იგი წაიფილი ემსახველია მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა, ლექსიკური არქაიზმები მიდიარ მასალას აუფდის ენათმეცნიერს ისტორიკოსს, ეთნოგრაფს, აზროვნების ისტორიკოსს... არკაული ფორმების სიჭარბემ ითქვევინა ცნობილ ლინგვისტს მაუთინგს: ჩვენ ვაზროვნებთ როგორც კოპერნიკი, მაგრამ ვმეტყველებთ პტოლემეს ენით: „მზე ამოვიტია“, „მზე ჩავიდა“...

ქართული ლექსიკის მრავალწინოვან საგანძურს ჯერ კიდევ ვერ ასახავს ჩვენი ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა. ძველმა ქართულმა მწერლობამ თითქმის არაფერი დაგვიტოვა ამ მხრივ. ასეთი ნაშრომები, როგორცაა კირილე ალექსანდრიელის „ძნელოანთა სიტყვათა განმარტება“ (XIII საუკ.) აღბათ იწებოდა შემუშავებული ძველად, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, დიკარგა საბა ორბელიანი ამბობს: „...ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა ამოვმოდა, რამეთუ ეამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო... ვინათგან პატრიოსანი ესე წიგნი დაპკარგოდათ“. უბეველია, საბას ლექსიკონი ჭონოლოგიურად ბირველი ლექსიკონი არ არის.

საბას ქართული ლექსიკონი ერთი უბრწყინვალესი ძველია ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში. ნ. შარი მას აფენებს იმდროინდელ საერთაშორისო მნიშვნელობის ლექსიკონთა რიგში — თავისი აღნაგობით, დამუშავების ხასიათით, განმარტებათა ვირტუოზული ლაკონიზმით, ავტორის ლინგვისტური აზლის სიმღიერით. ჯერ კიდევ არ არის საქმარისად გავრცელებული, თუ როგორაა „ქართული ლექსიკონის“ მიმართება უცხო ლექსიკონებთან, მაგრამ ა. შანიძის დასკვნით, ის თუ ამთავითვე ცხადია, რომ „სულხანი ბრმად არ მისდევს რომელსამე წყაროს, იგი მკვლევარია, მეცნიერული აზლი დიდი აქვს და კრიტიკულად უცჭირის წყარობს“. საბა გულწრფელად აღიარებს: „რომელიცა ვიკოდი, დავწერე და რომელიცა ძნელი სიტყუანი არა ვიკოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხუათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელიცა ვპოე, ადვილად თანა მოვაწერე და რომელიცა ვერა ვპოე, საცილობელი არა დავწერეთ“. ეს ამონაწერი ნათლად მოწმობს რარივ ფრთხილ და დინჯი ლექსიკოგრაფია საბა და, მაშასადამე, რამდენად სანდოა მისი ლექსიკონი...

ძველი ქართულის ლექსიკონთაგან ბირველ რიგში ყურადღების ღირსია ვახტანგ VI-ის ლექსიკონი — ვეფხისტყაოსნის სიტყვათა ახსნა-განმარტება, რომელიც ჩართულია შიგადა-შიგ პოემის ბირველი გამოცემის კომენტარიებში. ვახტანგის ღვალი ქართ. ლექსიკოგრაფიაში განსაკუთრებით ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღმდგენელის — ა. შანიძის მიერ ამოკრფილ იქნა კომენტარიებზე გაბნეული ახსნა-განმარტებათა და გაწყობილი ანბანზე სათანადო შენიშვნებითურთ. ამ მასალიდან ჩანს, რომ ვახტანგი ნიჭიერი ლექსიკოგრაფია და მის მიერ მოცემულ ბევრ განმარტებას დღესაც არ დუკარგავს ცხოველყოფილობა... ამავე რიგში აღსანიშნავია დ. ჩუბინაშვილის ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, დართული 1860 წ. გამოცემაზე, ეს განმარტებანი არ ატარებენ ჩვეულებრივი ლექსიკონის ფორმას: არ არის ანბანზე გაწყობილი, მისდევს სტროფებს და წარ-

ზოდენილია ესა თუ ის სიტყვა-გამოთქმა იმ ფორმით, როგორც გვხვდება ტექსტში. ვფიქრობთ, ხისტყაოსნის ტექსტის ადგილების გაგებაში ჩუბინაშვილის ამ კომენტარებში წინაშეგვსდებიან მნიშვნელობა ენიჭება.

ყველა ამგვარი ხასიათის ლექსიკონი თუ სალექსიკონო მასალა სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის ტიპისაა. საამისოდ გარკვეულ მასალას გვაწვდის სხვადასხვა თარგმნითი ლექსიკონებიც (პაოლინისა, ჩუბინაშვილისა, ერისთვისა, მარისა, მეყელინისა, კლუგესი და სხვითა).

უბეველია, რომ ხალხური მეტყველების იმ დიალექტებში მონაცემები მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენენ სალიტერატურო ენის ლექსიკონის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად. დიალექტურ მასალას თეორიული მნიშვნელობაც აქვს: ლექსიკოლოგიის პრობლემატიკაში მას საბატიო ადგილი განეკუთვნება.

ქართულ ევროპულ-გაზეთებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ზეპირსიტყვაობითი ნიმუშები, რასაკვირველია, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის დიალექტოლოგიური ლექსიკონისათვის, — მაგრამ სისტემატური და გეგმაშეწონილი ძიებები ამ მიმართულებით დაკლებული იყო საერთოდ ქართული დიალექტოლოგიის განვითარებასთან.

1909 წ. ნ. შარი რუსეთის მეცნ. აკადემიის მოამბეში აღნიშნავდა: С многолетним, почти систематическим игнорированием груз. языка лингвистической наукой находятся в связи, с одной стороны, неизвестность лексического богатства грузинских говоров, с другой — неполнота грузинских словарей. Для восполнения указанных пробелов я предполагаю организовать собрание материалов по диалектам и говорам груз. языка и родственных с ним языков. ცნობილი მეცნიერის რედაქციით 1910 წ. სერია Материалы по Яфетическому Языкознанию იხსნება ი. ლ. ჯვონიას წიგნით — „სიტყვის კონა“, რომელიც შეიცავს საბასა და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტყვევებული სიტყვების ახსნას. მასშია ძირითადად სრულიად ახალი, აგებულია ცოცხალ მეტყველებაზე, იშვიათად გამოყენებულია ძველი ქართული ტექსტთა გამოქვეყნებული ლექსიკონის შედგენის ახლო ხანებში. ზოგი სიტყვა ამოღებულია ახალ შეტრიალთა ნაწერებიდან, ეს ლექსიკონი ასახავს რამდენიმე შინადასახლი სალიტერატურო ქართულის ლექსიკონ შედგენილობას და გეგმავს, თუ რამდენად ცოცხალია ესათვის ლექსიკონი ფორმა, დამოწმებული საბასა და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, და რა სემანტიკით თუ ფონეტიკით ნიშანებით იხმარება იგი ხალხში.

ამავე სერიაში 1912 წ. იმდებდა ვუკოლ ბერძინის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“. ესაა პირველი დიალექტოლოგიური ლექსიკონი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა... შემდეგ აღსანიშნავია ნ. შარის ნაშრომებში განხილული დიდი მასალა ცოცხალი მეტყველებიდან. ამავე რიგში აღსანიშნავია ა. შინაძის ფშაური (ყაფის მიხედვით) და ზესურული (გაბურის მასალებზე დაბთული) ლექსიკონები. ნ. შარის სახ. ენის ინსტიტუტის ლექსიკოლოგიურმა განყოფილებამ ფართოდ გაშალა მუშაობა ქართული დიალექტური მასალის შესაგროვებლად. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მხოლოდ შიკარულნი ნაწილი დაგროვილი მასალიდან. 1928 წ. პროფ. გ. ბერძინის რედაქციით გამოქვეყნდა გურული (გ. შარაშიძის), ზემოიმერული (ბ. წერეთლის) და ლეჩხუმური (მ. ალავეძის) ლექსიკონები. ეს ლექსიკონები დიალექტურია, თუმცა შიგნითა შიგნით სიტყვებიც მოიპოვება, რომელთაც სამწერლო ენაში თავისი ლიტერატურული პარალელი, შესატყვისი არ გააჩნიათ. თითქმის არც ერთი მათგანი წარმოადგენილი მნიშვნელობით არსებულ ლექსიკონებში არ არის შეტანილი და მრავალი მათგანი უფროდ იპოვის ადგილს როგორც მხატვრულ, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგი-ზოგი სიტყვა უკვე შევიდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიაში, როგორცაა: საამშენებლო საქმე, მეცხოველეობა, მემკნარეობა... ესენია: გართვა, გასანახავი, ახალპირი, გაღვერვა, პირხვეული, ზრელო, მადგინო და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომი ენის ინსტიტუტის მიერ წამოწმებული დიალექტურ ლექსიკონთა სერიის მეორე ნაკვეთია. აქ შესულია ქიზიყში დადასტურებული 6260-მდე სიტყვა; არც ერთი დღემდე გამოუსტალი ლექსიკონი არ შეიცავს ამ მასალას, ან, თუ გვხვდება საერთო ფორმები, ჩვენს ლექსიკონში მოკლებულია სხვა შინაარსობრივი ნივანებში.

ქიზიყური ლექსიკონი უპირველეს ყოვლისა დიალექტოლოგიური ლექსიკონია, მაგრამ მას სხვა დანიშნულებაც აქვს: მრავალადა შესული ქიზიყელთა ყოფის გამოშატეველ ტერმინები; გვხვდება სახელწოდებანი სამეურნეო იარაღებისა, ნაგებობათა, ტანისამოსისა, საბავშვო თამაშობათა, ნათესაურ ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული ზნე-ჩვეულებებისა

და რწმენისა, ჭარული ეთნოგრაფიის მკვლევარი ამ მხრივ უბე მასალას მიიღებს ამავე დროს, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნული, ლექსიკონი ამახველურ ქიქნულს მისახლეობის სოციალური დიფერენციაციისა ოქტომბრის რევოლუციამდე ტრეკატიკი ტრეკატის შორის, ისე ჭალაქად — ხელისაწა და გაჭართა წრეებში. ყოველივე ეს სოციალური დიალექტოლოგიისათვის მეტად საგულისხმო მასალაა. აქვეა იურადიული ხასიათის ტერმინებიც (საფროსო, საუმქროსო, სადილა, საუდიერო, ძმად ჩაყენება...), ჭართული სამართლის ისტორიისათვის ეს ტერმინები საგულველია. სარცეტნოო წიგნი ტერმინოლოგიურ ინტერესსაც შეიცავს, რამდენადაც მასში უხვად არის შეტანილი ტერმინები თუ სხვა ხასიათის ტერმინები სოფლის მეურნეობისა, ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის მრავალი დარგისა.

ახსნა-განმარტებანი ერცელია, სრული და მდიდარი ფრაზეოლოგიით. ანდაზა-გამოცანები, ზალბური ლექსები, თუ თქმები, რომლებიც ამ ლექსიკონში უხვად მოიპოვება სიტყვის მნიშვნელობის დასადენად, საყრადღებოა როგორც ჭართული დიალექტოლოგიისათვის, ისე ჭართული ფოლკლორისტიკისათვისაც.

ავტორის და რედაქტორის დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ, რათა ერცელი ჭართული განმარტებითი ლექსიკონისათვის მიეწოდებინათ მდიდარი ლექსიკური ფონდი ქიზიურის მატყველებიდან, დამუშავებული ესოდენ ყურადღებით და საჭმის ცოდნით.

ამგვარად, ე. თ. ფ. შრიას რედაქციით გამოცემული სტ. მენთევაშვილის „ქიზიური ლექსიკონი“ მნიშვნელოვანი შენამენია ჭართულ ლექსიკოგრაფიაში. იგი როგორც მეცნიერის, ისე მხატვრული სიტყვის ოსტატის საწერი შავადის ძვირფასი წიგნი იქნება.

შ. მთა კიჩიხვიძე.

**ვალერიან გაფრინდაშვილი — „ლეჩხები“**  
 ლეჩხან ასათიანის წინასიტყვაობით და კამათებით

„საბავროთა მწერალი“, 1944 წელი, თბილისი.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ უკანასკნელ დღეებში გამოსცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების ახალი კრებული ლეჩხან ასათიანის წინასიტყვაობით და რედაქციით. წიგნი შეიცავს დაახლოებით პოეტის ოთხმოცზე მეტ ლექსს, რომლებიც არ შეტანილია პირველ სამ კრებულში (1919, 1926 და 1937 წ.წ.), ამა შორის ოცამდე ლექსი შევარდნა პირველად. აღნიშნული ლექსები შერჩეულია იმ ავტოგრაფებიდან, რომელიც პოეტის არქივში დარჩა და დღემდე მის ოჯახშია დაცული.

ვ. გაფრინდაშვილმა თავიდანვე მიიქცია ტართო მკითხველის ყურადღება, როგორც ლექსის ოსტატმა. მრავალმხრივი ტრადიციის მქონე ჭართულ პოეზიაში ის მუდამ ნერგავდა უახლოეს ევროპული და რუსული ლექსის კულტურას. ვ. გაფრინდაშვილი იყო სიმბოლიზმის ერთერთი ყველაზე ტიპური წარმომადგენელი და თეორეტიკოსი. მაგრამ თავის სიმბოლისტური წარსულით პოეტი ეკუთვნის ისტორიის. თანა-როგვეობისთვის ვ. გაფრინდაშვილი არბა, როგორც საბჭოთა პოეზიის ერთერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. ჩვენს დიდი სამშობლოს უჩვეულო წარმატებებმა, ქვეყნის სამეურნეო და კულტურულმა წინსვლამ, პოეტის შემოქმედება მილიანად გასწვინდეს ყოველი საბის მისტიკიზმისა და ესტეტიზმისაგან და ორგანულად დაეკავშირეს იგი საბჭოთა სინამდვილეს.

ვ. გაფრინდაშვილი ჩვენთვის დღევანდელია, როგორც ევროპული და რუსული პოეზიის საუკეთესო მთარგმნელიც. დიდი პოეტური გემოვნებით არის მის მიერ თარგმნილი ლიტონის, ფერარის, ევენ პოეტის, ბლოკის, ბრუსოვის და მთავოვსკის მრავალი ლექსი.

პოეტს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ზელიდან არ გაუშვია კალამი. უკანასკნელი წლებს მანძილზე მან შექმნა თანამედროვე თემატიკაზე მივიღ რიგი ლექსებისა, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ თავიანთი უშუალოებით. როგორც წინასიტყვაობის ავტორი შენიშნავს, „მოჩაღურად შეტუდალავი სულის აღსაწება ისმის ამ სტრიქონებიდან. წარვე-



ლი გრძნობა და ნათელი ფიქრი პოეტისა იპყრობს და იტაცებს მკითხველს ირსენას, რადგან პოეტის ინტიმურ სამყაროში ის ხშირად პოულობს პასუხს თავის ქვეყნულად და ოცნებაზე".

დიდის სიყვარულით, მაღალი პოეტური აზრით და გულწრფელობით ხასიათდება ნაწილი იმ ლექსებისა, რომელშიაც პოეტი იძლევა დიდი ბელადის სახეს. ბელადისადმი პოეტს მიძღვნილი აქვს საუბრეთესო ლექსები: „ზღვა და ბელადი“, „სტალინი“, „სტალინის ვხიო“.

ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ჯანსაღი ოპტიმიზმი, სიყვარული სიცოცხლისადმი, ხალხისადმი, სამშობლოსადმი. ლექსში „1941 წლის 1 იანვარი“, პოეტი სრულის იმედით შესტყობს „ცაას და მუზაბას“. პოეტი ნატრობდა ხალხის გულში ეპოეა ბინა. ამიტომ იგი ეწეოდა, დიდ შემოქმედებით ბრძოლას მხატვრული სიტყვის დაუღულებსათვის:

„შე კი ვეწევი ჭოგელდღიურს სიტყვასთან ბრძოლას,  
დაეცებ რითმებს და სახეებს — იმედინი,  
რომ ჩიმა ლექსი მკითხველადე მივიდეს ბოლოს,  
როგორც ჩამქრალი ვარსკვლავისა სხივი გვიანი“.

დაულაღე შემოქმედებით მუშაობას აწარმოებდა პოეტი იმისთვის, რომ მისი სიტყვა დარჩენოდა ჭვეყანას, ხალხს. მტკიცედ სჯეროდა მის, რომ მშობელი მხარე არ დაივიწყებდა თავის მოამავე პოეტს. ეს რწმენა მან გამობატა სტრიქონებში: „და მკერა ჩემი სიმღერა წმინდა სამშობლო მხარეს ემასოცრება“.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში განსაკუთრებით გზიბაღეთ ძლიერი პოეტური წარმოსახვა. ამ მხრივ გამოირჩევიან ლექსები: „ნიკოლოზ ბარბაქაძის დედა“, „სურამის ციხე“. ვ. გაფრინდაშვილი თითქო ხედავს უდიდესი პოეტის დედს, — „მას თანათინის თითები ჰქონდა“, მაღლიან ძღძუს აწოვებდა ბავშვს, ის თურმე ადრე გარდაიცვალა და ვერ დასტბა შვილის დიდებით. ისე შეეფორია ეს პოეტური წარმოსახვა, რომ ატორი მთლიანად გავჯერებთ მასში. ზოგჯერ ეს ხილვა თავისებურაა, მისტიურიც, მაგრამ დამახასიათებელი ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებისათვის, მაგალითად ლექსში „სურამის ციხე“:

„ჭრბურების ქვეშ სჩანს ჰამლეტი შეგ წიგნით ხელში,  
ზურაბის აზრდის ის ციხის წინ ესაბრება,  
აქვს თავიდანვე დანიის პრინცს ამის უფლება“:

ველა ჩავრულა, იდღმალთა ის არის ელჩი,  
ზურაბს ჰამლეტი კვლავ უკითხავს თავის მონოლოგს,  
ხელეებს მხევეს და ვაიტაცებს ღრუბლებში ბოლოს!“

კრებულში თავმოყრილია აგრეთვე ისეთი ლექსები, რომლებიც გვიხატავენ დიდი ნებისყოფისა და მაღალი შემოქმედებითი წეის აღმანიებს. მათი შარავანდით მოსილი საბეები შედამ იტაცებდა პოეტს. ეს თავისებური თემა ნიშანდობლივია ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებისათვის.

განსაკუთრებით თბილი ლირიკული გრძნობითაა გამთბარი ლექსები მეგობრებისადმი. მაღლის ხშით, ცხოველის ფერადებით ხატავს პოეტი თანამედროვეობს, საბჭოთა ახალგაზრდობას, — მის აწმოსა და მომავალს. იგი უმღერის ჩვენი ჭვეყნის გმირულ თთობას, რომელსაც „კრიგალებთან ბრძოლა სწეურია“. პოეტი აქვე გეძღვეს იმ გმირთა სახეებს, რომლებიც დიდ ბელადთან ერთად იბრძოდნენ შესანიშნავი მომავლისათვის:

„გბრულდა სიცოცხლე, ჩაჭედილი ვეღვან სამაწი  
კობასთან ერთად დიდი ხანძრის იყავ მამობელი“—ო,

„მომართავს პოეტი საშა წუ ლუკიძეს, რომელმაც დაჭგო წინაპართა ვანებერებელი ცხოვრება და „ხალხს შესწირა“ თავისი „მოკლე წუთისოფელი“. ასევე აღაფრთოვანებს პოეტს მგზნებარე რევოლუციონერის ღადო. კეცხოველის ცეცხლოვანი სიკაზმეც. რომლითაც იგი რევოლუციის გარჯირაზე მხარს უმშვენიებდა დიდ ბელადს.

ვ. გაფრინდაშვილი გულწრფელი, ღრმა ემოციების პოეტია. მასში ორგანიულად არის შერწყმული საზოგადოებრივი და პირადული, თავის შემოქმედებას, პოეტურ სიტყვას მან უდიდესი მოვალეობა დააკისრა. თვითველ ლექსს პოეტი უნაწილებდა და გულს, ამიტომ ახასიათებთ მათ უაღრესი ინტიმობა. ერთ-ერთ საყურადღებო ლექსში „პოეზია“ იგი გარკვევით სწერდა:

„კოშკი სიტყვისა დასაშურები  
მინდა ავმართო აღფრთოვანებით,  
და, ვით სურამის ციხეს ზურაბი,  
მე თვითონ ლექსში დავეტანები“

ვ. გაფრინდაშვილის ლექსების წიგნი ადასტურებს პოეტის იდეურსა და მხატვრულ მომწიფებას, როგორც კრებულის წინასიტყვაობის ავტორი აღნიშნავს, პოეტმა დასძლია ურცელო შემოქმედებითი გზა, „მისტიურ ბუნდოვანებისა და რთულ განყენებულ სახეობრივ სისტემიდან — ნათელ ფერებისაკენ, პოეტურ სისადავისა და უბრალოებისაკენ, — აის გზა, რომელიც განვლო ვ. გაფრინდაშვილმა უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე და რომელმაც მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული წონა მისცა მის შემოქმედებას თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის საერთო ფონზე“. ეს ყოველივე მკვეთრად იგრძნობა პოეტის ახალი ლექსების წიგნში.

საბეჭდო წიგნს დართული აქვს ვალერიან გაფრინდაშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი.

დავით შამათაძე.

## შინაარსი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამბ. ი. ზ. სტალინის მოხსენება . . . . .	30
ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა . . . . .	3
	14

### მხატვრული ლიტერატურა

საბჭოთა კავშირის ჰიმნი . . . . .	17
ი. გრიშაშვილი — * (ლექსი) . . . . .	18
ალ. აბაშელი — გრიშაშვილს (ლექსი) . . . . .	19
ნიკო ღოთრაქიფანიძე — ნოველები . . . . .	21
ხარიტონ ვარდოშვილი — პოეტი (ლექსი) . . . . .	27
ვიქტორ ვაზეცკირია — მართა (ლექსი) . . . . .	30
კლავდია დედუარიანი — დაბრუნება (მოთხრობა) . . . . .	31
რევაზ მარგიანი — ფრონტელის დღიურიდან (ლექსები) . . . . .	34
ფუცუ დგებუაძე — ქალის გული (მოთხრობა) . . . . .	38
მონორე ბალზაკი — პოლკოვნიკი შაბერი (დასასრული) . . . . .	81

### ნ ა რ კ მ ე ვ ი

ივ. ციციშვილი — პოეტის ბიბლიოთეკაში . . . . .	103
---	-----

### კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

ანნა ჩხეიძე — კრილოვი ქართულ ლიტერატურაში . . . . .	116
---	-----

### ბიბლიოგრაფია

შ. ძიძიგური — საყურადღებო დიალექტოლოგიური ლექსიკონი . . . . .	124
დ. შამათავა — ვალერიან ვაფრინდაშვილი — „ლექსები“ . . . . .	126

3/5.

45/1/5  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

**„შ ნ ა თ ბ ი“**

**ГОСИЗДАТ ГРУЗИИ**